www.kvirispalitra.ge

# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№11 (971) ◆ 11 — 17 მარტი, 2013 წ. ფასი 1 ლარი

# „ეს რომ აქამდე მეთქვა, მომკლავდნენ!“

**ექსკლუზივი**



რატომ ვერ მოასწრეს მე-3 და მე-4 ბრიგადებმა დომინირებულ სიმაღლეებზე ასვლა?!

გვ.5

ვინ გადმოსწია ბოლო წუთს ცხინვალზე შეტევის დრო, რამაც ჯარის სრული დეზორგანიზაცია გამოიწვია?!

177 დაღუპულიდან 135 გიორგი კალანდაძის მეთაურობის ქვეშ მყოფ მე-4 ბრიგადაზე მოდის. ვინ შეაჩერა ისინი ცხინვალის მისადგომებთან „დუბოვაია როშჩაში“

კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!



წიგნი I

ერიხ მარია რემარკი

„ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“

წიგნის სპეციალური ფასი

7 ლარი

გაზეთთან ერთად 8 ლარი

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან

## „ლელა კილაძემ ვიცე-პოლკოვნიკი ქალი სამსახურიდან მომხსნა“



„რა ვიცოდი, მიშ-ას თავგასულ პარიკმახერებსა და გრიმიორებს უდანა-შაულო ვიცე-პოლკ-ოვნიკის სამსახური-დან გაგდება თუ შეე-ძლოთ“

გვ.6

## დავით კირვალიძე: „ეს სტატია ყველა ფერმერმა ყურადღებით წაიკითხოს!“

გვ.12



„ეს იყო „ქართული ოცნების“ დანაპირები და ვასრულებთ“

„არავის არაფერი ექნება გადასახდელი“

## გზავნილი მომავლიდან, როგორც ისტორიის ერთი გაუხუნარი ფურცელი

„გამოვედი თუ არა „პალიტრის“ შე-ნობიდან, კონვერტი იქვე გავხსენი და კითხვა დავიწყე. უცებ ვიგრძენი, რომ იმ ქვეყნად წასულმა ადამიანმა შეიძლება სივრცე გადმო-კვეთოს და საყვარელ ადამიანს შეეხმიანოს“




„არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მად-ლობა ამ პროექტისთვის. შვიდი წელი დამჭირდა, ჩემი გრძნობები თქვენთვის რომ გადმომეცა“

გვ.4



## სალომე ზურაბიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს სთავაზობენ?

გვ.36

## მერაბ მეტრეველის კვირის ფიქრები...



### მოგვატყუეს?

გვ.31

...მიპასუხეს, ბატონმა ლევანმა დიდი მოკ-ითხვა შემოგითვალა, მაგრამ გადაცემაში ამ თემაზე სასაუბროდ ვერ მოვა, რადგან უხ-ერხულია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგ-ილე საწვავის ფასებზე საუბრობდესო. კი მაგრამ, ის არ არის უხერხული, ყველანი მოტყუებულები რომ აღმოვჩნდით?

ამოჭრით

სერია №6

ლურჯი მონეტა




სერია ძალაშია 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით

თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით

## „მრავალშვილიან ოჯახებს უნდა დავუბრუნდეთ“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიიჩნევს, რომ შობადობასთან დაკავშირებით კრიტიკული მდგომარეობაა. „თქვენ იცით, კრიტიკული მდგომარეობაა, ძალიან გვაკლია ჩვენ შობადობა. ამიტომ ვფიქრობ, უნდა დავუბრუნდეთ იმ წესებს, რომლითაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ. მრავალშვილიან ოჯახებს უნდა დავუბრუნდეთ, ისეთ ოჯახებს, სადაც სიყვარულით და პატივისცემით იცხოვრებენ მამები, დედები, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და აღარ ექნება ახალგაზრდობას იმის ფიქრი, რით შევინახოთ ჩვენი შვილებიო“ — ბრძანა პატრიარქმა ჩვილთა მორიგი საყოველთაო ნათლობის შემდეგ სამების ტაძარში ქადაგებისას.



## მეორე რაუნდი

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კანცელარიაში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. როგორც შეხვედრის შემდეგ პრემიერმა განაცხადა, პრეზიდენტმა კვლავ ვერ მოახერხა დაფიქსირება თავისი პოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. „კანონპროექტი პარლამენტში მარტის ბოლოს მაინც გავა, ხოლო თუ ვერ გავა, არაფერი მოხდება, გარდა იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თავს შეირცხვენს. სააკაშვილის ხელისუფლების დაბრუნების არანაირი ალბათობა არ არსებობს და ეს პირადად პრეზიდენტსაც ვუთხარი. „ნაციონალებს“ ქუჩის პატარა აქციების და შეხლა-შემოხლის გამოწვევის რესურსიც კი არ აქვთ“ — აღნიშნა პრემიერმა. ივანიშვილმა განაცხადა, რომ სურს, „ნაციონალებმა“ და სააკაშვილმა მოახერხონ საზოგადოების ღირსეულ წევრებად დარჩენა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „შეხვედრისას პრემიერი დარწმუნდა, რომ ჩემგან საფრთხე არ ელოდება. არ ვაპირებ მთავრობის დათხოვნას და უნდა შეწყდეს ყველანაირი სპეკულაცია. ერთადერთი მიზეზი, რატომაც ვრჩები პრეზიდენტის თანამდებობაზე, არის ის, რომ დემოკრატიული სივრცე შევინარჩუნოთ ქვეყანაში და შევქმნათ საკონსტიტუციო სტაბილურობის რაღაც შესაძლებლობა მაინც“ (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).


რა უნდა ვიცოდეთ? „ლურჯი მონეტები“-ს შესახებ

კუპონებს, „ლურჯი მონეტების“ გამოსახულებით იპოვით „კვირის პალიტრის“, „ყველა სიახლის“ და „რეიტინგის“ ყოველ ნომერში, იქვე დეტალურად შეიტყობთ:

პროექტში მონაწილეობის წესებს;

პროდუქციის ჩამონათვალს, რომელზეც „ლურჯი მონეტა“ ლარის ნაცვლად გამოიყენება;

„ლურჯი მონეტის“ კურსს ლარის მიმართ და სხვა აუცილებელ ინფორმაციას.

„ლურჯი მონეტები“ მოქმედებს მხოლოდ აქციაში მონაწილე პროდუქციაზე.

თვეში ერთხელ, განახლდება პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზეც მოქმედებს ლურჯი მონეტები!

„ლურჯი მონეტების“ ეს სერია მოქმედებს თებერვლის, მარტის და აპრილის პროდუქციაზე.

სერია №6 ძალაშია 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით!

პროექტში მონაწილეობის პირობებს გაეცანით გვ. 43


## პრეზიდენტის ინიციატივა ჩააგდეს



პარლამენტმა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა ფინანსურ-საგადასახადო-ეკონომიკური დანაშაულის ამნისტიის შესახებ ხმათა უმრავლესობით ჩააგდო. სააკაშვილის საკანონმდებლო პაკეტს მხარი მხოლოდ უმცირესობამ დაუჭირა. უმრავლესობის წევრები მიიჩნევდნენ, რომ პრეზიდენტს თავისი „ნაციონალური“ ბიზნესის გადარჩენა სურს. უმცირესობის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მსგავსი გადაწყვეტილებებით პარლამენტი ქვეყანაში სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავს.

## ივანიშვილი კუბლაშვილს შეხვდა

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს შეხვდა. ივანიშვილმა კუბლაშვილთან შეხვედრას საინტერესო უწოდა და აღნიშნა, „საზოგადოებამ უნდა იგრძნოს, რომ სასამართლო სამართლიანია“. მისი თქმით, მიაღწიეს შეთანხმებას, რომ სასამართლო მაქსიმალურად დამოუკიდებელი უნდა გახდეს. კოტე კუბლაშვილიც ეთანხმება იმაში, რომ საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ სკეპტიციზმი არსებობს. პრემიერის განცხადებით, ახალი ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ შეეცდება სასამართლოზე ზეგავლენა მოახდინოს და პროცესებში ჩაერიოს. შეხვედრას საინტერესო უწოდა კუბლაშვილმაც და აღნიშნა, — სასამართლო თავისუფალი უნდა იყოს კორუფციისა და ნებისმიერი პოლიტიკოსის ჩარევისაგან.



## როდის ჩავა ივანიშვილი აშშ-ში

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, აშშ-ს შიდაპოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგების შემდეგ ეწვევა. „ბოლომდე გააზრებული არ გვაქვს, რომ ყოფილი ხელისუფლება ოსტატურად ახერხებს ცრუინფორმაციის ჩატანას ამერიკაშიც და ევროპაშიც. მინდა, შიდაპოლიტიკური ურთიერთობები დავალაგო და მერე ჩავიდე იქ. მინდა, კითხვები აღარ დარჩეს ჩვენს ხელწერასთან დაკავშირებით. არ მსურს ძირითად პარტნიორებთან ჩავიდე ისე, რომ კითხვები იყოს ჩვენს ურთიერთობებზე“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. მისივე თქმით, საქართველოს მთავრობას აქვს ვალდებულება, ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რათა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი გაიზარდოს საქართველოს მიმართ და პირიქით არ მოხდეს.

## კომუნიკაციების კომისიას შეამოწმებენ

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შესწავლის მიზნით დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია იქმნება. დადგენილების პროექტი 75 ხმით 1-ის წინააღმდეგ დამტკიცდა. პარლამენტმა საგამოძიებო კომისიის შექმნა რამდენიმე კომპანიის გენერალური დირექტორების განცხადებების განხილვის შემდეგ გადაწყვიტა, რომლებიც კომუნიკაციების კომისიის წევრების მხრიდან რიგ დარღვევებს ეხებოდა. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის შეფასებით, გამოიკვეთა დარღვევები, კერძოდ, ადგილი აქვს კომისიის წევრების მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, დოკუმენტების გაყალბებას, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, გადაწყვეტილებების მიღებისას ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევას.

## პრეზიდენტი ხელს არ აწერს



საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, პრეზიდენტს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ცხრა ელჩის დანიშვნის ბრძანებისთვის ხელი არ მოუწერია. „თუკი პრეზიდენტი აცხადებს, რომ პატივს სცემს ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს, მაშინ რა უდგას წინ იმას, რომ სწორედ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის მიერ დამტკიცებული ელჩების დანიშვნის ბრძანებებს მოაწეროს ხელი. მან უარი არ თქვა მათ წარდგინებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კანდიდატურებს ეთანხმება, ამიტომ ჩემთვის სრულიად გაუგებარია პროცესის ამგვარად ხელოვნური გაჭიმვა“ — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

## კონსენსუსი შედგა

საქართველოს პარლამენტმა საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით რეზოლუცია ერთხმად — 96 ხმით მიიღო. დოკუმენტი უმრავლესობისა და უმცირესობის ერთობლივი მხარდაჭერით გავიდა. რეზოლუციის პროექტთან დაკავშირებით კონსულტაციები პროექტის სესიაზე გატანის წინაც გაიმართა, რომლის შედეგად მხარეებმა პოზიციების შეჯერება შეძლეს. დოკუმენტი სულ 19 პუნქტისგან შედგება. მასში აღნიშნულია, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. რეზოლუციის მიხედვით, აშშ-თან ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პრინციპებით. ტექსტში რუსეთთან დიალოგის შესახებ აღნიშნულია, — საქართველო რუსეთთან დიალოგს წარმართავს როგორც ჟენევაში მიმდინარე საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით, ისე ორმხრივ ფორმატში. რეზოლუციის მიხედვით საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმყოფებოდეს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას.

## წულუკიანის დიპლომი



იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მისი დიპლომის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟისთვის წერტილის დასმა სცადა — საზოგადოების ეთერში ორი დიპლომით მივიდა. „ასე რომ, ქართული კანონის მოთხოვნას ვაკმაყოფილებ. ჩემი განათლების შესახებ არასდროს არაფერი ყოფილა დამალული და პარლამენტის არც ერთ კომიტეტს ამაზე პრეტენზია არ გამოუთქვამს“ — განაცხადა თეა წულუკიანმა. იუსტიციის მინისტრის თქმით, — ყველა საქმის გამოძიება გონივრულ ვადაში დასრულდება. თენგიზ გუნავას საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებები, რომ მას იარაღი ჩაუდეს, თუ მის ჩვენებას არ ჩავთვლით, არ მოიპოვება. რაც შეეხება ლუკა კურტანიძის მიერ თანამშრომლის ცემის ფაქტს, პროკურატურას, ისე, როგორც გეწაძის საქმეზე, ნამდვილად ექნება რეაქცია და შეჩერებითი სამართალი არ იქნება. არც გიგი უგულავას საქმეზე იქნება ჯოხზე ქვის ჩვენება ერთადერთი მტკიცებულება (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## ვენეციის კომისიის დასკვნა

ვენეციის კომისიამ საქართველოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ პროექტზე იმსჯელა და დასკვნაც შეიმუშავა. 9 მარტს დასკვნა ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, თუმცა ყველა მხარე კმაყოფილებას გამოთქვამდა. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განმარტებით, ვენეციის კომისიამ მკაფიოდ აღნიშნა, რომ თუ ახლ მოქმედზე გადასვლის გამო დღეს მოქმედი იუსტიციის საბჭოს რომელიმე წევრი ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტს, მას შეიძლება, შეუწყდეს უფლებამოსილება. „ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ მოქმედი სისტემა, მათ შორის მოსამართლეთა თვითმმართველობის ნაწილში, არის შესაცვლელი“, — აღნიშნა უსუფაშვილმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, ვენეციის კომისიამ მათი შენიშვნებიც გაითვალისწინა: „ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის ამოქმედება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას“.

## შაშკინი დაბრუნდა



სასჯელაღსრულების, განათლებისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ოჯახთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. მან პრესკონფერენციაც გამართა და აღნიშნა, რომ მზად არის, ყველა საგამოძიებო უწყებას კითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცეს. დიმიტრი შაშკინის განცხადებით, მისი სასჯელაღსრულების მინისტრობისას ციხეებში მხოლოდ გადატვირთულობის პრობლემა არსებობდა და პატიმრებს არავინ ეხებოდა. განათლების მინისტრობისას, პოლიტიკური ნიშნით პედაგოგების გათავისუფლებაზე კი პასუხისმგებლობას იხსნის, რადგან მასწავლებელს ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორი. ხოლო თავდაცვის მინისტრად მუშაობისას საკუთარი თავისთვის არც პრემიები გამოუწერია და არც სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაზე იცოდა არაფერი. „სწორედ მე გავათავისუფლე მეგის ქარდავა სამხედრო პოლიციის უფროსის პოსტიდან, რადგან სამხედრო პრებისადმი არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით კითხვები გაჩნდა“ — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## მორიგი დარღვევები

თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ თავდაცვის სამინისტროში გასულ წლებში გაწეული არამიზნობრივი ხარჯების მორიგი ფაქტები გამოავლინა. კერძოდ, უწყების ცნობით, 2009 წელს უწყებამ კომპანია „ტრედ ალიანს ჯგუფისგან“ შეიძინა უკრაინაში წარმოებული 1.650.000 დოლარის ღირებულების 3.000 ცალი ჯავშანჟილეტი, რომლებიც უხარისხო აღმოჩნდა, ანუ გამტარი იყო როგორც პისტოლეტის, ისე ავტომატის ტყვიისთვის. ამ საქმეში ოლეგ მელნიკოვი ფიგურირებს. გენინსპექციამ კიდევ ერთი დარღვევა გამოავლინა, რომელიც უკვე დიმიტრი შაშკინის მინისტრობას ეხება — უწყების ცნობით, წინასაარჩევნოდ „ნაციონალური მოძრაობა“ შეიარაღებული ძალების საწვავს მოიხმარდა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## სამეურვეო საბჭოს გადაღგომას ითხოვენ

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომა, რომელზეც საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან ხათუნა ბერძენიშვილის გათავისუფლების საკითხს იხილავდნენ, მოულოდნელი შედეგით დასრულდა — საბჭომ გენდირექტორობიდან გაათავისუფლა გიორგი ბარათაშვილი. ამან მაუწყებლის თანამშრომელთა ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფმა სამეურვეო საბჭოს უნდობლობა გამოუცხადა და მისი გადადგომა მოითხოვა. გიორგი ბარათაშვილი კი, საბჭოს გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს. არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის საია, მიიჩნევს, რომ ბარათაშვილი თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლეს (ვრცლად იხ. გვ. 41, სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).



## გრიპის ვირუსი და წითელა ვრცელდება

ბოლო მონაცემებით, საქართველოში H1N1 ვირუსით 22 კაცი დაიღუპა, დაავადებულთა რაოდენობა კი 293 კაცს შეადგენს. საქართველოში წითელას ინფექციამაც იფეთქა — ამ დაავადების 111 შემთხვევა აღინიშნა, მათგან 101 თბილისში.

შედარებისთვის — 2012 წელს საქართველოში წითელას სულ 31 შემთხვევა დაფიქსირდა.

ინფექციასთან დაკავშირებით სავალდებულო ვაქცინაციის პროგრამის განხორციელება დაიწყო. ექსპერტები ინფექციის მიზეზად 2008 წელს ჩაშლილ წითელას იმუნიზაციას ასახელებენ.

# „კოტე კუბლაშვილი იუსტიციის საბჭოს ჩამოშორდება“

*გასული კვირა კოჰაბიტაციური იყო. ბიძინა ივანიშვილი ჯერ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა, შემდეგ კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს. პარლამენტში, გაგიკვირდებათ და, „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალებმა“ შეძლეს პოზიციების შეჯერება რეზოლუციაზე, რომელიც საგარეო კურსის ძირითად პრინციპებს ეხება. შუალედებში კი იყო პროკურატურის ახალი უმძიმესი ბრალდებები ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ და მათი უარი დაკითხვაზე გამოცხადებაზე — თუმცა ესეც უკვე უცნაური ქართული კოჰაბიტაციის ნაწილი გახდა. თუმცა, შედარებით მშვიდი კვირის მიუხედავად, საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „საგაზაფხულო გამწვავება“ ჯერ წინ არის. კერძოდ, „ქართულ ოცნებას“ „ნაციონალებისგან“ არ მიუღია საბოლოო პასუხი, დაუჭერენ თუ არა მხარს საკონსტიტუციო ცვლილებებს. ისევე, როგორც „ნაციონალებმა“ ჯერ ვერ მიიღეს ხელშეუხებლობის გარანტია ფინანსურ თუ საჯარო მოხელეთა ამნისტიის სახით. საზოგადოების მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ გამწვავება უკვე ნაკლებად არის მოსალოდნელი, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ თანდათან სუსტდება და ახალი ხელისუფლებისთვის სერიოზული პრობლემების შექმნის უნარი აღარ აქვს. მეორე ვერსიას ემხრობა ექსპერტი* ***სანდრო თვალჭრელიძე****, რომლის აზრით, პროცესი ლოგიკურად და პოზიტიურად ვითარდება.*

## „კოჰაბიტაცია ცივილიზებულ ჩარჩოში მოექცა“

— ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრას საინტერესო და პოზიტიური განვითარება მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ პრემიერი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდა. ბიძინა ივანიშვილი ყველაფერ იმას, რაც დაგეგმილი იყო სასამართლოსა და იუსტიციის საბჭოსთან დაკავშირებით, ნელ-ნელა ახორციელებს. კოტე კუბლაშვილი კი იუსტიციის საბჭოს ჩამოშორდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ეს პრემიერისა და პრეზიდენტის შეხვედრის გაგრძელებაა. ძალიან პოზიტიურ ნაბიჯად მიმაჩნია, პარლამენტის მიერ საგარეო საკითხებთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღება, რომელსაც მხარი დაუჭირა როგორც უმრავლესობამ, ისე უმცირესობამ. კოჰაბიტაცია ცივილიზებულ ჩარჩოში მოექცა, რაც ძალიან მომწონს. ასევე, ჩემი აზრით, გავა საკონსტიტუციო ცვლილებები და კანონი „საერთო სასამართლოების“ შესახებ. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდის.

**— შეხვედრის შემდეგ განცხადებები გააკეთეს როგორც ივანიშვილმა, ისე სააკაშვილმა. სხვათა შორის, პრეზიდენტმა აღნიშნა — თანამდებობაზე მხოლოდ იმ მიზნით ვრჩები, რომ ქვეყანაში დემოკრატიული სივრცე შევინარჩუნოო.**

— სააკაშვილს თურმე ღამე არ ეძინა და 9 წელი დემოკრატიის განვითარებაზე ფიქრობდა. ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მიხეილ სააკაშვილამდე უფრო თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოება გვქონდა და ეს საქართველოს დღევანდელმა პრეზიდენტმა მოსპო. ამიტომ მისი მხრიდან დემოკრატიაზე ლაპარაკი ცინიზმია, ისევე, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების ლაპარაკი ფინანსურ ამნისტიაზე. მოიპარეს ფული და ახლა უნდათ, რომ შერჩეთ.

**— პრეზიდენტის აღნიშნული ინიციატივა პარლამენტმა ჩააგდო.**

— აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ფინანსურ ამნისტიაზე ლაპარაკი მიუღებელია.

**— ზემოთ აღნიშნეთ, რომ კოჰაბიტაცია ცივილიზებულ ჩარჩოებში მოექცა და ყველაფერი კარგად მიდის. როგორ ფიქრობთ, რატომ — სააკაშვილმა ფარხმალი დაყარა თუ სხვა ფაქტორებმა მოახდინეს გავლენა?**

— ეს იმიტომ ხდება, რომ რაც უფრო ვუახლოვდებით ოქტომბერს, მიხეილ სააკაშვილის გავლენა მით უფრო მცირდება. ალბათ, სააკაშვილსაც უდებენ მაგიდაზე საზოგადოების გამოკითხვის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, „ნაციონალებს“ ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავთ. ამიტომ დღეს სააკაშვილის მთავარი ამოცანაა მშვიდი და უპრობლემო ცხოვრების გარანტიების მიღება და არა ძალაუფლების დაბრუნება. ამ თვალსაზრისით ძალიან სასაცილო იყო „ნაციონალების“ მიერ 19 აპრილის აქციის დაანონსება. ისინი ვერ შეძლებენ იმდენი ხალხის მოგროვებას, რომ აქცია ფართომასშტაბიანად წარმოაჩინონ.

**— პარლამენტმა, როგორც აღნიშნეთ, მიიღო რეზოლუცია საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით, რომელსაც მხარი უმრავლესობამაც დაუჭირა და უმცირესობამაც. თავიდან იგეგმებოდა, რომ დოკუმენტი ინტერფრაქციულ შეთანხმებად უნდა გაფორმებულიყო და არა რეზოლუციად. თუმცა იმ მოტივით, რომ „ნაციონალებმა“ შენიშვნების მომზადება ვერ მოასწრეს, შეთანხმება ჩაიშალა.**

— „ნაციონალებმა“ ბოლო მომენტში უკან დაიხიეს. თუმცა მათი მთავარი მიზანი იყო, ეჩვენებინათ, რომ რაღაც პოლიტიკურ ძალას კიდევ წარმოადგენენ. უმრავლესობამ რეზოლუციის პროექტში „ნაციონალების“ აზრიც გაითვალისწინა, ანუ პატივი სცეს მათ პოზიციას. ეს მისასალმებელია, რადგან ოპოზიციის აზრის გათვალისწინება ყოველთვის პოზიტიურია. უბრალოდ, უნდა გვყავდეს ისეთი ოპოზიცია, რომლის პატივისცემა შესაძლებელია.

**— რეზოლუციაში აისახა ის პრინციპები, რომლებსაც „ნაციონალები“ ითხოვდნენ. შესაბამისად, გაჩნდა კითხვა — რაღა აზრი აქვს „ნაციონალების“ მიერ დაანონსებულ 19 აპრილის აქციას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მათივე თქმით, დასავლური კურსის მხარდაჭერა უნდა ყოფილიყო. თუმცა ისე ჩანს, რომ „ნაციონალები“ აქციის გადადებას არ აპირებენ.**

— წავიკითხე ნუგზარ წიკლაურის კომენტარი, რომლის მიხედვითაც, აქცია ძალაშია. აქცია დააანონსა მერაბიშვილმა, რომელსაც ზემოხსენებულ პროცესში მონაწილეობა არ აქვს მიღებული. მოკლედ, სახეზე გვაქვს ერთი და იმავე გუნდის სხვადასხვა მიმართულება და რომლის აზრიც გაიმარჯვებს, იმის მიხედვით, აქცია ან იქნება, ან არა. თუმცა მე პირადად აქციის პერსპექტიულობაში ეჭვი მეპარება.

**— ისე, ივანიშვილმა სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა — „ნაციონალებს“ იმის ძალაც აღარ აქვთ, მცირემასშტაბიანი აქცია გამართონ და ქუჩებში შეხლა-შემოხლა გამოიწვიონო.**

— თუ აკაკი მინაშვილი, ნუგზარ წიკლაური და ჩიორა თაქთაქიშვილი მარტო გაისეირნებენ, ხალხი დაესევა და გალახავს. მხოლოდ ასე თუ შეძლებენ შეხლა-შემოხლის გამოწვევას. სხვანაირად, რაიმე რეალურის გაკეთების რესურსი მათ არ აქვთ.

**— საზოგადოებაში უკვე ისმის კითხვები — ხომ არ უგვიანდება ბიძინა ივანიშვილს ვიზიტი აშშ-ში. ამის საპასუხოდ პრემიერმა განაცხადა, რომ როდესაც შიდა ურთიერთობას დაალაგებს, მხოლოდ ამის შემდეგ გაემგზავრება ვაშინგტონში. რამდენად სწორი მიდგომაა?**

— აბსოლუტურად სწორი მიდგომაა. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ვთქვი თქვენთან ინტერვიუში, რომ სანამ ქვეყნის შიგნით არ დალაგდება მდგომარეობა, ამერიკაში ვიზიტი არ უნდა შედგეს. ბიძინა ივანიშვილი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკაში ვიზიტს, რომ უნდა, რაც შეიძლება რაციონალური იყოს ეს ვიზიტი და არ გახდეს ჭორაობის საბაბი. სჯობს, გვიან და კარგად, ვიდრე ადრე და უშედეგოდ. პრემიერობის პერიოდში სულ ორჯერ თუ სამჯერ მოახერხებს ივანიშვილი ამერიკაში წასვლას და თითოეული ვიზიტი რაც შეიძლება ნაყოფიერად უნდა იქნას გამოყენებული.

**— ამერიკაში ვიზიტზე საუბრისას, პრემიერმა აღნიშნა, რომ ყოფილი ხელისუფლება ახერხებს საზღვარგარეთ დეზინფორმაციის გავრცელებას. ამ დღეებში მთავრობამ ორი ლობისტური კომპანია დაიქირავა — ერთი ევროკავშირში მუშაობს, მეორე კი — ამერიკაში. ისე, ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის?**

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. არაერთხელ მითქვამს — ახალი ხელისუფლების დრამატული შეცდომა იყო, რომ ლობისტურ მიმართულებას არ აქცევდა ყურადღებას. 2-3 თვის წინ რომ გაეკეთებინათ ეს, უკეთესი იქნებოდა. მაგალითად, ვენეციის კომისიის დასკვნისთვის ამდენ ხანს ლოდინი არ დაგვჭირდებოდა. უბრალოდ, დრო დავკარგეთ.

**— ევროპარლამენტის წევრებმა ბიძინა ივანიშვილს მიმართვა გამოუგზავნეს და მოუწოდეს, რომ საქართველოს ევროპული მომავალი არ დაასამარონ. როგორ ფიქრობთ, კვალი კვლავ „ნაციონალების“ მეგობარ „ევროპის სახალხო პარტიაში“ უნდა ვეძებოთ, თუ მართლა მიიჩნევენ ევროპარლამენტარები, რომ საქართველოში დემოკრატიას საფრთხე ემუქრება?**

— ეს ჩვეულებრივი ევროპული ბიუროკრატიაა — ერთმა კაცმა დაწერა მიმართვა და სხვებმა კოლეგიალობის ნიშნად ხელი ასწიეს. ამ მიმართვაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. სჯობს, ასეთი ექსცესები არ განმეორდეს, თუმცა რასაც წერენ ევროპარლამენტარები წერილში, იმის 90% უკვე გააბათილა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა რეზოლუციამ. ასე რომ, ეს ღია კარის მტვრევას ჰგავს და არასერიოზულია. ორი თვის წინ რომ დაექირავებინა ახალ მთავრობას ლობისტური კომპანიები, ასეთ ექსცესებს ადგილი აღარ ექნებოდა.

**— ისე, როდესაც ასეთ მიმართვებს კითხულობ, შეუძლებელია, არ გაგახსენდეს 2003-2004 წლები. მაშინაც შეიცვალა ხელისუფლება და მაშინაც დაიწყო ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებები — სხვათა შორის, უფრო რადიკალური ფორმებით. თუმცა ვერ ვიხსენებ, რომ მაშინ დასავლეთს მიმართვები, განცხადებები გამოეგზავნოს და შეშფოთება გამოეთქვას.**

— მაშინ არ იყო ოპოზიციური ძალა, რომელიც ევროპაში იყვირებდა. თუ თავს თვითონვე არ შეახსენებ, არავინ შეგამჩნევს, მეორეც — საქართველოს მნიშვნელობა გაიზარდა და საჭადრაკო დაფაზე სერიოზული ადგილი უკავია. ევროპაში იციან, მათ რომ დაივიწყონ საქართველოს მნიშვნელობა, რუსეთის პოზიციები გაძლიერდება.

**— „ევროპაში ყვირილში“, ალბათ, მთავარ როლს მიხეილ სააკაშვილი ასრულებს. ის უცხოეთში ისეთ ღონისძიებასაც კი ესწრება, რომელზე გამგზავრებაც რანგით არ ეკუთვნის. ყველა ფორუმს თუ კონფერენციას პრეზიდენტი ტრიბუნად იყენებს და აკეთებს ისეთ განცხადებებს, რომელიც სულ უფრო ხშირად ხდება სკანდალის მიზეზი. ამ განცხადებების გამო ივანიშვილმა მას მოუწოდა, რომ ქვეყნის სახელით ნულარ ლაპარაკობს.**



„ბორდი აპოლიტიკური უნდა იყოს და იქ ცნობილი პირები უნდა იყვნენ წარმოდგენილი“

— მართლაც, სააკაშვილი ბოლო პერიოდში თავს ვეღარ იკავებს და იმპულსურ განცხადებებს აკეთებს. ძალიან სწორი ნაბიჯი გადადგა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც სააკაშვილის განცხადებების გამო, ბოდიში მოუხადა დიპლომატებს, საზღვარგარეთელ ლიდერებს, განსაკუთრებით აზერბაიჯანის პრეზიდენტს. ისე, სააკაშვილის გამოსვლებს უკვე ყურადღებას აღარავინ აქცევს, უბრალოდ, იღებენ მას, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს.

**— არ შემიძლია არ გკითხოთ საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებზე. უკვე ხუმრობენ კიდეც — გიორგი ბარათაშვილმა მიხსნა ხათუნა ბერძენიშვილი, ბერძენიშვილმა კი — ბარათაშვილიო. თუმცა, სამწუხაროდ სახუმაროდ არ არის საქმე. ჩვენი ფულით დაფინანსებულ ტელევიზიაში არაჯანსაღი პროცესები მიმდინარეობს, გამოსავალი კი, ჯერ არ ჩანს.**

— გამოსავალია ის, რომ პარლამენტმა დროულად დაამტკიცოს კანონპროექტი, რომელიც ლაშა ტუღუშმა და საინიციატივო ჯგუფის სხვა წევრებმა მოამზადეს. ძალიან მომეწონა კახა ბექაურის განცხადებაც, რომელმაც თქვა — ზემოხსენებული პროექტი კარგია, თუმცა მედია მეოთხე ხელისუფლებაა და სჯობს, ის ხალხმა აირჩიოსო. ჩემთვისაც გაუგებარია, რატომ უნდა აირჩიოს საპარლამენტო უმრავლესობამ ან უმცირესობამ სამეურვეო საბჭოს წევრები.

**— ლამაზად ჟღერს, მაგრამ ალბათ, ცოტა ძნელი განსახორციელებელია, რომ საზმაუწყებლის სამეურვეო საბჭო ხალხმა აირჩიოს.**

— რატომ? მაგალითად, არსებობს ფრანგული მოდელი, რომლის დროსაც, ბორდის არჩევნებში ყოველი მეასე მოქალაქე მონაწილეობს. გარდა ამისა, არსებობს „ფეისბუკი“, პლებისციტი და სხვა საშუალებები.

**— საზმაუწყებელთან დაკავშირებით, მთავარი ალბათ არსის შეცვლაა და არა ერთი პოლიტიკური ძალის მეორით ჩანაცვლება.**

— რა თქმა უნდა. თუ საინიციატივო ჯგუფის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი დამტკიცდა, ამის საფრთხე მოიხსნება. ჩემი აზრით, ბორდი აპოლიტიკური უნდა იყოს და იქ ცნობილი პირები უნდა იყვნენ წარმოდგენილი. ხელფასს კი არ უნდა იღებდნენ, ბორდის წევრობა საამაყო უნდა იყოს. ეს პატივია და არა სამსახური, ისევე როგორც ნაფიცი მსაჯულობა.

**— მთავარმა პროკურატურამ ბიზნესმენებისთვის ფულის გამოძალვის კიდევ ერთი საქმე გახსნა, რომელშიც ფიგურირებენ ზურაბ ადეიშვილი, მურთაზ ზოდელავა, გიორგი ლვინიაშვილი და დავით საყვარელიძე. პროკურატურას ამ მიმართულებით, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს მოუწევს მუშაობა, რადგან სახელისუფლებო ბიზნესრეკეტი ამა თუ იმ დოზით თითქმის ყველა ბიზნესმენმა იწვნია.**

— დიახ, ყველა საქმის გამოძიებას 2-3 წელი დასჭირდება. რასაც ვხედავთ, ეს საქმეების 3-4%-იც არ არის. იქნება ძალიან მტკივნეული პროცესი, მაგრამ სამართლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს. იმაში, რომ ასეთი მაგალითი ათასობით გვაქვს, ეჭვი არ მეპარება.

**— თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურა ასე თუ ისე გამართული რომ გვეგონა, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. გენინსპექციას თუ დავუჯერებთ, კორუფციული სქემები სამხედრო უწყებაში ყველა მინისტრის პერიოდში მოქმედებდა — კეზერაშვილით დაწყებული, ახშვილით დამთავრებული. პარალელურად, ფუფუნებაც უყვარდათ — ბაჩო ახალაიას აპარტამენტების ფოტოები, ალბათ, ნახეთ.**

— დიახ, ვნახე. არც იყო ეს ყველაფერი გასაკვირი, რადგან კეზერაშვილი ხელმძღვანელობდა თავის დროზე თავდაცვის უწყებას და ის ვინც იყო, ყველას კარგად მოეხსენება. ამ დროისთვის თავდაცვის სამინისტროში აღმოაჩინეს კორუფციული სქემა, რომელიც მოდებული იყო ობობას ქსელივით. ჩემი აზრით, ასეთი ნეგატიური აღმოჩენები კიდევ იქნება — შინაგან საქმეთა სამინისტროში, პროკურატურასა თუ სხვა უწყებებში.

**— ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებული ექსპერტები ხშირად ამბობენ, რომ შესაძლოა, ამგვარი ფაქტების შესახებ მიხეილ სააკაშვილმა არაფერი იცოდა.**

— ისევე, როგორც სტალინმა არ იცოდა, რომ 1937 წელს ხალხს ხვრეტდნენ ან ჰიტლერმა არ იცოდა, რას უშვრებოდნენ ებრაელებს. ეს უკვე ხავსმოკიდებული ლოგიკაა და პატარა თუ დიდი ტირანების აპოლოგეტებს, როგორც წესი, სხვა სათქმელი არ აქვთ. როგორ არ იცოდა მიხეილ სააკაშვილმა, როდესაც ყველაფერი მისი ბრძანებით ხორციელდებოდა. მას პირადი პატიმრებიც ჰყავდა, მაგალითად, ფოტორეპორტიორები, რომლებმაც 26 მაისის მოვლენები გადაიღეს. ისინი პირადად სააკაშვილის ბრძანებით დააპატიმრეს, ისევე როგორც დღევანდელი პრეზიდენტის ბრძანებით დაარბიეს ტელეკომპანია „იმედი“, მისივე ბრძანებით შემოიღეს ნულოვანი ტოლერანტობა. არ იცოდა სააკაშვილმა, ამას რაც მოჰყვებოდა? არ იცოდა, რომ ციხეებში სადისტები მუშაობდნენ? ძალიან კარგად იცოდა და საწინააღმდეგოს მტკიცება, დამონებული ხალხის ლოგიკაა.

*გიორგი კვიტაშვილი*



პოლიტიკური თოქ-შოუ „აქ და ახლა“
ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 14:00 სთ-ზე
კოტე ჟღენტთან ერთად
უსმინეთ „რადიო პალიტრის“ ეთერში FM 103.9
რადიო პალიტრა FM 103.9
www.radiopalitra.ge

# სკივრში ჩატეული უკვდავი სიყვარული




**გზავნილი მომავლიდან, როგორც ისტორიის ერთი გაუხუნარი ფურცელი**

*ზოგჯერ წამიც ისტორიად იქცევა ხოლმე და რა გასაკვირია, რომ „კვირის პალიტრის“ 18-წლიან ისტორიასაც კვალი დაემჩნია საზოგადოებაზე — სხვა რომ არაფერი, 2000 წელს წამოწყებული ჩვენი პროექტი „გზავნილი მომავალში“ 100 წლის შემდეგაც შეახსენებს თავს საქართველოს. მანამდე კი სკივრი, რომელშიც გზავნილები იყო მოთავსებული, უკვე სამჯერ გაიხსნა და ბევრისთვის ისტორიად იქცა, რომელსაც სიხარულიც ახლდა და ცრემლიც. ახლა სწორედ ერთ ასეთ გზავნილზე გვინდა მოგითხროთ.*


ნანა, შვილებო, შვილიშვილებო!
გიტოვებთ ახლა 2005 წელს. გისურვებთ ბედნიერ ხანგრძლივ ცხოვრებას და სიყვარულს.
როცა ამ წერილს ვწერ, კოსტა ბაბუა ძალიან ცუდადაა, გული მიკვდება, ვერაფრით ვეხმარები. მანია ბებო ყავარჯნებით დადის. როგორ ვოცნებობდი მშობლებისთვის რამე გამეკეთებინა, მაგრამ ვერ შევძელი, რაც გულს მიმძიმებს.
წერილის ბოლოს გისურვებთ ბედნიერებას, ხანგრძლივ ცხოვრებას და სიყვარულს: ბედნიერება = სიყვარული + მეგობრები
[illegible] = სიყვარული + მეგობრები + სიყვარული + ცხოვრება.
სიყვარულით და მეგობრობით [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible], რაც [illegible] [illegible] [illegible]
გკოცნით, გეხვევით ყველას.
შვილიშვილებო, რომ [illegible] და ყოველ [illegible] გული მეკუმშება, [illegible] [illegible] ყველას.
ვკოცნი ლუკას, ელენეს, ანის და [illegible] შვილიშვილებს.
ლუკა – ბოკვერი
ელენე – მერცხალი
ანი – შევარდენი

*„კვირის პალიტრამ“ სიყვარული გამიცოცხლა. აქამდეც მინდოდა თქვენთვის მომეწერა, მაგრამ წლები დამჭირდა, რათა კალამი ხელში ამეღო და მომეწერა...*

*მოსიყვარულე მეუღლე დავკარგე — 2005 წლის 26 ნოემბერს ინფარქტით გარდაიცვალა. წავიდა და უზარმაზარი სიცარიელე დამიტოვა. ორმოცი დღის შემდეგ ქუჩაში პირველად გავედი. გაზეთების ჯიხურს რომ ჩავუარე, თითქოს რაღაც ძალამ უკან მიმახედა. პირდაპირ „კვირის პალიტრას“ დავადგი თვალი და არც დავფიქრებულვარ, ისე ვიყიდე. შინ შევედი თუ არა, გაზეთი მაგიდაზე დავდე და კითხვა დავიწყე. ვხედავ, რამდენიმე ფურცელზე სიაა ჩამოწერილი, — განმეორებით ვბეჭდავთ იმ ადრესატთა სიას, ვინც რედაქციაში თავის გზავნილს უნდა მოაკითხოსო. კი ვიცოდი, რომ „კვირის პალიტრას“ ასეთი პროექტი ჰქონდა, მაგრამ მე მასში მონაწილეობა არ მიმიღია. რატომღაც მაინც დავიწყე სიის კითხვა და რას ვხედავ: „ნანა რევაზის ასული გეგელია“ — წერია. თვალები დავხუჭე, ისევ გავახილე, ხომ არ მეჩვენება, ან იქნებ სხვა ნანაა-მეთქი, მაგრამ გარკვევით ეწერა ჩემი სახელი და გვარი. ამასობაში მეზობელი შემომესწრო და დაბნეულმა ვკითხე, მართლა ჩემი სახელი წერია-მეთქი? თავი დამიქნია. ის ღამე ძლივს გავათენეთ მე და ჩემმა შვილებმა. დილით „პალიტრის“ რედაქციაში მივედი და გოგონებს კონვერტი გამოვართვი. დახედვისთანავე თავბრუ დამეხვა, — ჩემი მეუღლე მიგზავნიდა, ზურიკო, მისი ხელი იყო. გაოგნებულს გოგონებმა მკითხეს, — რა მოხდა, ნაცნობი გწერთ თუ უცნობიო? ჩემი მეუღლე მწერს, გუშინ გადავუხადეთ ორმოცი-მეთქი. ახლა იმ გოგონებს გაუფართოვდათ თვალები. გამოვედი თუ არა შენობიდან, კონვერტი იქვე, ხის ძირში გავხსენი და კითხვა დავიწყე. უცებ ვიგრძენი, რომ იმ ქვეყნად წასულმა ადამიანმა შეიძლება სივრცე გადმოკვეთოს და საყვარელ ადამიანს შეეხმიანოს.*

*გიგზავნით ამ წერილს და მადლობას გიხდით, თქვენ ხომ ყველაზე ფასდაუდებელი რამ მაჩუქეთ. მიყვარხართ.*

***ნანა გეგელია“***

**„ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ზუსტად ისეთი ზურიკო მახსენდება, როგორიც იმ დროს იყო, როცა დავქორწინდით“**

რატომ ვუთხარი-მეთქი...

**— ალბათ მოსიყვარულე შვილი იყო. შვილიშვილებს სწერს, — „როცა ამ წერილს ვწერ, კოსტა ბაბუა ცუდადაა, გული მიკვდება, რომ ვერაფრით ვეხმარები. მანია ბებო კი ყავარჯნებით დადის, როგორ ვოცნებობდი, მშობლებისთვის რამე გამეკეთებინა, მაგრამ ვერ შევძელი, რაც უფრო მიმძიმებს გულსო“. რა ვერ შეძლო?**

— უნდოდა, ისეთი შვილი ყოფილიყო, დედ-მამისთვის სასახლე აეშენებინა, მათ ყველა ტკივილს შებრძოლებოდა. გიჟდებოდა, როცა უჭირდათ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დედამისმა ფეხი მოიტეხა და ყავარჯნით დადიოდა. მერე მამა გაუხდა უკურნებელი სენით ავად, ადგილს ვერ პოულობდა, საშინლად ნერვიულობდა, რომ ვერ შველოდა. მშობლებს ქალაქში ჩამოსვლა არ უყვარდათ — თავი კოლოფში გამოკეტილი გვგონიაო, ის კი დარდობდა, — სოფელში უჩემოდ გაუჭირდებათო. ძალით ჩამოჰყავდა მშობლები თბილისში...

პირველი შვილი რომ გაგვიჩნდა, არაფერი იშოვებოდა. რა ვიცი, რამ მოაფიქრებინა,





**შვილიშვილების დანახვაზე დაფრინავდა. შევარდენი, ბოკვერი, მერცხალი, წერილში რომ უწერია, ყველას თავად შეარქვა, ყველასთვის თავისი სამყარო ეგულებოდა. გული მტკივა, რომ ისინი ველარ ნახავენ ასეთ ბაბუას...**

*ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მეც მივხვდი, იმ სკივრში რამდენი ადამიანის ცხოვრებაა ჩატეული. მივხვდი იმასაც, რომ ეს გზავნილები მომავალშიც სასიკეთო გავლენას მოახდენს ჩვენზე — რაც დრო გადის, წარსული ხომ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. გზავნილმა იმდენად აგვაღელვა, რომ ქალბატონი ნანა გეგელია რედაქციაში მოვიწვიეთ.*

— ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ზუსტად ისეთი ზურიკო მახსენდება, როგორიც იმ დროს იყო, როცა დავქორწინდით. მაშინ მის სოფელში წავედით, ბაღდათში, დიმში. უბედნიერესი ქალი ვიყავი — რამდენი წელიც მემატებოდა, ჩემი ქმარი დაბადების დღეზე თითო ვარდს მიმატებდა. ერთხელ უზარმაზარი თაიგულით კარში რომ ველარ შემოეტია, გამწარებულმა მივაძახე, — რა დროს ვარდებია-მეთქი! სახე ისე მოეღრუბლა, დღემდე არ ამომდის თვალებიდან. ახლა ვნანობ, ასე თავის დღეში ნემსი ხელში არ დაუჭერია, დალიანდაგებული გასახვევი შეუკერავს. სწორედ მისი ნახელავით გამოვიყვანეთ შვილი სამშობიაროდან. შვილიშვილებისთვის ხომ საოცარი ბაბუა იყო, მათ დანახვაზე დაფრინავდა. შევარდენი, ბოკვერი, მერცხალი, წერილში რომ უწერია, ყველას თავად შეარქვა. ყველასთვის თავისი სამყარო ეგულებოდა. გული მტკივა, რომ ჩემი შვილიშვილები ველარ ნახავენ ასეთ ბაბუას...

**— სამაგიეროდ, დარჩებათ მისი წერილი.**

— ამ წერილმა მე ხომ შემძრა, ჩემი შვილებიც... მეუბნებიან, მისი წაკითხვა ძალიან გვიჭირსო. წააკითხეთ ეს წერილი სრულიად საქართველოს, რათა ყველამ იგრძნოს, რომ სიყვარულს დასასრული არ გააჩნია.

არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა ამ პროექტისთვის. შვიდი წელი დამჭირდა, ჩემი გრძნობები თქვენთვის რომ გადმომეცა. ამ პროექტმა დამარწმუნა, რომ სიყვარულს საზღვარი არა აქვს. აი, ამ სიყვარულისთვის ღირს ამქვეყნად მოსვლა, ნამდვილად ღირს!

***ეთერ ერაძე***



# ვინ გასცა შეტევის დაჩქარების ბრძანება...

**აგვისტოს ომის დღემდე გასაიდუმლოებული სკანდალური დეტალები**



*„კვირის პალიტრა" გთავაზობთ სკანდალურ ინტერვიუს ექსპერტ **მამუკა არეშიძესთან**, რომელიც აგვისტოს ომის აქამდე გაუხმაურებელ და დღემდე აკრძალულ დეტალებზე გვესაუბრება:*

— 2008 წლის მაისში შეიქმნა სამშვიდობო ოპერაციების შტაბი, რომლის დისლოკაციის ადგილი თბილისი იყო. შტაბის ხელმძღვანელობა ჩაბარებული ჰქონდა გენერალ მამუკა ყურაშვილს. მასვე ებარა როგორც ცხინვალის, ისე აფხაზეთის სამშვიდობო ჯარების შტაბის ხელმძღვანელობა. 2008 წლის 1-ლი აგვისტოდან უკიდურესად დაიძაბა ვითარება. ცხინვალის მხრიდან გამუდმებით სროლები ისმოდა, 5 აგვისტოს ორი ქართველი სამშვიდობო დაიღუპა. ეს იყო პირველი პრეცედენტი ცხინვალის კონფლიქტის ზონაში. ამ სროლების დასარეგულირებლად პოლიტიკური ნება არ ჩანდა. გოგა ხაინდრავას სახელმწიფო მინისტრობიდან გადაყენების შემდეგ მერაბ ანთაძე დაინიშნა, ანთაძის შემდეგ დავით ბაქრაძე და მან სამშვიდობო პროცესის სრული ტორპედირება მოახდინა. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებს იგნორირებას უკეთებდა და არ ხვდებოდა. ბაქრაძე ანთაძისა და ხაინდრავასგან განსხვავებით ერთხელაც არ იყო ცხინვალში ნამყოფი. შემდეგმა სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა საერთოდ უარი განაცხადა შერეულ სამშვიდობო კომისიაზე, როგორც ფორმატზე. ამან კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია, რადგან ეს ფორმატი (შსკ) ერთადერთი გარანტია გახლდათ რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად. რასაკვირველია, ეს არ იყო იდეალური ფორმატი, მაგრამ იმ დროისთვის მასზე უკეთესი არ არსებობდა.

აგვისტოში სიტუაცია ისე იყო მომწიფებული, რომ ომი პრაქტიკულად გარდაუვალი იყო. თუმცა, შსკ-ს ფორმატი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დაძაბულობა შედარებით განმუხტულიყო. ამისთვის საჭირო იყო საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების დროზე შეკრება და კონკრეტულ ფაქტზე კონკრეტული რეაგირება.

— **რა მდგომარეობა იყო ომის წინა დღეებში ხეობაში?**

— ფაქტობრივად, ორ სამშვიდობო ბატალიონს (რუსულსა და ჩრდილოოსურს) რუსული მხარე აკონტროლებდა. რუსულ ბატალიონში იყო 560 სამხედრო მოსამსახურე, ჩრდილოოსურში — 560 და ქართულშიც ამდენივე. ქვეითთა ჯავშანტექნიკა, ე. წ. ბმპ, ქართულში — 13, ჩრდილოოსურსა და რუსულში კი 22-22 ჰყავდათ. საერთო ჯამში 44 ერთეული ჯავშანტექნიკა ომის დაწყებამდე მომართული იყო ქართული სოფლების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალმა ყურაშვილმა იცოდა რა შექმნილი მდგომარეობა, 2007 წლის ივლისში ჩამოაყალიბა გეგმა და გეგმაზე მიბმული სწავლება. სწავლების მიზანი იყო მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენა და უსაფრთხო რაიონში გადმოყვანა. როგორც ჩემთვის ცნობილია, ყურაშვილს უკვე ჰქონდა რუკები და ადგილზე მიბმული სავარაუდო მოქმედებების სქემები, რასაც სამწუხაროდ, გენერალურ შტაბზე ვერ ვიტყვით.

— **რა მოხდა 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამით?**

— ვფიქრობ, დიდი დანაშაული, რომლის სურათიც თანდათანობით იკვეთება და რომელსაც ახლა პირველად ვახმაურებ. ახლახან შევიტყვე გასაიდუმლოებული ინფორმაცია, რომ გენერალური შტაბის გეგმის მიხედვით, ცხინვალზე შეტევა დილის 5 სთ-ზე უნდა დაწყებულიყო და სამხედრო ნაწილებს მოქმედების დაწყების ვადა რატომღაც ოთხი საათით უკან, ღამის პირველ საათზე გადმოუწიეს. სწორედ ამან გამოიწვია მთელი გეგმების არევა და სრული დეზორგანიზაცია.

— **ვინ გასცა ეს ბრძანება დროის გადმოწევის შესახებ?**

— ამის თქმა მე არ შემიძლია. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ იმ სამხედრო მაღალჩინოსანმა, რომლისგანაც შევიტყვე ამის შესახებ, დასძინა, ეს რომ ადრე მეთქვა, მომკლავდნენო. ეს ბრძანება სამხედრო ნაწილებმა გენშტაბის უფროსის, ზაზა გოგავასგან მიიღეს. როგორც ჩანს, მან დავალება ზემდგომებისგან ტელეფონით მიიღო. ისე პარადოქსულია, რომ ხსენებულ ბრძანებებს გასცემდა უშიშროების საბჭო, რომლის შემადგენლობაში არ იყო გენშტაბის უფროსი გოგავა და სამაგიეროდ იყო ქალაქის მერი უგულავა!

— **ბრძანება ვადის გადმოწევის შესახებ გოგავამ უგულავასგან მიიღო?**

— ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში, უგულავა იქ იყო კეზერაშვილთან ერთად. ვადის გადმოწევა გეგმის არევას ნიშნავდა, რაც ოპერაციის ჩავარდნის უტყუარი წინა პირობაა. როდესაც ასეთ გადაწყვეტილებას იღებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი საომარი გეგმა უნდა დაშალო. შეტევა მართლაც დაიწყო ღამის პირველ საათზე და როგორც სამხედროები ამბობენ, ამ დროისთვის ყველა ტანკიც კი არ იყო გადმოტვირთული მატარებლიდან.

— **როგორი იყო ცხინვალის დაკავების გეგმა?**

— ქართულ ჯარს სამი კოლონის საშუალებით უნდა ემოძრავა. მარცხნიდან უნდა ყოფილიყო მე-4 ბრიგადა კალანდაძის მეთაურობით, მარჯვნიდან — მე-3 ბრიგადა კაპანაძის მეთაურობით, ცენტრალურ მიმართულებას კი ხელმძღვანელობდა გენერალი ყურაშვილი, რომელიც უშუალოდ ცხინვალში უნდა შესულიყო. როგორც ჩანს, მე-3 და მე-4 ბრიგადების ამოცანა გახლდათ ორივე ფლანგზე სოფლებისა და სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება, ასევე ორი სტრატეგიული — გერისა და ზარის გზების გადაკეტვა. ეს საშუალებას მისცემდა ცენტრალურ კოლონას, ცხინვალში შესულიყო, ქალაქი გაეწმინდა ბალა ბესტაევის ე. წ. „ოპოლჩენცებისგან" და თამარაშენის ბლოკპოსტამდე მისულიყო.

— **მოახერხეს ქართულმა ნაწილებმა ამ გეგმის შესრულება?**

— როგორ მოახერხებდნენ, როდესაც თავიდანვე გეგმა აირია. მოკლედ, ცენტრალური კოლონა შევიდა ქალაქში და რამდენიმე ჯგუფმა თამარაშენის ბლოკპოსტამდეც კი მიაღწია, მაგრამ ფლანგები ჩამორჩნენ. მე-3 ბრიგადის მხოლოდ 31-ე ბატალიონმა მოახერხა და დაიკავა სოფელი დმენისი, მე-4 ბრიგადამ კი, იმის მაგივრად, რომ სიმაღლეები დაეკავებინა, რატომღაც ე.წ. „დუბოვაია როშჩაში" დასასვენებლად განლაგდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვიღაცამ შეგნებულად შეუცვალა ბრძანება ფლანგურ მე-3 და მე-4 ბრიგადებს, რათა დომინირებულ სიმაღლეებზე არ ასულიყვნენ და ცენტრალური კოლონა ხაფანგში აღმოჩენილიყო(!).

— **კი მაგრამ, რატომ?**

— საქმე ის არის, რომ როგორც ახლა ირკვევა, რუსების ძირითადი ნაწილები უკვე განლაგებული იყვნენ გუფთის მთაზე და ელოდებოდნენ, როდის დაიკავებდნენ ქართული სამხედრო ნაწილები ცხინვალს, რათა დაფიქსირებულიყო ქართველების ძალადობა ქალაქში, მშვიდობიანი მოსახლეობის შევიწროება, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლიც. რუსებს უნდოდათ, მთელი მსოფლიოსთვის ენახვებინათ ფაქტობრივი მასალა ქართველების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებისა. ალბათ, იყო მეორე მიზანიც — ქართული სამხედრო ნაწილების „ტომარაში" მოქცევა, მათი ქალაქშივე განადგურება, რაც მოიტანდა ქართველებისთვის სამაგალითო მსხვერპლს და საბრძოლო მოქმედებების შედეგად ცხინვალის დანგრევას და ესეც ქართველებს დაბრალდებოდათ (სხვათა შორის, ასეც მოხდა, ქართული მხარის მიერ „გრადის" გამოყენებამ რუსულ მხარეს ქართველების მიერ ქალაქის დანგრევის არგუმენტი მისცა).

— **უცნაური ტერმინია, რას ნიშნავს სამაგალითო მსხვერპლი?**

— ეს ნიშნავს დაღუპულთა დიდ რაოდენობას. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა ცენტრალურმა კოლონამ დროზე გამოაღწია ცხინვალიდან. თუმცა, მანამდე რუსულმა ავიაციამ იერიში მიიტანა ქართულ ნაწილებზე, მათ შორის „დუბოვაია როშჩაში" განლაგებულ მე-4 ბრიგადაზე. აგვისტოს ომში 177 დაღუპული სამხედრო მოსამსახურიდან 135-მდე სწორედ მე-4 ბრიგადაზე მოდის. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — რუსეთის მხარე მუდმივად აპელირებს 11 რუსი სამშვიდობოს დაღუპვის ფაქტით. ამ დროს სამშვიდობოები პირველად ქართველებს დაეღუპათ. გარდა ამისა, 11-ვე სამშვიდობო ცხინვალში განთავსებულ ე. წ. „ვერხნი გარადოკში" დაიღუპა. მანამდე კი, ქართული ჯარის ცენტრალურმა კოლონამ ისე გაიარა რუსი სამშვიდობოებით დაკომპლექტებული 5 საგუშაგო, რომ მათთან საბრძოლო შეხება არ ჰქონია. სწორედ „ვერხნი გოროდოკთან" იდგა ჩრდილოოსური სამშვიდობო ტანკი, რომელიც ქართულ მხარეს ესროდა. ამის შემდეგ მოხდა საბრძოლო შეტაკება, რის შემდეგაც დაიღუპნენ რუსი სამშვიდობოები. ამ შემთხვევაშიც ბურუსით არის მოცული, ვინ გასცა ბრძანება სამშვიდობოებთან საბრძოლო მოქმედებების დაწყების თაობაზე. რიგითი სამხედროები ამბობენ, რომ უშუალო მეთაურმა „ვერხნი გოროდოკთან" მიახლოებისას უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ წარმომადგენელს შეატყობინა, რუსების სამშვიდობო პოსტიდან გვესვრიან და როგორ მოვიქცეთო. რა პასუხი მიიღეს იქიდან, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს.

— **ბატონო მამუკა, თქვენი აზრით, რა იყო ცხინვალის ოპერაციის მთავარი მიზანი — ქალაქის აღება, საბოლოო იურისდიქციის აღდგენა?**

— მართალი გითხრათ, მიზანს კარგად ახლაც ვერ ვხვდები. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ერთ დიდ პროვოკაციაში იყო პატარ-პატარა პროვოკაციათა მთელი წყება. გარდა ამისა, ვფიქრობ, ქართულ მხარეს იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოწინააღმდეგის ინტერესებს ემსახურებოდნენ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ორივე მხარეს სჭირდებოდა დიდი მსხვერპლი (მათ შორის მშვიდობიან მოსახლეობაში), რათა თავიანთი მიზნები გაემართლებინათ. ეს უკვე გამოძიების საქმეა. ჩემი აზრით, გამოძიება სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. უნდა გამოიკითხონ ამ ბრძოლებში მონაწილე მაღალი ჩინის ოფიცრები, უპირველესად გენერალი მამუკა ყურაშვილი, რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი იყო, ვინც დასახულ ამოცანას კარგად გაართვა თავი და ვისაც ყველაზე ნაკლები მსხვერპლი ჰყავდა. ეს გამოძიება დღეს სჭირდება ქვეყანას იმისთვის, რომ მავანთ აღარ გაუჩნდეთ პროვოკაციის მოწყობის სურვილი და საქართველოს ინტერესები აღარ შეეწიროს ქართველ და უცხოელ პოლიტიკოსთა გაურკვეველ ავანტიურებს.

*თამარ როსტიაშვილი*



**რატომ ვერ მოასწრეს მე-3 და მე-4 ბრიგადებმა დომინირებულ სიმაღლეებზე ასვლა?!**

**«პარადოქსულია, რომ ხსენებულ ბრძანებებს გასცემდა უშიშროების საბჭო, რომლის შემადგენლობაში არ იყო გენშტაბის უფროსი გოგავა და სამაგიეროდ იყო ქალაქის მერი უგულავა!**

**«177 დაღუპულიდან 135 გიორგი კალანდაძის მეთაურობის ქვეშ მყოფ მე-4 ბრიგადაზე მოდის. ვინ შეაჩერა ისინი ცხინვალის მისადგომებთან „დუბოვაია როშჩაში"...**

# „უგულავას მომავალმა მეუღლემ ვიცე-პოლკოვნიკი ქალი სამსახურიდან მომხსნა“

*ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტო, სავიზო და რეგისტრაციის სამსახურის ყოფილი უფროსი მანანა ბარბაქაძე აცხადებს, რომ კანონდარღვევის ფაქტებზე პასუხი არა მხოლოდ დედაქალაქის მერს, მის ცოლს, ლელა კილაძესაც უნდა მოეთხოვოს. ბარბაქაძის თქმით, გიგი უგულავას მომავალი ცოლი აიძულებდა, უკანონოდ გაეცა საზღვარგარეთის პასპორტი მისი მეგობრის სახელზე, რომელიც პრეზიდენტის დელეგაციასთან ერთად ლელა კილაძეს უცხოეთში უნდა წაეყვანა. უგულავას ამჟამინდელი მეუღლე მაშინ სააკაშვილის ვიზაჟისტი იყო, თუმცა, როგორც ბარბაქაძე ამბობს, წარმოუდგენლად დიდი უფლებებით სარგებლობდა.*



*მანანა ბარბაქაძე*

**« მაშინ არ ვიცოდი, ვინ იყო... ძალიან გამომწვევად იქცეოდა, ბრეტელებიანი სარაფანი ეცვა და მარჯვენა ხელი ჰქონდა თაბაშირში. მაშინ უგულავას ცოლი არ იყო და არც მერიის ბიუჯეტით დაფინანსებული მკერდი და ტუჩები ჰქონდა გაკეთებული. ჭორფლიანი, თხელი, გაცრეცილი გოგო მარცხენა ხელში ავტომობილის გასაღებს ძველბიჭურად ატრიალებდა. მოვიდა ჩემთან ახლოს, გასაღები ცხვირწინ დამიტრიალა და აგრესიულად მითხრა, შენ ვინ ხარ და ვინ გეკითხება საერთოდ, ვინ სად მუშაობს, გიჯობს, ახლავე პასპორტი გასცეო**

**„რა ვიცოდი, მიშას თავგასულ პარიკმახერებსა და გრიმიორებს უდანაშაულო ვიცე-პოლკოვნიკის სამსახურიდან გაგდება თუ შეეძლოთ“**



**„ლელა კილაძემ გამოსტაცა საბუთები, ნაკუწებად აქცია და სახეში შეაყარა“**



**« ...ალანიას დაურეკა იმ ვიღაცამ, როგორც მოგვიანებით გავიგე, გიგი უგულავამ. ალანია საუბრის დროს თავს აქნევდა და ყველაფერზე გაიძახოდა, დიახ, ბატონო გიგიო... მე უკვე დაწერილი მქონდა პატაკი და ვაპირებდი, იმ უზრდელისთვის პასუხი მომეთხოვა. ამ დროს მობილურზე დამირეკა ირაკლი ოქრუაშვილმა, არაფრის თქმა არ მაცალა და ძალიან უხეშად მიბრძანა, პასპორტები გაეციო...**



**მანანა ბარბაქაძე:** — 2004 წლის ზაფხულში ახალგაზრდა ქალმა სახელმწიფო კანცელარიიდან მოიტანა ოფიციალური მომართვა, რომ ის პრეზიდენტთან ერთად მიემგზავრებოდა ლონდონში ოფიციალური ვიზიტით და სასწრაფოდ ესაჭიროებოდა საზღვარგარეთის პასპორტი. მომართვას ხელს აწერდა კანცელარიის შესაბამისი სამსახურის უფროსი ავთო ფავლენიშვილი (ეს ხდება ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც მაშინდელი ახალი მთავრობა ვერ აგვარებდა პასპორტების გაცემის საკითხს, ვერ ახერხებდა უცხოეთიდან საკმარისი რაოდენობით მათ შემოტანას და შესაბამისად, დეფიციტიც იყო). პასპორტის მომზადების დროს გაირკვა, რომ მოქალაქე განაცხადსა და საბუთებში არასწორად მიუთითებდა სამუშაო ადგილს. ის კანცელარიაში კი არა, კაზინო „აჭარაში“ მუშაობდა. როდესაც ვკითხე, სად მუშაობდა, პასუხი არ გამცა, ოთახიდან გავარდა და ცოტა ხანში დაბრუნდა მეორე გოგონასთან ერთად, რომელიც ძალიან გამომწვევად იქცეოდა. მოკლედ, საქმის გასარჩევად კაზინოს თანამშრომელმა ლელა კილაძე მომიყვანა. თუმცა, მაშინ არ ვიცოდი, ვინ იყო და რატომ მისცა თავს ძალიან ბევრის უფლება. კარგად მახსოვს, ბრეტელებიანი სარაფანი ეცვა და მარჯვენა ხელი ჰქონდა თაბაშირში. მაშინ უგულავას ცოლი არ იყო და არც მერიის ბიუჯეტით დაფინანსებული მკერდი და ტუჩები ჰქონდა გაკეთებული. ჭორფლიანი, თხელი, გაცრეცილი გოგო მარცხენა ხელში ავტომობილის გასაღებს ძველბიჭურად ატრიალებდა. მოვიდა ჩემთან ახლოს, გასაღები ცხვირწინ დამიტრიალა და აგრესიულად მითხრა, შენ ვინ ხარ და ვინ გეკითხება საერთოდ, ვინ სად მუშაობს, გიჯობს, ახლავე პასპორტი გასცეო. ამ დროს ჩემს ოთახში იყო აწ გარდაცვლილი ინეზა ლომთაძე, ბათუმის რევოლუციის აქტიური მონაწილე. ინეზა გააოცა ამ ქალის ასეთმა თავხედობამ, ჩემი მაგიდიდან ყალბი საბუთები აიღო და ჭორფლიან გოგოს უთხრა, რომ ავთო ფავლენიშვილის სამსახური 4-5 თვის გაუქმებული იყო, ავთო კი ზურაბ ჟვანიასთან მუშაობდა, ჰოდა, ეს ხელმოწერაც და მომართვაც ყალბიაო. ინეზას წინადადებაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ლელა კილაძემ გამოსტაცა საბუთები, ნაკუწებად აქცია, სახეში შეაყარა და ოთახიდან გავარდა. აღშფოთებულმა უფროსებს შევატყობინე, რაც მოხდა. ინეზამაც ახლობლებთან დარეკა, მაგ უზრდელ ქალს ჭკუა უნდა ვასწავლოო. ცოტა ხანში მოვიდნენ უშიშროების თანამშრომლები, მათ შორის — გია ალანია (გირგვლიანის საქმის ერთ-ერთი მონაწილე), მალე მოვარდა კილაძეც. ალანია რომ დაინახა, ვიღაცას დაურეკა, ახლა აქ ალანია დამახვედრესო. ამის შემდეგ ალანიას დაურეკა იმ ვიღაცამ, როგორც მოგვიანებით გავიგე, გიგი უგულავამ. ალანია საუბრის დროს თავს აქნევდა და ყველაფერზე გაიძახოდა, დიახ, ბატონო გიგიო... მე უკვე დაწერილი მქონდა პატაკი და ვაპირებდი, იმ უზრდელისთვის თავისი საქციელის გამო პასუხი მომეთხოვა. ამ დროს მობილურზე დამირეკა მაშინდელმა შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, არაფრის თქმა არ მაცალა და ძალიან უხეშად მიბრძანა, პასპორტები გაეციო. არც მიფიქრია მისი ბრმად მორჩილება, რადგან კარგად მქონდა გააზრებული, რომ უკანონობის ჩადენას მაიძულებდნენ, ამიტომაც პასპორტი, კანცელარიაში ოფიციალურად გატარებული ჩემი პატაკი და სახელმწიფო კანცელარიიდან მოტანილი ყალბი მომართვა გადავეცი გია ალანიას, რომელსაც მოვთხოვე ამ ფაქტზე რეაგირება. კაბინეტიდან გასვლისას ლელა კილაძე სამსახურიდან გაგდებით დამემუქრა. რა ვიცოდი, მიშას თავგასულ პარიკმახერებსა და გრიმიორებს უდანაშაულო ვიცე-პოლკოვნიკის სამსახურიდან გაგდება თუ შეეძლოთ.

— **ამ ამბის გამო გაგათავისუფლეს სამსახურიდან?**

— ასე გამოდის. სასწრაფოდ შეგვიცვალეს დეპარტამენტის უფროსი და 23 წლის ღლაპი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი ირაკლი ფორჩხიძე დაგვინიშნეს. მან პირველსავე თათბირზე გამოგვიცხადა, თუ ბიძაშვილ-მამიდაშვილები ქორწინების სურვილით მოვლენ და განაცხადებენ, რომ უყვართ ერთმანეთი და არ ცნობენ ნათესაურ კავშირებს, დააქორწინეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურიდან გაგყრითო. თან პოლკოვნიკ ქალბატონს, სამისამართო საინფორმაციო სამსახურის უფროს ნორა დოლიძეს უთხრა, ძველი ხალხი მეზიზღებით, ერთი სული მაქვს, აქედან მოგიშოროთო(?!).

ყელში ამომივიდა მისი ბოდვა და ვუთხარი, ეროვნება და მამის სახელი ამოვიღეთ პასპორტებიდან და ტრადიციებსა და ღირსებაზეც უარი უნდა ვთქვათ? ჩვენს ნერვებზე ნუ თამაშობთ-მეთქი. გველივით მიყურებდა ახალი უფროსი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს სამუშაო ოთახში შემოცვივდნენ კოტე ვარძელაშვილი — საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ამჟამინდელი მოადგილე, თვითონ ირაკლი ფორჩხიძე და კიდევ სამი პირი. ფორჩხიძემ განმიცხადა, თქვენ მაგივრად ლევან ჯანაშია მიხედავს საქმეს, თავისუფალი ხართო. ჯანაშიამ წესიერად წერა-კითხვა არ იცოდა. როცა დავაპირე, მკაცრი აღრიცხვის ბლანკები, პასპორტები, პირადობისა და ბინათმფლობელობის მოწმობები, ბეჭდები და შტამპები კომისიებით, წესების დაცვით, მიღება-ჩაბარების აქტებით გადამეცა, გამომიცხადეს, დაყარე დოკუმენტაცია, ჩვენ მივხედავთო. ვცადე, გათავისუფლების მიზეზი გამერკვია, მაგრამ ფორჩხიძემ დამცინავად მითხრა, ქალბატონო მანანა, თქვენ ძველ დროში ხართ ჩარჩენილი, ჩვენ კი ახალ ადამიანებს ვქმნითო(!). როგორი ადამიანები შექმნეს და რა დამართეს ქვეყანას, ეს უკვე იცით. რომ დასცლოდათ, ალბათ, ერთსქესიან ქორწინებასაც დააკანონებდნენ.

**« ირაკლი ფორჩხიძემ პირველსავე თათბირზე გამოგვიცხადა, თუ ბიძაშვილ-მამიდაშვილები ქორწინების სურვილით მოვლენ და განაცხადებენ, რომ უყვართ ერთმანეთი და არ ცნობენ ნათესაურ კავშირებს, დააქორწინეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან გაგყრითო... ამათ რომ დასცლოდათ, ერთსქესიან ქორწინებასაც დააკანონებდნენ**

P.S. „კვირის პალიტრა“ ამაოდ შეეცადა, ლელა კილაძეს დაჰკავშირებოდა. სამწუხაროდ, ქალბატონი ლელა ჟურნალისტებთან (ალბათ, ნაცნობების გარდა) სატელეფონო საუბრებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

*ეკა ლომიძე*

# ლაშა ჟვანია კახა ბენდუქიძეს უჩივლებს



*ლაშა ჟვანიამ კახა ბენდუქიძეს 90-იან წლებში კრემლში მოღვაწეობის, რუსეთის იმჟამინდელი მთავრობის მრჩევლად ყოფნის პერიოდი შეახსენა*

უნდა გაემართა თუ არა „ერისიონს“ კონცერტები რუსეთში? — ამ თემაზე დისკუსიამ „იმედის“ ეთერში, ვახო სანაიას გადაცემაში, მწვავე დაპირისპირების გარეშე ვერ ჩაიარა. პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე ლაშა ჟვანიამ კახა ბენდუქიძეს 90-იან წლებში კრემლში მოღვაწეობის, რუსეთის იმჟამინდელი მთავრობის მრჩევლად ყოფნის პერიოდი შეახსენა და განუცხადა, შენგან „ერისიონის“ მოსკოვში წასვლის გამო კრიტიკას ვერ მივიღებო. როგორც ჩანს, ამან ბენდუქიძე გააღიზიანა. მან უცენზურო რეპლიკით მოიხსენია ლაშა ჟვანია, ხოლო პრეზიდენტს უსაყვედურა: ვაი, შენ, სააკაშვილო, ლაშასთანა ს... რომ დანიშნე მინისტრადო. თურმე ჟვანიას მაშინვე სთხოვეს, ეპასუხა ბენდუქიძისთვის, მაგრამ თავი შეიკავა. მოგვიანებით კი ამის მიზეზი ჩვენთან განმარტა.

**რატომ მოიხსენია უხამსად ბენდუქიძემ ჟვანია**

ლაშა ჟვანია: — გადაცემის მსვლელობისას შემომთავაზეს, კომენტარს ხომ არ გააკეთებდითო, მაშინ თავი შევიკავე... ჯერ ერთი, ბენდუქიძე არ ჩავთვალე ამის ღირსად. ამასთან, ვთვლი, რომ მას არ უნდა მიეცეს ასეთი უზრდელობის საშუალება და მისი გამონათქვამები მედიამ წალმაუკულმა არ უნდა ატრიალოს. „კვირის პალიტრას“ კი გავუმხელ, რომ პირადი ღირსებისა და პატივის შელახვისთვის აუცილებლად ვუჩივლებ. უნდა შეიქმნას პრეცედენტი, რომ მას პასუხი მოეთხოვება.

— **როგორც ჩანს, ის 90-იან წლებში კრემლში მუშაობის პერიოდის შეხსენებამ გააღიზიანა.**

— საზოგადოებამ კარგად იცის, 90-იან წლებში როგორ იყო დაახლოებული ბენდუქიძე რუსეთის ხელისუფლებასთან, რომლის ძალისხმევით, ფაქტობრივად, ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია ხდებოდა. საქმე ის არის, რომ ბენდუქიძე და კიდევ მისი მსგავსი მარგინალები, რომლებიც ახლა ცდილობენ თავი დიდ პატრიოტებად წარმოგვიდგინონ, სიმართლეს ვერ იტანენ. ამიტომაც ცდილობენ, სიმართლე ადამიანისთვის შეურაცხყოფის მიყენებით გადაფარონ. ასეთების უზნეობას ახალგაზრდები უყურებენ. სამწუხაროდ, საზოგადოება თავად არ უკეტავს მას პოლიტიკური რეაბილიტაციისთვის ჟანგბადს. სხვათა შორის,

თამარ ჩერგოლეიშვილს მინდა ვკითხო, — რატომ აფინანსებინებს მის ჟურნალს („ტაბულას“) ბენდუქიძეს, რომელიც საქართველოს ოკუპაციის წლებში კრემლში მუშაობდა? ნუთუ „ერისიონის“ მოსკოვში ვიზიტი უფრო აღმაშფოთებელია, ვიდრე ეს?

რაღაც არ მახსოვს, რომ ბენდუქიძეს თავისი წარსული მოენანიებინოს, ბოდიში მოეხადოს იმის გამო, რომ იდგა იქ, სადაც არ უნდა მდგარიყო საქართველოს ოკუპაციის წლებში. ახლა რა პრინციპით უკითხავს ხელოვანებს მორალს? მისი მოქმედებებიც და საუბარიც ფარსია.

ამ გადაცემის შემდეგ საზოგადოების პატივსაცემი წევრები დამიკავშირდნენ და აღშფოთება ვერ დამალეს. ერთ-ერთი ცნობილი ლექტორისთვის სტუდენტებს უთქვამთ, ჩვენც შეურაცხყოფილად ვიგრძენით თავი ბენდუქიძის უზრდელობის გამო, ვინაიდან დარბაზში ვისხედითო. როგორც ვიცი, ისინიც აპირებენ პროტესტის გამოხატვას.

*ეკა ახათიანი*

**ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად — ზრდილობა**



*ხალხური*

# „არსებობდა საჩვენებელი და რეალური საჯარისო ნაწილები“

*ბოლო დროს თავდაცვის სამინისტროში თანხების არამიზნობრივად ხარჯვის თემა ძალზე აქტუალურია. მიუხედავად ამისა, არჩევნების შემდგომ აშშ-ში „გაქცეული“ დიმიტრი შაშკინი საქართველოში დაბრუნდა და როგორც ამბობს, მზად არის გამოძიების კითხვებს უპასუხოს. კბილაშვილის უწყებამ თავდაცვის სამინისტროში ასობით მილიონი ლარის დანაკლისი მოიძია. თუმცა ყველაზე შთამბეჭდავი ვაზიანის სამხედრო ბაზაში ბაჩანა ახალაიას აპარტამენტების ფოტოები აღმოჩნდა, რომელიც ჯარისკაცების ყაზარმებსა და შელახულ საშხაპეებთან გასაოცარ კონტრასტს ქმნიდა. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე* ***ირაკლი სესიაშვილს*** *თავდაცვის უწყებაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ ვესაუბრეთ:*

**„ნაციონალურ მოძრაობას“ 19 აპრილს ხალხი აკლდება და შაშკინი გამოიძახეს“**

**— საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების დროს იყო ე.წ. საჩვენებელი და რეალური შეიარაღებული ძალები.**

— მართლაც იყო სამხედრო ნაწილები, რომელთაც ყურადღება ექცეოდა არა იმიტომ, რომ ელიტურ ნაწილებს წარმოადგენდნენ, არამედ იმიტომ, რომ საჩვენებელ გამოსვლებში გამოეყენებინათ. არსებობდა სამხედრო ნაწილები, სა-

**— 9 წლის განმავლობაში რა თანხა დაიხარჯა თავდაცვის უწყებაში და შეესაბამება თუ არა დანახარჯი იქ არსებულ ვითარებას?**

— დაახლოებით 5 მილიარდამდეა დახარჯული. ამაში შედიოდა როგორც ხელფასები, ისე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ასევე სხვა მომსახურების ხარჯები. ზოგჯერ თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა როგორც მინისტრების, ისე პრივილეგირებული პირების კომფორტსა და პრე-

შიც ათმაგი თანხა გადაიხადეს. ამ ავტომატების რეალური ფასი ბაზარზე ათჯერ ნაკლებია. სავარაუდოდ, ამ საქმეში კორუფციული გარიგება დაიდო.

**— მეოთხე ბრიგადის ტერიტორიაზე არსებულმა ახალაიას კაბინეტმა, მოსასვენებელმა ოთახებმა და ძვირად ღირებულმა ავტომობილებმა რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?**

— ბაჩანა ახალაიას არაფერი ესაქმებოდა სამხედრო ნაწილში, რადგან მინისტრი თავდაცვის უწ-







*„მაშინ, როდესაც სამხედრო ნაწილში ფანჯარა, კედლები და ტუალეტი არა აქვთ, ჯარისკაცებს თავზე აწვიმთ, ბაჩო ახალაიამ ძვირად ღირებული მანქანები შეიძინა და ვაზიანის სამხედრო ბაზაში აპარტამენტები მოიწყო“*



**„არსებობდა სამხედრო ნაწილები, სადაც ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ერთი თეთრიც არ დახარჯულა“**

დაც ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ერთი თეთრიც არ დახარჯულა. სავალალო ვითარებაა ახალციხეში, ფოთში, მარნეულსა და თელეთში. ბევრ სამხედრო ნაწილში გაუსაძლისზე კიდევ უარესი პირობებია. საზოგადოებას წარმოდგენა შეუქმნეს, წინა ხელისუფლებამ სამხედრო ნაწილები მაინც გააკეთაო, ეს ასე არ არის. ამის გამო ჩვენ მოგვიწევს პასუხისმგებლობა და ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალეთ, საზოგადოებას გავაცნოთ რეალური ვითარება. სხვადასხვა სამხედრო ნაწილში ფანჯარა, კედლები და ტუალეტი არა აქვთ, ჯარისკაცებს თავზე აწვიმთ. ჩვენი ამოცანა არ არის წინა ხელისუფლების გაკრიტიკება. ჩვენი ვალია შეიარაღებულ ძალებში არსებული ვითარების საპარლამენტო კონტროლი, უნდა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია შეიარაღებული ძალები და ანგარიში მოვთხოვოთ წინა ხელისუფლებას. თუ დღეს არსებული ვითარება არ გვეცოდინება, გაგვიჭირდება იმის შეფასება, თუ როგორ გაუძლვება საქმეს ახალი ხელისუფლება.

მიებზე. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ფულის გათეთრება და კორუფციაც არ იყო იშვიათობა. თავდაცვის სამინისტროს მიერ შესყიდულ საწვავს „ნაციონალური მოძრაობის“ სხვადასხვა აქტივობისთვის იყენებდნენ. დაიკითხა დაახლოებით 400 პირი, მათ შორის 300 მძღოლი, რომლებიც ამას ადასტურებენ. გასულ წელს სატელიტური ანტენები ბაზრიდან ამოიღეს, რომ ხალხს თავისუფალი მედიისთვის არ ეყურებინა. თავდაცვის სამინისტროს თანხებით რამდენიმე ათასი სატელიტური ანტენა შეიძინეს, რაშიც 141 ათასი ლარი გადაიხადეს და ანტენები ისე დაასაწყობეს, არც გამოუყენებიათ.

**— 1 მილიონ 650 ათასი დოლარი გადაიხადეს ისეთ ჯავშანჟილეტებში, რომლებიც ტყვიას ატარებს?!**

— ეს ჯავშანჟილეტები უვარგისად წინა ხელისუფლებამაც აღიარა, მიუხედავად ამისა, ეს თანხა გადაირიცხა და არავის მოუთხოვია მისი უკან დაბრუნება.

ასევე შეიძინეს 50-იან წლებში ნაწარმოები კუსტარულად შეკეთებული „კალაშნიკოვები“, რა-

ყების პოლიტიკის გამტარებელი და ზედამხედველია. შეიარაღებული ძალების მზადყოფნასა და მომზადებაზე პასუხისმგებლობა გაერთიანებულ შტაბს ეკისრება. ახალაიას აღრეული ჰქონდა ეს და სამხედრო მმართველად გვევლინებოდა.

რაში სჭირდებოდა ახალაიას პრემია? რაც სჭირდებოდა, იმ თანხას თავდაცვის ბიუჯეტიდან იღებდა და ამის ნათელი მაგალითია მისი აპარტამენტები და ეს მანქანებიც.

**— რამდენიმე თვის წინ სოზარ სუბარი ლაპარაკობდა კონსპირაციულ ბინებში გადამალულ იარაღზე. ეს იარაღი ამოღებულია?**

— სანამ გამოძიება არ დასრულდება, ვერაფერს გეტყვით.

**— თქვენი აზრით, შაშკინი რატომ დაბრუნდა?**

— შეიძლება „ნაციონალურ მოძრაობას“ 19 აპრილს ხალხი აკლდება და შაშკინი გამოიძახეს, რომ აქციაზე ერთით მეტი კაცი მივიდეს. ეს ხუმრობით. შაშკინი რატომაც ჩამოვიდა, მალე გახდება ცნობილი, მაგრამ ეს ჩემი სათქმელი არ არის.

# „ვერ გეტყვით, რა უხარია ხიდაშელს“



*კანონპროექტზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ ვენეციის კომისიის დასკვნის გამოქვეყნების მერე თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ათით ნული მოუგო „ნაციონალურ მოძრაობას“. ხიდაშელის თქმით, ვენეციის კომისიამ დაასკვნა, რომ სისტემა, რომელიც საქართველოში არსებობდა, დემოკრატიასთან არ არის თავსებადი და ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ვენეციის კომისიის დასკვნის შესახებ უმცირესობის წევრს* ***ნუგზარ წიკლაურს*** *ვესაუბრეთ:*

— „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტის შესაბამისად იყო საფრთხე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა შემადგენლობა შეცვლილიყო პოლიტიკური რეალობის შესაბამისად და საკანონმდებლო ორგანოს შესძლებოდა იუსტიციის საბჭოს იმგვარად დაკომპლექტება, როგორც მას სურდა. ეს გამოიწვევდა იმას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა შეიცვლებოდა საპარლამენტო უმრავლესობის სურვილის შესაბამისად. თუ ეს პრეცედენტი დაიშვებოდა, ნებისმიერი გამარჯვებული პოლიტიკური ძალა შეძლებდა იუსტიციის საბჭოს ახლებურად დაკომპლექტებას და შესაბამისად, სასამართლოზე ზეგავლენას. ამ მთავარ კომპონენტზე ვენეციის კომისიის დასკვნაში განმარტებულია, რომ იუსტიციის საბჭოს გადახალისება არ უნდა მიება პოლიტიკურ პროცესს. ამიტომაც ვერ გეტყვით, რა უხარია ხიდაშელს. მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ იერიში მიიტანა ადგილობრივ თვითმმართველობებზე, პარლამენტარებზე, უზენაესი სასამართლო დარჩა იმ კუნძულად, სადაც პოლიტიკა ასე ძალუმად ვერ ახერხებდა შეღწევას. ამ კანონპროექტით იყო მცდელობა, უზენაესი სასამართლოსთვის დამოუკიდებლობა ჩამოერთმიათ და ძალიან კარგია, რომ ეს არ მოხდა. ერთია ვენეციის კომისიის დასკვნა და მეორე — მთელი თავისუფალი სამყაროს გამოხმაურება მმართველი ძალის ქმედებებზე. კერძოდ, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის, ევროპარლამენტის განცხადებები. თუ მართლა გვსურს ვიაროთ ევროპისა და თავისუფალი სამყაროსკენ, უნდა გავითვალისწინოთ ის უპრეცედენტო კრიტიკა, რაც იქიდან მოდის არსებული ხელისუფლების არადემოკრატიულობის გამო.

**„ახალაიას კაბინეტი, რომელიც აჩვენეს, არ არის წარმოუდგენელი ფუფუნების კაბინეტი“**

**— საგარეო მიმართულებით პარისთვის ორი ლობისტრი კომპანია ბიძინა ივანიშვილმაც დაიქირავა, რაც თქვენს გუნდს კარგად აქვს აწყობილი.**

— თუ გაგრძელდა პოლიტიკური ნიშნით დევნა, ადგილობრივი თვითმმართველობების შევიწროება, სიძულვილის რიტორიკა, ამას ვერანაირი ლობისტური კომპანია ვერ უშველის.

**— მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებთ, თქვენ შორის თანამშრომლობის პრეცედენტი უკვე შედგა იმ რეზოლუციის მიღებისას, რომელიც საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს შეეხებოდა. იგივე ხომ არ არის მოსალოდნელი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით?**

— დოკუმენტი, რომელზეც შეთანხმება მოხდა, თვე-ნახევრის წინ აბსოლუტურად სხვანაირი იყო. ჩვენი ყველა მოთხოვნა გათვალისწინებულ იქნა. კერძოდ, საქართველო არ გაწევრდება პოსტსაბჭოთა არც ერთ წარმონაქმნში, სადაც რუსეთს დომინანტი როლი აქვს, რომ საქართველოს გზა არის ნატო და ევროკავშირი. ცხადია, ამ დოკუმენტს ხელს მოვაწერთ.

საკონსტიტუციო ცვლილებებზე უკვე გაიმართა დიალოგი და ჩვენ ვთქვით, რომ უპირველესად უნდა შეწყდეს პოლიტიკური ნიშნით დევნა, ასობით პირი მიჰყავთ პროკურატურაში და აიძულებენ ზემდგომზე ჩვენების მიცემას. ჩვენთვის ასევე აუცილებელია იმ დებულებების ასახვა კონსტიტუციაში, რაც არის საგარეო ვექტორთან დაკავშირებულ რეზოლუციაში. „ქართული ოცნება“ რაც უფრო მალე მიხვდება, რომ პოლიტიკა არის არა ადამიანებისთვის ხელების გადაგრეხისა და დაშანტაჟების, არამედ პოლიტიკური შეთანხმებების არეალი, მით უფრო ადვილად მივიღებთ გადაწყვეტილებას. საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, რომ არ აპირებს იმ უფლებამოსილების გამოყენებას, რაც კონსტიტუციით აქვს. ჩვენ გვინდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეასრულოს, რასაც დაჰპირდა ქართველ ხალხს და ჩვენ ხელს არ შევუშლით. მზად ვართ, ოპონენტებთან ერთად განვიხილოთ დიდი პაკეტი, რომელიც საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების ახალ სტანდარტს დაამკვიდრებს. „ქართული ოცნება“ ცდილობდა მუქარით გასულიყო ფონს, ახლა, როდესაც ვერ მოაგროვებს საკმარის ხმებს საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის, დარწმუნებული ვარ, მისი რიტორიკა სხვანაირი გახდება.

**— თქვენი ხელისუფლებისდროინდელი საქმეებიც ჩანს ბაჩო ახალაიას კაბინეტისა და დანგრეული ყაზარმების მაგალითზე.**

— იყო პერიოდი, რომ ქართველი ჯარისკაცები ზღარბებსა და გველებს ჭამდნენ. დღეს ქართული ჯარი თვისებრივად სხვაა. ის კაბინეტი, რომელიც აჩვენეს, არ არის წარმოუდგენელი ფუფუნების კაბინეტი. იქ ჩვეულებრივი, თბილისში დამზადებული ავეჯი იდგა. ეს იყო ირაკლი ალასანიას იაფფასიანი პიარი. რადგან ივანიშვილმა საჯაროდ რამდენჯერმე შეურაცხყო ირაკლი ალასანია, ის ახლა ამის კომპენსირებას ცდილობს იმ კაცზე თავდასხმით, რომელიც ციხეშია.

**— ახალაიამ თურმე თქვენც გაჩუქათ იარაღი.**

— ეს იარაღი ოფიციალური ბრძანებით გადმომეცა და ვამაყობ, რომ ის ჩემი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროსგან მივიღე.

**— იარაღს ალასანიასგანაც მიიღებდით?**

— ალასანიას არავითარ შემთხვევაში არ გამოვართმევ, რადგან მიმაჩნია, რომ ის ჩემი ქვეყნის ინტერესებს არ ემსახურება, ისევე როგორც დღევანდელი ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით. ისე, მგონია, რომ არც ირაკლი ალასანიას ექნება განსაკუთრებული სურვილი, იარაღი მაჩუქოს.

*გვერდი მოამზადა*
*იზო რიკაძემ*

# „ბატონო ბიძინა, ნუ დაუშვებთ აფხაზეთის მთავრობაში კვლავ კეკლუცთა პარპაშს“

*ყოფილი პარტიზანული შენაერთის, „თეთრი ლეგიონის“ მეთაური **ზურაბ სამუშია** აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, გია ბარამიას შესაძლო გათავისუფლებასა და მის ადგილზე ბესარიონ მიქელაძის მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ ლაპარაკობს. აცხადებს, რომ მიქელაძეს არ იცნობს არც ქართველი და არც აფხაზი საზოგადოება და მისი დანიშვნა არაფერს მოუტანს ქვეყანას.*



**„თუ ჩვენ ვფიქრობთ შერიგებაზე, მაშინ სამწუხაროდ, კიდევ ბევრის დათმობა მოგვიწევს“**

— აფხაზეთის მთავრობის სათავეში ისეთი კაცი უნდა მოვიდეს, რომელიც მე და სერგეი შამბას შეგვარიგებს. ჩვენ ვერ დავახლოვდებით შუამავლის გარეშე. შუამავალი კი არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩეული კადრი კი არა, ბრძენი კაცი უნდა იყოს, რომელსაც აფხაზები პატივს სცემენ და მასთან დალაპარაკებაზე უარს არ იტყვიან, რადგან აფხაზეთში დღესაც გავლენიანია უხუცესთა საბჭო. მათ შეუძლიათ, ომიც კი შეაჩერონ. ლორიკ მარშანია იყო ასეთი კაცი... გასაგებია, რომ ცენტრალური მთავრობა შეიცვალა და აფხაზეთის მთავრობაშიც უნდა მოხდეს ცვლილებები, მაგრამ ისევ მხოლოდ ხელფასის ასაღებად უნდა დაინიშნოს ხალხი? მოვითხოვ, ხელისუფლებამ არ გაიმეოროს წინამორბედების შეცდომა და ე.წ. აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას სათავეში ჩაუყენოს ის, ვისაც აფხაზებთან მიესვლება. ბუტაფორიები არ გვჭირდება!

— **ლეგიტიმურ მთავრობას ბუტაფორიულს უწოდებთ?**

— ე.წ. აფხაზეთის მთავრობის ლეგიტიმაცია იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რათა საერთაშორისო ორგანიზაციების დასანახავად ჩამოეყალიბებინათ სიმბოლური სტრუქტურა. სასაცილოდ არ მყოფნის ამ მთავრობის დეპუტაციის მტკიცება, რომ თურმე ჩვენ, დევნილებს, ისინი აგვირჩევია მუდმივად. არადა, მხოლოდ ოთხწლიანი უფლებამოსილება აქვთ, რომელსაც თვითნებურად იგრძელებენ. ვიღაც იტყვის, სამუშიას თანამდებობა მოუნდაო. არაფერი მინდა ჩემს მიწაზე დაბრუნების გარდა. ეს მიქელაძე რომ აცხადებს, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია და ხალხი მიჭერს მხარსო, ვის მხარდაჭერაზე ლაპარაკობს? ოდესმე ყოფილა იმ ბიჭებთან, ვინც სისხლი ანთხია აფხაზეთის შესანარჩუნებლად და ვინც დღეს, სახელმწიფოს სამარცხვინოდ, გაჭირვებით ცხოვრობს? მივმართავ ბიძინა ივანიშვილს: გენდეთ, როდესაც არჩევნების წინ ზუგდიდში ყოფნისას თქვით, რომ ააშენებდით უნივერსიტეტს, სადაც კავკასიელები, აფხაზები ისწავლიდნენ, ყველაფერს გავაკეთებთ მათთან შესარიგებლადო. გენდეთ, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე დაიწყეთ ლაპარაკი და გთხოვთ, ნუ დაუშვებთ აფხაზეთის მთავრობაში კვლავ კეკლუცთა პარპაშს. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის დეპუტაციიდან არც ერთთან აფხაზები მოსალაპარაკებლად არ დასხდებიან.

— **რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ამ დეპუტაციასა და აფხაზებს შორის კონფლიქტი ომამდე არსებობდა. ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. იმის თქმა მინდა, რომ შეცდომების დაშვების უფლება აღარ გვაქვს. ყველას უნდა მოგვეკითხოს ჩვენი ცოდვების გამო.

— **აფხაზები ხომ მიიჩნევენ, რომ მათ არც ცოდვები აქვთ და არც შეცდომები.**

— უამრავი ცოდვა და შეცდომა აქვთ და ყველა ანტისახელმწიფოებრივი. რკინიგზის ათონი-გუდაუთის მონაკვეთზე რასაც სჩადიოდნენ, მარტო ის რად ღირს?! ყველა სატვირთო შემადგენლობა იძარცვებოდა. მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, თენგიზ სიგუას მონაცემებით, სახელმწიფოს სამ-ნახევარი ტრილიონი რუბლის ზარალი მიადგა. ასე რომ გაგრძელებულიყო, ვალებს თავს ვერასოდეს დავაღწევდით, ამიტომ გამართლებული იყო იქ კანონდამცავი ღონისძიებების გატარება.

— **რა აზრის ხართ რკინიგზის შესაძლო აღდგენის თაობაზე?**

— 2001 წელს სომხეთის ახალარჩეული პარლამენტის თავმჯდომარე იმყოფებოდა თბილისში და ნინო ბურჯანაძეს მოსთხოვა აფხაზეთში რკინიგზის აღდგენა. მაშინ ვთქვი, რომ მისი განცხადება იყო უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა, ბურჯანაძემ კი ბრძანა, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენას წინ უნდა უსწრებდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაო. თავის დროზე ამ მაგისტრალის მონიტორინგი გავაკეთე, მისი უფუნქციობით წელიწადში დაახლოებით მილიარდი დოლარით ზარალდება საქართველო, რუსეთი კი 13 მილიარდს კარგავს.

— **დღეს ხომ არ არის მოგვარებული ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, გამართლებულია რკინიგზის აღდგენა?**

— მაგ საკითხს 2001 წელს სოჭში შევარდნაძე, პუტინი და არძინბას მთავრობის წარმომადგენელი რომ შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინ მოეწერა ხელი. გავაპროტესტე, აფხაზეთი მხარედ არ უნდა წარმოჩენილიყო, რადგან აფხაზეთის რკინიგზა საქართველოს რკინიგზაა-მეთქი. მაშინ ასე ამიხსნეს, ფსოუდან ენგურის ხიდამდე კონტროლი აფხაზურ მხარეს დაეკისრება და ამიტომაც იახლეს რუსებმა აფხაზი თანო.

— **თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზას მხოლოდ აფხაზები გააკონტროლებენ, ეს ხომ ფაქტობრივად საზღვრის აღიარებას ნიშნავს?**

— თუ ჩვენ ვფიქრობთ მოლაპარაკებებსა და შერიგებაზე, მაშინ კიდევ ბევრის დათმობა მოგვიწევს, სხვა შემთხვევაში ომის ენაა გამოსავალი, 21-ე საუკუნეში კი ომს შედეგი არ მოაქვს. სამწუხაროდ, აფხაზეთი რუსეთმა აღიარა და ახლა სხვა რეალობაა.

**„საქართველომ უნდა დააღწიოს თავი იარაღთან საბედისწერო თამაშს“**

— **აფხაზურმა მხარემ განაცხადა, რკინიგზა რომც გაიხსნას, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება არ გვინდაო.**

— აფხაზები ყოველთვის ასე იჭერდნენ თავს, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ალასანია რომ ჩავიდა, ხომ მიიღეს? მათ ირაკლი ჩათვალეს მისაღებ ფიგურად. სამწუხაროდ, ირაკლის არ დააცალეს საქმის კეთება, მეტიც, აღმოჩნდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების და ალასანიას გეგმები ერთმანეთს ვერ ემთხვეოდა, რადგან 2006 წლის შემდეგ აფხაზებთან ფაქტობრივად შეწყდა დიალოგი. ვიცით, რითაც დასრულდა ეს 2008 წლის აგვისტოში. რუსეთმა აღიარა აფხაზეთი, იმის გაკეთების შესაძლებლობა მივეცით, რასაც მანამდე ვერ ახერხებდა, მიუხედავად იმისა, რომ 1993 წლიდან რუსეთი ტერიტორიულად და იურიდიულადაც აკონტროლებდა აფხაზეთს. ეს აღარ უნდა განმეორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ომამდე მივა საქმე, ავანტიურისტი პოლიტიკოსები ისევე მოიქცევიან, როგორც არაერთხელ და ბოლოს, 2008 წლის ომში მოიქცნენ.

— **ამბობენ, ბაჩო ახალაიას ერთ-ერთი ახლობელი, ყოფილი ჩინოსანი მეგის ქარდავა სამეგრელოს ტყეებშია გახიზნული და ნიშანს ელოდება, რომ ბუნტი დაიწყოს.**

— არ ვიცი, სად არის მეგის ქარდავა, მაგრამ თუ ქვეყნის არევას აპირებს, ვეტყვი, ყველამ კარგად იცის, ასეთმა ბრიყვულმა საქციელმა საქართველო რა დღეშიც ჩააგდო. შეცდომებს პოლიტიკოსები უშვებდნენ, მათზე აყოლილი ზოგიერთი უგუნური კი ქვეყანას ანგრევდა, მარტო სამეგრელო რად ღირს? მერე აფხაზეთი... სოხუმში სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელი ვიყავი და რომ არიეს ქვეყანა, იძულებული გავხდი, იარაღი ჩემი ოჯახის დასაცავად ამეღო და პარტიზანი გამხდარიყავი. ახლა იმავეს გაკეთების უფლება, თანაც წინასწარი განზრახვით, რომ ქვეყანა უნდა აირიოს ვიღაცის ინტერესების გამო, არ შეიძლება.

**პოლიტიკოსებს შეუძლიათ ქვეყანა დაპირისპირების ზღვარზე მიიყვანონ და ყველაზე მძიმე წუთებში მიატოვონ,**

ისტორია კი არა მხოლოდ მათ, ჩვენც არ გვაპატიებს შეცდომას. ტყეში გავარდნა და ქვეყნის არევა კი არა, სტაბილურობის დაცვა უნდა იყოს ჩვენი საფიქრალი. თუ გარედან არ დაგვემუქრება საფრთხე, საქართველომ უნდა დააღწიოს თავი იარაღთან საბედისწერო თამაშს.

*ეკა ლომიძე*


# ახალი შესაძლებლობა თიბისი ბანკში — სესხი 13.95%-ად!

***თიბისი ბანკში სესხების ახალი კამპანია დაიწყო! ამიერიდან სესხის აღება 13.95%-ად არის შესაძლებელი...***

თიბისი ბანკის სესხების კამპანია ახალი შესაძლებლობების იდეას ეფუძნება. ბანკის სესხების კლიპში, რომელიც გრაფიკულად მე-15 საუკუნის ეპოქაში გადაგიყვანთ, მოყვანილია იოჰან ფუსტის მაგალითი, რომელმაც თავის დროზე უამრავი ფული ჩადო ბეჭდვითი ტექნიკის განვითარებაში და პირველი ნაბეჭდი ბიბლია გამოუშვა. ეს არის ადამიანი, რომელმაც იცოდა, როგორ გამოეყენებინა ახალი შესაძლებლობები და ისტორიაშიც ამ უნარის წყალობით შევიდა. სწორედ ამ შესაძლებლობას გაძლევთ თიბისი ბანკის ყველაზე იაფი, სწრაფი და მოსახერხებელი სამომხმარებლო სესხი 13.95%-ად.

გამოიყენეთ ახალი შესაძლებლობა:

***დაიწყეთ ბიზნესი*** — გადადით ცხოვრების ახალ ეტაპზე, გახსოვდეთ, თქვენ წარმატება გელით!

***იმოგზაურეთ*** — დაისვენეთ, გაემგზავრეთ იმ ქვეყნებში, რომელთა ნახვაზეც დიდი ხანია ოცნებობთ!

***გაარემონტეთ*** — შეცვალეთ, გაალამაზეთ და შექმენით თქვენთვის სასიამოვნო გარემო!

***შეიძინეთ ახალი ავტომანქანა*** — უფრო კომფორტული, უსაფრთხო და თანამედროვე!




გახსოვდეთ, რომ „შანსი ყველას თანაბრად ეძლევა, მაგრამ სწორად მხოლოდ წარმატებულები იყენებენ ...“

სესხის ვადა უზრუნველყოფის გარეშე 24 თვეა. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ 48 თვემდე ისარგებლოთ სამომხმარებლო სესხით, პროცენტი თქვენს სესხზე — 14.95 იქნება. გახსოვდეთ, რომ ასეთი შანსი ყოველთვის არ გეძლევათ.

სესხის მაქსიმალური მოცულობა 80 ათასი ლარია.

*იჩქარეთ!*

R



კომპანია „კონსტრონი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
გერმანული კარ-ფანჯრები სამმაგი მინით — მხოლოდ ჩვენთან!
გერმანული SALAMANDER და KOMMERLING - 5-კამერიანი, 76მმ. სამონტაჟო სისქით
ფერები: თეთრი, თეთრი მუხა; ხის ტექსტურით: წითელი ხე, კაკალი, წაბლი, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, და ა.შ.
მის: წერეთლის 141ა მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 35-47-47; 53-06-00; 61-32-37; 899-90-20-91; 895-30-22-92 ტ/ფაქსი: 35-13-13



როგორ ვრცელდება გრიპი?

გრიპი ვირუსული ინფექციაა, რომელიც ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება. გრიპის ვირუსი სუნთქვის, ცემინების, ხველების, ლაპარაკის დროს გამოიყოფა.

რა არის გრიპის ძირითადი ნიშნები?

- ზოგადი სისუსტე
- სახსრების და კუნთების ტკივილი
- სურდო
- თვალების სიწითლე და ცრემლდენა
- ხველა
- ხმის შეცვლა
- თავის ტკივილი

რა მივიღოთ?

**ტაიქოლდი** – კაფსულის ან ჩაის ფორმით!
**ტაიქოლდში** შემავალი 5 მოქმედი ნივთიერების ერთობლივი ეფექტი სწრაფად გაგათავისუფლებთ გაციების და გრიპის ნიშნებისგან.

აირჩიეთ ტაიქოლდის ჩაი ლიმონის, თაფლისა და ლიმონის, ან ჟოლოს გემოთი
მიიღეთ 3-4 ჯერ დღეში გრიპის ნიშნების გაქრობამდე

აქცია პსპ-ში! -20%

გაციების პირველივე ნიშნებისას მიიღეთ
ტაიქოლდი
პარაცეტამოლი, ქლორფენირამინი, ასკორბინი, ფენილეფრინი, კოფეინი




კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.
GMP

# პროკურატურა თავდაცვის უწყებაში გრანდიოზულ სკანდალს „აფეთქებს“

როგორც ჩანს, თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია და მთავარი პროკურატურა ბოლო დროს აქტიურად თანამშრომლობენ, რისი შედეგიც შეიძლება იყოს გრანდიოზული სკანდალი, რაც, სავარაუდოდ, 2005-2012 წლებში სამხედრო ბიუჯეტიდან ასეულობით მლნ ლარის არამიზნობრივ ხარჯვასთან, „ატკატებსა“ და უბრალოდ, ქურდობასთან იქნება დაკავშირებული.

მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი უკვე აცხადებს, რომ 2005-2007 წლებში თავდაცვის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისას წინასწარი მონაცემებით გამოიკვეთა რამდენიმე ასეული მლნ ლარის დანაკლისი, თანხის დაზუსტება სარევიზიო აქტებით ხდება და საბოლოო მონაცემებს უახლოეს ხანში აცნობებენ საზოგადოებას.

**თავდაცვის სამინისტროში 2005-2012 წლების რამდენიმე ასეული მლნ ლარის დანაკლისი შეიძლება აღმოჩნდეს...**

ეს სწორედ ის არის, რაზეც წლების განმავლობაში ვწერდით როგორც „კვირის პალიტრაში“, ისე — „არსენალში“ და გამოვთქვამდით ეჭვს, რომ სამხედრო ბიუჯეტი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდაზე მეტად ხელისუფლების წარმომადგენელთა პირად კეთილდღეობასა და ერთი პოლიტიკური პარტიის გაძლიერებას ხმარდებოდა.

საინტერესოა, შეძლებს თუ არა მთავარი პროკურატურა, ბოლომდე ჩასწვდეს იმ სავარაუდო საფინანსო (და არა მარტო) დანაშაულთა სქემას, რომლის საშუალებით იქურდებოდა სამხედრო (და მთლიანად ქვეყნის) ბიუჯეტი.

ცუდი არ იქნებოდა, თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და მთავარ პროკურატურას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ 2008 წლის აგვისტოს ომის წინა და შემდგომი პერიოდისთვის და შეედარებინათ, რა მატერიალური ფასეულობა ჰქონდა ქართულ არმიას ომამდე და რა დარჩა მას შემდეგ, რა ჩამოიწერა და რა გაფორმდა, როგორც რუსების ნაალაფარი...

მთავარი პროკურორის განცხადებაში რატომღაც არაფერია ნათქვამი 2004 წელზე, რაც კითხვებს ბადებს, მით უმეტეს, რომ მთელი ამ წლის განმავლობაში სამხედრო დაძაბულობა იყო ჯერ აჭარაში, შემდეგ — ცხინვალის რეგიონში, რომელიც საბოლოოდ მცირემასშტაბიან ომშიც კი გადაიზარდა. ამიტომ საინტერესოა, 2004 წელს როგორ იხარჯებოდა თავდაცვის სამინისტროს (რომელშიც იმ წელს სამი მინისტრი შეიცვალა) მატერიალური რესურსები, მით უფრო, რომ მაშინ სახელმწიფოს უზარმაზარ თანხას ჩრდილში მყოფი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი ურიცხავდა.

ჩვენ ამის შესახებ რომ დავწერეთ, მაღალჩინოსნების გულისწყრომა დავიმსახურეთ — ნუ ამბობთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ქართულ არმიას ეხმარება, თორემ კრემლი რუსეთში მის ბიზნესს პრობლემებს შეუქმნისო...

ვფიქრობთ, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები 2004 წელსაც საკუთარი შეხედულებისამებრ ხარჯავდნენ ბიძინა ივანიშვილის მიერ ქართული არმიისთვის გადმორიცხულ მილიონებს, მომდევნო წლებში კი ამ დანაშაულებრივმა ტენდენციამ ფრთები შეისხა და გრანდიოზული გაქანება შეიძინა...

# მოსკოვი ბაქოს С-300-ებს ისევ აწვდის



ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გაბრაზებულმა რუსეთის პრეზიდენტმა ბრძანება გასცა, აზერბაიჯანისათვის აღარ მიეყიდათ სამხედრო ტექნიკა, მათ შორის — თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო სისტემები. ინფორმაციისთვის — 2011 წლის აღლუმზე ბაქოში პირველად გამოჩნდა С-300 ПМУ-2 Фаворит-ის ტიპის თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო სისტემები, რომლებიც აზერბაიჯანმა რუსეთისგან იყიდა.

ოფიციალური ერევნის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან სომხეთის მთავარმა სტრატეგიულმა პარტნიორმა რუსეთმა სომხეთის ყველაზე რეალურ მოწინააღმდეგეს — აზერბაიჯანს მაინც მიაწოდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-300.

2012 წლის ბოლოს ბაქო და მოსკოვი უნდა შეთანხმებულიყვნენ აზერბაიჯანში მდებარე გაბალის რადიოლოკაციური სადგურის შემდგომ ბედზე, თუმცა ვერ შეთანხმდნენ არენდის თანხაზე, რის შემდეგაც რუსეთმა უარი თქვა ამ ერთ დროს მნიშვნელოვანი ობიექტის შემდგომ გამოყენებაზე. საბჭოთა პერიოდში გაბალის რადიოლოკაციური სადგური ერთ-ერთი იყო საბჭოთა კავშირის საზღვრების პერიმეტრზე მდებარე იმ შვიდი ობიექტიდან, რომელთაც 5-6 ათასი კმ სიშორიდან შეეძლოთ სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტების ადრეული აღმოჩენა.

ბაქო ყოველწლიური არენდისთვის დაახლოებით 300 მლნ დოლარს ითხოვდა, ეს კი მოსკოვისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ არმავირში რუსეთი ანალოგიური დანიშნულების უფრო თანამედროვე, ფაზირებულანტენიან ლოკატორს აშენებს სამხრეთის სექტორის გასაკონტროლებლად. ამ ფუნქციას ადრე სწორედ გაბალის რადიოლოკატორი ასრულებდა.

სომხეთისთვის, რა თქმა უნდა, სასიხარულო არ იქნებოდა, რომ მისმა სტრატეგიულმა პარტნიორმა მისსავე შესაძლო მოწინააღმდეგეს ასეთი ძლიერი საბრძოლო ტექნიკა გადასცა, ამიტომ ერევანში იმედი ჰქონდათ, რომ გაბალის რადიოლოკატორის თემაზე ბაქო-მოსკოვის შეუთანხმებლობა მათ წისქვილზე დაასხამდა წყალს.

5 მარტს რუსულმა კომპანია „როსობორონექსპორტმა“ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის მიხედვით, კონტრაქტის თანახმად, მათ აზერბაიჯანს უკვე მიაწოდეს С-300-ის მორიგი კომპლექსი და კვლავაც გააგრძელებენ აზერბაიჯანში იმ რუსული იარაღის გაგზავნას, რომელშიც ბაქომ ფული გადაიხადა.

С-300 ПМУ-2 Фаворит-ის სისტემას ერთდროულად შეუძლია იმ 36 ცალი საჰაერო სამიზნისკენ საზენიტო რაკეტების გაშვება, რომლებიც 27კმ სიმაღლეზე და 200კმ რადიუსში დაფრინავენ. ამ პარამეტრებს სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საჰაერო თავდაცვის სფეროში აზერბაიჯანის შესაძლებლობებს.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ჯავშანჟილეტები, რომლებიც ბრძოლაში ვერ დაგიცავს...



*ომში მიმავალი სამხედროებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად გამძლე ჯავშანჟილეტები აცვიათ...*

კვირა არ გავა, ქართული არმიის უახლესი ისტორიიდან მორიგი სკანდალი არ გახმაურდეს, იქნება ეს მოძველებული „კალაშნიკოვების“ შეძენა, ცუდად გარემონტებული ან საერთოდ გაურემონტებელი ყაზარმები თუ სამხედროთა დამცირება და შეურაცხყოფა. ამ ყველაფერს ბოლო დღეებში ჯავშანჟილეტების შესყიდვის თემაც დაემატა.

თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა საქმე, რომელიც 2009 წელს უკრაინაში 3 ათასი ცალი ჯავშანჟილეტის მილიონ 680 ათას დოლარად შესყიდვას ეხება. ჯავშანჟილეტების გამოცდისას აღმოჩნდა, რომ მათი ხარისხი ჯარის მოთხოვნილებებს არ შეესაბამებოდა. ეს იცოდა თავდაცვის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, თუმცა, გამოძიების თანახმად, სამართლებრივი რეაგირება არ მომხდარა; მეტიც — ჯავშანჟილეტების შემომტანი შპს „ტრეიდ ალიანს ჯგუფის“ ანგარიშზე დარჩა თავდაცვის სამინისტროს გადარიცხული 2 მლნ 821 ათასი ლარი, მიუხედავად იმისა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი არ შედგა და არც სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა გამოიწერა.

შესაძლო ფინანსური დანაშაულის ეს ფაქტები მთავარი პროკურატურის გამოსაძიებელია, ჩვენ კი ჯავშანჟილეტების ხარისხზე გავამახვილებთ ყურადღებას.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შესყიდული იქნა Телохранитель 3М ტიპის 3000 ჯავშანჟილეტი. ამ ტიპის ჯავშანჟილეტებს უკრაინული ფირმა Темп-3000 აწარმოებს, ისინი მსუბუქია, განკუთვნილია ტანსაცმლის ქვეშ ჩასაცმელად და მათ იყენებენ ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, მაგრამ არა — სამხედროები, რადგან ძირითადად შექმნილია არა ავტომატის ტყვიებისა და ყუმბარების ნამსხვრევების, არამედ პისტოლეტის ტყვიებისგან თავდასაცავად. ეს უკრაინული ფირმა აწარმოებს უფრო მაღალი დონის ჯავშანჟილეტებსაც (მაგალითად, Бронекорсар-ს), რომელთაც ავტომატისა და შაშხანის ტყვიების შეჩერება შეუძლია და ბრძოლებში მონაწილეთათვის არის განკუთვნილი. პირველი დანაშაული სწორედ ის არის, რომ არცოდნის ან შესაძლო ფინანსური მოგების მიზნით თავდაცვის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ არასაბრძოლო დანიშნულების ჯავშანჟილეტების არცთუ ისე მცირე პარტია შეისყიდა.

შესაძლო დანაშაულებრივი ფინანსური დაინტერესების გარდა ამ სკანდალურ საქმეში უფრო საშიში მხარეც იკვეთება, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის დამცველთა სიცოცხლის არად ჩაგდება, რადგან როცა „კალაშნიკოვებით“ მებრძოლი სავარაუდო მტრის წინააღმდეგ შენს ჯარისკაცებს ისეთი ჯავშანჟილეტებით უშვებ, რომლებიც ზოგჯერ პისტოლეტის ტყვიასაც ვერ უძლებს, ორმაგად დამნაშავე ხარ.

უცნაური კი ის გახლავთ, რომ საქართველოში სხვებზე არანაკლებ კარგი ჯავშანჟილეტების დამზადება შეგვიძლია (სხვა თუ არაფერი, ამ სტატიის ავტორი თავად იყო იმის მომსწრე, ჯერ კიდევ 2000 წელს პრაღაში, შეიარაღების გამოფენაზე, NATO-ს ქვეყნების სამხედროების როგორი მოწონება დაიმსახურა იქ წარდგენილი ქართული ჯავშანჟილეტების ნიმუშებმა) და უკეთესი იქნებოდა, თანხა, რაც საზღვარგარეთ ათასნაირი, ხშირად უხარისხო ჯავშანჟილეტების შეძენაში იხარჯება, ქართული ჯავშანჟილეტების დახვეწასა და მათ სერიულ წარმოებას მოხმარებოდა. თუმცა მაშინ „ატკატებით“ ვინღა იხეირებდა?!



# ე.წ. სანაიას კასეტის ესპანური საიდუმლო

## რა იყო საბედისწერო ვიდეოკასეტაში

*„გიორგიმ მაშინვე დამირეკა („კურიერის“ შემდეგ. — ავტ.). ვუთხარი, თუ გაინტერესებს, რა ხდება პანკისში, ჩამოდი და ყველაფერს შენი თვალით ნახავ-მეთქი. ახლო მომავალში ჩამოსვლას ვერ მოვახერხებო. მაშინ შევპირდი, რომ გავუგზავნიდი კასეტას, რომელშიც ყველაფერი იყო ასახული, რაც პანკისელებს უპირისპირებდა პოლიციას და ხელისუფლების დიდჩინოსნებს“.*

***ვეფხია მარგოშვილი, გაზ. „ახალი 7 დღე“, 2001 წ.***

*„კასეტა ნამდვილად გადავეცი გიორგის. თუ სანაიას მკვლელობის გამოძიება დაიწყება, მზად ვარ ჩვენების მისაცემად. ერთს ვიტყვი: კასეტა ნანახი მაქვს. იმ პერიოდში ჩემთან მოვიდა გამომძიებელი და მითხრა, — ჯობია თქვათ, რომ კასეტა არ გინახავთო. ალბათ, ეს ჩემი უსაფრთხოებისთვის მითხრა.*

***ელენე თევდორაძე, გაზ. „ყველა სიახლე“, 2013 წ.***

*„საკანში „გრიცკოს“ (გიორგი ხურცილავას. — ავტ.) ვეუბნებოდი, ამოიღე ის ფული, მკვლელობის საკუთარ თავზე აღებისთვის რომ გადაგიხადეს და საჭმელი შემოატანინე ვინმეს, თორემ სანამ გახვალ, მიწაში ჩაგილპება-მეთქი. „გრიცკო“ ხვდებოდა, ვიცოდით, სანაია რომ არ მოუკლავს, თუმცა ამაზე სიტყვა არ დაუძრავს. ჟურნალისტის სიკვდილს ვიდეოკასეტას უკავშირებდნენ. ამბობდნენ, კასეტაზე ნარკობარონებისა და პოლიციის მაღალჩინოსნების შეხვედრაა გადაღებულიო. ის კასეტა ნანახი მაქვს — ერთი ცნობილი პირის ვაჟი ლაპარაკობს ნიღაბჩამოცმული.“*

***მუსა ბალაკაშვილი, გროზნო, 2011 წ.***

2001 წლის 27 ივლისს თბილისში ხმა გავარდა, — გიორგი სანაია მოკლესო. იმხანად ყველაზე პოპულარული ჟურნალისტის მკვლელობა ქვეყანაში სახალხო მღელვარების მიზეზი გახდა. როგორც ამბობენ, სწორედ სანაიას მკვლელობა გახდა შევარდნაძის ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი...

იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა ძალოვანი სტრუქტურები მკაცრად გააფრთხილა — საქმის უმოკლეს დროში გამოძიება და დამნაშავეთა სამაგალითო დასჯა მოითხოვა.

გიორგი სანაია საკუთარ სახლში 2001 წლის 26 ივლისის ღამეს მოკლეს. სამართალდამცავებმა მალე მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვინმე დავით გელაშვილი დააკავეს. წაყენებული ბრალდება იმდენად უსუსური იყო, რომ რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს კიდეც. 2001 წლის დეკემბერში ძალოვანებმა დააკავეს ყოფილი პოლიციელი გიორგი ხურცილავა, მეტსახელად „გრიცკო“, რომელმაც მოულოდნელად ჟურნალისტის მკვლელობა აღიარა. გამოძიების ოფიციალური ვერსიით, 2001 წლის 26 ივლისს, ღამის „კურიერის“ დამთავრების შემდეგ, გიორგი სანაია გმირთა მოედანზე გიორგი ხურცილავას შეხვდა და ლუდზე დაპატიჟა, შემდეგ სანაიასთან წავიდნენ სახლში. როგორც ხურცილავა აცხადებდა, მასპინძელთან საყოფაცხოვრებო ნიადაგზე შელაპარაკება მოუვიდა, რის გამოც ის მოკლა. მკვლელობის ამ მოტივის დაჯერება საზოგადოებას ძალიან გაუჭირდა.

სანამ გამოძიება სანაიას მკვლელობის საქმის შეკერვაზე ფიქრობდა, მედიაში ვრცელდებოდა განცხადებები სანაიას მკვლელობის პოლიტიკური სარჩულის შესახებ. მოულოდნელად პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ელენე თევდორაძემ გააკეთა განცხადება, რომ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის მკვლელობის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ვიდეოკასეტა, რომელიც სანაიას პანკისიდან ადგილობრივმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა ვეფხია მარგოშვილმა გამოუგზავნა...

მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე „კურიერში“ პანკისის ხეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ მორიგი სიუჟეტის გასვლისას, გიორგი სანაიას პირდაპირ ეთერში ვეფხია მარგოშვილი ჩაერთო, რომელმაც სამართალდამცავებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს ბრალი დასდო ხეობაში სიტუაციის ხელოვნურ დაძაბვასა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში. მეტი დამაჯერებლობისთვის მან ჟურნალისტს ხეობაში მისვლა და ყველაფრის საკუთარი თვალით ნახვა შესთავაზა. გარდა ამისა, მოგვიანებით დაჰპირდა, რომ ელენე თევდორაძის ხელით მას გადასცემდა ვიდეოკასეტას, რომელზეც ნარკობარონებისა და ქართველ სამართალდამცავთა მორიგი „საქმიანი“ შეხვედრა იყო აღბეჭდილი. როგორც მოგვიანებით ელენე თევდორაძე აცხადებდა, მან მართლაც ჩამოიტანა კასეტის ერთი ასლი და გიორგი სანაიას პარლამენტში შეხვედრისას გადასცა. ამ ვიდეოკასეტას გამოძიებამ რატომღაც ვეღარ მიაგნო. გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეში გამოჩნდა მოულოდნელი მოწმე, პურის გამყიდველი ნათელა ქართველიშვილი, რომელიც იხსენებდა, რომ მკვლელობის ღამეს გიორგის ბინაში შუქი რამდენჯერმე აინთო. ამ დროს გიორგის ცოლ-შვილი ბაკურიანში იყო, თავად გიორგი კი ტელევიზიაში (ამბობენ, მკვლელი ამ დროს სწორედ ვიდეოკასეტას ეძებდაო). სავარაუდოდ, დამნაშავემ კარი გააღო გასაღებით, რომელიც გიორგიმ რამდენიმე დღით ადრე დაკარგა. ის ხურცილავას დაკავების შემდეგ იპოვა პოლიციამ ქალაქის ერთ-ერთ სკვერში(?!).



*2001 წლის 27 ივლისს თბილისში ხმა გავარდა, — გიორგი სანაია მოკლესო. გიორგი სანაია საკუთარ სახლში 2001 წლის 26 ივლისის ღამეს მოკლეს* ■

გიორგი სანაიას მკვლელობიდან თითქმის 12 წელი გავიდა, თუმცა საზოგადოების ინტერესი მის მიმართ არ განელებულა — დღემდე ეძებს პასუხს, რა იყო იმ საბედისწერო ვიდეოკასეტაში, რომელიც შეიძლება ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობის გასაღებიც გამხდარიყო. ვიდეოკასეტის შინაარსის შესახებ ბევრი ვერსია არის ცნობილი საზოგადოებისთვის, თუმცა არსებობს კიდევ ერთი, რომელიც მხოლოდ ქართულ კრიმინალურ სამყაროში იყო გავრცელებული და ეს ერთგვარად უკავშირდება ერთ ცნობილ გატაცებას.

2000 წლის დეკემბერში თბილისში კახეთის გზატკეცილიდან შეიარაღებულმა უცნობმა პირებმა ესპანელი ბიზნესმენები ანტონიო-ხოსე ტრინოლიოსი და ფრანჩესკო როდრიგესი გაიტაცეს. საყურადღებოა, რომ ესპანელებს შეიარაღებული დაცვის პოლიციელი აცილებდათ, თუმცა გამტაცებლებს მისთვის ხელი არ უხლიათ(?!) (რაც მსგავს შემთხვევებში თითქმის წარმოუდგენელია — მოწმეს თუ არ კლავენ, თან მიჰყავთ). გარდა ამისა, გამცილებელს მომხდარის შესახებ ოპერატიულად უნდა ეცნობებინა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, რომელსაც შეეძლო, დაუყოვნებლივ გადაეკეტა გზები, მათ შორის თბილისის გასასვლელებიც. გატაცებული ბიზნესმენები ისე აღმოჩნდნენ თბილისიდან 250 კილომეტრში პანკისის ხეობაში, რომ ეს ამბავი რატომღაც არავის გაუგია(?!).

შუა ქალაქიდან ბიზნესმენების გატაცებამ საქართველოში და არა მარტო ჩვენთან (რამდენიმე დღე ეს ამბავი ესპანური მედიის პირველ გვერდებზე ხვდებოდა) დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. 2000 წლის 11 დეკემბერს ესპანეთის მთავრობის ერთ-ერთმა ვიცე-სპიკერმა დახმარება აღუთქვა გატაცებულების ოჯახებს ფულის მოძიებასა და გამოსასყიდის გადახდაში, რაც ნიშნავდა, რომ ესპანეთის მთავრობა მზად იყო, საკუთარი მოქალაქეების დასახსნელად ფული გადაეხადა. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ამ ფაქტის გამო უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაც კი მოიწვია. სამართალდამცავებმა რამდენიმე თვე ეძებეს ბიზნესმენები, მაგრამ მათ კვალს ვერ მიაგნეს, ისინი თითქოს ცამ ჩაყლაპა...

მოულოდნელად ესპანურ მედიაში ადგილობრივ კრიმინალურ სამყაროსთან დაკავშირებულმა პირმა აღნიშნა, — შესაძლოა ანტონიო-ხოსე ტრინოლიოსის და ფრანჩესკო როდრიგესის გატაცება მათ კრიმინალურ საქმიანობასთან იყოს დაკავშირებულიო..

ფრანჩესკო როდრიგესს საქართველოდან მარმარილო და ხეტყე გაჰქონდა ესპანეთში. ამ საქმიანობას კი ჩვენთან ფირმა „გეო-მადერა“ ეწეოდა. მილიონერი ანტონიო-ხოსე ტრინოლიოსი კი თავის ქვეყანაში 7 საიუველირო სალონს ფლობდა, რა ინტერესები ჰქონდა იმ დროისთვის საქართველოში, ცნობილი არ არის; თუმცა საქმეში ჩახედულნი ამბობენ, ძვირფასი ქვების ექსპორტ-იმპორტი, რომელიც ყველგან წარმატებულ კრიმინალურ ბიზნესად ითვლება, საქართველოში ათმაგად მომგებიანი იყო. ესპანელი ბიზნესმენების გათავისუფლება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 2001 წლის დეკემბერში მოხერხდა, თუმცა მანამდე მათ გამოსასყიდად ესპანურმა მხარემ 2 მილიონი დოლარი გადაიხადა. გათავისუფლებულ ბიზნესმენებს თბილისის აეროპორტში ესპანეთის მეფის, ხუან კარლოსის გამოგზავნილი თვითმფრინავი დახვდათ.

ესპანეთში ჩასვლის შემდეგ გატაცებასთან დაკავშირებით ბიზნესმენები საეჭვოდ დუმდნენ, არც ქართულ გამოძიებასთან ისურვეს თანამშრომლობა.

**« ესპანელები მარგოშვილს და მის პარტნიორ ჩეჩნებს 2 მილიონ დოლარს დაჰპირდნენ. აქედან მილიონი ესპანეთში წასაღები ნარკოტიკის ფასი იყო. პარალელურად მზად იყვნენ, მილიონი დოლარი გადაეხადათ, თუ სამინისტრო საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკის უსაფრთხო ტრანსპორტირების და შემდგომ ფოთის პორტიდან უსაფრთხო გატანის გარანტიას მისცემდა. დეტალების დასაზუსტებლად სამივე მხარე ერთად შეიკრიბა. როგორც ამბობენ, ამ ვიდეოკასეტაში ეს შეხვედრა იყო გადაღებული...**

ქართულ კრიმინალურ წრეებში ამბობდნენ, რომ ესპანელ ბიზნესმენთა გატაცება უფრო ძვირფას საქონელთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ბრილიანტები ან მარმარილოა, ეს „პანკისური თეთრი“ (ჰეროინი) იყო.

ამ საქმის კრიმინალური ვერსია ასეთია:

ფრანჩესკო როდრიგესს და ანტონიო-ხოსე ტრინოლიოსს, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რა მოგებას მოუტანდა მათ პანკისური იაფი ჰეროინი სამშობლოში, თავის დროზე მოლაპარაკება ჰქონიათ ვეფხია მარგოშვილთან, რომელსაც ჩეჩნებთან ერთად ჰეროინის დასაფასოებელი საამქრო ჰქონდა (იმხანად პანკისში ჰეროინის დამამზადებელი კი არა, დასაფასოებელი საამქრო იყო და რამდენიმე მუშა ჩეჩნეთიდან „ბოევიკების“ მიერ ჩამოტანილ ნარკოტიკს აფასოებდა, აღებული ფულით კი ჩეჩნები იარაღს ყიდულობდნენ). ერთი ინფორმაციით, ისინი მარგოშვილს და მის პარტნიორ ჩეჩნებს 2 მილიონ დოლარს დაჰპირდნენ. აქედან მილიონი ესპანეთში წასაღები ნარკოტიკის ფასი იყო. პარალელურად ესპანელი საქმოსნები შეუთანხმდნენ საქართველოს მაშინდელ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებს, მათ შორის ასახელებენ კახა ბაკურაძეს, რომ მზად იყვნენ, მილიონი დოლარი გადაეხადათ, თუ სამინისტრო საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკის უსაფრთხო ტრანსპორტირების და შემდგომ ფოთის პორტიდან უსაფრთხო გატანის გარანტიას მისცემდა. გეგმის დეტალების დასაზუსტებლად სამივე მხარე (ჩეჩნური-ესპანური და პოლიცია) ერთად შეიკრიბა. როგორც ამბობენ, ე.წ. სანაიას ვიდეოკასეტაში სწორედ ამ შეხვედრის კადრებიც იყო გადაღებული. შედგა 3-მილიონიანი გარიგება, თუმცა მოვლენები მაინც ქართული სცენარით განვითარდა. პოლიციამ და ესპანელმა ბიზნესმენებმა ჩეჩნების და მარგოშვილის გადაგდება მაშინ გადაწყვიტეს, როდესაც ნარკოტიკი უკვე ხელთ ჰქონდათ. ეს ამბავი ჩეჩნების ყურამდეც მივიდა და ესპანელები მაშინ გაიტაცეს, როდესაც ისინი უკვე თბილისის აეროპორტში მიდიოდნენ... პოლიციის მაღალჩინოსნები პანკისში რამდენჯერმე ჩავიდნენ და ჩეჩნებს მათი გათავისუფლება სთხოვეს. გამტაცებლები ბაკურაძის ჯგუფს გარიგების პირობებს ახსენებდნენ და თავის წილს — 2 მილიონ დოლარს კატეგორიულად ითხოვდნენ. ამბობენ, რომ ამ შეხვედრების კადრებიც იყო ვიდეოკასეტაში. მიუხედავად იმისა, რომ გამოსასყიდი ესპანეთის მთავრობამ გადაიხადა, ესპანელები კიდევ რამდენიმე თვე ჰყავდათ დატყვევებული. როდესაც სამინისტროში მიხვდნენ, რომ მარგოშვილს (რომელიც ყოფილ პარტნიორებზე განაწყენებული იყო, რომ ძებნა არ მოუხსნეს) შეეძლო, ეს კასეტა კომპრომეტირებისთვის გამოეყენებინა, გადაწყვიტეს, ემოქმედათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ გიორგი სანაიას ამ კასეტის ორიგინალი ჰქონდა. ის მოკლეს და სავარაუდოდ, კასეტაც გააქრეს. როდესაც სანაიას მკვლელობის შემდეგ ვეფხია მარგოშვილმა განაცხადა, რომ თბილისში მხოლოდ კასეტის ასლი იყო გამოგზავნილი, ისიც მოიშორეს.

**« როდესაც სამინისტროში მიხვდნენ, რომ მარგოშვილს შეეძლო, ეს კასეტა კომპრომეტირებისთვის გამოეყენებინა, გადაწყვიტეს, ემოქმედათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ გიორგი სანაიას ამ კასეტის ორიგინალი ჰქონდა. ის მოკლეს და სავარაუდოდ, კასეტაც გააქრეს. როდესაც სანაიას მკვლელობის შემდეგ ვეფხია მარგოშვილმა განაცხადა, რომ თბილისში მხოლოდ კასეტის ასლი იყო გამოგზავნილი, ისიც მოიშორეს**

მარგოშვილთან ხშირად დადიოდნენ ნარკომანები. ვინაიდან მათ „წამლის“ ყიდვის საშუალება არ ჰქონდათ, მასთან მუშაობდნენ და გასამრჯელოდ დოზას იღებდნენ, ერთი ასეთი „ნარკომანი“ სპეცსამსახურის თანამშრომელი იყო. ვინაიდან მარგოშვილი სანაიას მკვლელობის შემდეგ ძალიან ფრთხილობდა, გადაწყდა, დისტანციური ბომბი ტუალეტში დაედოთ. არსებობს ვერსია, რომ ეს სპეცოპერაცია ძმები ახმადოვების ერთ-ერთმა ძმამ და გია დგებუაძემ, „მეტსახელად „მასტერამ“, დაგეგმეს. 2001 წლის 17 ოქტომბერს ვეფხია მარგოშვილი საკუთარ ტუალეტში ააფეთქეს.

*„საღამოს 5 საათი იქნებოდა, ვეფხია ტუალეტში გავიდა. მოულოდნელად ძლიერი აფეთქების ხმა შემომესმა. ირგვლივ ყველაფერი დაიმსხვრა, ცაში საშინელი ბოლი ავარდა. იქით გავიქეცი და დავინახე, რომ ვეფხია ტუალეტის გვერდით ეგდო. ერთი მხარე მთლიანად დაფლეთილი ჰქონდა, სუნთქვა უჭირდა. ეს რა მიქნესო, — ამოიხრიალა. გვთხოვდა, იქაურობას გავცლოდით — შეიძლება სახლშიც იყოს ბომბი დამონტაჟებული და არ აფეთქდეთო. უამრავი ხალხი შეიყარა, ვეფხია მანქანაში ჩავაწვინეთ და დუისში, ჩეჩნების საავადმყოფოში წავიყვანეთ. გზაში გარდაიცვალა.“*

***ლუიზა ჰამზათოვა, თვითმხილველი***

25 თებერვალს გიორგი სანაიას ოჯახმა მთავარ პროკურატურას ჟურნალისტის მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიებისთვის მიმართა...

***ნინო ბურჭულაძე***

# ხათუნა ლაგაზიძის პოლიტიკური მიკროსკოპი



## დასავლური ექსპერიმენტი: „დემოკრატიის შუქურიდან“ „კოჰაბიტაციამდე“

პირველ ოქტომბერს საქართველოში დასავლეთის ერთი პროექტი — „დემოკრატიის შუქურა“, ჩაანაცვლა მეორემ — „კოჰაბიტაციამ“. ქართველი ხალხის არჩევანისადმი დასავლეთის ასეთი უპირობო მხარდაჭერის მიზეზი სწორედ ეს იყო: მათ ძალიან ოპერატიულად გათვალეს, რითი შეიძლებოდა დასავლეთისთვის ყოფილიყო სარგებლიანი საქართველოში ხელისუფლების ცვლილება — ძალაუფლების გაყოფა ორი პოლიტიკური ძალის მიერ და შესაძლებლობის ფარგლებში მათი თანამშრომლობა. ანუ დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ უშუალოდ არჩევნების მომენტი, არამედ შემდგომი პროცესიც, როგორც მისი ძალისხმევის დაგვირგვინება. დასავლეთის სურვილი, რომ ორ პოლიტიკურ სუბიექტს ერთობლივად ეთანამშრომლა და ემართა ქვეყანა, საქართველოს პოლიტიკური კულტურის განვითარებისთვის ნამდვილად საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, რომ არა „ნაციონალური მოძრაობის“ წარსული. კოჰაბიტაციის სახელით ცნობილ დასავლეთის ამ მორიგ ექსპერიმენტში სურვილი და რეალობა ერთმანეთს გადაეჯაჭვა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, დასავლეთს ერთი მოტივიც ამოძრავებს: რაც შეიძლება მაქსიმალურად დააზღვიოს ახალი ხელისუფლებაც და საკუთარი თავიც, რომ „ქართულ ოცნებას“ არ გაუჩნდეს ცდუნება ძველის შეცდომების გამეორებისა.

ჩვენ დღეს ვიღებთ იმ რეალობას, როდესაც დასავლეთის სასიცოცხლო ინტერესია, რომ საქართველოში პროცესები წარიმართოს ორი პოლიტიკური სუბიექტის თანამშრომლობის თუ არა, თანაარსებობის ფორმატში. მეტიც, ისინი ახალი ხელისუფლებისგან ითხოვენ აღიარონ და დაეყრდნონ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მემკვიდრეობის საუკეთესო ნაწილს“, როგორც ეს ახლახან „ეკონომისტში“ გამოქვეყნებულ ძალზე მწვავე წერილშია ხაზგასმული. დასავლეთის მთავარი პრეტენზია მმართველი კოალიციის მიმართ „ეკონომისტის“ პირით ასე ჟღერს: „გაურკვეველია, არსებობს თუ არა, და ახალ ხელისუფლებას აქვს თუ არა ცვლილებების მამოძრავებელი საბაზისო ხედვა“.

გაცილებით მძიმეა 18 თებერვლით დათარიღებული აშშ-ის კერძო სადაზვერვო სამსახურის „ლიგნეტის“ მოხსენება, რომელშიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ეროვნული უშიშროების სააგენტოს ყოფილი დირექტორებიც მოღვაწეობენ. „ლიგნეტის“ ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ „აშშ-ს კავკასიაში პარტნიორის დაკარგვა ემუქრება...“ და საქართველოს აშშ-ის ორბიტაზე დამაგრების გზებს ეძებენ. „ტაგესცაიტუნგი“ იტყობინება „ლიგნეტის“ ანალიტიკოსთა დასკვნებზე: „როდესაც ნატოსა და ევროკავშირის პოტენციური წევრი საქართველო, როგორც მოწამლული ეკალი, ისე განიხილება რუსული დათვის რბილ ქვედატანში“, სააკაშვილის ძალაუფლების დაკარგვა მოსკოვის წინააღმდეგ აშშ-ის გეგმებს ჩაშლიდა. ამიტომ მათ სურთ გადაარჩინონ ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება. მაგრამ თუ სააკაშვილი ისევე გააგრძელებს მოქმედებას, როგორც ამას აქამდე აკეთებდა, მაშინ აუცილებლად წააგებს საპრეზიდენტო არჩევნებს ოქტომბერში. ამიტომ ის უფრო მორიდებულად უნდა მოიქცეს და უსწრაფესად გამოაცხადოს ივანიშვილის კოალიციასთან კომპრომისის მზაობა. მხოლოდ ასე ექნება მას შანსი დარჩეს ხელისუფლებაში. ყველაფერი დანარჩენი დასავლეთისათვის მხოლოდ ხელიდან გაშვებული ხელსაყრელი შესაძლებლობა იქნება“, — ასკვნის „ლიგნეტი“.

ვფიქრობ, ეს არის საეტაპო სტატია იმ თვალსაზრისით, რომ ბევრ რამეს თვალსაჩინოს ხდის საქართველოსთან დაკავშირებით, როგორც საგარეო აქტივობების კუთხით, ასევე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით დატვირთული იყო პრემიერ-მინისტრის ბოლო ინტერვიუ „იმედზე“, სადაც მან ისაუბრა იმ სირთულეებზე, რომელიც დღეს აშშ-ის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში არსებობს: „ჩემი სურვილიც ასეთი იყო, რომ პირველად ამერიკაში წავსულიყავი... ბოლომდე გააზრებული არა გვაქვს ჩვენს გუნდს, რა ხმები ჩადის დასავლეთში... ახლაც ელჩი ჩამოვიდა და მითხრა, რომ იქ მიდის დიდი ომი, ასეთ სიტუაციაში არ ვაკადრებ არც საქართველოს და არც აშშ-ს, იქ ჩავიდე ამ გაუგებრობაში, ყველაზე ცოტა, გაუგებრობა დავარქვათ. მინდა დავალაგო შიდაპოლიტიკური ურთიერთობები, რომ იქ ჩვენს ხელწერასთან დაკავშირებით ეჭვები აღარ იყოს, რის გავრცელებასაც ყოფილი ხელისუფლება ოსტატურად უწყობს ხელს“. როგორც ამ ციტატიდან ჩანს, დასავლეთთან ურთიერთობის მოწესრიგების პირობა შიდაპოლიტიკური ურთიერთობის დარეგულირება ყოფილა.

არანაკლებ ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პრემიერისა და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების თემაც სწორედ ის დეზინფორმაცია იყო, რომელიც მიზანმიმართულად გადის დასავლეთში. როგორც ჩანს, სიტუაცია სერიოზულია, რადგან ამ შეხვედრის შემდეგ ივანიშვილი აკეთებს განცხადებას, რომ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა, პრემიერმა და პრეზიდენტმა საქართველოს საგარეო კურსის თაობაზე ერთობლივი განცხადება გააკეთონ. აქამდე პრემიერი პრეზიდენტთან ერთობლივი აქტივობებისგან თავს იკავებდა, დღეს კი ამაზე თანახმაა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: უმრავლესობა დიდი ხანია ცდილობდა, დაეთანხმებინა უმცირესობა საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიმართულებების შესახებ ერთობლივ რეზოლუციაზე, სადაც საუბარია საქართველოს საგარეო კურსის ურყევობასა და ევროატლანტიკური მიმართულებით სვლაზე. ამ რეზოლუციის პირველ ვარიანტში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ საქართველო არ უნდა იქცეს დაპირისპირების ობიექტად საერთაშორისო ურთიერთობებში. „ნაციონალების“ პრინციპული მოთხოვნა იყო, ეს ფრაზა ამოღებულიყო რეზოლუციის პროექტიდან. საბოლოო ტექსტში ეს ფორმულირება შეცვლილია უფრო რბილი ფორმულირებით, რომ „საქართველოს საგარეო ევროატლანტიკური კურსი უპირველესად ქვეყნის მდგრად დემოკრატიულ განვითარებას და ქვეყნის უსაფრთხოებას ემსახურება და არ არის მიმართული რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ და რომ საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის, ევროკავშირისა და რუსეთის ფედერაციის ინტერესების დაახლოებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად“.

თუმცა ამ რეზოლუციის საბოლოო ხელმოწერილი ტექსტი, სადაც დაფიქსირებულია, რომ „საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმყოფებოდეს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. საქართველო არ გაწევრდება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა პოლიტიკაც ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრიორიტეტს“, მნიშვნელოვანი ფარია ახალი ქართული ხელისუფლებისთვის, რადგან იგი ნათლად ადასტურებს მის ერთგულებას საქართველოს ევროატლანტიკური კურსისადმი და ფაქტობრივად საფუძველს აცლის ეჭვებს მისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების თაობაზე.

# „ნატახტარის ლიმონათი“ ახალი, ორიგინალური შეფუთვით

*6 მარტს სასტუმრო „რედისონში“ „ნატახტარის ლიმონათის“ ახალი ლოგოსა და შეფუთვის პრეზენტაცია გაიმართა. „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა კომპანიის ღონისძიებაზე მედიის წარმომადგენლებს ლიმონათთან დაკავშირებული სხვა სიახლეებიც წარუდგინა, რის შემდეგაც ახალი, საინტერესო სარეკლამო რგოლის პრეზენტაციაც გაიმართა.*

2012 წლის მონაცემებით, „ნატახტარის ლიმონათის“ ექსპორტი 33%-ით გაიზარდა. მისი ზრდა არსებულ ბაზრებზე პოზიციების გამყარებითა და ახალ ბაზრებზე შესვლით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ კომპანიის საექსპორტო მონაცემები 2011 წელსაც (2010-თან შედარებით) იმავე მაჩვენებლით გაიზარდა, რაც მიანიშნებს, რომ ლიმონათის ექსპორტი სტაბილურად მზარდია. კვლევები ადასტურებს, რომ საექსპორტო ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში, „ნატახტარის ლიმონათი“ სუფრის განუყოფელი ატრიბუტი გახდა. „ნატახტარის ლიმონათის“ საზღვარგარეთ გატანა 2006 წლიდან დაიწყო. 2012 წელს „ნატახტარის ლიმონათის“ ექსპორტი პერმანენტულად მსოფლიოს 20 ქვეყანაში ხდებოდა.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი**, *კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:*

— კომპანიისთვის მნიშვნელოვანი დღეა, ვინაიდან დღეიდან საზოგადოება თავის საყვარელ ლიმონათს სახეცვლილი დიზაინით მიიღებს. მხოლოდ შეფუთვა შევცვალეთ, სითხე იგივე დარჩა — ყველასთვის საყვარელი და გემრიელი ლიმონათი, სხვადასხვა არომატით. რაც შეეხება იმას, თუ რატომ მოხდა ეს ცვლილება: — როდესაც ბრენდი წარმატებულია და ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, ცვლილებები არ ხდება, მაგრამ ზოგჯერ ცვლილება მნიშვნელოვანია და ეს ხაზს უსვამს, რომ კომპანია ორიენტირებულია განვითარებაზე. თუ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენი კომპანია არის წრე, მომხმარებელი მოქცეულია ცენტრში, ამიტომ ნებისმიერი სიახლე სწორედ მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე ხორციელდება, თუნდაც მოთხოვნა იყოს ფარული. ამ შემთხვევაშიც მომხმარებელს უფრო მიმზიდველი და კომფორტული შეფუთვა სურდა.

***— რამდენ ხანს მუშაობდით პროექტზე?***



*თორნიკე ნიკოლაიშვილი, კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი*

— პროექტზე მუშაობას 10 თვეზე მეტი დრო დასჭირდა. კომპლექსური სამუშაო გავწიეთ, ვინაიდან არომატების რაოდენობა დიდია. ბოთლი ექსკლუზიურია და ამ პროექტის განხორციელებისთვის საკმაოდ დიდი რესურსების მობილიზება მოხდა. ცვლილების მეორე მიზეზსაც გეტყვით, — ჩვენ გვსურს, როგორც ლიდერებმა, ინდუსტრიაში გარკვეული სტანდარტი შემოვიღოთ.

და მესამე, მნიშვნელოვან მიზეზსაც გაგიმხელთ, — ეს არის საექსპორტო ბაზრები, სადაც კონკურენციას ვუწევთ საერთაშორისო და ადგილობრივი ბრენდებს. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია რედიზაინი, ინოვაცია, სიახლე. იმედია, შედეგად ჩვენი პოზიციები გამყარდება საექსპორტო ბაზარზე და სხვა, ახალ ბაზრებზე შესვლა უფრო გაგვიადვილდებოდა.

ლიმონათს ერთგვარად გასაღების ფუნქცია აქვს, რადგან ის საექსპორტო ბაზრის კარს აღებს და ამის შემდგომ უკვე ლუდის შეტანასაც აადვილებს. მაგალითად შემიძლია მოგიყვანოთ აზერბაიჯანი, სადაც „ნატახტარის ლიმონათი“ სუფრის დამამშვენებელ



ატრიბუტთან ასოცირდება, მისი განუმეორებელი გემო და მაღალი ხარისხი ყველასთვის ნაცნობია და შედეგი ის არის, რომ წლიდან წლამდე „ნატახტარის“ ლუდის გაყიდვებსაც ვზრდით.

***— თქვენ სხვა ქვეყნებში შესვლის შესახებაც ისაუბრეთ. იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, ამ მიმართლებით არსებული სიახლეებიუს შესახებ..***

— დიახ, ჩვენს ლიმონათს, შეიძლება ითქვას, ელჩის ფუნქცია აქვს მსოფლიოს 20 ქვეყანაში, სადაც ჩვენს კომპანიას კი არა, საზოგადოდ, საქართველოს წარმოადგენს. „ნატახტარის ლიმონათის“ დამსახურებით მსოფლიოს 20 ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს ქართული პროდუქციის ხარისხზე კარგი წარმოდგენა აქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით უფლება არ გვქონდა, შეფუთვა ბევრად არ გაგვეუმჯობესებინა.

„ნატახტარის ლიმონათი“ ჩვენი კომპანიის სტრატეგიული ბრენდია და გვაძლევს იმის საშუალებას, განვახორციელოთ თუნდაც ისეთი კარგი პროექტი, როგორიც არის „ფონდი ნატახტარი“, რომელიც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ეხმარება. რომ არა ლიმონათი, ამ პროექტის განხორციელებას ვერ შევძლებდით, რადგან ჩვენი სხვა ბრენდები არის ალკოჰოლური და ამდენად, მოზარდებთან კომუნიკაციას ვერ მოვახერხებდით.

***— ვის ეკუთვნის ბოთლისა და ეტიკეტის დიზაინი?***

— ერთ-ერთ ცნობილ ევროპულ დიზაინსააგენტოს. ეს საკმაოდ რთული და კომპლექსური სამუშაო იყო, — ყველა ეტაპი, ბოთლის დიზაინი და თავსახურიც კი კვლევების შედეგად დამტკიცდა. მუშაობის შედეგი კი მომხმარებლის აზრის მიხედვით განისაზღვრება.

***ლალი პაპასკირი***

R

# დავით კირვალიძე: „ეს სტატია ყველა ფერმერმა ყურადღებით წაიკითხოს“



**„ისე არ იქნება, მაგარი იდეა მაქვს და ფული მომეციო“**

*რამდენიმე დღეა, ყავარჯნით დადის, მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის მინისტრი ДАВИТ КИРВАЛИДЗЕ უქმე დღეს, 8 მარტს სამსახურში დამხვდა (და თაიგულით ქალთა დღეც მომილოცა). სანამ სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკს შევუდგებოდით, მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობით დავინტერესდი და იმ კოლეგებზეც ვკითხე, რომლებიც მთავრობის ბოლო სხდომაზე დაზიანებებით გამოცხადდნენ:*

## „ეს იყო „ქართული ოცნების“ დანაპირები და ვასრულებთ“

— 6 წლიდან ფეხბურთს ვთამაშობ. ახლაც კვირაში ორჯერ საათ-ნახევარი ვვარჯიშობ და კუნთი დავიზიანე. რაც შეეხება ჩემს კოლეგებს, რეინტეგრაციის მინისტრ კოტე სურგულაძეს მკლავი აქვს ამოვარდნილი და უკვე მეორე კვირაა, მკლავშეხვეული დადის, დევნილთა მინისტრ დავით დარახველიძეს თვალზე თრომბი აქვს, კახი კალაძე კი სნოუბორდიდან გადმოვარდა.

**— იმედია, ყველანი გამოჯანმრთელდებით. როგორც ვიცი, 14 თებერვალს საგაზაფხულო ხვნა დაიწყო. როგორ მიდის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები?**

— თოვლმა და ხშირმა წვიმამ რამდენიმე დღით შეგვაფერხა, მაგრამ ხვნა უკვე განახლდა. პარალელურად დასავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ბარათებს ვარიგებთ.

ეს ბარათები ორი სახისაა, ნომინალური და კომბინირებული. ჯერ კომბინირებულს ვარიგებთ, რომელსაც მიიღებს 610 ათასი კაცი, რომელიც 0,25 და 1,25 ჰა მიწას ფლობს. ამ ბარათით გლეხებს შეუძლიათ ნიადაგის დამუშავების — ხვნისა და გაფხვიერების (დადისკვის) სერვისი მიიღონ. ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო ბარათი 510 ლარის ეკვივალენტი გამოდის. 1 ჰა-ზე ასევე მიიღებენ 300 ლარის ეკვივალენტ ნომინალურ ბარათს ნედლეულისა და ინვენტარის შესაძენად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მოვაჭრე დარეგისტრირებულ მაღაზიაში. ვისაც აქვს 0,25 ჰა-ზე ნაკლები მიწა, სადაც ტექნიკა ვერ შედის, 100 ლარის ეკვივალენტი უნიფიცირებული ბარათები დაურიგდებათ ნედლეულის შესაძენად.

მარტო საგაზაფხულო ხვნის პროგრამა 200 მლნ ლარამდე დაჯდება და 640 ათას კაცს მოიცავს. ამ პროგრამას პრემიერის ინიციატივით შექმნილი სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი აფინანსებს, სადაც თანხის ნაწილი საქველმოქმედო ფონდისგან შემოვიდა, ნაწილი კი — ფონდ „ქართუსგან“. ამ ყველაფერს სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების სააგენტო უდგას სათავეში.

**— შეგიძლიათ დააკონკრეტოთ, საქველმოქმედო ფონდში რომელმა კომპანიებმა გადარიცხეს თანხები?**

— მიმდინარე კვირას ხელი მოეწერება თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელსაც ხელს მოაწერენ ის ბანკები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები, ვინც ამ საქმეში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს და მათი ვინაობაც გამოცხადდება.

**— როდესაც გამოაცხადეთ, რომ თქვენი პარტნიორები 0%-იან სესხს გაძლევდნენ, ეს ბევრმა არ დაიჯერა.**

— ეს არის სუბსიდირების გარეშე აგებული სქემა, რომელიც განვადების პრინციპს ეფუძნება. ამ სქემით გაიცემა მცირე ზომის სესხები, 5 ათას ლარამდე. ეს არის 6-თვიანი სასაქონლო უპროცენტო განვადება მათთვის, ვისაც 5 ათას ლარამდე თანხა უნდა საკუთარი წარმოებისთვის ნედლეულის (ინვენტარის, სათესლე მასალის, მცენარეთა დაცვის საშუალებების) შესაძენად. ვინც ამ სესხს გააფორმებს, ფულს არ აიღებს, ისინი პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო მაღაზიაში აარჩევენ შესასყიდ პაკეტს და 6 თვის თავზე დააბრუნებენ მის ეკვივალენტურ თანხას. მაღაზიაში მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენელი იქნება და იქვე გაუფორმებენ მსურველს უპროცენტო სასაქონლო განვადებას.

გლეხებსა და ფერმერებს ასევე შევთავაზებთ 5-დან 100 ათას ლარამდე საოპერაციო სესხს ნედლეულის შესასყიდად. ვისაც მეცხოველეობის ფერმა აქვს, შეუძლია ორწლიანი სესხი აიღოს და შეიძინოს მაკე საქონელი, მეკვერცხული ქათამი ან ღორები. ასეთი სესხის აღების დროს მიწა ბანკში იდება, მაგრამ თუ ბანკი ითხოვს, ხდება მეორადი გარანტია და ფონდი ახდენს 1/3-ის უზრუნველყოფას. ეს სესხი არ უნდა იყოს 17%-ზე მეტი, მაგრამ ფონდს ეს პროცენტი 8%-მდე ჩამოჰყავს.



**« დუშეთში ხალხს ეუბნებოდნენ, სასოფლო-სამეურნეო ბარათები არ აიღოთო, ახლა კი ეუბნებიან, რომ ეს ბარათი უფასოა, მაგრამ შემოდგომაზე ფულს გადაგახდევინებენო. ყველამ თავი შეიკავოს საბოტაჟისაგან, რადგან ასეთი შემთხვევების გამოვლენისას ძალიან მკაცრი ვიქნებით**

**— გარდა ხელმისაწვდომი სესხებისა, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ მინიმუმ 60 გადამამუშავებელი საწარმო აშენდებოდა.**

— მაგალითად, ადრე საქართველოში 2 სასაკლაოს ჰქონდა მუშაობის უფლება, ახლა 45-ზე მეტი მუშაობს და კიდევ მეტი გვჭირდება. გადამამუშავებელი საწარმოს ასაშენებლად მსურველს შეუძლია სესხად აიღოს 1 მლნ ლარამდე (უფრო მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროექტებს საინვესტიციო ფონდი განახორციელებს). ეს არის გრძელვადიანი, 5-7-წლიანი მაქსიმუმ 15%-იანი სესხი. თუ 15%-იანი სესხი დამტკიცდა, ფონდი შედის თანადაფინანსებაში და ეს პროცენტი 3%-მდე ჩამოჰყავს. ამით მსურველი იღებს იაფ, გრძელვადიან რესურსს, მაგრამ სესხი გაიცემა მხოლოდ ბიზნესორიენტირებულ და მდგრად პროექტებზე. ისე არ იქნება, მაგარი იდეა მაქვს და ფული მომეციო. ამ პროექტებმა სოფლის მეურნეობის გრძელვადიან განვითარებას უნდა დაუდოს საფუძველი.

**— ბარდუბნიდან გლეხმა მომწერა, 1 000, 1 500 და 5 ათასი კვმ ფართობის ნაკვეთები მაქვს, მაგრამ არც ერთის არ ხნავენო და ეჭვობდა, საკრებულოს წევრები „ნაციონალური მოძრაობიდან“ ყველაფრის არევ-დარევას ცდილობენ, რათა ხალხს ახალი ხელისუფლების ნდობა დაუკარგონო.**

**„ხშირად გლეხები განზრახ შეჰყავთ შეცდომაში. ამიტომ ყველას მინდა ვთხოვო, — ნებისმიერ კითხვაზე პასუხისთვის დარეკონ ჩვენს ცხელ ხაზზე: 2 47 01 01“**

— მოიხვნება და გაფხვიერდება 5 000 კვმ ფართობი. გარდა ამისა, გლეხს მივცემთ 150 ლარის ნომინალის ბარათს ნედლეულის შესაძენად. 1 000 და 1 500 კვმ ფართობის ნაკვეთები კი, სამწუხაროდ, ვერ დაიხვნება, მაგრამ მათ მფლობელებსაც მივცემთ ნომინალურ ბარათს ნედლეულის შესაძენად. ჩვენი წარმომადგენელი ყველგან ჩავა და ვითარებას შეისწავლის. ხშირად გლეხები განზრახ შეჰყავთ შეცდომაში. ამიტომ ყველას მინდა ვთხოვო, პირველ რიგში ეს სტატია ყურადღებით წაიკითხონ, — ნებისმიერ კითხვაზე პასუხისთვის კი დარეკონ ჩვენს ცხელ ხაზზე: 2 47 01 01.

დუშეთში ხალხს ეუბნებოდნენ, სასოფლო-სამეურნეო ბარათები არ აიღოთო, ახლა კი ეუბნებიან, რომ ეს ბარათი უფასოა, მაგრამ შემოდგომაზე ფულს გადაგახდევინებენო.

ყველამ თავი შეიკავოს საბოტაჟისაგან, რადგან ასეთი შემთხვევების გამოვლენისას ძალიან მკაცრი ვიქნებით.

არავის არაფერი ექნება გადასახდელი. ეს იყო „ქართული ოცნების“ დანაპირები და ვასრულებთ. მცირე ზომის მიწები მხოლოდ იმის გამო ვერ იხვნება, რომ იქ ტექნიკა ვერ შედის. ასეთი ტიპის პრობლემები უმეტესად დასავლეთ საქართველოშია. მაგრამ, თუ რამდენიმე ნაკვეთი ღობით არ არის გამოყოფილი, ერთ სივრცეშია, ერთად აღებული 0,25 ჰა-ს ან მეტს შეადგენს და იქ ტექნიკა შევა, მაშინ ისინიც დაიხვნება. ყველა ასეთი ფართობის მფლობელს მომავალში შევთავაზებთ, რომ კოოპერაციაში გაერთიანდნენ, სადაც ყველას შეუნარჩუნდება საკუთრების უფლება თავის ნაკვეთზე.

**— რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით რა სიახლეებია?**

— 36-მა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების და 4-მა მინერალური წყლების კომპანიამ გადალახა რუსეთის სანიტარიული სამსახურის შემოწმების ეტაპი და შეუძლიათ თავიანთი საწარმოსა და პროდუქციის რეგისტრაცია დაიწყონ რუსულ ბაზარზე გასატანად. ამას მაქსიმუმ ერთი თვე დასჭირდება. 18 მარტიდან რუსეთში ჩვენს დელეგაციას ელის „როსსელხოზნადზორი“, რომელთან საუბარი იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მთელ სპექტრზე. გაზაფხულის ბოლოს ამის ლოგიკურ შედეგს ვნახავთ. თუმცა არის სავიზო რეჟიმთან დაკავშირებული პრობლემები. პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი, ბატონი ზურაბ აბაშიძე რუსულ მხარეს ესაუბრება ამ საკითხზე და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივდივართ.

**— გლეხს ხშირად ვერ გააქვს თავისი მოწეული ხილ-ბოსტნეული ბაზარზე, სახელმწიფო თუ დაეხმარება ამაში?**

— ამისთვის საჭიროა კოოპერაცია. ან

**„არავის არაფერი ექნება გადასახდელი“**

კოოპერატივი გაიტანს ბაზარზე პროდუქტს, ან დილერები იმუშავებენ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის ხელი რომ შეგვეწყო, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად გადავწყვიტეთ, — კომპანიებს, რომლებიც ჯარის კვებას უზრუნველყოფენ, მითითება მიეცეს, რომ აქცენტი გააკეთონ ადგილობრივ პროდუქციაზე.

ასევე ვზრუნავთ ქართული ენდემური ჯიშების გადარჩენაზე. საგურამოში ჯილაურას საცდელ ნაკვეთზე 420-ზე მეტი ქართული ვაზის ჯიშია. ამას ფონდი „ქართუ“ აკეთებს. ვმუშაობთ ქართული ხორბლისა და ხეხილის ჯიშების გადარჩენაზე.

**— სანამ საქართველოში მოვიწევთ უხვ მოსავალს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანა გვიწევს. რამდენად ვარგისია ეს პროდუქტები? საქართველოში დაავადებული კარტოფილის შემოტანას ცოტა ხნის წინ ხმაური მოჰყვა.**

— თურქეთიდან შემოტანილი დაავადებული კარტოფილი განადგურდა. როდესაც საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, კონტროლი უმკაცრესი უნდა იყოს. სურსათის უვნებლობის კოდექსში შევა ცვლილებები, რომლებიც ამას უფრო დახვეწს.

ქართველმა გლეხმა რომ კონკურენტუნარიანი პროდუქცია შექმნას, ყველაფერს ვაკეთებთ. სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის აღდგენაზე უზარმაზარი ადამიანური და ფინანსური რესურსი გვაქვს მობილიზებული. აღმოსავლეთ საქართველოში საირიგაციო სისტემა მოგვყავს მწყობრში, დასავლეთში — კი დრენაჟები. ყველა რაიონში იქნება საკონსულტაციო ცენტრი, სადაც მსურველი საჭირო ინფორმაციას მიიღებს. 3-4 წელი დასჭირდება მთელი სისტემის სრულად მოწესრიგებას.

**— ცოტა ხნის წინ თბილისში ცხენის ხორცის გაყიდვასთან დაკავშირებით ატყდა სკანდალი, რა კეთდება მსგავსი ფაქტების აღმოსაფხვრელად?**

— სასაკლაოები ზოგჯერ ხარისხზე კი არა, მოსახლეობის მოტყუებაზე ფიქრობდნენ. როდესაც მომხმარებელს საქონლის ნაცვლად, ცხენის დაავადებულ ხორცს სთავაზობ, დანაშაულია. ასეთ სასაკლაოებზე, ძირითადად, მოპარული ან სიკვდილის პირას მისული ცხენები ხვდება. კასპში ასეთი ფაქტი იმის წყალობით დაფიქსირდა, რომ პოლიციაში გახშირდა განცხადებები ცხენების დაკარგვის თაობაზე. ერთ ეზოში მიაგნეს სასაკლაოს, სადაც დახოცილი ცხენების თავები ნახეს. ხორცს საგანგებოდ არბილებდნენ, რომ მყიდველს ვერ გაერჩია, ცხენის ხორცს ყიდულობდა თუ საქონლისას. ამიტომაც მკაცრად მოვითხოვთ, საქონელი დაიკლას ვეტერინარის ზედამხედველობით.

ყველა გამრჯე ადამიანს დავუჭერთ მხარს, რაც წლების განმავლობაში ასე აკლდათ. იმედია, ერთობლივი შრომით სოფელს ფეხზე დავაყენებთ.

*იზო რიკაძე*

**„სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია“**

*ხალხური ანდაზა*



პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank Georgia

# აგროსესხის 10-წლიანი გამოცდილება

## „პროკრედიტ ბანკის“ „ხნული“ სოფლის მეურნეობაში

*სოფლის მეურნეობის სექტორში საგაზაფხულო სამუშაოები უკვე აქტიურად მიმდინარეობს, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია იმ ხანგრძლივი ციკლისა, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ, შემოდგომისთვის მოსავლის მოწევით და დაბინავებით უნდა დასრულდეს. შემოდგომა რომ უხვმოსავლიანი იყოს და ჭირნახული ბარაქიანი, გლეხს ხელშეწყობა სჭირდება. ხელსაყრელი ფინანსური რესურსი, პროფესიონალების კომპეტენტური რჩევა და სწორად დაგეგმილი ბიზნესსტრატეგია — ეს წარმატებისთვის აუცილებელი ძირითადი კომპონენტებია. გამართული და განვითარებული სოფლის მეურნეობა ნებისმიერი ქვეყნის ძლიერების და სიმდიდრის გარანტია. ამისკენ მიმავალი გზა კი ყოველი მეურნის, ფერმერის წარმატებაზე გადის.*

10 წელზე მეტია, რაც „პროკრედიტ ბანკი“ ქვეყნის აგროსექტორზე ზრუნავს და სოფლის მეურნეობის სექტორზე მაქსიმალურად მორგებულ კრედიტებს გასცემს. ბანკი, რომელსაც საქართველოს ყველა რეგიონში ფილიალებისა და სერვისცენტრების ფართო ქსელი აქვს, ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის. საქართველოს მასშტაბით „პროკრედიტ ბანკის“ აგროსესხით უკვე სარგებლობს რამდენიმე ათასი ადამიანი და ყოველი ასეთი ბიზნესისტორია წარმატებულია. ხარისხი და გამჭვირვალობა ყველაფერში — ეს ბანკის ძირითადი პრინციპებია და შესაბამისად ამ პრინციპების თანახმად მოგებული პირველ რიგში მომხმარებელი რჩება. ბანკის მთავარი დივიდენდი კი გრძელვადიანი ურთიერთობაა, რომელსაც ის კლიენტთან ინარჩუნებს და ბონუსად ნდობასა და ერთგულებას იღებს.

**„პროკრედიტ ბანკს“ საქართველოს საბანკო ბაზარზე სტაბილური პოზიცია და შორსმიმავალი გეგმები აქვს.**

**მიხეილ შატავიძე,** *„პროკრედიტ ბანკის“ აგრობიზნესგანვითარების კოორდინატორი:* „პროკრედიტ ბანკმა“ აგროსექტორის დაკრედიტება ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როცა სოფლის მეურნეობაში სესხების გაცემა არ იყო მიმზიდველი და პოპულარული ფინანსურ ინსტიტუტებს შორის. „პროკრედიტ ბანკის“ მისიასთან კი აგროსექტორის განვითარება ძალიან ახლოს იდგა და დგას. ჩვენი მიზანი და მისია ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობას გულისხმობს, ხოლო სოფლის მეურნეობის გარეშე კი ამის გაკეთება ფაქტობრივად წარმოუდგენელია. შესაბამისად, ჩვენი ბანკი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ამ სექტორში კრედიტების გაცემა დაიწყო. თუმცა, მანამ სანამ მომხმარებელს კონკრეტულ პროდუქტს შევთავაზებდით, ხანგრძლივი სამუშაო პროცესი გავიარეთ. დავიწყეთ ფიქრი იმაზე, თუ რა სჭირდებოდა ჩვენს სოფლის მეურნეობას და რა წვლილი შეგვეძლო შეგვეტანა მის განვითარებაში. დღეს „პროკრედიტ ბანკი“ ლიდერია ამ სექტორის დაფინანსებით ბანკებს შორის და დაახლოებით 30 მილიონი დოლარის მოცულობის აგროსესხების მიმდინარე პორტფელი გვაქვს. ასევე, ერთ-ერთი პირველი ვიყავით, ვინც შესთავაზა კლიენტებს მიდგომა, რომელიც გულისხმობს კლიენტის საჭიროების დადგენას, რათა ბანკი მოერგოს კლიენტის მოთხოვნებს და არა პირიქით. ჩვენ ვარკვევთ, რა სჭირდება კლიენტს და ამის მიხედვით განვსაზღვრავთ, რა შევთავაზოთ მას. სწორედ ამ მიდგომის შედეგია ის, რომ „პროკრედიტი“ პირველი იყო, ვინც მომხმარებელს სესხის მოქნილი გადახდის გრაფიკები შესთავაზა.

***— რას გულისხმობს მოქნილი გადახდის გრაფიკები?***

— ეს გულისხმობს იმას, რომ კრედიტის გადახდის გეგმა მორგებულია კონკრეტული ბიზნესის სეზონურობაზე, მის გადახდის უნარზე. ყველა ბიზნესი სპეციფიკურია, ზოგს კონკრეტულად წლის გარკვეულ პერიოდში აქვს შემოსავალი და ა.შ. „პროკრედიტი“ ყველა ასეთ ნიუანსს ითვალისწინებს. გარდა ამისა, ვადების თვალსაზრისითაც ერთ-ერთი ყველაზე კარგი პირობები გვაქვს აგროსესხებზე. კრედიტის გადახდის გრაფიკი კლიენტის სურვილის შესაბამისად, მასთან შეთანხმებით დგება. მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობა სეზონური ბიზნესია და მომხმარებელი თავად გვეუბნება, რომელ თვეებში შეუძლია სესხის გადახდა. შემდეგ განვიხილავთ კრედიტის დაფარვის რამდენიმე ვარიანტს, რომლიდანაც მისთვის სასურველს მომხმარებელი თავად ირჩევს. ისიც შესაძლებელია, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში მსესხებელმა მხოლოდ კრედიტის საპროცენტო განაკვეთი გადაიხადოს, ხოლო კრედიტის ძირის დაფარვა მოწეული მოსავლის რეალიზაციის შემდეგ დაიწყოს. იმ შემთხვევაში თუ ფერმერს მოსავალი უამინდობის ან სხვა მიზეზით გაუნადგურდა, შესაძლებელია მოხდეს აგროსესხის რესტრუქტურიზაცია.

***— „პროკრედიტ ბანკის“ მიერ სოფლის მეურნეობის სექტორში დაკრედიტება აგრობიზნესმრჩევლების მომსახურებასაც ითვალისწინებს. იქნებ უფრო დეტალურად აგვიხსნათ, რას გულისხმობს ეს სერვისი?***

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ „პროკრედიტ ბანკმა“ აგროსექტორის დაკრედიტება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა სოფლად სავარგულების აღრიცხვა ჯერაც არ იყო მოწესრიგებული. შესაბამისად, ჩვენ შევიმუშავეთ ისეთი მიდგომა, რომელიც საბოლოოდ მსესხებელსაც მისცემდა მაქსიმალურად მაღალ შედეგს და ჩვენც, როგორც ფინანსურ ინსტიტუტს, დაგვაზღვევდა რისკებისგან. შევქმენით აგრობიზნესმრჩევლის კადრი. ეს არის კვალიფიციური, დატრენინგებული, განსწავლული და ამ სფეროში გამოცდილი ადამიანების გუნდი. ისინი სწავლობენ ყველა კონკრეტულ შემთხვევას, კლიენტთან აქვთ მუდმივი კომუნიკაცია და საკუთარ ცოდნას და კვალიფიკაციას უზიარებენ ყველა ჩვენს კლიენტს. დღეს ყველა ერთხმად თანხმდება, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნისთვის პრიორიტეტია, რომ ამ დარგს განვითარება სჭირდება, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც დღეს ამ დარგს აქვს, ინოვაციური მიდგომებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირეა. პერიოდულად, ჩვენს აგრობიზნესმრჩევლებს უტარდებათ სემინარები, რაშიც ბანკი საკმაოდ დიდ დროსა და რესურსს ხარჯავს. ხდება მათი სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობის ყველა დარგისთვის და შემდეგ ისინი თავის ცოდნას კლიენტებს უზიარებენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „პროკრედიტ ბანკი“ ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც კლიენტებს შესთავაზა გამჭვირვალე ურთიერთობა. განსაკუთრებით კი ეს აგროსექტორის კლიენტებისთვის იყო მნიშვნელოვანი, რადგან ბანკთან თანამშრომლობის მწირი გამოცდილება ჰქონდათ. იმთავითვე, ჩვენს კლიენტებს ვაწვდიდით დეტალურ ინფორმაციას და ვუხსნით ყველა წვრილმან დეტალს, რომელიც დაკავშირებული იყო კრედიტთან. სწორედ ამის შედეგია, რომ ჩვენი ბანკისთვის და შესაბამისად ჩვენი ბანკის კლიენტებისთვის უცხოა ცნება „ფარული გადასახადები“ ან „ფარული საკომისიო“. რა პირობებსაც ზეპირად შესთავაზებს ჩვენი თანამშრომელი კლიენტს, სწორედ იმ პირობებს მიიღებს ის სესხის დამტკიცებისას და არ მოუწევს უსიამოვნო „აღმოჩენების“ გაკეთება ხელშეკრულების გაფორმებისას ან უარეს შემთხვევაში, კრედიტის მიღების შემდეგ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ურთიერთობა კლიენტთან და არა სწრაფი და მოკლევადიანი შედეგი.

***— ვის შეუძლია ისარგებლოს აგროსესხით „პროკრედიტ ბანკში“?***

**გიორგი გავაშელიშვილი,** *„პროკრედიტ ბანკის“ აგროსესხების რისკმენეჯერი:* „პროკრედიტ ბანკი“ წარმოდგენილია საქართველოს ყველა რეგიონში, შესაბამისად ნებისმიერ მომხმარებელს, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად შეუძლია მიმართოს ნებისმიერ ჩვენს ფილიალს და მიიღოს შესაბამისი მომსახურება. აგროსესხით სარგებლობისთვის, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მოქმედი მეურნეობა, თუნდაც 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც ის მინიმუმ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამუშავებდა. სწორედ ამ მეურნეობის მოცულობით განისაზღვრება სესხის ოდენობა. სესხის გაცემამდე ხდება ფერმერთან გასაუბრება, გავიგებთ, რა მიმართულებით სურს კლიენტს გამოიყენოს კრედიტით მიღებული ფინანსური რესურსი, მივცემთ რჩევას, დაინიშნება საკრედიტო ანალიზი, აგრობიზნესმრჩეველი ადგილზე მივა, ნახავს, შეისწავლის ვითარებას, დაითვლის ფინანსურ მონაცემებს და შემდეგ მოხდება გადაწყვეტილების მიღება.

***— რა დრო სჭირდება აგროსესხის გაცემას, რადგან ეს ხშირად განმსაზღვრელია სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთათვის.***

— სესხის დამტკიცება ძირითადად 2-3 დღეში ხდება. იმ შემთხვევაში თუ სესხის მოცულობა დიდია, ასე 100-200 ათასი ლარის ან დოლარის ფარგლებში, შესაძლოა კრედიტის დამტკიცების ვადები ერთ კვირამდეც გაგრძელდეს. აგროსესხის მაქსიმალური ზღვარი განსაზღვრული არ არის, მინიმალური ზღვარი კი 8 500 ლარია. ახლა სოფლის მეურნეობის სექტორში საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობს და ბევრი ადამიანი სარგებლობს აგროსესხით „პროკრედიტ ბანკში“. საკმაოდ დიდი აგროპორტფელი გვაქვს. ვაფინანსებთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგს. საქართველოში კი ასეთი საკმაოდ ბევრია. „პროკრედიტ ბანკს“ ასევე სურვილი აქვს, მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში, რომელიც სოფლის მეურნეობის სექტორისთვის შეღავათიანი სესხის გაცემას გულისხმობს და რომელზეც საქართველოს ხელისუფლება ახლა მუშაობს.

გვაქვს მაღალი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ზედმეტმა სესხმა შესაძლოა დააზარალოს ფერმერი. ამიტომ, ჩვენი აგრობიზნესმრჩეველი მას განუსაზღვრავს კრედიტის სახით სწორედ იმ მოცულობის თანხას, რომელიც მას არ დააზარალებს. სწორედ რისკების სწორად შეფასების, ფინანსური ანალიზის სათანადოდ განსაზღვრისა და სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვების გამო, ჩვენი საკრედიტო პორტფელი აგროსესხების მიმართულებით, ისევე როგორც სხვა სექტორებში, ძალიან ხარისხიანია. ვადაგადაცილებული სესხების წილი ჩვენს ბანკში ყველაზე დაბალია და ეს ჩვენი რისკების სწორად შეფასების დამსახურებაა.

P.S. ცოტა ხნის წინ „პროკრედიტ ბანკმა“ თბილისში ახალი სათავო ოფისი გახსნა. თანამედროვე დიზაინით შექმნილი ახალი გამჭვირვალე შენობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ „პროკრედიტ ბანკს“ საქართველოს საბანკო ბაზარზე სტაბილური პოზიცია და შორსმიმავალი გეგმები აქვს. და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ახალი სათავო ოფისი ნათლად ასახავს ბანკის კორპორატიულ ღირებულებებს — ღია კომუნიკაცია და გამჭვირვალობა.









R

# „ხელისუფლებაში ყოფნა უსუსური ხალხისთვის არის ბედნიერება“



**„ბატონ ბიძინას უნდა, რომ სააკაშვილს სახე შეუნარჩუნოს. სააკაშვილს სახე არა აქვს და როგორ შეუნარჩუნებს?“**

*„ხელოვანის შემოქმედებით გრაფიკს და გეოგრაფიულ მიმართულებებს ხელისუფლება არ უნდა ადგენდეს. რუსეთსა და ევროპაში ქართული კულტურის წარმოჩენა არ უნდა გვესმოდეს ისე, რომ ვიღაც უნდა „გადავრიოთ“, რომ სიმღერას თან უნდა მივაყოლოთ ცხელი ხაჭაპური, გოჭი და შიგადაშიგ ჩვენი დევგმირული ისტორია წარმოვაჩინოთ. ვინმეს უნახავს, რომ იტალიელ ტენორს პიცაც შემოეთავაზებინოს ან იაპონურ თეატრს სუშიზე მიეწვია ვინმე? ახლახან საქართველოს რუსული თეატრი სტუმრობდა, მაგრამ ალექსანდრ კალიაგინს ბორშჩსა და არაყზე არავინ დაუპატიჟებია“, — მითხრა პოეტმა* დათო მაღრაძემ. *მასთან ქვეყანაში შექმნილ ვითარებასა და რუსეთთან პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის აღდგენაზე ვისაუბრე:*

**„თუ მომეცემა საშუალება, აუცილებლად ჩავალ რუსეთში ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე“**

**— ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრას როგორ შეაფასებთ?**

— არანაირი სურვილი არა მაქვს, სააკაშვილზე ვილაპარაკო და იმაზე მეტი ყურადღება მივაქციო, ვიდრე იმსახურებს, რადგან წლების განმავლობაში, როცა ხელისუფლების სათავეში იყო, მისი პირადი პრობლემები, რაც მისი ოჯახის გარეთ არ უნდა გამოსულიყო, მთელი საქართველოს პრობლემად იქცა, მაგრამ ახლა სააკაშვილი აღარ არის ხელისუფლების სათავეში.

**„მეზობლობა სამუდამო მოცემულობაა“**

ეს თემა უკვე დამთავრებულია და აღარ განიხილება, მაგრამ არსებობს საერთაშორისო კონიუნქტურა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიო და ბატონი ბიძინა, როგორც ბრძენკაცს შეეფერება, ითვალისწინებს რჩევებს და პოლიტიკურ კონიუნქტურას. სააკაშვილთან საუბრებს სასიკეთო შედეგი რომ არ მოჰყვება, ეს კარგად იცის ივანიშვილმა, მაგრამ მას ქვეყნის მართვაზე, მოსახლეობის ბედ-იღბალზე პასუხისმგებლობა აქვს აღებული და ჩემსავით ემოციურად არ იმოქმედებს. მე ვენდობი ამ ადამიანს. ის სააკაშვილს შეხვდება თუ უცხო ქვეყნის ხელისუფლებას, ვიცი, ჩვენი ხალხის და სამშობლოს ინტერესს დაიცავს. ხელისუფლებაში ყოფნა უსუსური ხალხისთვის არის ბედნიერება. ძალაუფლებით პატივმოყვარე ადამიანები ტკბებიან. ივანიშვილი კი სააკაშვილისგან განსხვავებით პატივმოყვარე კი არა, თავმოყვარეა. ასეთი კაცისთვის ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ პასუხისმგებლობა და ტვირთია.

**„კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი ხარ თუ პროკურატურა?“**

ბატონ ბიძინას უნდა, რომ სააკაშვილს სახე შეუნარჩუნოს და ვფიქრობ, ამჯერად შეუძლებელს შეეჭიდა. სააკაშვილს სახე არა აქვს და როგორ შეუნარჩუნებს? თუმცა ზოგჯერ ივანიშვილი შეუძლებელს აღწევს ხოლმე და იქნებ ესეც მოახერხოს. მაგალითად, ჯერ შეუქმნას სახე და მერე შეუნარჩუნოს. როდესაც ხელისუფლებაში იყო, სააკაშვილს სისხლიანი არლეკინი ვუწოდე. ახლა მისმა დიზაინერებმა იზრუნონ მის ჩაცმულობაზე, მიხრა-მოხრასა და მანქანის ფერზე. ჩემს თვალსაწიერსა და ფიქრებში ეს ადამიანი უკვე აღარ არის, რადგან არჩევნებით გავისტუმრე. სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით ცდილობენ გვეგონოს, რომ ისევ არიან. როგორც ბოლშევიკების სულიერი მემკვიდრეები, კარგად ფლობდნენ პიარტექნოლოგიებს. ბოროტებას ისე ფუთავდნენ, რომ ხალხს ბედნიერების განცდა ჰქონოდა. საზოგადოებრივ მაუწყებელს წასული ხელისუფლების ნარჩენები მართავენ. თავისუფალ ჟურნალისტებს ავიწროებს ბორდი, რომელსაც აგრესიული უმცირესობა მართავს. ახლა ყველა პატიოსანი ქართველის ადგილი სიტყვის თავისუფლებისათვის მებრძოლი ჟურნალისტების გვერდით არის.

**— მაშინ, როცა საზოგადოება წლების განმავლობაში ხედავდა სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებებს, ბევრს ეუცნაურა ივანიშვილის განცხადება, — კოტე კუბლაშვილს შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს თავისი უფლებამოსილების ვადაო.**

— ხელისუფლებაში ვყოფილვარ და ვიცი, ყველა დეტალს ვერ აუხსნი ხალხს, მაგრამ შედეგი აჩვენებს გადაწყვეტილების სისწორეს. იმედია, ხელისუფლება ქართველი ხალხის ნების ასრულებას ემსახურება. შეიძლება ეს დროში განივრცოს, მაგრამ გაგებით უნდა მოვეკიდოთ. მთავარი ის არის, რატომ მიიღო ხალხმა ეს გადაწყვეტილება. ის პროცენტი, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ დაიწერა, საიდან გაჩნდა? სპეცრაზმმა რომ ურნა მოიპარა ხაშურში, აი, იმ ურნის ხალხი არიან ისინი, ვინც პარლამენტში სხედან.

**„საზოგადოებრივ მაუწყებელს წასული ხელისუფლების ნარჩენები მართავენ“**

**— პროკურატურას „შემოიხედე, გენაცვალე“ რატომ უწოდეთ?**

— როდესაც ხალხი იგებს, რომ არსებობს ფაქტებით დამტკიცებული დანაშაული და ამას მოჰყვება პროკურატურის სიტყვები, ამ პირთა დაკავება არ შედის ჩვენს ინტერესშიო, ჩნდება კითხვა, კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი ხარ თუ პროკურატურა? მედიასაშუალებებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ მოსამართლეებზე, ვინც დამნაშავეებს ათავისუფლებს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ამ მოსამართლეების ვინაობა.

კოჰაბიტაცია არ უნდა გადაიქცეს დამნაშავეთა თავშესაფრად და დემაგოგიის ინსტრუმენტად. „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენს უნდა მისი დანაშაულები კოჰაბიტაციამ წაშალოს... ვინც პასუხი უნდა აგოს, აუცილებლად აგებს!

**— „ნაციონალური მოძრაობა“ მაინც ახერხებს პრობლემები შეუქმნას ხელისუფლებას**

— ხელისუფლება თვითკრიტიკულია, პიარი ისე ვერ დავგეგმეთ, როგორც „ნაციონალებმაო“. ხელისუფლების პიარტექნოლოგებს იმდენი უნდა მოეხერხებინათ, რომ მეცოცხეების პარტიასთან თავის მართლება არ დასჭირვებოდა „ქართულ ოცნებას“. აკრიტიკებენ პოლიციასაც, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ასე არ უნდა მოქცეულიყოო. მე კი ვფიქრობ, რომ ეს გარდამტეხი დღე იყო. 9 წლის განმავლობაში პოლიციის ამოცანა იყო ოპოზიციის გვემა, როგორ ვეცემეთ, დავესახიჩრებინეთ, გაზით მოვეწამლეთ, ვეწამებინეთ და დავეხოცეთ. წლების მერე პირველად პოლიციამ ცემით არ გახეთქა ოპოზიცია. პოლიცია მიჩვეულია და, ალბათ, ელოდა ბრძანებას, მიდით, ცემით მოკალით ოპოზიციაო. პოლიცია იმ დღეს გამზავებელი იყო და ხელკეტებით დასახიჩრებული არავინ გაუშვიათ. ამ დღეს დავინახე, რომ ჩვენ აღარ გვყავს პოლიტიკური პოლიცია და ის ხალხს ემსახურება.




**« 9 წლის განმავლობაში პოლიციის ამოცანა იყო როგორ ვეცემეთ, დავესახიჩრებინეთ, გაზით მოვეწამლეთ, ვეწამებინეთ და დავეხოცეთ. წლების მერე პირველად პოლიციამ ცემით არ გახეთქა ოპოზიცია. პოლიცია იმ დღეს გამზავებელი იყო და ხელკეტებით დასახიჩრებული არავინ გაუშვიათ. ამ დღეს დავინახე, რომ ჩვენ აღარ გვყავს პოლიტიკური პოლიცია და ის ხალხს ემსახურება. ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციას ღირსება დაუბრუნა...**

ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციას ღირსება დაუბრუნა.

ივანიშვილმა დაანახვა საზოგადოებას, რომ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უსუსური ორგანიზაცია არ არსებობს, რომ ერთ კაცს შეუძლია სწორად დაგეგმოს თავისი მოქმედებები და ისტორიას ჩააბაროს ეს ტერორისტული ორგანიზაცია. მითი „ნაციონალური მოძრაობის“ უძლეველობის შესახებ ივანიშვილმა ქაღალდის ციხესიმაგრესავით დაჭმუჭნა.

**« დღეს ვინც ამბობს, პატრიოტული ნიშნით არ წავალ რუსეთში ჩემი შემოქმედების წარმოსაჩენად, რადგან რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%-ო, ეს ხალხი მოსკოვიდან ვერ ჩამოჰყავდათ მაშინ, როდესაც რუსეთს საქართველო 100%-ით ჰქონდა ოკუპირებული...**

**— განსჯის საგანი გახდა „ერისიონის“ კონცერტი მოსკოვში.**

— საქართველოს მიწა-წყალი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაკარგა და ამას ხალხი შეეწირა. 2008 წელს საქართველოს და რუსეთის ხელისუფლების რიტორიკა საომარი იყო. რუსეთის ხელისუფლებას ვერაგული პრაგმატიზმი ამოძრავებდა, საქართველოს ხელისუფლება კი უვიცობით ხელმძღვანელობდა. დღეს, როცა ჩვენი ტერიტორია ოკუპირებულია, მძიმე სიტუაციაა, მაგრამ რუსეთი ჩვენი სამუდამო მეზობელია და აქ კარგისა და ცუდის კატეგორიები არ მუშაობს. მეზობლობა სამუდამო მოცემულობაა...

ეს ომი შესაძლოა მაკკეინისთვის იყო სასარგებლო საპრეზიდენტო არჩევნებზე, მაგრამ საქართველოსთვის ტრაგიკულად დასრულდა.

როდესაც ასეთი მოცემულობაა, ჭკვიანი ხელისუფალი პიარს აგორებს გაბუტულობაზე და ამას პატრიოტიზმით შენიღბავს, თუ იმაზე ფიქრს დაიწყებს, რა არის ჩვენთვის სასარგებლო? ზოგიერთი ქართველი „პატრიოტი“, სამწუხაროდ, ფიქრს იმით იწყებს, რა გაუხარდება ან რა ეწყინება პუტინს. დღევანდელი ვითარება ზღვარგადასული ტრაბახისა და უდიალოგობის შედეგია. როცა საქართველო-რუსეთის საზღვარი გაიხსნება, პერიფერიული აღტყინების გამოხატულება იქნება, თუკი მთელი საქართველო დაეწყობა და კინტაურის ცეკვით წავა რუსეთში, მაგრამ თუკი ინდივიდუალური კავშირები გაცოცხლდება, ჩემთვის ამას აქვს ფასი... თუ რუს პოეტს ან მკითხველს ვაინტერესებ როგორც პოეტი (და არა როგორც მხოლოდ ქართველი პოეტი), ეს მნიშვნელოვანია. თუ რუს მკითხველს უნდა შეხვდეს პოეტ დათო მაღრაძეს, როგორ არ შევხვდები, მაგრამ ამ ეტაპზე რუსეთში ჩასვლას არ ვგეგმავ. რამდენიმე დღეში ვერონაში მივდივარ, სადაც იუნესკოს პოეზიის მსოფლიო აკადემიაში გაწევრების რწმუნების სიგელი უნდა გადმომცენ იმ დარბაზში, სადაც მოცარტი უკრავდა. მკითხველს მაშინ შევხვდები, როდესაც ამის ბუნებრივი ინტერესი ექნება და რუსი იქნება თუ ფრანგი, ამას ერთნაირად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნაციების კულტურა მხოლოდ ლექსში და ნახატში არ ვლინდება. ნაციის კულტურა ქცევაში ჩანს.

მომაკვდავი ლენინგრადის ბლოკადის დროს, ლენინგრადის ფილარმონიაში ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია შესრულდა. ბეთჰოვენის გერმანელობას ხელი არ შეუშლია ამ ნაწარმოების შესრულებისთვის და აქ გამოჩნდა ნაციის კულტურა.

ქალაქში, რომელიც გერმანელებთან ომის დროს სიკვდილის პირას იყო მიყვანილი, ბეთჰოვენი არავინ დაგმო, როგორც გერმანელი კომპოზიტორი. რუსოფობიაც ისეთივე ქსენოფობიაა, როგორიც ქართველოფობია ან ანგლოფობია. ჩემი წიგნი „სალვე“ რუსეთში გამომცემლობა „ჩიტატელმა“ გამოსცა, მაგრამ პრეზენტაციას ომმა შეუშალა ხელი. თუ მომეცემა საშუალება, აუცილებლად ჩავალ რუსეთში წიგნის პრეზენტაციაზე. შეზღუდული თვალსაწიერით ნაკარნახები განცდების პატრიოტიზმად მონათვლა არასწორია.

მე, ლექსის მწერალი კაცი, უნდა ვესალმებოდე მამლის ყივილს, მზის ამოსვლას, ბავშვის ღიმილს, ადამიანობის გადარჩენას... ხელისუფლების ოპონენტები ამბობენ, წავიდა ის დრო, როდესაც ერთი ყუთი კონიაკით გვარდებოდა რუსეთში საქმეო. ეს დრო მართლაც წავიდა და ვერ მოვიდა ის დრო, რომ მაგიდაზე შეწყობილი ფეხებითა და ღია პირით კევის ორივე ღრანჭით ღეჭვით გაკეთდეს რაიმე. დღეს ვინც ამბობს, პატრიოტული ნიშნით არ წავალ რუსეთში ჩემი შემოქმედების წარმოსაჩენად, რადგან რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%-ო, ეს ხალხი მოსკოვიდან ვერ ჩამოჰყავდათ მაშინ, როდესაც რუსეთს საქართველო 100%-ით ჰქონდა ოკუპირებული... ჩემი მეგობარია რუსი მწერალი მიხეილ შიშკინი. მხოლოდ იმის გამო, რომ ის რუსია და მე ქართველი, ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა.

ყველა ნაციაშია ჯანსაღი ნაწილი და ყველგან არიან ნაძირალები. ხელმოცარულებს ნიჭიერების მიმართ მუდმივად აგრესია აქვთ და ეძებენ მიზეზს, რაში დაადანაშაულონ. სულ ელოდებიან ისეთ ხელისუფალს, ვინც შეურაცხყოფას მიაყენებს ნიჭიერ ხალხს, რომ ხელისუფლის მხარეს დადგნენ. ასე ხდება მეორეების რევანში პირველებზე. მერე, როცა წუთისოფელი გასწორდება, ჩვენ სულგრძელობა გვმართებს, რადგან ეს ნიჭიერი ხალხის თვისებაა.

**« როცა საქართველო-რუსეთის საზღვარი გაიხსნება, პერიფერიული აღტყინების გამოხატულება იქნება, თუკი მთელი საქართველო დაეწყობა და კინტაურის ცეკვით წავა რუსეთში, მაგრამ თუკი ინდივიდუალური კავშირები გაცოცხლდება, ჩემთვის ამას აქვს ფასი**

*იზო რიკაძე*

# დედოფალს „დიანა“ არ გააგონოთ!

### კეიტ მიდლტონმა სამეფო ოჯახის საიდუმლო გაამჟღავნა

კეიტ მიდლტონს, რომელიც უკვე სავარაუდოდ, სამი თვის ორსულია, ინგლისურ საპორტო ქალაქ გრიმსბიში სტუმრობისას შემთხვევით წამოსცდა, რომ გოგონა ეყოლება — კეიტთან შეხვედრით აღტაცებულმა ერთ-ერთმა ქალბატონმა სამეფო ოჯახის რძალს თეთრი პლუშის დათუნია მიაწოდა, პრინც უილიამის მეუღლემ კი საჩუქარი სიხარულით მიიღო და თქვა: „გმადლობთ, ამ დათუნიას ავიღებ ჩემს ასულ დ-სთვის...“ — „დ“-ს წარმოთქმისას კეიტს ენა დაება, გაწითლდა, დაიბნა და სიტყვა გაუწყდა.

იქვე მდგომმა გრიმსბის მცხოვრებმა 67 წლის ქალბატონმა კეიტს მაშინვე ჰკითხა: „გინდოდათ გეთქვათ, რომ დათუნია გოგონასთვის გსურთ?“, რაზეც მიდლტონი უფრო გაწითლდა და უპასუხა: „არა, ჩვენ არ ვიცით ბავშვის სქესი, უფრო ზუსტად, არავის ვეუბნებით!“

როგორც ცნობილია, კეიტისა და უილიამის შვილის დიდი ბებია, დედოფალი ელისაბედ მეორე, გოგონას დაბადების შემთხვევაში, წინააღმდეგია ბავშვს დიანა დაარქვან. დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლის ეტიკეტის თანახმად, დედოფალს აქვს აბსოლუტური უფლება, მოიწონოს ან დაიწუნოს ნებისმიერი პოტენციური მემკვიდრის სახელი. არადა, მომავალმა მშობლებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ გოგონასთვის უილიამის გარდაცვლილი დედის, ლედი დიანას პატივსაცემად მისი სახელის დარქმევა სურდათ, რაზეც ელისაბედ მეორემ კატეგორიული უარი განაცხადა!

შეწუხებულმა უილიამმა მამამისს, პრინც ჩარლზს სთხოვა დედოფალთან ეშუამდგომლა. სამეფო ოჯახთან დაახლოებული წყარო აცხადებს, რომ ჩარლზი გაგებით ეკიდება შვილის სურვილს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ დედოფალი გადაწყვეტილებას არ შეცვლის.

პირველი ცნობები კეიტის ორსულობის შესახებ 2012 წლის დეკემბერში გამოჩნდა და მას შემდეგ კემბრიჯის ჰერცოგის მეუღლის შესახებ ინფორმაციას პრესა გაფაციცებით ეძებს. მათი გამოთვლებით მიდლტონი ბავშვს ივლისში გააჩენს — გოგონა გაჩნდება თუ ბიჭი, ის ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე იქნება.



კემბრიჯის ჰერცოგის მეუღლეს წამოსცდა, რომ გოგონა ეყოლება













## სკანვორდი




## მხიარული არითმეტიკა




დაეხმარე ტყის ბინადრებს და მოცემულ მაგალითებში ჩასვი საჭირო არითმეტიკული ნიშნები

## რებუსები




## იპოვე საერთო




## ეს საინტერესოა

ფეხბურთს ყველა ქვეყანაში თამაშობენ, მაგრამ ყველაზე უჩვეულო მატჩები ესკიმოსებს აქვთ. იქაურ ფეხბურთს ,,ასეკტუკი“ ჰქვია. მოწინააღმდეგეთა კარები ერთმანეთისგან 16 კმ-ითაა დაშორებული. ბურთს ზღვის ლომის ტყავისგან კერავენ. თამაშში მთელი სოფელი მონაწილეობს. ზოგჯერ შეჯიბრება 3 დღე-ღამეს გრძელდება.



პასუხები იხილე: 37-ე გვ.

8-დან 15 მარტამდე




დიდი მეზღაპრეების
საღამოობით საკითხავი ამბები
სახალისო, ფერადი და ჯადოსნური წიგნები მაგარი ყდით

ყოველ პარასკევს ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან“ ერთად ახალი წიგნი „საღამოობით საკითხავი „ლამაზ-ლამაზი ამბები“ 5 ტომად

წაიკითხე, იოცნებე და იმოგზაურე ჯადოსნურ სამყაროში

წიგნის ფასი: 4 ლარი
ჟურნალთან ერთად: 5 ლარი

შემდეგი წიგნი:
მომავლის სკოლა






იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში!
წიგნები ადგილზე მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 www.elva.ge

ასევე, „საბავშვო კარუსელის“ ამ ნომერში იპოვე
შენი კუპონი

# მკითხველთა თხოვნით — ბიბლია აპრილში ისევ გამოვა

*მას მერე, რაც გამომცემლობა „პალიტრა L“-მა პრეზენტაციაზე წარადგინა „50 + ბიბლია + 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, ყველა განსაკუთრებულად ელოდა ბიბლიას... ველოდით ჩვენც — მედიასახლის და გამომცემლობა „პალიტრა L“-ის თანამშრომლები. ამიტომ ძალიან გაგვახარა საპატრიარქოს დამუშავებული ტექსტით მაღალპოლიგრაფიულად გამოცემული ბიბლიის ნახვამ...*




**მთავარი წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!**

**„წმინდა წიგნისკენ მიმართული მხოლოდ ერთი მზერაც კი ცოდვის ჩადენის სურვილს გვიქარწყლებს“**

შეგახსენებთ, რომ „პალიტრამედიამ“ ბიბლიის გამოცემასთან დაკავშირებით გადაწყვიტა, რჩევა უწმინდესისა და უნეტარესისთვის ეკითხა. მისი კურთხევით, ბიბლია უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ არა დანომრილი, არამედ როგორც ცალკე მდგარი დიდი წიგნი. მისი კურთხევა შესრულდა...

ყველაზე მთავარი წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ, სოლიდური ტირაჟით გამოვიდა, თუმცა მოხდა უპრეცედენტო რამ — წიგნის მაღაზიებსა და გაზეთების ჯიხურებში ბიბლია ორ საათში გაიყიდა და ძალიან ბევრი მკითხველი გულდაწყვეტილი დარჩა, ვერ მოასწრო ამ სულიერი საგანძურის შეძენა. ბიბლიის შეძენა ვერც მე მოვასწარი და ვერც „პალიტრამედიის“ თანამშრომელთა უმეტესობამ — პირველი ტირაჟით დაბეჭდილი ბიბლია არ შეგვხვდა...

ხშირად გვეკითხებიან, ნამდვილად გამოვა, თუ არა ბიბლია და იქნება თუ არა იმდენი, რამდენიც ჩვენს მკითხველს დასჭირდება... ველით მეორე ტირაჟს, რომელიც აპრილში, სავარაუდოდ 22 რიცხვში გამოვა გასაყიდად ისევ „კვირის პალიტრასთან“ ერთად და ისევ 14 ლარი ეღირება.

ვიდრე საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ბიბლიის მოლოდინშია, მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შეგონება, რომელიც ჩვენთან შეხვედრისას გაგვიზიარა:

— უდიდესი მნიშვნელობა აქვს, წიგნის კითხვისკენ მოვაბრუნოთ საზოგადოება, არის შემთხვევა, როცა შინ აქვთ ბიბლია, მაგრამ მაინც არ კითხულობენ... ამიტომ მთავარია, დავაფიქროთ, კითხვა მოვანდომოთ ადამიანებს...

ვასრულებთ პატრიარქის კურთხევას, რათა თითოეული წიგნი ბიბლიისა, მივიდეს მათ გულებამდე და არა მარტო მათი წიგნის თაროებამდე. ბიბლია უნდა წაიკითხოთ, სანამ ცოცხალი ხართ, რადგან, როგორც *წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)* გვმოძღვრავს: „ძმანო ქრისტიანენო, სიტყვა ღვთისა გვყოფს ნეტარად, უკეთუ ვისმენთ და აღვასრულებთ მას. სიტყვა ღვთისა, ანუ საღმრთო წერილი პირველად განანათლებს გონებასა და გულსა კაცისას და მეორედ გამართავს და შეამკობს მისსა მოქმედებასა“.

*წმინდა იოანე ოქროპირი:* „ვისაც ბიბლია აქვს, იგი მას დიდ სარგებლობას მოუტანს და უდიდეს ნუგეშს მიანიჭებს. ხშირად ამ წმინდა წიგნისკენ მიმართული მხოლოდ ერთი მზერაც კი ცოდვის ჩადენის სურვილს გვიქარწყლებს“.

*წმინდა ეფრემ ასური:* „ადამიანის ნაკლია, არ იცოდეს წმინდა წერილი, მაგრამ ორმაგი ნაკლია, რომ იცის, მაგრამ უგულებელყოფს მას“...

*წმინდა ირინეოს ლიონელი* წერს: „ეკლესია ამქვეყნიური სამოთხეა. ძველი და ახალი აღთქმის წიგნები კი ამ სამოთხეში გაშენებული სხვადასხვა ხეხილი და ნერგი. მაშ, ვიხმიოთ ნაყოფი საუფლო ბაღისა“.

*ლელა ჯიყაშვილი*

DWVG
Deutsche Wirtschaftsvereinigung Georgien
messe frankfurt

# „სრულყოფილი არასრულყოფილება“ — ფრანკფურტმა მსოფლიოში უდიდეს ყოველწლიურ გამოფენას უმასპინძლა

81 ქვეყანა, 4688 მონაწილე, 27 საგამოფენო დარბაზი, 140 000-ზე მეტი დამთვალიერებელი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან — 15-19 თებერვალს ფრანკფურტში სამომხმარებლო საქონლის მსოფლიოში უდიდესი გამოფენა გაიმართა. მესე ფრანკფურტის გამოფენებს საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზრის ყველაზე ცხელ წერტილს უწოდებენ, ვინაიდან ეს არის შეხვედრის მთავარი წერტილი მწარმოებლებსა და მოხმარებლებლებს, სპონსორებსა და პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორებს შორის.

გამოფენა სამ სეგმენტად იყოფა: საყოფაცხოვრებო ნივთების, ულტრათანამედროვე სამზარეულოებისა და ორიგინალური საჩუქრების გამოფენები.

მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში გერმანიის ეკონომიკური გაერთიანებაა (DWVG). ეს არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომლის წევრი ფირმებიც გერმანულ-ქართულ ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტიურად არიან ჩაბმულნი. DWVG 2007 წელს დაარსდა და დღეისათვის იგი 80-ზე მეტ წევრს ითვლის ქართული და გერმანული ეკონომიკის სხვადასხვა სფეროდან.

„ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ გერმანიასა და საქართველოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებას და დავიცვათ გერმანული ეკონომიკის ინტერესები საქართველოში. კერძოდ, ჩვენ ვთავაზობთ გერმანულ ფირმებს საქართველოში ბიზნესსაკითხებში საორგანიზაციო საკითხების სრულად მოგვარებას და აქტიურად ვეხმარებით მათ ქართულ ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებაში.

„2012 წლის 10 დეკემბერს ჩვენ გავხდით მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. ვფიქრობთ, მსოფლიო ბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის სწრაფ წინსვლასა და განვითარებას ნიშნავს, ამიტომ ჩვენ ხელი შევუწყვეთ ქართული მედიის წარმომადგენელსაც, რათა მას ჰქონოდა საშუალება გაეშუქებინა ეს მოვლენა, მომავალი წლისთვის კი ვიწყებთ მუშაობას იმაზე, რომ 2014 წლის ბაზრობაზე ქართული ექსპოზიციებიც გამოჩნდეს“, — განაცხადა პროექტის მენეჯერმა, **ზაირა სოლოევამ**.

2013 წლის 15 თებერვალს ფრანკფურტის გამოფენა — ამბიენტე (Ambiente) საზეიმო ვითარებაში გერმანიის ეკონომიკისა და ტექნოლოგიის მინისტრმა ფილიპ რიოსლერმა და მისმა ფრანგმა კოლეგამ სილვია პინელმა გახსნეს.

„ამბიენტე 2013-მა წელს ნათლად დაამტკიცა, რომ მსოფლიოს სამომხმარებლო საქონლის წამყვან გამოფენას წარმოადგენს. ევროპის ზოგიერთ



ნაწილში რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, ამბიენტეზე მონაწილეთა და დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდა აშკარად შეინიშნებოდა“, განაცხადა ფრანკფურტის გამოფენის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა **დეტლევ ბრაუნმა**.

„საფრანგეთი — ცხოვრების ხელოვნება“ — ფრანკფურტის გამოფენის ამ პროექტის ფარგლებში გამოფენას ფრანგული კინოს ვარსკვლავი, კატრინ დენევი ეწვია. ამბიენტეზე თავისი ტურის განმავლობაში, მას საშუალება მიეცა ულტრათანამედროვე საყოფაცხოვრებო ნივთებს, სამზარეულოს ტექნიკასა და ორიგინალურ საჩუქრებს გასცნობოდა.

„ამბიენტესთან დაკავშირებით ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი მონაწილეთა მაღალი ოსტატობაა; ისინი განასახიერებენ შემოქმედებით მრავალფეროვნებას დიზაინის, დახვეწილი ავეჯისა თუ დეკორაციების ხედვაში. სასიამოვნოა იმისი დანახვა, თუ როგორ ასახავენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ნიჭიერი ადამიანები თავიანთ კულტურასა და განსხვავებულობას ექსპოზიციებში. ამ გლობალიზაციის ეპოქაში, შთაგონების ერთ დროსა და სივრცეში თავმოყრა მართლაც უნიკალური და ამაღელვებელია“, აღნიშნა **კატრინ დენევმა**.

ერთ-ერთ ექსპოზიციაზე ჩვენ მედეას ბროლის ნაკეთობასაც წავაწყდით. მეთს ჯონსონმა შუშაზე მუშაობა 14 წლის ასაკიდან დაიწყო და უკვე 50 წელიწადზე მეტია ამ ინდუსტრიაშია. შვედი შუშის დიზაინერის ერთ-ერთი მთავარი ხაზი ფანტასტიკაა და როდესაც საქმე ფანტასტიკას ეხება, ის შთაგონებას ყოველთვის მითოლოგიიდან იღებს. როგორც დიზაინერის წამომადგენელმა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში აღნიშნა, მედეას ნამუშევრის შექმნისას, გმირის ტრაგიკული ისტორიის გათვალისწინებით, მთავარი იდეა ქალის ძალის წარმოჩენა იყო. მასალაც შესაბამისად შეარჩიეს: რკინა, ბროლი და ხე. ნამუშევარი კი, 7000 ევროდააა შეფასებული.

ამბიენტეს სამზარეულოს განყოფილების დირექტორი თომას კასტლი წელს ამ სფეროში მუშაობის ოცი წლის იუბილეს აღნიშნავს. „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში მან მძაფრი კონკურენციის პირობებში მთავარი წინააღმდეგობების შესახებ ისაუბრა.

„ჩვენთვის ერთ-ერთი გამოწვევა ისაა, რომ სამომხმარებლო ნივთების ჩვენებები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მუდმივად იმართება. ამის გათვალისწინებით, ჩვენი ამოცანა ხდება ვიყოთ რადიკალურად განსხვავებულები, ორიგინალურები. ჩვენს ხელშია კარგი მენეჯმენტი, კეთილმოწყობილი საგამოფენო დარბაზები, იდეები თუ როგორ დავაკავშიროთ სხვადასხვა მიმართულება; ხოლო შემდეგ მოდის მთავარი: პროდუქტი, რომელიც ექსპოზიციაზეა წარმოდგენილი. სწორედ ეს არის ის, რითაც გამოფენა ხდება დასამახსოვრებელი და გამორჩეული. ჩვენი მიზანია აღმოვაჩინოთ და სწორად შევარჩიოთ დიზაინერები, რომლებიც შეძლებენ გამოფენაში ეს სიახლეები შეიტანონ“, განაცხადა **თომას კასტლმა**.

სწორედ ამიტომ, მესე ფრანკფურტზე განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენას და მათს შემდგომ წინსვლაში დახმარებას. ტალანტები — ეს არის სპეციალურად განკუთვნილი განყოფილება ახალგაზრდა დიზაინერებისთვის, რომელთათვისაც მსგავსი მასშტაბების გამოფენა პირველია. მათ საშუალება ეძლევათ გაიაზრონ, რამდენად პასუხობს მათი იდეები თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს და გაიგონ, რომელი სეგმენტისთვის უფრო მისაღებია მათ მიერ შექმნილი პროდუქტი: ევროპის, აფრიკის თუ აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრისთვის.

ფრანკფურტის პირველი ბაზრობა თითქმის 800 წლის წინ გაიმართა. ქალაქის ცენტრში გამოფენილი იყო სამკაულები, სუნელები, ხელნაკეთი ნივთები, შუშისგან დამზადებული ნამუშევრები. მნიშვნელოვანია, რომ იმ დროიდან მოყოლებულიც კი, ღონისძიება უკვე საერთაშორისო იყო და მასში მონაწილეობას ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ. ვაჭრები კი, რომლებიც ფრანკფურტში უცხო ქვეყნიდან ჩადიოდნენ, განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ ადგილობრივი მმართველობის მხრიდან, რათა თავიდან აეცილებინათ ქურდობა.

2013 წლის გამოფენისთვის დამახასიათებელია ტრადიციული ფორმების გამოყენება, ოღონდ უმცირესი შტრიხების — ზომის ან ფორმის შეცვლით, თუნდაც სხვადასხვა მასალის შერევით, მათთვის ორიგინალური, ახალი სახის მიცემა: მაგიდა, რომელიც ანათებს; სამარილე-შეიქერი; თერმოსი ჭიქა, რომელიც არ წაიქცევა თუ ხელს გაჰკრავთ — ყოველდღიურობის შემადგენელი ეს ნივთები ფრანკფურტის გამოფენაზე უჩვეულოდ და არატრადიციული სახით იყო წარმოდგენილი.

„სრულყოფილი არასრულყოფილება — წლევანდელი ბაზრობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ტენდენციაა. ჩვენი თვალი იმდენად დაღლილია სრულყოფილი ფორმებით, ფაქტურით, ფერთა შეხამებით, რომ უკვე ვეძებთ სიმარტივეს, სისადავეს, ხანდახან შეუსაბამობას, ქაოსსაც კი. მაგალითად, ახალგაზრდა







ესტონელი დიზაინერის ფაიფურის სერვიზი ცემენტის ატრიბუტებით“, აღნიშნა პროფესორმა **ჰანსიერგ მაიერ-აიჰენმა**.

ყოველი მორიგი გამოფენის მოსამზადებელი პერიოდი წელიწადზე მეტხანს გრძელდება. „ამბიენტე 2014“-ის მზადება უკვე რამდენიმე თვეა დაიწყო, მომავალი წლის აპლიკაციები უკვე გახსნილია, პროგრამაც — თითქმის შედგენილი. მონაწილეთა შერჩევა გამოფენის გახსნამდე ორი თვით ადრე დასრულდება. ფრანკფურტის საერთაშორისო გამოფენას წელს ათზე მეტი დაინტერესებული ქართული კომპანია დაესწრო. საქართველოს უკვე აქვს შანსი თავისი პროდუქცია მსოფლიოს გააცნოს. იქნება თუ არა ფრანკფურტის მორიგ გამოფენაზე ქართული ექსპოზიციაც, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

*ნინო ახალაძე*

R

# „შავი კატა“



**წერილი ცნობილ საბჭოთა „ხმას“, დიქტორ ლევიტანს: „გეყო, რაც იგრიალე! დღეს შენთან მოვალთ და მოგკლავთ!**



*ფილმით — „შეხვედრის ადგილი უცვლელია“ საზოგადოებამ ბანდა „შავი კატის“ შესახებ პირველი ინფორმაცია მიიღო. ფილმში არაპოვს შარაპოვი ჰქვია (მის როლს ვლადიმირ ვისოცკი ასრულებს)*

*1946 წელს მოსკოვში ერთიმეორის მიყოლებით რამდენიმე ძარცვა მოხდა. ბანდიტები თავს დაესხნენ მაღაზიას, შემნახველ სალაროს. ყველა, ვინც გზაზე გადაეღობა, მოკლეს, კედელზე კი ნახშირით დახატული შავი კატა დატოვეს.*

*— ეს მათი საფირმო ნიშანი იყო, — იგონებს ჩეკისტი ვლადიმერ არაპოვი. ბანდა „შავი კატის“ შესახებ კი პირველად მეგობრისგან შეიტყო.*

*— მალე გაებმებიან მახეში, — გესლიანად შენიშნა არაპოვის მეგობარმა სკორინმა, — რესტორნებში გრიალს და ფულის ფანტვას დაიწყებენ, ჩვენც ჩავავლებთ!..*

## „გიჟები არიან თუ რა?“

მოგეხსენებათ, სტალინის ეპოქაში ფულის ხარჯვა პრობლემა გახლდათ. მაღაზიები თითქმის ცარიელი იყო, რიგიანი ნივთის შეძენა მხოლოდ შავ ბაზარზე შეიძლებოდა: „ბარიგები“ კი პარალელურად მილიციაზეც მუშაობდნენ. ჩეკისტებმა ზუსტად იცოდნენ, ვინ იყვნენ შავი ბაზრის კლიენტები. მსგავსი ვითარება იყო რესტორნებშიც — დარაჯები, ოფიციანტები, მომსახურე პერსონალი შინსახკომის კრეატურას წარმოადგენდა. საბჭოთა მოქალაქე, რომელიც რესტორანში დროს ხშირად ატარებდა, უმალ საიდუმლო პოლიციის ყურადღების ქვეშ ექცეოდა... თუმცა „შავი კატა“ რესტორნებსა და შავ ბაზარსაც ცეცხლივით ერიდებოდა.

**რის მიხედვით გადაიღეს ცნობილი რუსული სერიალი**

— ეშმაკმა დალახვროს, გიჟები არიან თუ რა?! — გულიანად შეიგინა სკორინმა.

გადიოდა დრო. ბანდა მოსკოვსა და მის შემოგარენში დათარეშობდა. გაზეთები კრინტს არ ძრავდნენ. აკი, ოფიციალური პროპაგანდა ამტკიცებდა: სსრ კავშირში სოციალიზმი აშენდა, აქ არავითარი ბანდიტიზმი არ არსებობს! ამასობაში „შავ კატას“ მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ.

## შეშინებული ლევიტანი

„საბჭოთა ინფორმბიურო გატყობინებთ!“ — მეორე მსოფლიო ომის დროს ეს ხმა ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის ნაცნობი იყო, დიქტორი ლევიტანი ხალხში ფაშიზმზე გამარჯვებასთან ასოცირდებოდა... „შავი კატა“ ერთხელ ამ „ხმასაც“ ესტუმრა — ერთ დღეს ლევიტანმა თავის საფოსტო ყუთში კონვერტი აღმოაჩინა. იქ კი წერილი იდო:

— გეყო, რაც იგრიალე! დღეს შენთან მოვალთ და მოგკლავთ! — „შავი კატა“.

გულწასული ლევიტანი იქვე ჩაიკეცა გამოიძახეს სასწრაფო დახმარება და მხცოვანი დიქტორი ძლივს მოასულიერეს. ის ცნობილი კაცი იყო, ამიტომ საქმეში უშიშროება ჩაერია, რომელმაც მალე დაადგინა, რომ წერილის ავტორები მეზობლად მცხოვრები მოზარდები იყვნენ...

**« ბოლოტოვმა მილიციას ცეცხლი გაუხსნა, უკანასკნელი ტყვია კი შუბლში დაიხალა... ივანე მიტინს დახვრეტა მიუსაჯეს. ამბობენ, განაჩენს ვაჟკაცურად შეხვდაო... ბანდის ზოგირთი წევრი დახვრიტეს, ზოგსაც ხანგრძლივი პატიმრობა აკმარეს**

## ან ორდენი, ან ციმბირი!

„მოსკოვში მოუხელეთებელი ბანდა გამოჩნდა!“ — ლევიტანის შემთხვევა გახმაურდა და სტალინის ყურამდეც მიაღწია. მან კი ჩვეულ ზომებს მიმართა — მურ-ის მთელი ხელმძღვანელობა თანამდებობიდან მოხსნეს, ზოგი დააქვეითეს, ზოგსაც თავი გულაგებში უკრეს. მიუხედავად ამისა, შედეგი არ ჩანდა... როდესაც 1952 წელს სკორინს შეატყობინეს, ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების უფროსად დაგნიშნესო, შესძახა:

— რა დაგიშავეთ?! ჩემგან „შავი კატის“ შეპყრობას მოითხოვთ, ხომ ასეა?!

— ასეა! ამაზე ბევრმა მოიმტვრია კისერი, შენ რა, წითელი კოჭი ხარ?! თუმცა შესაძლოა დაგაწინაურონ. თუკი ბანდას აიყვან, ორდენს მიიღებ, თუ ვერა — გაგაციმბირებენ!

## საბედისწერო ლუდის კასრი

სკორინმა დახმარებისთვის მეგობარს მიმართა და მოადგილედ არაპოვი დანიშნა. ორივემ მომხდარი კიდევ ერთხელ გააანალიზა. დანამდვილებით მხოლოდ ორი რამის დადგენა მოხერხდა: 1) ბანდის წევრები „შავ სამყაროს“ არ განეკუთვნებიან. 2) ბანდის მეთაური მაღალი, ქერა მამაკაცია. არაპოვმა ყურადღება კიდევ ერთ დეტალზე გაამახვილა: ბანდა მოსკოვსა და მის მახლობლად მძვინვარებს. კრასნოგორსკი ერთადერთი ქალაქია, სადაც „შავი კატა“ არ გამოჩენილა. გამორიცხული არ არის, იქიდან იყვნენ...

მალე კრასნოგორსკიდან საინტერესო ცნობა მოვიდა: ვინმე ვიაჩესლავ ლუკინმა მთელი კასრი ლუდი იყიდა, მეგობრებთან ერთად ქუჩაში გამოაგორა და გამვლელ-გამომვლელს უფასოდ გაუმასპინძლდა. მაშინ ასეთი საქციელი გაუგონარი იყო.

— ეტყობა, რომ ფული ჩეჩქივითა აქვს. საიდან?! — სკორინი შეიშმუშნა, — საიდან?!

თავდაპირველად აპირებდა ლუკინის ბინაში ჩხრეკა მოეწყო, მაგრამ მერე თავი შეიკავა, რადგან ლუკინი კრასნოგორსკის მილიციის უფროსის ვაჟი აღმოჩნდა. ვიაჩესლავი ადგილობრივ სამხედრო ქარხანაში მუშაობდა, თან აქტიური კომკავშირელი და სპორტსმენი (ქარხნის ჰოკეის გუნდის წევრი) გახლდათ. მის მეგობრებსაც „შავ სამყაროსთან“ კავშირი არ ჰქონიათ. ზოგი ქარხანაში მუშაობდა, ზოგიც სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა. ყველანი სპორტსმენები და აქტიური კომკავშირელები იყვნენ. ერთ-ერთი, ქარხნის ხარატი ივანე მიტინი, შრომის წითელი დროშის ორდენზეც კი იყო წარდგენილი.

— ჩვენი ყურადღება სწორედ მიტინმა მიიპყრო, — იგონებდა შემდგომში არაპოვი, — მაღალი და ქერა გახლდათ, მისი გარეგნული ნიშნები ბანდის მეთაურისას ემთხვეოდა!

მიტინს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვინმე არკადი პანფილოვთან, რომელიც ასევე ქარხანაში მუშაობდა. ომში გამოჩენილი გმირობისთვის ორდენით იყო დაჯილდოებული. მას ახალგაზრდების წრეში ხშირად ხედავდნენ, თუმცა განსაკუთრებით მიტინთან, ლუკინთან და მათ ახლობლებთან ძმაკაცობდა.

— აი ბანდაც! — წამოიძახა არაპოვმა.

— ეს ჯერ უნდა დავამტკიცოთ, — მიუგო მოღუშულმა სკორინმა.

## მტკიცებულება

მალე პანფილოვი რაღაცის გამო სახლმმართველობაში დაიბარეს. საუბრისას სახლმმართველი ზინოვი „ცუდად გახდა“. პანფილოვმაც უმალ გრაფინიდან წყალი დაუსხა და მიაწოდა. ზინოვი ჭიქას არ გაეკარა. როგორც კი პანფილოვი გავიდა, ოთახში მურ-ის თანამშრომელი შემოვიდა და ჭიქა ცხვირსახოცით ფრთხილად აიღო. დიქტილოსკოპიურმა ექსპერტიზამ ფანტასტიკური შედეგები აჩვენა.

— პანფილოვის ნამდვილი გვარი პეტრე ბოლოტოვი ყოფილა, ის ყოფილი ოფიცერი გახლდათ. ომის დროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მართალია, პარტიზანთა რიგებში იბრძოდა, მაგრამ მაინც დააპატიმრეს და მაგადანის ბანაკში უკრეს თავი. ბოლოტოვმა გაქცევა შეძლო. მასზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა... ყალბი საბუთებითა და ომში გამოჩენილი გმირობისთვის ყალბი ორდენით „დაჯილდოებულმა“ არკადი პანფილოვმა საზოგადოებაშიც პატიოსანი მოქალაქის სახელი დაიმკვიდრა...

— ესეც ასე! — არაპოვი კმაყოფილი იყო.

**« ბანდა მოსკოვსა და მის შემოგარენში დათარეშობდა. გაზეთები კი ამაზე კრინტს არ ძრავდნენ. აკი ოფიციალური პროპაგანდა ამტკიცებდა: — სსრკ-ში სოციალიზმი აშენდა, არავითარი ბანდიტიზმი არ არსებობსო!**

იმავე დღეს „დომუშნიკი“ სენკა ტუზიკი მურ-ის დავალებით ლუკინების ბინაში შეიპარა. ტუზიკის ყურადღება ლუკინის საწოლქვეშ მოთავსებულმა უზარმაზარმა ჩემოდანმა მიიპყრო. გახსნა თუ არა, გაოცებისგან დაუსტვინა — ჩემოდანი ფულით იყო სავსე. ახალგაზრდები იმავე საღამოს დააპატიმრეს.

— ახლა ბოლოტოვის ჯერია! — სკორინს სიხარულისგან ენა ებმოდა.

ბოლოტოვის დაპატიმრება ვერ მოხერხდა.

მილიციას ცეცხლი გაუხსნა, უკანასკნელი ტყვია კი შუბლში დაიხალა.

## „ჩვენ ამ რწყილებზე მაღლა დავდექით“

ყველა დაკავებულს დიდი ოდენობით ფული და იარაღი ამოუღეს... თუმცა არაპოვს ერთი რამ მოსვენებას არ აძლევდა: რატომ აკეთებდნენ ამას ბიჭები? არაპოვმა მიტინი ციხეში საგანგებოდ ინახულა, რათა ეს კითხვა დაესვა.

— ეჰ, უფროსო! — ამოიოხრა მიტინმა, — აბა, როგორ აგიხსნა? ჩვენი ქვეყანა ვეებერთელა ციხეა! ადამიანი დაჩმორებულია, ყველასი ეშინია — შინსახკომის, უფროსების, სახლმმართველის, ქურდების, უფულობის... ჩვენ ამ რწყილებზე მაღლა დავდექით. იცი, ეს რა საოცარი განცდაა?! ყველანი ფეხებზე გვეკიდა — მილიციაც, ქურდებიც...

— ეს ბოლოტოვმა შთაგაგონათ?

— არა! მას შურისძიების მოტივი ამოძრავებდა. ის მართალი იყო, კაცი პატიოსნად იბრძოდა, მერე რა, რომ უნებლიეთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა? ის ხომ პარტიზანებს შეუერთდა და გერმანელებს ფერდები გვარიანად აუწვა! ბოლოტოვი ორდენს იმსახურებდა, თქვენ კი ბანაკში გამოამწყვდიეთ! ეჰ, თქვენი...

— ბანდის მეთაური შენ იყავი, თუ ბოლოტოვი?

— ოპერაციას ბოლოტოვი გეგმავდა, ბიჭები კი ამ ამბავში ჩემ გამო გაებნენ. ისინი მე გამომყვნენ, გესმის?!

## ეპილოგი

ივანე მიტინს დახვრეტა მიუსაჯეს. ამბობენ, განაჩენს ვაჟკაცურად შეხვდაო. ბანდის ზოგიერთი წევრი დახვრიტეს, ზოგსაც ხანგრძლივი პატიმრობა აკმარეს. 1979 წელს ტელეეკრანებზე გამოვიდა სერიალი „შეხვედრის ადგილი უცვლელია“. ამ ფილმით საზოგადოებამ ბანდა „შავი კატის“ შესახებ პირველი ინფორმაცია მიიღო, თუმცა ფილმში სინამდვილე თავდაყირაა დაყენებული. ავტორებმაც მთავარ გმირებს გვარები შეუცვალეს. ფილმში არაპოვს შარაპოვი ჰქვია (მის როლს ვლადიმირ ვისოცკი ასრულებს), სკორინს კი ჟიგლოვი.

*ნიკა თევზაძე*



# გემრიელი

## ყველის კრემ-სუპი



***საჭირო მასალა:*** 1 ცალი სტაფილო; 1,5 ლ წყალი; 1 თავი ხახვი; 2 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი; 150 გ ნაღების მდნარი ყველი; 1 კონა კამა; 1 ცალი ქათმის ბულიონის კუბიკი; 1 ჩ.კ. პურის ფქვილი; 2 ჩ.კ. კარაქი; მარილი; წიწაკა

***მომზადება:*** ხახვი წვრილად, ხოლო სტაფილო და კარტოფილი პატარა კუბებად დავჭრათ. წყალი ჩავასხათ ქვაბში, ჩავუმატოთ სტაფილო და კარტოფილი და დავდგათ ცეცხლზე. ტაფაზე კარაქში მოვშუშოთ ხახვი და ბულიონის კუბთან ერთად ჩავყაროთ ქვაბში. როდესაც სტაფილო და კარტოფილი მოიხარშება, გადავწუროთ, წვენი კვლავ ქვაბში ჩავაბრუნოთ, ხოლო ბოსტნეული ცოტა წვენთან ერთად ბლენდერით ავთქვიფოთ. ჩავაბრუნოთ ქვაბში, დავუმატოთ მარილი, ყველი, ფქვილი და დავდგათ ცეცხლზე. ვხარშოთ, სანამ ყველი არ ჩადნება. როდესაც ადუღდება, წვნიანს დაჭრილი კამა მოვაყაროთ და ცეცხლიდან გადმოვდგათ.

## ფინიკის სამარხვო ნამცხვარი



***საჭირო მასალა:*** 20 ცალი კურკაგამოცლილი ფინიკი; 3/4 ჭიქა შაქარი; 0,5 ჭიქა სამარხვო ერბო ან კარაქი; ლიმონი; 1,5 ს.კ. სახამებელი; 2 ჭიქა ფქვილი; 50 მლ ჩაის ნაყენი; 2 ჩ.კ. გამაფხვიერებელი ფხვნილი.

***მომზადება:*** ფინიკი და კანგაცლილი ლიმონი ბლენდერში დავაქუცმაცოთ, შემდეგ შევათქვიფოთ შაქარი, ცხიმი, სახამებელში არეული გამაფხვიერებელი, ფქვილი და ჩაის ნაყენი.

ცომი ცხიმწასმულ ფორმაში მოვათავსოთ ისე, რომ ფორმის 2/3 გაავსოს და შევდგათ 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში. ვაცხოთ დაახლოებით 25 წუთის განმავლობაში.

## ღომის სენდვიჩები



***საჭირო მასალა:*** 500 გ სიმინდის ღერღილი; წყალი საჭიროების მიხედვით; ყველი; კარაქი- შესაწვავად; პამიდვრის მზა სოუსი.

***მომზადება:*** სიმინდის ღერღილი კარგად გავრეცხოთ. დავასხათ წყალი, რომ დაფაროს და დავდგათ მოსახარშად. მზა ღომი რამე ფორმაში გადავიღოთ და გავაციოთ. შემდეგ დავჭრათ თანაბარი ზომის კვადრატებად. კვადრატები გავჭრათ სიგანეზე და შუაში ჩავუდოთ ყველის ნაჭრები. ღომის სენდვიჩები გადავიტანოთ ოდნავ ცხიმიან ტაფაზე და რამდენიმე წუთით შევდგათ ღუმელში, რომ ყველი დარბილდეს. სუფრაზე მიტანის წინ შეგვიძლია მოვასხათ პამიდვრის სოუსი, ტყემალი, ბაჟე და სხვ.






# ახალი ათასწლეული – ახალი გამოწვევები განათლებაში

ბრიტანული ცენტრი
წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლა

**წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლაში 2013-14 სასწავლო წლისათვის ჩარიცხულ მოსწავლეთათვის 15 აპრილამდე მოქმედებს სპეციალური აქცია**



ახალმა მილენიუმმა ახალი გამოწვევები მოიტანა შესაბამისად, აუცილებელი გახდა განათლების მეთოდების და მიდგომების მოდიფიკაცია. გარდა საბაზისო საგნების შესწავლისა, მომავალი წარმატების მისაღწევად, ახალი ათასწლეულის თაობა აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უნარებით, როგორიცაა ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრის უნარი, კომუნიკაცია, ინოვაცია და კრეატიულობა, ურთიერთთანამშრომლობა და ა.შ.

„კვირის პალიტრა“ ესტუმრა წმ. ნიკოლოზის სახელობის სკოლას, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო განათლების სისტემის წამყვან ორგანიზაციებთან, ახალი ათასწლეულის განათლების მეთოდების დანერგვის კუთხით. სკოლის თანამშრომლები გადიან კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სპეციალურ ტრენინგებს. სკოლა დაუღალავად ცდილობს ეროვნული სასწავლო პროგრამის მაღალხარისხიანი უზრუნველყოფის გარდა, სასწავლო პროცესი გაამდიდროს მრავალი ინტერდისციპლინარული მიდგომებით 21-ე საუკუნის განათლების გლობალური მოთხოვნების შესაბამისად.

**მანანა გიორგაძე,** *წმ. ნიკოლოზის სახელობის სკოლის დირექტორი:* „ჩვენი გუნდის მიზანია, რომ ბავშვებმა მაქსიმალურად განავითარონ ახალი ათასწლეულის უნარები, რათა შემდგომში ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენონ ისინი, შეძლონ გააანალიზონ და გადაჭრან გლობალური საკითხები. მათ პირველ რიგში სიღრმისეულად უნდა შეისწავლონ ეროვნული ღირებულებები და ფასეულობები. ამასთანავე უნდა ითანამშრომლონ სხვადასხვა კულტურული ღირებულებებისა თუ ფასეულობების მქონე თანატოლებთან, მსოფლიო მასშტაბით ურთიერთპატივისცემის, ღია დიალოგის ფარგლებში, როგორც პირადი, ასევე თანამედროვე კომუნიკაციების გამოყენებით. ისინი უნდა გაეცნონ სხვადასხვა ერებს და კულტურებს, შეისწავლონ უცხო ენები.

მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრებაში,









სამთავრობო პროცესების გაცნობიერების და ცოდნის მეშვეობით. უნდა შეისწავლონ მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე.

ახალი ათასწლეულის საგანმანათლებლო მიდგომები არსებით ფოკუსირებას ახდენს კრეატიულობაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე, კომუნიკაციასა და თანამშრომლობაზე. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის რომ ახალი თაობის ბავშვებმა შეძლონ: კრეატიულად ფიქრი, შექმნან ახალი და ღირებული იდეები, გააანალიზონ, დახვეწონ, შეაფასონ საკუთარი იდეები, რათა გააძლიერონ და გაზარდონ სამიზნე შედეგები. გუნდური მუშაობისას განიხილონ და განავითარონ ერთმანეთის იდეები, გააკეთონ სწორი არჩევანი და დანერგონ საუკეთესო. განიხილონ მარცხი, როგორც ახლის სწავლის შესაძლებლობა. გააცნობიერონ, რომ კრეატიულობა და ინოვაცია ხანგრძლივი პროცესია. ახალი ათასწლეულის მოზარდებს უნდა შეეძლოთ კრიტიკული აზროვნება, ჰქონდეთ სისტემური აზროვნების უნარი, განსაჯონ და მიიღონ გადაწყვეტილებები. ეფექტურად გააანალიზონ და შეაფასონ მოცემულობა, არგუმენტები და მტკიცებულებები. გააკეთონ არსებული ინფორმაციის სინთეზი და გადაჭრან, როგორც ნაცნობი, ასევე მათთვის უცნობი გარემოს პრობლემები.“

**ნინო მგელაძე,** *წმ. ნიკოლოზის სახელობის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების და სწავლების ხელმძღვანელი:* „21-ე საუკუნეში ბავშვებს უნდა შეეძლოთ ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. მათ უნდა შეძლონ იდეების ეფექტურად სინთეზი, როგორც ზეპირი და წერითი, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ციფრული და მულტიმედიური ტექნოლოგიების საშუალებით მათ მიიღონ, გაცვალონ და გამოიყენონ ინფორმაცია, გამოავლინონ გუნდურ მუშაობაში ეფექტური და პატივისცემაზე დაფუძნებული მუშაობის უნარი. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ საერთო პასუხისმგებლობა და შეაფასონ ინდივიდუალური კონტრიბუციის მნიშვნელობა.

ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქაში, ტექნოლოგიური განათლება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც წერა და კითხვა. ერთიან გლობალურ სივრცეში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, მოიძიონ, შეაფასონ, გადაახარისხონ და გამოიყენონ უსაზღვრო ინფორმაცია. გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიები კვლევისა და სწავლისთვის.

თანამედროვე ცხოვრებისეული და სამუშაო გარემო გაცილებით მეტი აზროვნების, ცოდნის და ადაპტაციის უნარებს მოითხოვს. ბავშვებმა სკოლაშივე უნდა გამოიმუშაონ სხვადასხვა გარემოსთან ადაპტაციის უნარი, სირთულეებთან გამკლავება და ა.შ. მათ უნდა ჰქონდეთ მართებული სოციალური ღირებულებები, შეეძლოთ სწორი მიზნების დასახვა და ამ მიზნების განსახორციელებლად გადადგმული ნაბიჯების მართვა. თითოეულ ბავშვში უნდა განვითარდეს ლიდერის თვისებები. ისინი უნდა იყვნენ მიზანდასახულები და ორგანიზებულები. სწორად ამ მიმართულებებით წმინდა ნიკოლოზის სკოლა არ ზოგავს რესურსებს და აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება მიიღონ საერთაშორისო სტანდარტების განათლება, რათა შემდგომში მათ ადვილად დაიმკვიდრონ თავი გლობალურ სამყაროში და შეძლონ ქართული ფასეულობებისა და ღირებულებების წარმოჩინება მსოფლიო მასშტაბებით“.

**რუსუდან გვარამაძე,** *წმ. ნიკოლოზის სახელობის სკოლის ადმინისტრატორი:* „ახალი გამოწვევები განათლებაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ინფრასტრუქტურასაც მოითხოვს. წმინდა ნიკოლოზის სკოლა თანამედროვე ბრიტანული სტილის არქიტექტურული შენობა-ნაგებობაა, რომელიც განლაგებულია ეკოლოგიურად სუფთა უბანში, ლუბლიანას ქუჩაზე. მოსწავლეებს აქ დახვდებათ ნათელი და კომფორტული საკლასო ოთახები, მათთვის განკუთვნილი ინდივიდუალური კარადები, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი ორი საცურაო აუზი და სპორტული დარბაზი, მრავალფუნქციური ღია სპორტული მოედანი, სკოლის თეატრი, 21- ე საუკუნის კომპიუტერული კლასი, მრავალენოვანი ბიბლიოთეკა და სრულყოფილად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები“.

წმინდა ნიკოლოზის სკოლამ დაიწყო მოსწავლეთა რეგისტრაცია შემდეგი სასწავლო წლისათვის. 15 აპრილამდე ჩარიცხულ მოსწავლეებზე ვრცელდება სპეციალური აქცია.

R

*ქ. თბილისი
დიღმის მასივი,
ლუბლიანას 21
218-38-28; 218-48-38*
www.saintnicholasschool.ge



# მამული-დედული

# გაზაფხული მოვიდა და მეურნის საქმემაც იმატა

*გაზაფხული მოვიდა და გაიღვიძებს მიწა, ხე, ბუჩქი და, რა თქმა უნდა, ათასგვარი მავნებელი, სოკო და ლიქენი, რომელთაც დროულად თუ არ მივხედეთ, მერე გვიან იქნება.*



პირველ რიგში მერქნიანებს — ხეებსა და ბუჩქებს უნდა მივხედოთ, მოვაცილოთ დამტვრეული, გამხმარი და დაავადებული ტოტები, ზედ შერჩენილი შემხმარი ნაყოფი და ბაღის გარეთ დავწვათ, რომ ჭიაყელებს ზიანი არ მივაყენოთ. ალბათ, ყველას გახსოვთ, რომ ჭიაყელები ნიადაგის გამაფხვიერებლები და ორგანული სასუქით გამამდიდრებლები არიან. ნასხლავს რომ დაწვავთ, ნაცარი ხეებს ძირში ჩაუბარეთ. თუ ორგანული სასუქი გაქვთ, ნაცართან ერთად ჩაბარეთ ისიც და ხეების შტამბებიდან და ტოტებიდან ჩამოფხეკილი ლიქენიც. ამის შემდეგ იზრუნეთ ხეებისა და ბუჩქნარის ჩამორეცხვაზე. ლიქენის საწინააღმდეგოდ შტამბსა და ტოტებს შეასხურეთ 3-5%-იანი რკინის ძაღას ხსნარი (300-500გ ძაღა 10 ლ წყალზე), შეათეთრეთ ხეების შტამბები კირის რძით. ამისათვის 10ლ წყალში ნელ-ნელა ჩაყარეთ 2-3 კგ კირის ფხვნილი, 300 გ შაბიამანი და 1კგ თიხამიწა. უმჯობესია, თუ შაბიამანს წინასწარ გახსნით წყალში და მერე ჩაუმატებთ დანარჩენ კომპონენტებს. ჯოხით ურიეთ მანამდე, სანამ ყველაფერი კარგად შეერევა. ამის შემდეგ წაუსვით ხის შტამბებს და ძირითადი ტოტების ქვედა ნაწილს.

მერქნიანი კულტურების კვირტის გაშლამდე ხეები ჩამორეცხეთ 3%-იანი ბორდოს ხსნარით (10ლ წყალზე 300 გრამი შაბიამანი და 270 გრამი ჩაუმქრალი კირი). ხსნარის მოსამზადებლად 2-3 ლ ჭურჭელში ჩაყარეთ საუკეთესო ხარისხის კირქვის ნატეხი, დანამეთ წყლით და დაელოდეთ დაშლას. უნდა დაიშალოს ბოლომდე. მანამდე ხის, მინის, თიხის ან პლასტმასის ჭურჭელში ჩაასხით 8 ლ წყალი და შიგ ჩაკიდეთ კაპრონის წინდით შაბიამანი. როცა შაბიამანი გაიხსნება და კირიც ბოლომდე დაიშლება, კირს დაასხით 2 ლ წყალი, კარგად ამოურიეთ, გაწურეთ და კირის რძე ნელ-ნელა, წვრილი ნაკადით ჩაუშვით შაბიამნიან ჭურჭელში, თან შეუჩერებლივ ურიეთ. აი, ეს გახლავთ ბორდოს ხსნარი. ეს ხსნარი თავიდან აგაცილებთ საშიშ სოკოვან დაავადებებს: მსხლის ქეცს, ფოთლის დახუჭუჭებას, ფიტოფტოროზს და მანილიოზს. ეს უკანასკნელი კურკოვნების დაავადებაა — ნაყოფი ლპება, ხმება და ტოტებზე რჩება მანამ, სანამ პატრონი ხელით არ მოაცილებს.

დასავლეთ საქართველოში ღია გრუნტში ითესება: ოხრახუში, ნიახური, ქინძი, პრასა, ხახვი, საადრეო კარტოფილი, წიწმატი, სალათა, სტაფილო, ბარდა, თვის ბოლოკი.

დახურულ გრუნტში საჩითილედ ითესება: პრასა, თავიანი კომბოსტო, კეჟერა, ყვავილოვანი კომბოსტო, პომიდორი.

აღმოსავლეთ საქართველოში ღია გრუნტში ითესება: ხახვი, პრასა, სტაფილო, თვის ბოლოკი, ოხრახუში, ბარდა.

ასევე შეგიძლიათ დარგოთ ყველა სახის მერქნიანი კულტურა — ხეები და ბუჩქოვანი ჯიშები.

# ჩვენი ტოროლები

*საქართველოში სულ ცხრა სახეობის ტოროლაა: ქოჩორა, მინდვრის, ტყის, მცირე ტოროლას 2 სახეობა, ველის ტოროლას 3 სახეობა და მშვენიერი რქოსანი ტოროლა, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ.*

ყველა სახეობის ტოროლას სარგებლობა მოაქვს ადამიანისთვის — ისინი იკვებებიან სარეველა მცენარეთა თესლებით და მავნე მწერებით. ზოგიერთი მათგანი ისე კარგად გალობს, ხშირად გალიებშიც ჰყავთ. ასეთებია: ტყის ტოროლა, ველის და ორკოპლიანი ტოროლები.

რაც შეეხება რქოსან ტოროლას, მსოფლიოში აღწერილია მისი 33 ქვესახეობა. საქართველოში მოიპოვება კავკასიური რქოსანი ტოროლა — Eremophila alpestris penicillata Gould. იგი ქოჩორა ტოროლას ტოლია, იწონის 30-45 გრამს. მამალი დედალზე დიდია. ისინი შეფერილობითაც განსხვავდებიან. მამალი ზურგის მხარეს მორუხო ფერისაა, მოვარდისფრო ელფერით. შუბლი, ზოლები ყელზე, წარბების ზემოთ, ლოყების უკანა ნაწილები, ყურების მფარავები მორუხო-ყვითელია; თხემის წინა ნაწილი და ლოყები შავია. თხემის გვერდებზე შავი ფერის რქების ფორმის წაგრძელებული ბუმბულები აქვს, რითაც მკაფიოდ გამოირჩევა სხვა ტოროლებისაგან. ყელის ქვემო ნაწილსა და ჩიჩახვზე ფართო შავი ზოლი გასდევს. მკერდი, მუცელი, ფრთების ქვემო და კუდქვეშა ბუმბულები მოთეთროა, ნისკარტი მოწაბლისფრო-რუხი, ფეხები — შავი. დედალი უფრო მკრთალი ფერისაა, რქებიც უფრო მოკლე აქვს. გამოსცემს ძალიან სასიამოვნო ხმას.

საქართველოში გვხვდება უტყეო ზეგნებსა და ალპურ მდელოებზე.

ტოროლა ბუდეს იკეთებს მიწაზე, პატარა ორმოში, ბალახის ან ქვის ძირში. მაისის შუა რიცხვებში დებს 3-5 მოთეთრო ლაქებიან კვერცხს. კრუხად ჯდება მხოლოდ დედალი. საინკუბაციო პერიოდი 16 დღემდეა.

ძირითადად იკვებება მწერებით. ჭამს ობობებს, პატარა ზომის ლოკოკინებსა და ბალახის თესლებს.



ველის ტოროლა



რქოსანი ტოროლა

## ეს საინტერესოა



დედა ფუტკარი უდიდესია ფუტკრებს შორის, იგი დღეში 1 500-მდე კვერცხს დებს. განაყოფიერებული კვერცხებიდან დედალი მუშა ფუტკრები იბადებიან, რომელთაგან ზოგი შეიძლება ახალი დედა ფუტკარი გახდეს. გაუნაყოფიერებელი კვერცხებიდან იჩეკებიან მამრი ფუტკრები, რომლებიც მალე იხოცებიან. მათი ერთადერთი მოვალეობაა დედა ფუტკრის განაყოფიერება. მუშა ფუტკრები ამზადებენ ფიჭას, რომელთაგან ზოგი გამოიყენება ლარვების განსავითარებლად, ზოგში კი საკვებს აგროვებენ. როცა მუშა ფუტკრების კოლონიას საკვები შემოაკლდება, ისინი გამოყოფენ ე.წ. სამეფო ჟელეს, ანუ ფუტკრის რძეს, რითაც თავდაპირველად ლარვები იკვებებიან, შემდეგ კი მას მომავალი დედა ფუტკრები ჭამენ.



ჩვეულებრივ, რვაფეხა მცირე ზომის 10-დან 30 სმ-მდე სიგრძის და 1 კგ-მდე წონის ცხოველია, მაგრამ არიან 50 კგ-ზე მეტი წონის რვაფეხებიც. არც 2-3 მ სიგრძისა და 100 კგ-მდე წონის რვაფეხებია იშვიათობა. ავსტრალიის წყლებში ბინადრობს 7 მ-მდე სიგრძის რვაფეხა. 1949 წლის 18 თებერვალს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მოთხრობილი იყო, როგორ შებოჭა რვაფეხამ თავისი საცეცებით ორი რუსი მყვინთავი, რომლებმაც ბოლოს მაინც მოახერხეს მისი მოკვლა და გემბანზე ატანა. რვაფეხა 78კგ-ს იწონიდა.



ბრაზილიაში გავრცელებულია ჭიანჭველების სახეობა ათინა. ამ სახეობის ათეულათასობით ჭიანჭველა რომ შეესევა ტყეს, ერთი ღამის განმავლობაში ათეულობით ხეს აშიშვლებს. ისინი „შეიარაღებული“ არიან მაკრატლის მსგავსი მჭრელი ყბებით, მოჭრილ ფოთლებს გადასცემენ შედარებით მცირე ზომის თანატომელებს, რომლებიც ფოთლებს აქუცმაცებენ, რის შემდეგაც დაქუცმაცებულ მასალას ბუდეში მიარბენინებენ ყველაზე მცირე ზომის ჭიანჭველები. ვერაფერს იტყვი — ნამდვილად შესაშური თანამშრომლობაა.



სოფლებში გავრცელებული ჩვეულებრივი ბუზი გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში სიამოვნებით მიირთმევს ნექტარს, რითაც სასარგებლო საქმეს აკეთებს ჯვარედინი დამტვერიანებით. ცნობილია, რომ ჩვეულებრივ ბუზებს ძალიან მოკლე ხორთუმი აქვთ, რის გამოც მხოლოდ მათთვის ადვილად ხელმისაწვდომ ყვავილებს ეტანებიან. ასეთებია: ვარდისებრთა ოჯახის, რთულყვავილოვნები, ბაიასებრთა, ქოლგოსანთა და სხვა გადახსნილყვავილიანი მცენარეები.

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

# ეკონომიკური პალიტრა

BUSINESS, ECONOMICS &...

№11 (266) 11-17 მარტი, 2013

„კვირის პალიტრის“ ყოველკვირეული ეკონომიკური დამატება




## ყველაზე მდიდრები მსოფლიოში

დადგა მარტი და ტრადიციულად, ბიზნესგამოცემა „ფორბსმა“ მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგი გამოაქვეყნა. 2013 წლის რეიტინგში 1426 მილიარდერია — შარშანდელზე 200-ით მეტი. მათი ჯამური ქონება $5,4 ტრილიონია, რაც შარშანდელ მონაცემს $0,8 ტრილიონით აღემატება.

რეიტინგში პირველი კვლავაც მექსიკელი კარლოს სლიმ ელუა $73-მილიარდიანი ქონებით (+$4 მლრდ), მეორე ადგილზე ამერიკელი ბილ გეიტსია $67 მილიარდით (+$5 მლრდ). მეხუთიდან მესამე ადგილზე აინაცვლა ესპანური ბრენდ „ზარას“ დამფუძნებელმა ამანსიო ორტეგამ $57 მილიარდით, რომელმაც $19,5-მილიარდიანი წლიური ნამატით ყველას აჯობა. ყოველდღიურად ის, დაახლოებით, $53 მილიონით მდიდრდებოდა. ფრანგი ბერნარ არნო კი მეოთხე ადგილიდან მეათეზე ჩამოვიდა, რადგან ქონება $41-დან $29 მილიარდამდე შეუმცირდა. თუმცა დანაკარგების მიხედვით ჩემპიონი ბრაზილიელი ეიკე ბატისტაა. შარშან ის მე-7 იყო $30 მილიარდით, ამჟამად კი $10,6 მილიარდით მე-100 ადგილამდეა „ჩამირული“.

22

### ტურისტულ რეიტინგში საქართველომ პოზიცია გაიუმჯობესა

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველომ პოზიცია 7 პუნქტით გაიუმჯობესა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შედგენილ, მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2013 წლის რეიტინგში საქართველომ 66-ე ადგილზე გადმოინაცვლა. 2009 და 2011 წლებში კი, ამავე რეიტინგში 73-ე ადგილი ეკავა. მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა ტურიზმის სფეროში საქართველოს კონკურენტუნარიანობა ჯამში 4,10 ქულით შეაფასა. შედარებისთვის, რეიტინგის ლიდერ შვეიცარიას 5,66 ქულა აქვს, ბოლო ადგილზე მყოფ ჰაიტის — 2,59 ქულა.



# „გადახდა უნდა ვალსაო...“




ემა ტუხიაშვილი

**ოთარ შამუგია, ევგენი ფიჩხაია, ზაურ მერაბიშვილი, შპს „კანტი“, შპს „მითანა“, შპს „ახალი პურის კომბინატი“ — ეს იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც სააქციო საზოგადოება „პოპულის“ სასამართლოში ედავებიან. დავის საგანი კი, უმეტეს შემთხვევაში, დავალიანებაა, რომელსაც საქართველოში ცნობილი სუპერმარკეტების ქსელი წლების განმავლობაში არ უხდიდა პროდუქციის მიმწოდებლებს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მიმწოდებლები „პოპულის“ რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს ედავებიან. „პოპულის“ მოვალეთა შორის არიან ასევე „ბარამბო“, „ბერტა“, „კოკა-კოლა ბოტლერს ჯორჯია“ და სხვ.**

„წლებია, „პოპული“ დავალიანებას არ იხდის. უამრავი ხალხი ჰყავს მომდურებული. ჩვენმა კომპანიამ, დაახლოებით, 5 წლის წინ შეიტანა პროდუქცია „პოპულის“ ქსელში. თავიდან გვაძლევდნენ გაყიდული პროდუქციიდან მიღებულ თანხას, შემდეგ კი გადახდა შეწყვიტეს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ წარმოუდგენელი შეღავათები მოგვთხოვეს, ე.წ. პროდუქციის „გაყინვაზე“ დაგვითანხმეს — თავიდან სარეალიზაციო ქსელში განსაზღვრული რაოდენობის პროდუქცია შეგაქვს, საიდანაც შემოსავალს არ ითხოვ და რისი ვალიც მუდმივად ექნება ქსელს. მაგალითად, ქსელში 1000 ლარის პროდუქცია შეიტანე სარეალიზაციოდ და რაც უნდა მოხდეს, იქიდან ამონაგები არ უნდა მოითხოვო. რეალურად რომ დათვალო, რამდენი მიმწოდებელი ჰყავდა „პოპულის“ და რამდენისგან ექნება ეს „გაყინული პროდუქცია“ დატოვებული, გამოდის, რომ მილიონები ჰქონდა ნასესხები უპროცენტოდ და უვადოდ. რა არ ვცადეთ, მაგრამ „პოპულის“ ჩვენი ფული ვერაფრით გადავახდევინეთ. არადა, იმ დროს „პოპული“ სუპერმარკეტების ერთადერთი ქსელი იყო საქართველოში, ამიტომ მიმწოდებლები ყველანაირად ვცდილობდით, მასთან საქმე არ გაგვეფუჭებინა, რადგან პროდუქციის გაყიდვის სხვა ასეთი ეფექტური საშუალება, ფაქტობრივად, არ გვქონდა. „პოპული“ კი ამით სარგებლობდა. ფიჩხაია ახლა უჩივის „პოპულის“, თავად კი, როცა ამ ქსელის გენერალური დირექტორი იყო, დავალიანებას არ იხდიდა. შემდეგ სერბები შევიდნენ „პოპულის“ მენეჯმენტში და იმედი ჩაგვესახა, რომ საქმე უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, მაგრამ იმათაც წინამორბედებივით განაგრძეს მუშაობა. შემდეგ „პოპული“ „იოლი გასტრონომიამ“ შეიძინა, რომელსაც, თავის მხრივ, ლიტვური ბიზნესჯგუფი მართავდა, მაგრამ ისინიც თაღლითები აღმოჩნდნენ. ვითომ ვალების დაფარვის ახალი მეთოდი მოიფიქრეს: გრაფიკს მოგცემთ, ოღონდ პროდუქციის შემოტანა განაახლეთო. შევიტანეთ პროდუქცია, მაგრამ ნაკისრი ვალდებულება არც „იოლმა“ შეასრულა. ამასობაში უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობა გაგვიფუჭდა. აღარ სჯეროდათ ჩვენი. ვერაფრით გაეგოთ, ერთხელ რომ არ გადაგვიხადა „პოპულიმ“ მიწოდებული პროდუქციის ფული, მეორედ რატომ ვენდეთ და შევიტანეთ. ვისაც ხარისხიანი და, შესაბამისად, ძვირად ღირებული პროდუქცია შემოგვაქვს, სუპერმარკეტების ქსელი ჩვენთვის, ფაქტობრივად, გაყიდვის ერთადერთი საშუალებაა“, — გვითხრა ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელმა, რომელსაც დღეს „პოპულის“ წინააღმდეგ დავა აქვს სასამართლოში.

23



## „ბიუჯეტი ადმინისტრირების გაუმკაცრებლად სრულდება“

ემა ტუხიაშვილი

**წლეულს თებერვალში, სალარო აპარატებში ამორტყმული ჩეკების რაოდენობამ შარშანდელი თებერვლის მონაცემს თითქმის 2 მილიონი ერთეულით გადააჭარბა, ბიზნესის ბრუნვა გააუმჯობესდა, კომპანიების გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა, ფასები შემცირდა, ექსპორტი გაიზარდა, ბიუჯეტი კი გადაჭარბებით შესრულდა — ის იმ ინფორმაციის ნაწილია, რასაც ბოლო დღეების განმავლობაში ქვეყნის მთავარი ფინანსური უწყება და სტატისტიკის დეპარტამენტი ავრცელებდნენ. რამ განაპირობა ეკონომიკური პროცესების გაუმჯობესება იმ ფონზე, როცა ყოფილი ხელისუფლების წევრები ცოტა ხნის წინ ქვეყანაში ფინანსურ კრიზისზე ლაპარაკობდნენ — ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ ფინანსთა მინისტრს შევხვდით.**

ნოდარ ხადური *(საქართველოს ფინანსთა მინისტრი)*: „იანვრისა და თებერვლის საგადასახადო შემოსავლების გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული, დაახლოებით 22 მილიონი ლარით. მთავარი კი ის არის, რომ გააქტიურებულია მცირე და საშუალო ბიზნესი და მაღაზიებში ჩეკების ამორტყმისა და ბრუნვის მაჩვენებლის, ასევე საგრძნობი მატებაა.

22

### ქართული ენის უპატივცემულობა ძვირი დაჯდება

სარეკლამო აბრებზე წარწერები ქართულ ენაზეც უნდა იყოს — რეკლამის შესახებ კანონის ცვლილებები პარლამენტში ინიცირებულია. ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის აბრაზე ქართული წარწერა სავალდებულო ხდება. დამრღვევს პირველად გააფრთხილებენ, განმეორებისას ფიზიკური პირი 200 ლარით დაჯარიმდება, ხოლო იურიდიული პირი — 3000 ლარით. მესამედ და მეტჯერ დარღვევისას ჯარიმა 5000 ლარი იქნება.

## „სავახშო ეკონომიკის“ საფუძვლები

ხათუნა ჩიგოგიძე

**საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი კომერციული ბანკების სესხებით ვერ სარგებლობს — ბანკებისთვის მათი გადახდისუნარიანობა დამაკმაყოფილებელი არ არის. სანაცვლოდ, მევახშეები (კერძო პირები თუ მიკროორგანიზაციები) მათ მაღალპროცენტიან კრედიტებს აძლევენ, თვეში 4-5%-იანი და უფრო მეტი სარგებლითაც. ზოგს გაჭირვება აიძულებს ასეთი ვალის დადებას, ზოგსაც — არასასიამოვნო და სასწრაფო აუცილებლობა. თუმცა მსესხებლები ამით, ფაქტობრივად, ფინანსურ კაბალაში ექცევიან. სადისტურ-ფინანსური „ზღაპარი“ ხშირად მთავრდება ცუდად და საბოლოოდ, ადამიანები ბინებსა და სახლებს კარგავენ. ბოლო ოც წელიწადში საქართველოს იპოთეკური დანაკარგების რამდენიმე მასობრივმა ტალღამ გადაუარა. ამ ტალღებს შორის შედარებითი „სიმშვიდის“ პერიოდებშიც, ვახშით უძრავი ქონების დაკარგვა ყოველთვის ხშირი იყო, ხალხმა ამ მიზეზით მეტი ბინა დაკარგა, ვიდრე საბანკო სესხების გადაუხდელობის გამო. თავის მხრივ, პრობლემა საბანკო სესხების სფეროშიც ბევრია, თუმცა სავახშო კაპიტალის მოქმედების შედეგები უფრო თვალში საცემია.**

24

# ყველაზე მდიდრები მსოფლიოში

## „ფორბსმა“ წლეულს 200 მილიარდერით მეტი დათვალა

*(21-ე გვერდიდან)*

რეიტინგში $5,3 მილიარდით 229-ე ადგილზეა ბიძინა ივანიშვილი, რომელიც შარშან პირველად აღმოჩნდა დასახელებული საქართველოს სახელით და წლეულსაც მილიარდერებში ჩვენი ქვეყნის ერთადერთ წარმომადგენლად რჩება. თუმცა აწ უკვე პრემიერ-მინისტრს ქონება შარშანდელზე $1,1 მილიარდით ნაკლებად შეუფასეს. 2012 წელს კი ის 153-ე ადგილზე იყო.

მილიარდერების სიას აშშ ლიდერობს 442 წარმომადგენლით, აზია-წყნარი ოკეანის აუზში 386 მილიარდერია, ევროპაში — 366, დანარჩენ ამერიკაში — 129, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში — 103. სიაში 240 ახალი სახელია. მათ შორის არიან დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანა, თითოეული $2 მილიარდით, ისინი 736-ე ადგილს იყოფენ კიდევ 47 პერსონასთან (მათი ბიზნესის ისტორია „ეკოპალიტრამ“ წინა ნომერში მოგითხროთ).

პირველ ათეულში ახალი სახეები ძმები ჩარლზ და დევიდ კოხები არიან, რომლების მე-6 ადგილს იყოფენ $43 მილიარდით. თითოეული მათგანი წლის განმავლობაში $9 მილიარდით „დამძიმდა“. ათეულში შეაღწია ლილიან ბეტანკურმაც, რომელმაც შარშანდელი მარტის $24 მილიარდს კიდევ ექვსი „იარდიც“ წაუმატა. მან პირველად გაასწრო თანამემამულე არნოს და საფრანგეთის უმდიდრესი ადამიანი გახდა.




„ფორბსმა“ ცალკე გამოყო პლანეტის უმდიდრესი 14 ქალბატონის რეიტინგი, რომლებიც საერთო სიის ლიდერთა ასეულში მოხვდნენ. პირველი ათეულის ერთადერთ ქალს, ლილიან ბეტანკურს მე-2 ადგილზე კრისტი უოლტონი და ოჯახი მოჰყვება $28,2 მილიარდით, რომელიც საერთო სიაში მე-11 პოზიციას იკავებს. მომდევნო ქალბატონიც უოლტონია, ოღონდ ელისი, $26,3 მილიარდით (3/16 ადგილი). აღსანიშნავია, რომ საერთო სიის მეორე ათეულში კიდევ ორი მამაკაცი უოლტონია და ამ სანათესავოს საერთო სიმდიდრე რიტეილის კომპანია „უოლ-მარტია“. სულ 1426 მილიარდერს შორის 138 ქალია, რაც შარშანდელ შედეგზე 34-ით მეტია.

### 2013 წლის მილიარდერთა რეიტინგის პირველი ათეული

1. კარლოს სლიმ ელუ და ოჯახი. ქონება — $73 მილიარდი. ასაკი — 73 წელი. შემოსავლის წყარო — კომუნიკაციები. მექსიკა.
2. ბილ გეიტსი. ქონება — $67 მილიარდი. ასაკი — 57 წელი. შემოსავლის წყარო — „მაიკროსოფტი“. აშშ.
3. ამანსიო ორტეგა. ქონება — $57 მილიარდი. ასაკი — 76 წელი. შემოსავლის წყარო — Zara. ესპანეთი.
4. უორენ ბაფეტი. ქონება — $53,5 მილიარდი. ასაკი — 82 წელი. შემოსავლის წყარო — Berkshire Hathaway. აშშ.
5. ლარი ელისონი. ქონება — $43 მილიარდი. ასაკი — 68 წელი. შემოსავლის წყარო — Oracle. აშშ.

6-7. ჩარლზ კოხი. ქონება — $34 მილიარდი. ასაკი — 77 წელი. შემოსავლის წყარო — დივერსიფიცირებული. აშშ.

6-7. დევიდ კოხი. ქონება — $34 მილიარდი. ასაკი — 72 წელი. შემოსავლის წყარო — დივერსიფიცირებული. აშშ.

8. ლი კა-შინგი. ქონება — $31 მილიარდი. ასაკი — 84 წელი. შემოსავლის წყარო — დივერსიფიცირებული. ჰონკონგი.
9. ლილიან ბეტანკური და ოჯახი. ქონება — $30 მილიარდი. ასაკი — 90 წელი. შემოსავლის წყარო — „ლორეალი“. საფრანგეთი.
10. ბარნარ არნო და ოჯახი. ქონება — $29 მილიარდი. ასაკი — 64 წელი. შემოსავლის წყარო — LVMH. საფრანგეთი.

# „ბიუჯეტი ადმინისტრირების გაუმკაცრებლად სრულდება“

## „წინა ხელისუფლებამ ლიმონივით გამოწურული ეკონომიკა გადმოგვიგდო“

*(21-ე გვერდიდან)*

წინა ხელისუფლებამ ეკონომიკა ლიმონივით გამოწურა და გადმოგვიგდო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. 1,5 მილიარდ ლარზე მეტი გადასახადების სახით წინასწარ არის აკრეფილი. მათი ნაწილი, შესაძლოა, ობიექტურადაა გადახდილი, მაგრამ დიდი ნაწილი მხოლოდ იმიტომ გადაახდევინეს, რომ ბიუჯეტი შეევსოთ. დღეს ეს მსხვილი კომპანიები, რომელსაც ზედმეტობა აქვთ, ბიუჯეტში აღარ იხდიან თანხას. ამ ფონზეც კი, ყოველგვარი ზედმეტი გამკაცრებული ადმინისტრირების გარეშე, საგადასახადო კანონმდებლობის სრული დაცვით, ჩვენ ვახერხებთ, რომ ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდება და ხარჯების პრობლემა არ შეიქმნება. ვფიქრობ, ეკონომიკის ზრდა გაგრძელდება და, წლის განმავლობაში სულ ცოტა, 6%-იანი ზრდა იქნება. ექსპორტის 25%-ით მომატება ძალიან კარგია, მაგრამ მეტის იმედი გვაქვს, მათ შორის რუსეთის მიმართულებით. ასე რომ, 6%-იანი ზრდა შესაძლოა პესიმისტური მაჩვენებელიც კი აღმოჩნდეს.

**— ჩეკების თემა ახსენეთ და ოპოზიციამ მაღაზიებში ნისიების რაოდენობის გაზრდაზე მიანიშნა...**

— მეგონა, ზურაბ ჯაფარიძე სერიოზული ეკონომისტი იყო. საინტერესოა, სად და ვინ დათვალა ეს ნისიები? „ნაცმოძრაობის“ წევრების მსგავსი გამონათქვამები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათ მერე თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა. ცხრა წელიწადი იტყუებოდნენ, ოთხი თვის წინაც ცრუობდნენ, ყველაფერი კარგად არისო. ახლაც იტყუებიან, მაგრამ პირიქით, თითქოს ყველაფერი ცუდად არის. ვიცით, რომ ცხოვრების დონე ორ-სამ თვეში ვერ გაუმჯობესდებოდა, მაგრამ ოპონენტებმაც უნდა იცოდნენ, რომ სამ თვეში რეგრესი შეუძლებელი იყო. ნისია კი ერთი წლის წინაც იყო და ათი წლის წინაც.

მნიშვნელოვანია, რომ ექსპორტი გაზრდილია არა რეექსპორტის ხარჯზე; შემცირებულია ჯართის ექსპორტი და მომატებულია, მაგალითად, ციტრუსის — 600%-ით.

**— მცირე და საშუალო ბიზნესი ახსენეთ და მთლიან წარმოებაში, მსხვილ ბიზნესთან შედარებით, მათი წილი მაინც ძალიან დაბალია. გაქვთ გეგმა, რომელიც ამ სეგმენტის განვითარებას წაადგება?**

— ბევრი მიმართულებით ვმუშაობთ, მათ შორის „ქართულ ოცნების“ საარჩევნო პროგრამა ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება. რატომღაც ეს ყველას გადასახადების განაკვეთების შემცირება ჰქონია. ჩვენ მივდივართ საგადასახადო კოდექსის გამარტივებისკენ, განსაკუთრებით მცირე ბიზნესს არ უნდა სჭირდებოდეს მნიშვნელოვანი ხარჯების გაღება ბუღალტერიის მოსაწესრიგებლად. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ასევე ეკონომიკის სამინისტროს მუშაობა. იქმნება საინვესტიციო ფონდები, მოხდება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაც. საკმაოდ დიდი სახსრების მობილიზება ხდება მცირე ფერმერების, გლეხების დასახმარებლად.

**— საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებით თუ არის რამე კონკრეტული შედეგები?**

— ფონდი ახლა იწყებს მუშაობას... სოფლის მეურნეობაში უკვე გვაქვს კონკრეტული შედეგები, ქვემო ქართლსა და კახეთში დაწყებულია საგაზაფხულო სამუშაოები და ცოტა ხანში სხვა რეგიონებშიც დაიწყება. ამის შედეგი შემოდგომაზე გვექნება, იმედი გვაქვს, რომ მოსავალი მნიშვნელოვნად გაიზრდება. რაც შეეხება სუვერენულ და ახალგაზრდულ საინვესტიციო ფონდებს, ისინი უკვე დაფუძნებულია და სახსრების მობილიზება მიმდინარეობს.

**„1,5 მილიარდ ლარზე მეტი გადასახადები წინასწარ არის აკრეფილი... მსხვილი კომპანიები, რომელსაც ზედმეტობა აქვთ, ბიუჯეტში აღარ იხდიან თანხას“**



**— ბიზნესის რამდენიმე სექტორში მონოპოლიების ზემოქმედების შეკვეცა შეინიშნება, რაც, პირველ რიგში, ბაზარზე მცირე მოთამაშეების შემოსვლას აადვილებს. თუმცა არის სექტორები, სადაც მონოპოლიური სუბიექტები ისევე მყარად გრძნობენ თავს, როგორც წინა ხელისუფლების პირობებში...**

**„ხელოვნური მფარველობა მონოპოლიებს აღარ აქვთ და რამდენიმე ბაზარზე ეს უკვე თვალში საცემია. გამოჩნდნენ მცირე მეწარმეები, მათ შორის, ნავთობის, მედიკამენტების სექტორში...“**

— მონოპოლიებთან ბრძოლა, უფრო ზუსტად კი კონკურენციის ხელშეწყობა, არ უნდა იყოს სტიქიური და ამას შესაბამისი კანონმდებლობა, ინსტიტუციური ჩარჩოები სჭირდება. სამწუხაროდ, ძველმა ხელისუფლებამ შვიდი წლის წინ ეს ყველაფერი მოსპო და თავიდან გვიწევს იმის შექმნა, რაც მაშინ უკვე არსებობდა. წინა ხელისუფლებამ, კორუფციას ვებრძვითო და ანტიმონოპოლიური სამსახური გააუქმა. გამოდის, ქერტლის საწინააღმდეგო საუკეთესო წამალი გილიოტინა ყოფილა — მოჭრი თავს და ქერტლიც აღარ არის, — დაახლოებით ასე მოიქცნენ. დღეს დაძაბული მუშაობა გვიწევს კანონმდებლობის შესაცვლელად, ამაზე მუშაობს საპარლამენტო კომიტეტი, ეკონომიკის სამინისტრო, კონკურენციის სააგენტო... წლის განმავლობაში ჩვენ მოვახერხებთ კონკურენციის ხელშეწყობის სამსახურის აღდგენას.

ხელოვნური მფარველობა მონოპოლიებს აღარ აქვთ და რამდენიმე ბაზარზე ეს უკვე თვალში საცემია. გამოჩნდნენ მცირე მეწარმეები, მათ შორის, ნავთობის, მედიკამენტების სექტორში და ვფიქრობ, რომ ეს საბოლოოდ მოიტანს მომხმარებლების უფლებების უკეთ დაცვას, ფასების შემცირებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

**— ეკონომიკური ამნისტიის პროექტი ჩავარდა, თუმცა ძალიან ბევრი მეწარმე ფიქრობს, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში საგადასახადო სამსახურებმა უსამართლოდ დაარიცხეს ჯარიმა-საურავები და ახალი ხელისუფლებისგან სამართლიანობის აღდგენას ითხოვს...**

— ეკონომიკური ამნისტიის კანონპროექტი, რომელიც პრეზიდენტმა დაწერა და კონსტიტუციის დარღვევით შეიტანა საქართველოს პარლამენტში, იყო მოპარული ქონების „გაპრავების“ კანონპროექტი, რის საშუალებასაც, რა თქმა უნდა, არავის მივცემთ. ფული, რომელიც წლების განმავლობაში ბიუჯეტიდან ვიღაცების ჯიბეებში ილექებოდა, პრეზიდენტსა და უმცირესობას სურდა, შერჩენოდათ. რაც შეეხება მეორე თემას, ბევრ კომპანიას ფინანსური პრობლემები აქვს იმის გამო, რომ საგადასახადო კანონმდებლობას თავის გეგმებს არგებდნენ. ოთხი თვეა, სამინისტროში ვმუშაობთ, ამ ხნის განმავლობაში დავების საბჭოში განხილული საქმეების 67% დასრულდა გადამხდელების სასარგებლოდ. ჩვენ სწორედ ასე ვაპირებთ გაგრძელებასა და ყველა კონკრეტული შემთხვევის შესწავლას. არ შეიძლება ხელის ერთი მოსმით გადაწყვეტილების მიღება.

**— დავების განხილვის საბჭო იმ საქმეებსაც შეისწავლის, რაზეც სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობს?**

— მხოლოდ სასამართლოს შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლა. მაგრამ დავა თუ ფინანსთა სამინისტროს სისტემაშია, და ასეთი ძალიან ბევრია, მზად ვართ ყველა საკითხის ხელახლა განსახილველად.

**— რამდენიმე დღის წინ საფრანგეთიდან დაბრუნდით...**

— შეხვედრები მქონდა პარიზის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, საფრანგეთის ბიზნესფედერაციაში, საფრანგეთის განვითარების სააგენტოში, ფინანსთა სამინისტროში, „სოსიეტე ჟენერალში“. ბევრი ინფორმაცია აქვთ საქართველოს შესახებ, აპირებენ ჩამოსვლას, ადგილზე ნახვასა და საინვესტიციო პროცესებში მონაწილეობას. საფრანგეთის განვითარების სააგენტო თბილისში ოფისის გახსნას აპირებს. ყველა ეს პროცესი მეტყველებს, რომ საფრანგეთი, და ზოგადად ევროკავშირი, მონდომებულია, საქართველოს მიმართ მიღებული იყოს კარგი საინვესტიციო გადაწყვეტილებები. ვმუშაობთ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე, წლის განმავლობაში პროგრესი ამ თვალსაზრისითაც იქნება მიღწეული.

### დასუფთავების გადასახადი განცალკევდება

დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადასახადების განცალკევება 1-ელი ივნისიდან არის გათვალისწინებული. საკანონმდებლო ინიციატივას უკვე პარლამენტი იხილავს. დასუფთავების გადასახადი სულადობით განისაზღვრება. იმის მიუხედავად, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ოჯახში, სულადობის ზედა ზღვარი ოთხით განისაზღვრა, ხოლო მოსაკრებლის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე თვეში სამ ლარს არ უნდა აღემატებოდეს. დასუფთავების ტარიფს თვითმმართველობა განსაზღვრავს.

# „გადახდა უნდა ვალსაო...“

## დაუფარავენ თუ არა მომმარაგებელ კომპანიებს წლობით დაგროვებულ დავალიანებებს

*(21-ე გვერდიდან)*

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რამდენიმე თვის წინ მოვალეთა ჯგუფმა წერილობით მიმართა „პოპულის“ და დავალიანების დაფარვა მოითხოვა. „პოპულის“ მევალე კომპანიებში ამბობენ, რომ მათ საპასუხო წერილი „იოლი გასტრონომიისგან“ მიიღეს, რომელსაც ხელს კომპანიის გენერალური დირექტორი საულიუს ვაიტკევაციუსი აწერს. როგორც წერილშია ნათქვამია, რომ მათ კარგად იციან, რომ „პოპული“ ყოველთვის პრობლემური გადამხდელი იყო, მაგრამ პირობას დებენ, რომ დროთა განმავლობაში ყველა ვალს დაფარავენ. წერილს კი საინტერესო მინაწერი აქვს: რამდენიმე თქვენგანთან საერთოდ გავწყვეტთ თანამშრომლობას და თქვენს პროდუქციას სხვა პროდუქციით ჩავანაცვლებთო. წერილი 2012 წლის 9 აგვისტოთი თარიღდება, თუმცა როგორც „პოპულისა“ და „იოლი გასტრონომიის“ მევალე კომპანიებში ამბობენ, მას შემდეგ მოვალისგან თეთრიც არ მიუღიათ.

ცოტა ხნის წინ კი „პოპულისა“ და „იოლი სუპერმარკეტის“ მენეჯმენტში კიდევ ერთი ცვლილება მოხდა და მათი მართვა მსხვილმა ევროპულმა საინვესტიციო ფონდმა — SEAF-მა (Small enterprise assistance found) ჩაიბარა. გაცხადდა, რომ ფონდი სოლიდურ თანხებს მოიზიდავს კომპანიის განვითარებისა და გაძლიერების მიზნით.

SEAF-ი საინვესტიციო მენეჯმენტ-ჯგუფია, რომელიც განვითარებადი და გარდამავალი ბაზრის 30-მდე ქვეყანაში 28 მსხვილი საინვესტიციო ფონდის მეშვეობით ახორციელებს ინვესტირებას, კაპიტალდაბანდებას და ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას. SEAF-ის ჯამური კაპიტალდაბანდება მსოფლიოს მასშტაბით $740 მილიონს შეადგენს.



მიმწოდებელი კომპანიების მიმართ მრავალწლიანი დავალიანებები ჯერჯერობით დაუფარავი რჩება

„ეკოპალიტრა“ „პოპულისა“ და „იოლი სუპერმარკეტის“ მენეჯმენტს დაუკავშირდა, სადაც გვითხრეს, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში SEAF-ი გეგმავს, დიდი ძალისხმევა მოახმაროს ბაზარზე კომპანიის პოზიციების გამყარებას, ბაზრის სოლიდური წილის მოპოვებას, პროდუქციის ასორტიმენტის ზრდას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და სავაჭრო ქსელის გაფართოებას როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. საწყის ეტაპზე კი ფონდის ერთ-ერთ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა მომწოდებლებთან აქტიური მოლაპარაკებების გაგრძელება, მათი ნდობის აღდგენა და სამომავლო გეგმებისა და პერსპექტივების განხილვა იქნება.

დღეს „პოპულისა“ და „იოლი სუპერმარკეტის“ ქსელი 69 სავაჭრო ობიექტს მოიცავს.

**ესბენ ემბორგი** *(სს „პოპულისა“ და შპს „იოლი სუპერმარკეტის“ აღმასრულებელი დირექტორი):* „დღეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, მომწოდებლებთან მოვაგვაროთ ვალების პრობლემა, შევავსოთ დახლები, რომელიც ბოლო დროს დაცარიელებული იყო, რის გამოც მომხმარებლების განწყობა „პოპულის“ მიმართ არცთუ დადებითია. თუმცა ყველა ღონეს ვიხმართ, რათა რაც შეიძლება მალე მოვიპოვოთ ჩვენი მომხმარებლების კეთილგანწყობა და „პოპულისა“ და „იოლი სუპერმარკეტის“ ქსელი კვლავ გახდეს მათი ყოველდღიური არჩევანი. ამას კი, რა თქმა უნდა, მივაღწევთ მათთვის უკეთესი სერვისის შეთავაზებით, პროდუქციის ფართო ასორტიმენტითა და საუკეთესო საფასო პოლიტიკით. როგორც საინვესტიციო ფონდი, ჩვენ წინა მფლობელთან შედარებით მეტ ფინანსურ რესურსს ვფლობთ, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ქსელის მომგებიანად და ბაზრის ერთ-ერთ ლიდერად გადაქცევას, მაქსიმუმ, ექვს თვეში მოვახერხებთ“.

**P.S. გადაიხდის თუ არა მილიონობით დავალიანებას „პოპულისა“ და „იოლი სუპერმარკეტის“ ახალი მფლობელი, ალბათ ახლო მომავალში გამოჩნდება. საინტერესოა, როგორ მოახერხებს საინვესტიციო ფონდი მისი ვალებიანი შვილობილი კომპანიების „გატეხილი სახელის“ აღდგენასა და მიმწოდებლების ნდობის დაბრუნებას.**

მეწარმეები მოგვითხრობენ

# „300-ლარიანი ბარიერი ბიზნესს ამუხრუჭებს“



**გადაცემა „ბიზნესფაილი“ ყოველ სამშაბათს რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრა TV“-ის ეთერში გადის და ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის პოპულარიზაცია-განვითარებას ემსახურება. მორიგი გამოშვების თემა იყო საფოსტო გზავნილებისა და ამანათების ბიზნესი. საუბრობენ „კამარა ექსპრესის“ დირექტორი თეა ზერეკიძე და „გლობალ ტრანსპორტერის“ მენეჯერი დავით ბერიშვილი.**

**თეა ზერეკიძე:** — საფოსტო გზავნილებისა და ამანათების ბიზნესმა განვითარება საქართველოში, დაახლოებით, 2003-2004 წლიდან დაიწყო. ბევრს უნდოდა, უცხოეთიდან შემოსული პროდუქტი, ფეხსაცმელი იქნებოდა ეს ტანსაცმელი, პარფიუმერია, ელექტროტექნიკა თუ ავტონაწილები, პირველი ხელიდან, ხელსაყრელ ფასად შეეძინა. ეს სურვილი და გადამხიდავი კომპანიების შექმნა ამანათების ბიზნესის განვითარების წინაპირობა იყო. ამ საქმით მეც დავინტერესდი, შევქმენი ვებგვერდი და მომხმარებელს პირობები გავაცანი. თავიდან ბევრს ეშინოდა, რომ თანხის გადახდის შემდეგ გამოწერილ ნივთს დაკარგავდა, მაგრამ ნელ-ნელა ნდობა მოვიპოვეთ. ყველას ვურჩევთ, ინტერნეტში გადაამოწმოს ინფორმაცია იმ მაღაზიის სანდოობის შესახებ, საიდანაც პროდუქტის გამოწერას აპირებს. რეკომენდაციას არასდროს ვუწევთ ჩინურ მაღაზიებს. თუ მომხმარებელს შეკვეთილი პროდუქტი არ ჩამოუვა ან მის ნაცვლად სხვა პროდუქტს მიიღებს, ზარალს ვანაზღაურებთ. ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველაზე გამოცდილ სატვირთო ავიაკომპანია „კარგო ლუქსთან“ და ვიცით, რომ ამანათები საიმედო ხელშია. გამონაკლისი რომც მოხდეს და ტვირთი დაიკარგოს, კლიენტი მაინც არ დაზარალდება, დანაკარგზე პასუხს ჩვენ ვაგებთ.

**დავით ბერიშვილი:** — ჩვენი ბაზარი სხვა ქვეყნებთან შედარებით პატარაა, თუმცა გარემო საკმაოდ კონკურენტულია. ამანათების იმპორტირებას დაახლოებით ათი კომპანია ახდენს. ტარიფები ძირითადად სტანდარტულია, კონკურირებას აქციებითა და მუდმივი კლიენტების წახალისებით ვცდილობთ. პრობლემა იქმნება, როდესაც ბაზარზე ახალი, გამოუცდელი კომპანია ჩნდება და დაბალი ფასებით თავის დამკვიდრებას ცდილობს. ის მოგვიანებით ხვდება, რომ ხარჯი მეტი აქვს, ვიდრე შემოსავალი და მუშაობას აჩერებს, მაგრამ ამასობაში ბაზარზე ვითარებას აფუჭებს. სახელმწიფო ბიზნესის განვითარებისთვის ხელს გვიწყობს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მხოლოდ 300 ლარამდე ღირებულების ტვირთი არ ექვემდებარება განბაჟებას. ეს მომხმარებელს დისკომფორტს უქმნის. ის გამოსავალს ეძებს და პოულობს კიდეც: გამოიწერს ერთ ამანათს, დაელოდება ჩამოსვლას და შემდეგ იწერს მეორეს. 1500 ლარის საქონლის შემოტანა მაინც რომ შეიძლებოდეს განუბაჟებლად, ეს მომხმარებელსაც სასიკეთოდ წაადგებოდა და ჩვენთვისაც უკეთესი იქნებოდა. იმედია, ეს საკითხი ადრე თუ გვიან მოგვარდება.

*ხათუნა ბახტურიძე*



# „სავახშო ეკონომიკის“ საფუძვლები

## მევახშეობას სახელმწიფო დაარეგულირებს



მევახშეებს მკაცრი რეგულაციები დაუწესდებათ, რათა სასესხო ხელშეკრულებების გაფორმება ისეთი ადვილი აღარ იყოს

*(21-ე გვერდიდან)*

მეორე მხრივ, ვალს ყველა საკუთარი ნებით იღებს. სასწრაფო გადასახდელების გარდა, ზოგიერთი ზედმეტად სარისკო საქმეში ებმება და რეალობას მცდარად აფასებს, ზოგიერთი ოჯახის ქონებას კი უკონტროლო აზარტი იწირავს... არადა, სახელმწიფო ფორმალურად ვერავის დაუშლის ვალის გაცემას ან აღებას. თუმცა მოვლენის ფართო მასშტაბს ის ცალკეული პირების პრობლემიდან საერთო-ეკონომიკური პრობლემის რანგში აჰყავს.

ვალების გამო ჩვენს ქვეყანაში უამრავი უბედურება დატრიალებულა, თვითმკვლელობის მცდელობაც მრავალი იყო. მთავრობაში დაასკვნეს, რომ მევახშეობა უნდა დარეგულირდეს. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სასამართლო გადაწყვეტილებების გამო მოქალაქეთა საკუთარი ბინებიდან გამოსახლებას სამინისტროს საქმიანობის „ყველაზე მტკივნეული ასპექტი“ უწოდა. მთავრობა მოსახლეობას საგანგებოდ გააფრთხილებს იპოთეკურ სესხთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ და ტელეეთერებში ამ თემაზე სარეკლამო რგოლს დაატრიალებს. შეიქმნება სამუშაო ჯგუფი და იპოთეკის სამართლებრივი რეჟიმის რეფორმაზე იმუშავებს. მევახშეებს მკაცრი რეგულაციები დაუწესდებათ, რათა სასესხო ხელშეკრულებების გაფორმება ისეთი ადვილი აღარ იყოს, როგორც დღეს არის, შესაძლოა გადაიხედოს ნოტარიუსების როლიც.

**ირაკლი ლექვინაძე** *(„ჯორჯიან ბიზნეს ინსაიტის“ გენერალური დირექტორი):* — მევახშეობის ინსტიტუტმა მართლაც ბევრი პრობლემა შექმნა. ძნელია ურთიერთობა ისეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, რომლებიც ბაზარზე კუსტარულად არიან წარმოდგენილი და ხშირად პატარ-პატარა ჯიხურებშიც კი არიან განთავსებული. ძნელია ურთიერთობა კერძო მევახშეებთან, რომლებიც ასევე ძალიან ძვირად აფასებენ თავიანთ კაპიტალს. წარმოიდგინეთ, ზოგიერთს თვეში არათუ 4-5%, 10%-იც კი აქვს დაწესებული, რაც წელიწადში 120%-ია! თანაც ამ ტიპის სესხებს ძირითადად იღებენ სოციალურად შეჭირვებული ადამიანები, რომლებსაც სხვა გამოსავალი არ აქვთ. მათ ხშირად უწევთ ვალის უზრუნველყოფა უძრავი ქონებით, რომელსაც შემდეგ კარგავენ.

ნებისმიერი ტიპის მევახშეობა, რომელიც არ არის გაფორმებული კონტრაქტით, უკანონოდ ითვლება. ამ სფეროს რეგულაცია განსაკუთრებით ძნელია, იმიტომ რომ ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არ არის აღრიცხული და დარეგისტრირებული ეროვნული ბანკის მიერ. თუ ახალი რეგულაციებით მოხერხდება ყველა სუბიექტის ჩარჩოში მოქცევა, ეს საშუალებას მისცემს ეროვნულ ბანკსა და მარეგულირებლებს, მათი საქმიანობა აკონტროლონ და მომხმარებელიც გააფრთხილონ, აუხსნან, რა შემთხვევაში როგორ მოიქცეს... დაზარალებული ადამიანების რიცხვი ძალიან დიდია. მართალია, ეკონომიკურ საქმიანობას ვერავის დავუშლით და ვერც პროცენტს დავარეგულირებთ, მაგრამ, უბრალოდ, ადამიანმა უნდა განსაზღვროს შედეგი, რომელიც შეიძლება მის ნაბიჯს მოჰყვეს. ადრე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რეგისტრაციის გარეშე საქმიანობდნენ, მათ შორის მხოლოდ სოლიდურ სუბიექტებს აქვთ გავლილი რეგისტრაცია. ახლა კი ყველა უნდა აღირიცხოს, რაც სწორად მიმაჩნია. კერძო პირებიც უნდა დარეგისტრირდნენ, რადგან რეგისტრაციის გარეშე ეკონომიკური საქმიანობა საქართველოში აკრძალულია.

**ლევან კალანდაძე** *(ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში):* — ჩემი აზრით, ე.წ. მევახშეობა ჩვეულებრივი საკრედიტო ურთიერთობაა, რომელსაც არასაბანკო ორგანიზაციები ახორციელებენ. ეს სესხები შინაარსით არაფრით განსხვავდება იმ სესხისგან, რომელსაც კომერციული ბანკი გასცემს. ისინი ბანკების კონკურენტები არიან და ბანკებიც ცდილობენ, უარყოფითი პიარი ააგორონ ამ ბიზნესის წინააღმდეგ. მართალია, სასესხო კაპიტალის ფასი არასაბანკო სფეროში საკმაოდ მაღალია და ხშირად წლიური განაკვეთი 38-40-50%-ია, მაგრამ საბანკო სესხისგან განსხვავებით, აქ გაცილებით მოქნილია პროცედურები, რომლებიც სესხის გაცემას წინ უძღვის. ადამიანი, რომელსაც არ უნდა სესხის ასაღებად ხანგრძლივი საბანკო პროცედურების გავლა, სწორედ ამ ტიპის არასაბანკო არხებიდან იღებს სესხს. ეს ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობაა, მაგრამ თვითონ ხალხი უნდა გაფრთხილდეს. აიღეთ 12%-იანი სესხი, რატომ იღებთ 38%-იანს, თუ იცით, რომ ვერ გადაიხდით? — მგონი, მოსახლეობა კარგად უნდა დაუფიქრდეს ამ კითხვებს. მარტივი შედარება: ბაზარზე არის იაფი პროდუქტებიც და ძვირიც, ვისაც საშუალება არ აქვს, იძულებულია, იაფი შეიძინოს. ფულადი კაპიტალიც პროდუქტია. ეკონომიკურ საქმიანობას კი თანამედროვე სახელმწიფო ვერავის დაუშლის.

### მოკლედ

- **აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, 2008-2012 წლებში აღსრულებული საქმეების რაოდენობამ 197 243 საქმე შეადგინა. ციფრი შთამბეჭდავია, მიუხედავად იმისა რომ აქ არ ჩანს, საქმეების რა ნაწილი ეხება უძრავ ქონებას.**
- **2013 წლის იანვრის ბოლოსთვის, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, ანუ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა 3 ათასით იყო მომატებული და 78,8 ათასს აღწევდა. რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა ყოველდღიურად შეიძლება შეიცვალოს ორივე მიმართულებით.**

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 8.03.2013-დან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:**

| | |
|---|---|
| USD 1 აშშ დოლარი | 1.6595 |
| EUR 1 ევრო | 2.1615 |
| GBP 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 2.4879 |
| RUB 100 რუსული რუბლი | 5.3945 |

### საბერძნეთმა 6 კუნძული გაყიდა

საბერძნეთმა 6 დაუსახლებელი კუნძული ყატარის ემირს მიჰყიდა 8,5 მილიონ ევროდ. სულ საბერძნეთის განვითარების ფონდმა, კრიზისის გამწვავების პირობებში, 30–50 წლიანი იჯარით გასაცემად 40 დაუსახლებელი კუნძული გამოიტანა. დეფოლტის ზღვარზე მყოფ საბერძნეთს საერთაშორისო კრედიტორებმა 2010 წლიდან 240 მილიარდი ევროს კრედიტი დაუმტკიცეს, ხოლო კერძო ინვესტორებმა 107 მილიარდი ევროს დავალიანება ჩამოაწერეს.

### ჰარვარდი უნივერსიტეტი ლიდერია

რეპუტაციის მიხედვით შედგენილ მსოფლიოს უნივერსიტეტთა ტოპასეულს აშშ-ის ჰარვარდის უნივერსიტეტი უდგას სათავეში. Times Higher Education-ის (THE) შედგენილი რეიტინგის (World Reputation Ranking) მიხედვით, მსოფლიოს 100 საუკეთესო უნივერსიტეტიდან 40 ამერიკულია. ჰარვარდის უნივერსიტეტს რეიტინგში 100 ქულა მიენიჭა, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (87,6 ქულა) შემდეგ კი კემბრიჯის უნივერსიტეტი (81,3 ქულა) მოდის. ოქსფორდის უნივერსიტეტი (73,0), შარშანდელთან შედარებით ორი ადგილით დაქვეითდა და მეოთხე აღმოჩნდა, ხოლო მეხუთეზეა კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლიში (72,4).






**სარედაქციო კოლეგია**
მთ.რედაქტორი: ზელა ზურზენიძე

**მისამართი:**
თბილისი; იოსებიძის ქ. 49,
ტელ.: 238-84-44
ელფოსტა: eko@palitra.ge

**სარეკლამო სამსახური:**
ტელ.: 237-78-07

გაზეთში გამოყენებულია სააგენტო „ინტერპრესნიუსისა“ და ინტერნეტპორტალ Commersant.ge-ს მასალები

## უნიკალური შესაძლებლობა

# ინგლისური ენის შესწავლა უკვე ძალიან იოლია

*გამომცემლობა „პალიტრა L“-მა და გაზეთმა „ყველა სიახლემ“ თითქმის ერთი თვეა, რაც საინტერესო სიახლე შესთავაზა მომხმარებელს — ინგლისური ენის თვითმასწავლებელი — **English today**. მულტიმედიური კურსის ყოველი ნაწილი: წიგნი, **DVD** და აუდიოფაილები მხოლოდ 6 ლარი ღირს. მათი შეძენა შესაძლებელია გაზეთ „ყველა სიახლესთან“ ერთად.*




ეს ძალიან მოხერხებული და შედეგიანი კურსი უკვე გამოცადა ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა და დარწმუნდა კიდეც, რომ განსაკუთრებული ძალისხმევისა და დიდი დროის ხარჯვის გარეშეც შესაძლებელია დღეს ინგლისური ენის შესწავლა.

— ეს მულტიმედიური კურსი მათაც კი ასწავლის ენას, ვინც ადრე ცდილობდა და არ გამოუვიდა, — მხიარულად მითხრა ბატონმა ელიზბარ ნინუამ, რომელიც დილიდან დაღამებამდე ტაქსის მძღოლად მუშაობს და როგორც თავად ამბობს, სწავლის ასაკიც კარგა ხანია გავლილი ეგონა, — მაგას რას წარმოვიდგენდი, რომ მე, 57 წლის კაცი, ენას ვისწავლიდი და ორი წინადადების გადაბმას მაინც შევძლებდი... ერთხანს, როცა მთავრობა გვიცხადებდა, ინგლისური ენა ისწავლეთ და სამსახურს იშოვითო, ძალიან ვეცადე, ვიფიქრე, ცოტას მაინც თუ ვისწავლი, ეგება მართლა ჩემი განათლების შესაფერისი სამსახური მივიღო-მეთქი... ორი თვე ვიწვალე და დავყარე ფარ-ხმალი. შვილებმაც მითხრეს, რაღა დროს შენი უცხო ენის სწავლააო... ტაქსის მძღოლად ვმუშაობ და ვიდრე კლიენტს ველი, პრესას გადავავლებ ხოლმე თვალს, იმ დღესაც „ყველა სიახლე“ მინდოდა მეყიდა. გამყიდველმა მკითხა, ენის სწავლა გინდათ თუ მხოლოდ გაზეთიო. ჯერ მეგონა, მეხუმრებოდა. რომ ამიხსნა, რაში იყო საქმე, გადავწყვიტე English today შემეძინა, 6 ლარი ისეთი თანხა არ არის, ვერ გაიმეტო... დავდივარ ქალაქში და ჩართული მაქვს აუდიოგაკვეთილები... იცით, რა მოხდა? დღეს უცხოელი მგზავრები ჩამისხდნენ და თავისუფლად შევძელი მათთან ორიოდე წინადადების თქმა. გაოცებული ვარ!

როგორც მადლიერი მკითხველისგან შემოსული ზარები გვატყობინებს, English today მართლაც არაჩვეულებრივ შედეგს იძლევა.

— რაც მთავარია, ყოველგვარი ზედმეტი ხარჯის გარეშე ვსწავლობ, — გვითხრა ნატალია ალავერდაშვილმა, — მასწავლებლის დაქირავება ძალიან ძნელია, სულ დამოუკიდებლად სწავლაც არ არის ადვილი... English today ის შემთხვევაა, როცა არც მასწავლებელი გჭირდება და დამოუკიდებლადაც ისე სწავლობ, თითქოს პედაგოგი თავზე გადგას. თანაც, რამდენჯერაც გინდა გაიმეორე გაკვეთილი...

**მულტიმედიური კურსის ყოველი ნაწილი: წიგნი, DVD და აუდიოფაილები მხოლოდ 6 ლარად!**

ინგლისური ენის შემსწავლელ თემატურ ფილმებს თან ახლავს ქართული თარგმანი სუბტიტრებით, რომლის ჩართვა ან გამორთვა შენს ნებაზეა დამოკიდებული.

**„რას წარმოვიდგენდი, რომ 57 წლის კაცი ენას ვისწავლიდი...“**

შეგახსენებთ, რომ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი English today იტალიური გამომცემლობა Scala-Group international-ის მიერ არის შემუშავებული და აპრობირებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში. მხოლოდ იტალიაში ამ კურსის დახმარებით ინგლისურ ენას მილიონზე მეტი ადამიანი დაეუფლა. ეს კურსი ასევე დაეხმარება მათ, ვისაც ტოეფლისა და სხვა საერთაშორისო ტესტის ჩაბარება სურს.

ეს არის სწორად გააზრებული გაკვეთილები, სადაც მაღალკვალიფიციური პედაგოგები გრამატიკის, სინტაქსის, ლექსიკის, გამონათქვამებისა და ფრაზეოლოგიის სწორად და ადვილად დაუფლებაში დაგეხმარებიან. DVD-ზე ჩაწერილია სახალისო ფილმი, სერიალი, რომელიც სპეციალურად ინგლისური ენის შემსწავლელებისთვის შეიქმნა. აუდიოდისკს კი შეგიძლია მოუსმინო ყველგან, მათ შორის ავტომობილში, სამზარეულოში საქმიანობისას ან ბავშვის მოვლისას... მით უმეტეს, რომ ინგლისური ენა თქვენს პატარაშიც დაილექება როგორც პოტენციური ცოდნა და მომავალში მას ძალიან გაუადვილდება ენის შესწავლა.

უცხო ენის შემსწავლელი ახალი მულტიმედიური კურსი გაძლევთ უნიკალურ შესაძლებლობას, დამოუკიდებლად დაეუფლოთ ინგლისურ ენას. 26 წიგნად დაყოფილ სახელმძღვანელოს თან ახლავს ამდენივე DVD და აუდიოდისკი, რომელიც დამწყებს ან გარკვეული ენობრივი საფუძვლის მქონე ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ელემენტარული საწყისებიდან ცოდნა ბიზნესინგლისურამდე გაიღრმავოს.

**ლელა გაგუა**



## თქვენთვის ქალბატონებო



# „ეს ბავშვი არ უნდა დაიბადოს!“



**«მოღუშულს პირიდან მყრალი სუნი ამოსდიოდა და თეთრი ქაფი წვრილ ზოლებად ეღვრებოდა ნიკაპზე. – „წამალი მინდა, გააღვიძე დედაჩემი!“ – გამოცრა. აკანკალებულმა ანამ დედამთილი გააღვიძა... – ჩქარა გაუკეთე, თორემ დაანგრევს ყველაფერს! – შეუღრინა ქალმა... ლუკას მკლავზე ლახტი უკვე გადაეჭირა, ამპულას ეცა და შპრიცი დაბერილ ვენას დაუმიზნა...**

— დედაჩემი გააღვიძე და უთხარი, წამალი მოგცეს, — უთხრა ანას მოღუშულმა ქმარმა, რომელსაც პირიდან მყრალი სუნი ამოსდიოდა და თეთრი ქაფი წვრილ ზოლებად ეღვრებოდა ნიკაპზე.

— რა გჭირს? — შეჰკივლა ნამძინარევმა ცოლმა.

— წამალი მინდა, გააღვიძე დედაჩემი! — გამოცრა კაცმა.

აკანკალებული ანა დედამთილის საძინებელში შევიდა და ქალი ფრთხილად გააღვიძა...

— ტანსაცმლის კარადის კუთხეში კოლოფია. შენთან წაიღე. თვითონ მიხედე შენს ქმარს, — ჩაილაპარაკა ქალმა და კედლისკენ გადაბრუნდა. ანა გაშეშდა.

— დროულად გაუკეთე, თორემ დაანგრევს ყველაფერს, რას უდგახარ? — პირმოუბრუნებლად შეუღრინა ქალმა.

ლუკას მკლავზე ლახტი უკვე გადაეჭირა, კოლოფს ეცა, ამპულა გატეხა და შპრიცი დაბერილ ვენას დაუმიზნა... მერე დამშვიდდა და ჩაეძინა.

ანა ციებიანივით კანკალებდა. პლედი შემოიხვია და სასტუმრო ოთახში დივანზე დაწვა. ლუკა ნარკომანია და დედამისი უწყობს ხელს — ტვინს უჭამდა ფიქრი 18 წლის გოგოს. დილით აღელვებულმა დედამთილს უამრავი კითხვა დააყარა...

— ლუკა დიდი ხანია წამალზე ზის, თავის დანებებას ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის. რომ არ მივცე, მომკლავს! — უპასუხა დედამთილმა.

— თქვენ საიდანღა გაქვთ ნარკოტიკი?

— რამდენს მეკითხები? წადი, თავს მიხედე, დატკბი ცხოვრებით. დაორსულებაზე არც იფიქრო. ლუკას ორგანიზმი ისე აქვს ნარკოტიკით გაჟღენთილი, რომ ნუ დაიდებთ ბავშვის ცოდვას, — ქალს დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, თვალები კი ბოროტად უელავდა.

ანა ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან, თითქოს სურდა, რაღაცას ჩუმად, უმტკივნეულოდ გასცლოდა. საწოლზე დაემხო და შეეცადა, აზრები დაელაგებინა. გაახსენდა, სტომატოლოგი დედამთილის კაბინეტიდან როგორი ბედნიერი სახით მიდიოდნენ ხოლმე ბიჭები — იმ ოთახს არასოდეს პაციენტი ქალი არ სტუმრებია... ლუკას „სტომატოლოგი“ დედა ნარკოტიკებით ვაჭრობს? „აქ სად მოვხვდი, — აქვითინდა გოგო და თავის ნივთებს ეცა ჩასალაგებლად, — ამ ცოდვის ბუდეში ველარ დავრჩები“, — ჩურჩულებდა და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. დედამთილმა არ იეჭვოს, რომ გავრბივარო და გადაწყვიტა, თავისი ნივთები ნაწილნაწილ გადაეტანა მშობლების სახლში. მალე სამუდამოდ უნდა გასცლოდა ლუკას. ანას არასდროს ჰყვარებია ქმარი. სულ სამჯერ ნახა და ამის შემდეგ როგორც მხეცმა ნადავლი, ისე მოიტაცა...

**„დედამ მასწავლა, როგორ მოვიშორო ზედმეტი ტვირთი“**

...ანამ ლუკა მიატოვა. კატეგორიულად განუცხადა, — ნარკომანთან და, მით უფრო ამ საშინელებით მოვაჭრე ქალთან ვერ ვიცხოვრებო.

სიმწრისგან ღმუოდა ლუკა, ეხვეწებოდა, არ წახვიდე, სხვაგან ვიცხოვროთ, შენ ხარ ჩემი გადარჩენის ერთადერთი იმედი, სადაც შენ არ იქნები, იქ ნარკოტიკი მომერევა და ბოლოს მომიღებსო, მაგრამ... — შენ გვერდით ვიწექი და მაინც ნარკოტიკი მოგერია, მაიძულე, ჩემი ხელით მომეტანა წამალი. ჩვენ შორის ყველაფერი დასრულდაო, — მტკიცედ უთხრა ანამ და კარი გაიჯახუნა.

რამდენიმე დღის მერე ლუკა რესტორანში ჩხუბის დროს დაჭრეს და ერთ კვირაში გარდაიცვალა. ანა კი მიხვდა, რომ ორსულად იყო...

— თქვენი შვილი მახინჯი იქნება, ბავშვი არ უნდა გააჩინო, ლუკას ორგანიზმი ნაგვით აქვს სავსე, — ჩაესმოდა დედამთილის სიტყვები და თავს ებრძოდა, ბოროტება არ ჩაედინა. დედას გაუმხილა, რომ ორსულად იყო, ეგონა, ის მაინც დაეხმარებოდა უმძიმეს წუთებში. ეს ბავშვი ავადმყოფი იქნება, შენი ქმარი ხომ ნარკომანი იყოო, — დაასკვნა დედამ.

იმ ღამეს მშობლებმა ითათბირეს და დილით ანას განაჩენი გამოუტანეს — ან აბორტი უნდა გაიკეთო, ან დაბადებისთანავე უარი თქვა ბავშვზე! ჯანმრთელიც რომ დაიბადოს, მერე მაინც აღმოაჩნდება ნაკლი. რად გინდა ასეთი შვილი, ცხოვრებას დაგინგრევს. ბავშვის შვილად აყვანის მსურველს ჩვენ მოვნახავთ, ფულს გადაიხდიან, რომელსაც შენს განათლებას მოვახმართ და მერე უკეთეს კაცს გაჰყვები ცოლად, ეს ბავშვი საშინელ ტვირთად დაგაწვება, რომელსაც ვერავინ შეგიმსუბუქებსო, — ეუბნებოდა დედა და წარბშეუხრელად სთავაზობდა ამ საზარელ გარიგებას ქალიშვილს, რადგან გადაწყვეტილების სისწორისა სჯეროდა.

— რა ბოროტი ყოფილხარ, დედა, ჩემს დედამთილზე არანაკლები ბოროტი. გავიქცევი შინიდან, ან თავს მოვიკლავ, — დაემუქრა მშობლებს, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ანა მალე მოტყდებოდა. ასეც მოხდა — 18 წლის გოგო მშობლების ნებას დაჰყვა...

*„მე ვისწავლე, როგორ მოვიშორო ზედმეტი ტვირთი. ეს დედამ მასწავლა. სჯობდა, თვითონ მოვეშორებინე, როდესაც მიხვდა, რომ მუცლით მატარებდა... აბორტის შემდეგ სასწავლებლად გერმანიაში გამიშვეს. იქ შემიყვარდა კაცი, რომელიც ჩემთვის დაბადებული მეგონა. საოცარი იყო სიყვარულის გრძნობა, მოვდუნდი, ერთიანად ვნებას მივეცი, რომ წარსულისგან გავთავისუფლებულიყავი. ის ბიჭი დანიელი იყო. თბილი, ყურადღებიანი და როდესაც ვიფიქრე, ბედნიერების მწვერვალზე ვდგავარ-მეთქი, მითხრა, — ცოლს ვურიგდებიო. თურმე ამ ხნის განმავლობაში ცალცალკე ცხოვრობდნენ...*

*გული მერეოდა, საშინლად ვიყავი. იმ მატყუარას ვუთხარი, ორსულად ვარ-მეთქი. დამამშვიდა, — ევროპაში მარტოხელა დედებისთვის ცხოვრება იოლიაო. შემიჩნდა ეშმაკი — ტვინში დედაჩემის სიტყვები მიტრიალებდა, — ბავშვი, რომელსაც მამა არ ჰყავს, ზედმეტი ტვირთია... მე ხომ მან მასწავლა ამ ტვირთის მოცილება, არ ვიცი, რატომ მეშინოდა ბავშვის გაჩენის, თითქოს პირველი აბორტის დროს რაღაც მოხდა ჩემს ტვინში და შვილების მკვლელად ვიქეცი. ამჯერადაც სასიკვდილოდ გავიმეტე ჩემი სიყვარულის ნაყოფი. ერთი კვირის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტყუპი მყოლია და აბორტი სრულფასოვნად არ მქონდა გაკეთებული. ექიმებმა დაასკვნეს, რომ სახიფათო იყო ტყუპისცალის საშვილოსნოში დატოვება. — შესაძლოა მახინჯი დაიბადოს, ან ბოლომდე ვერც მიიტანოთ ორსულობა, ნაყოფი აუცილებლად დაზიანდებოდა, როდესაც ერთი ემბრიონი გამოვფხიკეთო, — გამომიცხადეს და მეც იოლად დავთანხმდი. საღამოს დედამ დამირეკა თბილისიდან, — როგორ ხარო. კარგად დედა, ზედმეტი ტვირთისგან გავთავისუფლდი, ცოტა დავიღალე და შენთან ლაპარაკის თავი არა მაქვს-მეთქი და ყურმილი დავკიდე...*

*გავიდა დრო, ერთხელ, მატარებლით მგზავრობისას ძალიან საინტერესო ფსიქოლოგი გავიცანი, დავუახლოვდი. ფრანკი გერმანელი იყო. მას გავანდე ჩემი ტრაგედია. ხანგრძლივმა ფსიქოლოგიურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ დავვორსულებულიყავი და შვილი გამეჩინა. ფრანკი უზომოდ მიყვარდა... მე ხომ არავისგან ისეთი ზრუნვა არ მიგრძნია, როგორიც მისგან, ის დამეხმარა ჩემს თავში წლების წინ დასამარებული ადამიანი აღმედგინა მკვდრეთით და დედობის სურვილით ავსებულიყო ჩემი სხეული. მერე რა, რომ ასაკით თითქმის ორჯერ დიდია ჩემზე. მიყვარს ისე, როგორც არავინ და ბედნიერი ვარ, რომ მისგან შვილი გავაჩინე...*

*ჩემს მშობლებს ბავშვის ნახვის უფლებას არ ვაძლევდი. მთხოვდნენ, თბილისში დაბრუნდი და გაგვაცანი ფრანკი (ჩვენ სამოქალაქო ქორწინებაში ვართ) და ბავშვიო, რომელიც თურმე დედაჩემის და მამაჩემის საყვარელი შვილიშვილია.*

*6 თვის წინ ჩამოვედი ევროპიდან, რადგან შემატყობინეს, — მშობლები ავტოკატასტროფაში მოჰყვნენო. მამა მაშინვე გარდაცვლილა. დედამ სამი კვირა იცოცხლა. ძალიან მინდოდა, გონზე მოსულიყო და სიცოცხლის ბოლოს სინანულით ეთქვა, შვილების მკვლელობა არ უნდა მესწავლებინა შენთვისო. ბედნიერი ვარ, რომ ასეც მოხდა. რამდენიმე დღით მოვიდა დედაჩემი გონზე და როდესაც ჩემი შვილი დაინახა, სინანულით აღმოხდა, — დამნაშავე ვარ, მაპატიეო...“* — წერს ანა თავის დღიურებში, რომელიც რამდენიმე დღის წინ გამაცნო...

**სოფო გამრეკელი**



20 წელი

განათლების სამსახურში

Scientia et Veritas

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

ALMA MATER

www.gruni.edu.ge

# ჩხუბისთავებმა თხილი ვერ გაიყვეს



კანადელი ფოტოგრაფი ანდრე მოროზოვი ონტარიოს სამეფო ბოტანიკურ ბაღში შეესწრო ციყვების ომს, რომელიც ჯირკზე დატოვებული მიწის თხილის გამო გაჩაღდა.

*„ერთი ციყვი უკვე იწყებდა თხილის მირთმევას, როცა ჯირკზე მეორე ახტა. დამხვდური აშკარად არ აპირებდა დათმობას. თვალის დახამხამებაში ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, მეგონა, პროფესიონალი „ბოევიკების“ სერიალს ვუყურებდი,* — ჰყვება ანდრე, — *დამხვდურმა ჯერ დაუპატიჟებელი სტუმრის ჯირკიდან ჩაგდება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა, შემდეგ კი ერთმანეთს ისე დაეტაკნენ, თხილი სულ გადაავიწყდათ — გამწარებული ცდილობდნენ ერთმანეთის დაკბენას და ჯირკიდან გადაგდებას, ორივე თანაბარი ღონისა გამოდგა, ამიტომ ჭიდილი კარგა ხანს გაგრძელდა და ბოლოს ახლომდებარე ხეებზე გადაინაცვლა“.*

თურმე სამეფო ბაღში დამსვენებლები ციყვებს ხშირად უტოვებენ ჯირკებზე მიწის თხილს და ციყვები მას მშვიდობიანად იყოფენ.

*„როგორც ჩანს, ამჯერად ყველაზე ღორმუცელა და ჩხუბისთავი ციყვები შეხვდნენ ერთმანეთს“,* — დასძენს ფოტოგრაფი.









# 3D შინაური ცხოველი!

90-იანი წლების ბოლოს იაპონიასა და ჩინეთში თითქმის ყველა ბავშვს ჰქონდა ელექტრონული სათამაშო — ე.წ. „ტამაგოჩი“, რომლის მოვლა-პატრონობა, გამოკვება, თამაში და ხანდახან მკურნალობაც კი იყო შესაძლებელი. ჩინელმა დიზაინერებმა თამაშის „გამოცოცხლება“ გადაწყვიტეს და თანამედროვე ბავშვებისთვის ინოვაციური „ტამაგოჩი“ შეიმუშავეს. მას Jarpet (ანუ შინაური ცხოველი ქილაში) უწოდეს.

სათამაშო მინის ცილინდრს წარმოადგენს, რომელშიც 3D-პროექტორია ჩამონტაჟებული. იგი ცილინდრის შიგნით ნებისმიერ ვირტუალურ ცხოველს ქმნის — ცხოველის ჩამოტვირთვა შესაძლებელია სპეციალური სერვერიდან. ბავშვს რომელიმე ცხოველი თუ მოჰბეზრდება, მისი შეცვლა იოლია...

სამგანზომილებიანი ცხოველი არა მარტო ნამდვილივით გამოიყურება, არამედ შესაბამისადაც იქცევა. თუ „ქილას“ მიუკაკუნებ, მწერი შეფუცხუნდება, თევზები გამჭვირვალე კედელთან მოცურდებიან, პეპელა ფრთებს ააფრიალებს.

ალსანიშნავია, რომ Jarpet-მა 2012 წელს კონცეპტუალური პროექტების კონკურსზე პირველი პრემია მიიღო.





# ბომჟი სასურველ სასიძოდ იქცა



ერთ-ერთ ბრიტანულ რადიოსადგურს (Key 103) უსიამოვნო ამბავი შეემთხვა — ანსამბლი, რომელსაც პირდაპირ ეთერში გადაცემაში, „დიჯეი ტიმ შოუსთან ერთად“, რამდენიმე სიმღერა უნდა შეესრულებინა, სტუდიაში ვერ მივიდა.

დაბნეულმა თანამშრომლებმა სიტუაციიდან გამოძრომა სცადეს და დახმარება სთხოვეს 45 წლის უსახლკარო სტივ რომერს, რომელიც აკორდეონზე ბრწყინვალედ უკრავდა. უსახლკარომ კი იმდენად ვირტუოზულად დაუკრა, რომ აღაფრთოვანა სანტიმენტალური მსმენელი და რადიოსადგურის პროფესიონალი თანამშრომლები.

ხელმძღვანელობამ უცნაურ ბომჟს თანამშრომლობა შესთავაზა...

სტივი პროფესიით პროგრამისტი აღმოჩნდა, რომელმაც სამუშაო იმიტომ მიატოვა, რომ პროფესიონალი მუსიკოსი გამხდარიყო. 4 წლის ქუჩაში წანწალმა და ღია ცის ქვეშ ცხოვრებამ სტივი ბომჟად აქცია და როდესაც რადიოს პროდიუსერმა მანჩესტერის ერთ-ერთ უბანში, დინსგეიტში მიაგნო, აკორდეონისტს ცალი ფეხსაცმელი ეცვა...

რადიოში მისი შესრულებული მუსიკა სულ მალე ჰიტი გახდა. თუმცა ახალი თანამშრომლის „ფორმაში მოყვანა“ რადიოსადგურს 4 000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა — რომერი ჯერ დალაქს და კოსმეტოლოგებს მიაბარეს, რომლებმაც ჭაღარა წვერი გაჰპარსეს, თმა შეკრიჭეს და ქერა მამაკაცად აქციეს, ამოუქნეს წარბები, გაუკეთეს სახის კოსმეტიკური პროცედურები, მანიკიური და პედიკიური, კბილის პროთეზი, ხოლო „გარდერობი“ — გაცვეთილი ჯინსის შარვალი და ცალ-ცალი ფეხსაცმელი მოდური კოსტიუმებით და მდიდრული ფეხსაცმელებით შეუცვალეს.

*„გარდასახვის გამო თავს ცოტა უცნაურად ვგრძნობ, რადგან არასდროს ვყოფილვარ მოდის მიმდევარი — ეს ჩემთვის სიახლეა. ჩემთან მუშაობა ძნელია და მადლობას ვუხდი ყველა თანამშრომელს, ვინც დამეხმარა“,* — ამბობს „ახალდაბადებული ფრანტი“.

*„ახლა სტივი უკვე მეგობარ გოგონას ეძებს და მსურველებს შეუძლიათ რადიოშოუს გამოეხმაურონ“,* — დასძენს სტივის „ამაგდარი“ პროდიუსერი.









# პატარძალი ეკლესიაში ვერ შეეტია...

16 წლის კარლი ობრაიენის საპატარძლო კაბა 25 ათასი გირვანქა სტერლინგი დაჯდა. 30 ფენისგან შეკერილ სამოსს 18-მეტრიანი შლეიფი ამშვენებდა, 3 000 ძვირფასი ქვით იყო მორთული და 160 კგ-ს იწონიდა. თურმე კარლიმ ასეთი კაბა თავისი კერპის, ბრიტანელი მოდელის, ჯორდანის ქორწილში ნახა.

პატარძალს კაბის ჩასაცმელად ცხრა საათი დასჭირდა. სამოსის სიგანე 2,5 მეტრი იყო და ამის გამო გოგონა ტაძრის კარებში გაიჭედა. შესვლასა და საკურთხეველთან მისვლაში 16 წლის პატარძალს 20 სტუმრის დახმარება დასჭირდა.

ცერემონიის შემდეგ მეფემ დაღლილ-დაქანცული პატარძალი, რომელსაც სიარულის თავი აღარ ჰქონდა, ეკლესიიდან 14 მეგობრის დახმარებით ხელში აყვანილი გაიყვანა.

*„მას სურდა ჯორდანზე დიდი და მდიდრული ქორწილი ჰქონოდა და მიიღო კიდეც“,* — განაცხადა კარლის დამ, კრისტალმა.


ნაკლები წყალი – ნაკლები წონა

# „ისე დავდიოდი, თითქოს სხეულით წყალს დავატარებდი“

„ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სხეული წყლით მქონდა სავსე, - ამბობს სარა – მაგრამ შემდეგ აღმოვაჩინე პრეპარატი **„ეფელ საიდერი 600“** და ჩემი ცხოვრება შეიცვალა.“

## სასოწარკვეთილი ვიყავი

„საკუთარი გარეგნობით თითქმის მუდმივად უკმაყოფილო ვიყავი. სხეულის სიმძიმე, ორგანიზმში ჭარბი სითხის არსებობის შეგრძნება, რომლისგანაც თავის დაღწევას უშედეგოდ ვცდილობდი! მიუხედავად იმისა, რომ დიეტას ხშირად ვიცავდი, სასუსნავისგან დიდი ხნით თავის შეკავებას მაინც ვერ ვახერხებდი. მუცელი ხშირად მებერებოდა, თვალის ქუთუთოები მიშუპდებოდა, ხელის თითებიც მისივდებოდა, ფეხებიც – თითქოს მთლიანად ვიბერებოდი. მეჩვენებოდა, რომ ორგანიზმი სითხით მევსება, რომლისგან თავის დაღწევა შეუძლებელია! და ამ ყველაფერს პირიდან უსიამოვნო სუნიც ემატებოდა... გასაკვირიც არ არის, რომ ამ მდგომარეობით გაღიზიანებული და უკმაყოფილო ვიყავი. ბოლოსდაბოლოს სასოწარკვეთა დამეუფლა“.

## მეგობარმა მირჩია

ერთხელ ჩემმა ახლო მეგობარმა მირჩია მომესინჯა ვაშლის ძმრისგან მიღებული სკანდინავიური ტაბლეტები, „ეფელ საიდერ 600“, რომელიც მას ძალიან დაეხმარა. გადავწყვიტე, გამერისკა და მიმეღო ეს პრეპარატი, მაინც არაფერს ვკარგავდი. „ეფელ საიდერი 600“-ის ტაბლეტებს ვსვამდი ზუსტად ისე, როგორც შეფუთვაზე იყო მითითებული – 2-2 ტაბლეტს დილით და საღამოს, ჭამის დროს. ერთი კვირის თავზე უკვე შევნიშნე, რომ უფრო ხშირად გავდიოდი ტუალეტში – და, ამასთან ერთად, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემი სხეულიდან ზედმეტი კილოგრამები გაედინებოდა. თანაც, უფრო ენერგიული გავხდი და თავს გაცილებით მსუბუქად ვგრძნობდი“.

## სიმსუბუქის ეს ბრწყინვალე შეგრძნება!

„ეფელ საიდერ 600“ ტაბლეტებს უკვე ოთხი კვირაა ვსვამ და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. სრულიად გამიქრა ის საშინელი შეგრძნება, თითქოს სხეული სითხით მქონდა გაბერილი. ჩემი სხეული თითქოს გაახალგაზრდავდა და ენერგიით აივსო – ყველაფერს გაცილებით ადვილად და სიამოვნებით ვაკეთებ, ენით აუწერელ სიმსუბუქეს ვგრძნობ. და რაც ყველაზე მთავარია – ცხოვრება ისევ მიხარია. იქნებ, ჩემი პრობლემა სწორედ ის იყო, რომ ჩემი ორგანიზმი სითხისგან ვერ თავისუფლდებოდა?“ - გაკვირვებით კითხულობს სარა.

## ნივთიერებათა ცვლა და სხეულის მასა

როდესაც ნივთიერებათა ცვლა სუსტდება, წარმოიქმნება საჭმლის მონელების პრობლემები, ხდება ცხიმების დაგროვება და იზრდება სხეულის მასა. ადამიანები ერთმანეთისგან ძალიან განვსხვავდებით – კვებითი ჩვევებიც სხვადასხვანაირი გვაქვს და ნივთიერებათა ცვლაც. ისინი, ვის ორგანიზმშიც ნივთიერებათა ცვლის პროცესები უფრო ნელა მიმდინარეობს, უფრო აქტიურ ცხოვრებას უნდა მისდევდნენ, მეტს მოძრაობდნენ და განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ დღის განმავლობაში მიღებულ კალორიებს. ასეთი ადამიანები აუცილებლად უნდა დაეხმარონ საკუთარ ორგანიზმს საკვების ათვისებასა და ორგანიზმიდან ჭარბი სითხის გამოდევნაში.

შეფუთვაზე მოძებნეთ ვერცხლისფერი საფირმო ნიშანი. ეს იმის გარანტიაა, რომ პრეპარატი შეესაბამება ხარისხისა და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რომელსაც კომპანია „ნიუ ნორდიკი“ გთავაზობთ.
„ნიუ ნორდიკი“ ზრუნავს ადამიანებსა დაბუნებაზე.

## სად შეიძლება შევიძინო ტაბლეტები „ეფელ საიდერი 600“?

ორიგინალური ტაბლეტები „ეფელ საიდერი 600“-ის შეძენა შეიძლება აფთიაქებში.

## კითხვები გაქვთ?

იხილეთ ინტერნეტ-საიტი:
www.newnordic.lv
ან დარეკეთ ტელეფონზე:
☎ 570 102 392
ქალაქის ნომრიდან
ზარი უფასოა






## როგორ გვეხმარება „ეფელ საიდერი 600“?

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იყენებდნენ სპეციალურ დიეტებს, ხოლო ვაშლის ძმარს სვამდნენ წონის დასაკლებად და ცხიმებისგან გასათავისუფლებლად. ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა ყოველი ჭამის შემდეგ მიირთმევდა ვაშლის ძმარს – როგორც სილამაზის და ჯანმრთელობის წყაროს. ხოლო 2400 წლის წინ ჰიპოკრატემ ვაშლის ძმარი პირველად გამოიყენა ადამიანების განკურნებისთვის.

**„ეფელ საიდერი 600“**-ის ტაბლეტები, დამზადებული ვაშლის ძმრისაგან, არტიშოკისა და ბაბუაწვერას ექსტრაქტისაგან, შექმნილია სკანდინავიური კომპანია „ნიუ ნორდიკის“ მიერ. **„ეფელ საიდერი 600“** ტაბლეტების აქტიური ნივთიერებები ეხმარება ორგანიზმს ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაში, ცხიმების დაშლასა და სითხის ბალანსის შენარჩუნებაში.

**„ეფელ საიდერი 600“** - ჭარბი სითხისა და ცხიმების დაუძინებელი მტერი!




1 საფეხბურთო კლუბ „რეალის“ მწვრთნელი



2 ჩინელი კალათბურთელი


3 ფრანგული ავტომობილი


4 ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი


5 ამერიკელი მსახიობი

1. გამარჯვების ქალღმერთი ბერძ.მით.
2. ზევსის ფარი
3. ჟანა დ'არკის მშობლიური ქალაქი
4. დიდი გამობერილი მუცელი
5. ირლანდიური ლუდი
6. მალარიის გადამტანი კოღო
7. ნაოსნობა
8. პარადი
9. ცურვის სტილი
10. ამერიკის შტატი
11. წელთაღრიცხვის ძველი სისტემა
12. არაბული ქვეყანა
13. ქართული მინერალური წყალი
14. ნადირობა აფრიკაში
15. საგაზეთო წერილი
16. ოდნავ მოხარშული კვერცხი
17. მსხვილი სტვა
18. მარჯვე, ეფექტური ილეთი
19. ფიცარი ფანჯრის ძირში
20. მწვანილი
21. ამჟავებული ღვინო
22. ინგლისური ლუდი
23. ბიბლიური პერსონაჟი
24. მთის წაწვეტებული მწვერვალი
25. კუზიანი ხარი
26. ერთგვარი საყურე
27. ტუზი
28. ფრინველთა დიდი გუნდი
29. თვალის ექიმი
30. მეტყველების ორგანო
31. ყირიმის კურორტი
32. ვალის წინდი
33. უბანი თბილისში
34. ჭადრაკის ფიგურა
35. სპორტის სახეობა
36. ქალის ღრმად გულამოჭრილი კაბა
37. ძვირფასი სასადილო
38. ქალაქი საქართველოში
39. ისრაელის არმია
40. კორიდაში მონაწილეთა პარადი
41. ქალაქი საქართველოში
42. საჭმელი სოკოს სახეობა
43. სასულ. მუსიკის სახეობა
44. მუხის ნაყოფი
45. დიდი ბოთლი
46. შლიმანის აღმოჩენა
47. მოხარშული ზეთი
48. მწერის განვითარების ბოლო სტადია
49. აფრიკული გიგანტური ხე
50. შოკოლადის ხე
51. ერთგვარი კანფეტი
52. მდინარე რუსეთში

**№10 სკანვორდის პასუხები:** 1. ტაეპი; 2. რეალი; 3. პრელუდია; 4. რაგა; 5. ბალეტი; 6. საკი; 7. უმი; 8. ლოლიტა; 9. დარეჯანი; 10. ხიო; 11. ადიდასი; 12. უნდილი; 13. სტარტი; 14. ტაილანდი; 15. პასპორტი; 16. გობელენი; 17. მაკულატურა; 18. ონავარი; 19. არშია; 20. იალტა; 21. ვეჩე; 22. საჰარა; 23. ჩიტო; 24. რიგა; 25. ნინო; 26. ფიცი; 27. ბაცი; 28. ალიონი; 29. კუპრი; 30. დანია; 31. პელე; 32. ტაბაკა; 33. ბუცი; 34. ცდა; 35. კნოპი; 36. პკე; 37. ციცინათელა; 38. დილეგი; 39. ზესტაფონი; 40. სანატორიუმი; 41. თაობა; 42. ლაიკა; 43. სასულე; 44. ოსლო; 45. კუბა; 46. ბგა; 47. კოკაინი; 48. ლიტვა; 49. კალო; 50. გოია; 51. მანგო; 52. ბაბუა; 53. გნუ.

სურათებზე: 1. ტაბაკოვი; 2. გუდიაშვილი; 3. ბორა; 4. ჯოლი; 5. დეპი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჭახიძე

# როგორ მოქმედებდნენ მოსამართლეები 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე და მას შემდეგ

*„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ ჩატარებული მონიტორინგით ირკვევა, რომ 2011 წლის ოქტომბერ-დეკემბერში და 2012 წლის იანვარ-მარტში თბილისის საქალაქო სასამართლო უაპელაციოდ იზიარებდა პროკურორის მოთხოვნას და ბრალდებულს უფარდებდა პატიმრობას ან გირაოდ ზუსტად იმ თანხას, რასაც პროკურორი ასახელებდა. „კვირის პალიტრა“ წარმოგიდგენთ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრის, გიორგი აბაშიძის მიერ მოწოდებული მონიტორინგის შედეგებს ბოლო დროს ყველაზე გახმაურებულ სასამართლო საქმეებზე, მოსამართლეთა განჩინებების ჩათვლით.*

**გიორგი აბაშიძე:** „პირველ რიგში წარმოგიდგენთ საქმეებს, რომლებიც განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე **გიორგი გოგინაშვილმა** 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ.

თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული ჯარების შტაბის ყოფილი უფროსი გიორგი კალანდაძე; თავდაცვის სამინისტროს მეოთხე ქვეითი ბრიგადის ყოფილი უფროსი ზურაბ შამათავა; შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი თეიმურაზ პატარიძე; შს სამინისტროს აპარატის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი უფროსი გურგენ (გურამ) დონაძე; ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს ყოფილი უფროსი დავით იაშვილი; დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს ყოფილი უფროსი ირაკლი ფირცხალავა — ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი გიორგი გოგინაშვილმა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა და აღმკვეთ ღონისძიებად გირაო შეუფარდა. არადა, ბრალდების მიხედვით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ნივთმტკიცებულებების ფალსიფიკაცია, იარაღის უკანონო შენახვა-ტარება) მათ შესაძლებელია 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეფარდებოდათ.



ახლა გადავხედოთ 2012 წლამდე მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის მიერ გამოტანილ განაჩენებს.

ნ. კ.-მ ახალშობილის შვილად აყვანის მიზნით, ბიოლოგიურ დედასთან შეთანხმებით, გააყალბებინა ჩანაწერი სამშობიაროში. გაიცა ყალბი დაბადების მოწმობა, სადაც ბავშვის ბიოლოგიურ დედად მითითებული იყო ნ.კ. ეს დანაშაული ითვალისწინებს ჯარიმასაც, მაგრამ გიორგი გოგინაშვილმა დედობის მსურველ ქალს პატიმრობა შეუფარდა და ციხეში გაამწესა.

კიდევ უფრო საინტერესო და პარადოქსულია ომარ ლიფონავას საქმე, რომელიც სავაჭრო დახლიდან 28-ლარიანი ბრელოკის მოპარვას ეხება. მოსამართლე გოგინაშვილმა ბრელოკის ქურდს რამდენიმეწლიანი პატიმრობა შეუფარდა. ბრალდება კი ასეთია: „ომარ ლიფონავა თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში ხელს შეუშლის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას. საქმეზე კვლავ ჩასატარებელია რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რის გამოც მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის თავიდან ასაცილებლად დასაბუთებულად მიმაჩნია ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის გამოყენება“.

მეორე „ცნობილი“ მოსამართლე, რომელზეც ინფორმაცია შევაგროვეთ, **გიორგი არევაძეა**, რომელმაც პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პირველი რეგიონული სამმართველოს ყოფილი უფროსი თორნიკე გუნავა, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პირველი რეგიონული სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი ალექსანდრე კუჭუაშვილი, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი მერაბ მეტრეველი. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა მაღალჩინოსნებმა აიძულეს რამდენიმე პირი სექსუალური კავშირი დაემყარებინათ მათ მიერ მითითებულ პირებთან. ეს კი ვიდეოფირზე გადაიღეს შანტაჟისთვის. პროკურატურამ სრულიად დასაბუთებულად აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მოითხოვა, მაგრამ მოსამართლე გიორგი არევაძემ სამივეს გირაო შეუფარდა.

ასევე გირაო შეუფარდა „წყალკანალის“ ყოფილ უფროსს გიორგი ქელბაქიანს, რომელიც იმხილება 2,5 მილიონი ლარის „ატკატის“ სახით მითვისებაში და კანონი 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გულმოწყალე იყო მოსამართლე გიორგი არევაძე თბილისის მერის, გიგი უგულავას მიმართაც, რომელსაც კანონით ასევე 12 წლამდე პატიმრობა შეიძლება შეფარდებოდა. არევაძემ თბილისის მერი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა და პროკურატურის სხვა მოთხოვნებიც უგულებელყო.

მოსამართლე გიორგი არევაძეს მსგავსი „ჰუმანურობის“ გამოჩენა 2012 წლის ოქტომბრამდე ფიქრადაც არ მოსვლია. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ განჩინებებს წინა ხელისუფლების დროს.

არჩილ ებრალიძეს, კერძო არბიტრს, სამი მცირეწლოვანი შვილის მამას არევაძემ პატიმრობა შეუფარდა მხოლოდ იმის გამო, რომ დოკუმენტაცია არ შეამოწმა. ხოლო მამუკა მაისურაძესა და ლევან იაკობაშვილს საგარანტიო ფურცელზე კომპიუტერის მონაცემების შეცვლისთვის (გამოშვების თარიღის გაყალბებისთვის) ასევე პატიმრობა შეუფარდა, მაშინ როცა კანონი ითვალისწინებდა ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოებს.

კიდევ უფრო შორს წავიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე **ნატო ხუჯაძე**. მან მხოლოდ გირაო შეუფარდა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა თბილისის საპატრულო პოლიციის ყოფილი უფროსი ზურაბ მიქაძე. ეს სწორედ ის მიქაძეა, რომელიც ბუტა რობაქიძის მკვლელობის ძირითად მტკიცებულებათა ფალსიფიკატორად არის მიჩნეული.

მოსამართლე ნატო ხუჯაძემ ასევე არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ თენგიზ გუნავასთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

ახლა ვნახოთ, იყო თუ არა ასეთივე ლოიალური ნატო ხუჯაძე 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე.

ლევან ხმიადაშვილი და საბა კვანტალიანი მხოლოდ იმიტომ დაიჭირეს, რომ მათ სამართალდამცავებს მეზობლის მანქანის საბურავის მოპარვის ფაქტი არ შეატყობინეს. საბა კვანტალიანი და ლევან ხმიადაშვილი სტუდენტები იყვნენ და წარსული არაფრით ჰქონდათ შებღალული. თუმცა პატიმრობა მაინც შეეუფარდეს. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს აშკარა შერჩევით სამართალთან, რასაც წერტილი უნდა დაესვას“.

***თამარ როსტიაშვილი***

# მერაბ მეტრეველის კვირის ფიქრები...



## ღირსების საკითხი

დიდი აყიოტაჟი ატყდა იმის გამო, რომ ანსამბლი „ერისიონი“ მოსკოვში, თანაც — კრემლის საკონცერტო დარბაზში კონცერტის გასამართად გაემგზავრა და ვფიქრობ, ეს აყიოტაჟი უნდა ატეხილიყო. რა თქმა უნდა, მოღალატედ კონცერტის გამო არავინ უნდა გამოაცხადო, მაგრამ ამაზე მსჯელობა აუცილებელია. ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და ქვეყნის ტერიტორიიდან დამპყრობლის გაძევება ყველა ქართველის ვალია და ეს პოლიტიკაში ჩარევა კი არა, ქვეყნის ინტერესების დაცვაა, ხოლო იმის მტკიცება, რომ რუსებისთვის ჩვენი კულტურის ჩვენება რამე შედეგს გამოიღებს — გულუბრყვილობა. ვინმემ ამიხსნას, რატომ უნდა ვუმტკიცოთ რუსებს, რომ დიდი კულტურა გვაქვს? თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსები იტყვიან: ვა, ქართველებს რა მაგარი კულტურა ჰქონიათო, გული აუჩუყდებათ და პუტინს მოსთხოვენ, საქართველოს წართმეული ტერიტორიები დაუბრუნეო? რატომ უნდა ეგონოთ რუსებს, რომ მათ გარეშე ვერ ვძლებთ, რომ რაც უნდა დაგვმართონ, მაინც არაფერი გვეწყინება და კვლავაც მათ გართობაზე ვიზრუნებთ? სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, ის ხალხი, ვინც სააკაშვილის დროს ღირსების წართმევაზე მოთქვამდა, დღეს რატომ არის მზად, საკუთარი ღირსება კრემლის სცენაზე დააგდოს. ამაზე ვწუხვართ, თორემ დარწმუნებული ვარ, „ერისიონის“ კრემლში გამოსვლით რუსეთ-საქართველოს გაფუჭებულ ურთიერთობებს არც არაფერი შეემატება და არც არაფერი დააკლდება.

## არის თუ არა ეს დიპლომი?!

ესე იგი, ერთი — სულიკოს საფლავს ეძებს მთელი ქართველი ხალხი და მეორე — წულუკიანის დიპლომს ელოდა სულმოუთქმელად. და „პირველი არხის“ ეთერში ეს დიპლომიც გამოჩნდა! წულუკიანი იმ გადაცემაში ისე იყო გაწიწმატებული, რომ მეგონა, როდესაც დიპლომები შემოუტანეს, იპოლიტე ხვიჩიასავით შესძახებდა: „არის თუ არა ეს დიპლომი?!“ ისე, ცოტა დააკლდა, თუმცა სკეპტიკოსები მაინც ვერ დაარწმუნა. საბოლოო პასუხი, ალბათ, მაინც განათლების სამსახურის აკრედიტაციის ცენტრმა უნდა გაგვცეს, რომელსაც ევალება საზღვარგარეთული დიპლომების აღიარება, მაგრამ მას არავინ მიმართავს. წულუკიანი ირწმუნება, იურისტი ვარო, წერილებსაც უკვე ხელს ასე აწერს: „გკოცნით თქვენი იურისტი თეა წულუკიანი“. მას საფრანგეთის ელჩიც ეთანხმება, მაგრამ ოპონენტები მაინც ჯიუტად გაიძახიან, დაიდოს იურისტის დიპლომიო. მე მგონი, ეს ისეთი საკითხია, სადაც „კეისრის ცოლის პრინციპი“ უნდა მოქმედებდეს. ხომ გახსოვთ, კეისარი ცოლს რომ გაეყარა, ჰკითხეს, რას ერჩოდი, ხომ იცოდი, რომ ხმები მისი ღალატის შესახებ მხოლოდ ჭორები იყო და მეტი არაფერიო. კი, ვიცოდი, მაგრამ კეისრის ცოლზე ეჭვიც არ უნდა არსებობდესო. რადგან ეჭვი გაჩნდა, ის უნდა გაიფანტოს. თუ კანონის უზენაესობაა, კანონი რასაც ითხოვს, ის უნდა გავაკეთოთ.

წულუკიანს ოთხი დიპლომი ჰქონია, ორი — ქართული, ორიც — საზღვარგარეთული. მე კიდევ ერთი მაქვს და ისიც — ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამაგიეროდ — არანაირი პრობლემა!

## მოგვატყუეს?

ამას წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში დავრეკე, გადაცემაში მინისტრის მოადგილის — ლევან იზორიას მოწვევა მინდოდა. მკითხეს, რა თემაზეო. ვუპასუხე, საწვავის ფასებზე-მეთქი. კი გაუკვირდათ, მაგრამ რა მექნა — წინასაარჩევნოდ სწორედ ბატონი ლევან იზორია აკეთებდა საწვავის ფასებზე განცხადებებს, თან დოკუმენტებით ასაბუთებდა, რომ საქართველოში საწვავის ფასი გაბერილია, მონოპოლიები და ოლიგოპოლიები არსებობს და ამიტომ სულ ცოტა, 30-40 თეთრით იმაზე ძვირი ღირს, ვიდრე უნდა ღირდესო.

აჰა, შეიცვალა ხელისუფლება, გავიდა ოთხი თვე, მაგრამ ამ მხრივ ძვრა არ არის. საახალწლოდ კი დაიკლო ცოტათი, მაგრამ ორი კვირის წინ ისევ მოიმატა. მეგონა, ფასი კაი ხანს თავქვე ივლიდა, ვიდრე რეალურ ნიშნულს არ მიაღწევდა, მაგრამ, როგორც სააკაშვილი იტყოდა — ნურას უკაცრავად! საწვავი საქართველოში ისევ ძალიან ძვირია.

რა მოხდა? სწორედ ამის კითხვა მინდოდა ბატონი ლევანისთვის, რადგან, როგორც გითხარით, „ქართულ ოცნებაში“ სწორედ მას ებარა ეს თემა, მაგრამ რად გინდა? რამდენიმე დღეში მიპასუხეს, ბატონმა ლევანმა დიდი მოკითხვა შემოგითვალა, მაგრამ გადაცემაში ამ თემაზე სასაუბროდ ვერ მოვა, რადგან უხერხულია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე საწვავის ფასებზე საუბრობდესო. კი მაგრამ, ის არ არის უხერხული, ყველანი მოტყუებულები რომ აღმოვჩნდით? ვის უნდა მოვთხოვოთ პასუხი? წინასაარჩევნოდ გვატყუებდნენ და არ იყო ბენზინის ფასი გაბერილი თუ ახალი ხალხი ჩაჯდა წილში? კითხვები თუ არსებობს, პასუხიც უნდა გაეცეს, თორემ მარტო საკუთარი თავისთვის პრემიების გამოწერა საკმარისი არ არის.



# მედიცინა

## კარაბადინი

*„კარაბადინის“ რუბრიკისთვის განკუთვნილ მკითხველთა უამრავ წერილს გაზეთის ფორმატი ვერ იტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს წერილები ჟურნალში „ოჯახის მკურნალი“ გამოვაქვეყნოთ რუბრიკით — „დავეხმაროთ ერთმანეთს“. შეკითხვები რედაქციაში „კვირის პალიტრის“ ყუთების მეშვეობით საქართველოს ყველა კუთხიდან შემოდის. მათში ხალხში ნაცადი უამრავი რეცეპტია აღწერილი. ასე რომ, ხალხური მედიცინის მოყვარულებს ვურჩევთ, შეიძინონ „ოჯახის მკურნალი“ და გამოიყენონ მკითხველის მიერ მოწოდებული რჩევები.*

ძალიან ხშირად მიმწვავდებოდა ცისტიტი, მუცლის საშინელი ტკივილი მქონდა და წამდაუწუმ საპირფარეშოში დავრბოდი. დამინიშნეს მკურნალობა, რამაც შედეგი კი მომცა, მაგრამ პერიოდულად დაავადება ისევ მახსენებდა თავს. ახლობელმა მასწავლა ერთი რეცეპტი, რამაც მიშველა და მინდა თქვენც გასწავლოთ:

1 სუფრის კოვზ ასკილის წვრილად დაჭრილ ფესვს დავასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვდგამთ ნელ ცეცხლზე და 15 წუთს ვადუღებთ. შემდეგ ვწურავთ და ვსვამთ ნახევარ-ნახევარ ჩაის ჭიქას დღეში 4-ჯერ ერთი კვირის განმავლობაში.

ასკილის ფესვი ყოველთვის მაქვს მომარაგებული და როგორც კი ცისტიტის ნიშნებს ვიგრძნობ, მაშინვე ვსვამ ხოლმე, შედეგიც არ აყოვნებს. საკმაოდ დიდი ხანია დაავადება აღარ გამმწვავებია.

*ირინა ლ. თქვენი მკითხველი*

*ექიმის კომენტარი:* ასკილი ვიტამინებით მდიდარი საუკეთესო მცენარეული შარდმდენი საშუალებაა. ძალიან სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის, საშარდე ორგანოების პათოლოგიების დროს. იგი უამრავი ვიტამინის (C, B, $B_1$, $B_2$, P, PP, K, კაროტინი) და მინერალის (რკინის, მანგანუმის, ფოსფორის, მაგნიუმის, კალციუმის) წყაროა. შეიცავს ორგანულ მჟავებს, მარილებს, შაქრებს, ფლავონოიდებს. ასკილს მედიცინაში სწორედ ვიტამინების სიუხვის გამო იყენებენ. C ვიტამინი ამ მცენარის ბიოაქტიურობის განმაპირობებელი მთავარი კომპონენტია. იგი აწესრიგებს ორგანიზმის ჟანგვა-აღდგენით პროცესებს, ასტიმულირებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს მავნე ზემოქმედებების, ინფექციებისა და სხვა არახელსაყრელი ფაქტორებისადმი. ექსპერიმენტულად დადასტურებულია C ვიტამინის ანტისკლეროზული მოქმედება — იგი აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და ხელს უშლის ათეროსკლეროზული ფოლაქების დალექვას სისხლძარღვთა კედლებზე. ასკილის პრეპარატებს ნიშნავენ ჰიპო და ავიტამინოზების დროს, მწვავე და ქრონიკული ინფექციების, ათეროსკლეროზის, ნეფრიტის, ცისტიტის, ღვიძლის მწვავე და ქრონიკული დაავადებების, ნაწლავთა პათოლოგიების, წყლულოვანი დაავადებების, ჰემორაგიული დიათეზის, ჰემოფილიის, სისხლდენების, ჰიპერთირეოზის დროს, აგრეთვე, ქრონიკული პნევმონიის, ბრონქოპნევმონიის, ბრონქოექტაზიური დაავადებისას. ასკილის პრეპარატები ეფექტიანია სისხლძარღვოვანი პათოლოგიებით გამოწვეული თვალის დაავადებების დროს.

## შეკითხვა ექიმს

*რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ. გაზეთის მცირე ფორმატი ვერ იტევს ყველა შეკითხვას, ამიტომ ზოგიერთ მათგანზე პასუხს იხილავთ ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე, ასევე თქვენთვის საინტერესო უამრავ კითხვაზე პასუხს ნახავთ სამედიცინო ინტერნეტჟურნალში* **www. mkurnali.ge** *— ამიერიდან საიტზე შეგიძლიათ გამოგზავნოთ კითხვები, რომლებსაც ექიმი უპასუხებს. თუმცა მათ, ვისაც ინტერნეტსაიტით სარგებლობის საშუალება არ გაქვთ, კითხვები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთის მეშვეობით.*

**— დედაჩემს, დაახლოებით ხუთი წელია, მკერდში სიმაგრე აქვს — ძალიან პატარა ჯირკვალი. ექიმებმა დაამშვიდეს, საშიში არ არისო, მაგრამ მაინც მგონია, რომ სერიოზულია. როგორ მოვიქცეთ?**

*მკითხველი*

— პერიოდულად საჭიროა კონტროლი, რომ ჯირკვალი არ გადაგვარდეს; ასევე აუცილებელია მამოლოგის კონსულტაცია.

**— გავიკეთე ჰელიოპლომბი და ჩემი კბილის ფერთან შედარებით მოყვითალოა. რა საშუალებით შემიძლია გავითეთრო?**

*გიორგი დ.*

— ბჟენს ფერს ველარ შეუცვლით, თუ კბილისა და ბჟენის ფერებს შორის კონტრასტი მკვეთრია, მაშინ ბჟენი უნდა გამოიცვალოს და კბილის შესაბამისი ტონალობის ბჟენი უნდა გაკეთდეს.

**— ორი თვის ბავშვი ხშირად ყოფს ენას და თითქოს ატრიალებს. რას უნდა ნიშნავდეს და ხომ არ არის საშიში?**

— როცა თვეების ბავშვი ენას ყოფს, ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს:

1. ბავშვი თამაშობს;
2. სწყურია ან შია;
3. შეიძლება სცხელა;
4. ღრძილები ექავება;
5. პირის ღრუში პრობლემა აქვს, მაგალითად — რძიანა;
6. ნევროლოგიური პრობლემაა, მისი მიზეზი ხშირად ის არის, რომ მშობიარობის დროს ხერხემლის კისრის ნაწილზე მოხდა დიდი დატვირთვა. ასეთ შემთხვევაში პატარას სხვა სიმპტომებიც აქვს და საჭიროა ნევროლოგის კონსულტაცია. ამ დროს ინიშნება მასაჟები და ზოგჯერ მედიკამენტებიც. პრობლემა, როგორც წესი, რამდენიმე თვეში გაივლის ხოლმე;
7. ყველაზე სერიოზული მიზეზი შეიძლება იყოს ჰიპოთირეოზი, რაც უყურადღებობის შემთხვევაში სერიოზულ გართულებებს იწვევს. ჰიპოთირეოზის დროს ენის ზომა საკმაოდ დიდია — თითქოს პირის ღრუში არ ეტევა, გარდა ამისა, ბავშვს აქვს ჭარბი წონა, გახანგრძლივებული სიყვითლე და სხვა პრობლემები. ასეთ დროს საჭიროა ენდოკრინოლოგის დროული კონსულტაცია და მკურნალობის დროულად დაწყება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

# ღვიძლი — ორგანიზმის ფილტრი

*ღვიძლი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ორგანოა (იწონის 1,5კგ-ს) და მნიშვნელოვანიც. მონაწილეობს საჭმლის მონელების, სისხლის წარმოქმნასა და ნივთიერებათა ცვლის პროცესში. ასევე ასრულებს ბიოლოგიური ფილტრის როლს, ორგანიზმს ასუფთავებს ტოქსიკური ნივთიერებებისგან. თუმცა, თანამედროვე ცხოვრების პირობები (არასწორი კვება, მავნე ჩვევები, წამლების მიღება) აიძულებს, იმუშაოს ექსტრემალურ რეჟიმში.*

ღვიძლს, სხვა ორგანოებთან შედარებით, რეგენერაციის დიდი უნარი აქვს, მაგრამ არა უსაზღვრო. მას არ „უყვარს“ ალკოჰოლი. ტოქსინების დიდი რაოდენობა ორგანიზმში თამბაქოს ბოლთან ერთად ხვდება და იძულებულია, ღვიძლის უჯრედებმა (ჰეპატოციტებმა) გადაამუშაოს. რაც ბევრია ტოქსინი, მით მეტად ავადდება ღვიძლი. თანდათანობით უერთდება ღვიძლის ქსოვილი ფიბროზულ უჯრედებს, რომლებსაც არ შეუძლიათ შეასრულონ ჰეპატოციტების ფუნქცია. ღვიძლზე უარყოფითად მოქმედებს სტრესები.



მას ვნებს უკონტროლოდ წამლების მიღება. ამიტომ არ იმკურნალოთ თვითნებურად, მიიღეთ წამლები მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

ღვიძლს ასევე ვნებს ცხიმიანი, მლაშე საკვები, პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ კონსერვანტებს...

ღვიძლი რომ დაიცვათ, ჭამეთ ახალი ხილი და ბოსტნეული, წვნიანები, ფაფები, უცხიმო ხორცი და თევზი.

ღვიძლის ფილტრის დაავადების სიმპტომებია: სისუსტე, დაღლილობა, უმადობა, შემდეგ ჩნდება „კლასიკური“ ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ ამ ორგანოს სერიოზულ პრობლემებზე: მარჯვენა ფერდქვეშ ტკივილი, მუქი ფერის შარდი, კანისა და თვალის თეთრი გარსის გაყვითლება. ამ სიმპტომების შემჩნევისთანავე მიმართეთ ექიმს. ანალიზამდე 2 საათით ადრე არაფერი ჭამოთ, არ მიიღოთ წვენები, რძე, ალკოჰოლი, ტკბილი ჩაი ან ყავა (წყალი შეიძლება). *გახსოვდეთ,* ნებისმიერი პროდუქტი ზეგავლენას ახდენს ანალიზის მაჩვენებელზე.

# ენერგიულნი შევხვდეთ გაზაფხულს

*გაგიუმჯობესებთ გუნება-განწყობილებას და აგავსებთ ენერგიით შემდეგი ვიტამინები და მინერალები:*

**1.** C ვიტამინი ახალგაზრდობისა და ენერგიის წყაროა, აძლიერებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს სისხლძარღვების ელასტიკურობას, EE ვიტამინთან ერთად ორგანიზმს ათავისუფლებს თავისუფალი რადიკალებისგან. ორგანიზმს მატებს მხნეობასა და სიხალისეს.

ძირითადი წყაროა: ციტრუსები, კივი, ბულგარული წიწაკა, შავი მოცხარი, მარწყვი, როგორც ახალი, ისე დამწნილებული კომბოსტო, პირშუშხა, მწვანე ხახვი, ოხრახუში, კამა.



**2. მაგნიუმი** ააქტიურებს ორგანიზმში 350-მდე პროცესს. მაგალითად, საჭმლის მონელებას, ენერგიის მატებას, ძვლების, ქსოვილის ფორმირებას, კუნთების, თირკმლების, თირკმელზედა ჯირკვლის, ნერვული სისტემის მუშაობას და სხვ. მაგნიუმი მიჩნეულია ქალების მინერალად — უზრუნველყოფს ორსულობის ნორმალურ მიმდინარეობას და ამსუბუქებს კრიტიკულ დღეებს, ეხმარება ორგანიზმს კალციუმის ათვისებაში, რომელიც პასუხს აგებს ჩვენი კბილების, ძვლებისა და თმის ჯანმრთელობაზე.

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ან/ფ 10.30 ან/ფ „პატარა პრინცი" 11.00 სერიალი „კლუბი" 12.00; 15.00; 18.00; 04.00 „კურიერი" 12.30 დოკ/ფ 15.30 სერიალი „სიყვარული და საიდუმლო" 16.30 პროფილი 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი 01.00 ტოპ გოგო 02.00 მხ/ფ 04.30 მხ/ფ

08.00 ან/ფ „სალადინი" 09.00 მხ/ფ „ორმოები" 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00 „ქრონიკა" 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერიალი „შუა ქალაქში" 13.00 იუმორინა 14.20 მხ/ფ „რაჭა ჩემი სიყვარული" 16.00 სერიალი „გმირები - 4" 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი - „ვალერი მელაძე პიაცაზე" 21.00 ღამის შოუ 22.00 სერიალი „შუა ქალაქში" 23.00 რომ გადახვალ, გაჩერე 23.25 2012 წლის თV-ის ევროპის მუსიკალური დაჯილდოების ცერემონია 01.15 მხ/ფ „დაბრუნება ბრაიდსჰედში" 03.25 მუსიკა

00.00 ახალი 12-ზე 00.15 დოკ/ფ 01.00 დიდი დრო 01.30 პრეს ზონა 02.00 დოკ/ფ-ები 03.00 მხ/ფ 04.30 დოკ/ფ-ები 05.00 სხვა კინო 05.30 დოკ/ფ 06.30 მუსიკა 07.00 დოკ/ფ 08.00 მხ/ფ 09.30 დილის იდილია 10.00 დოკ/ფ 11.30 დოკ/ფ 12.00 ახალი 12-ზე 12.30 ჩემიანი 13.00 დოკ/ფ-ები 15.00 ახალი 3-ზე 15.30 პროფი 16.00 დოკ/ფ-ები 18.00 ახალი 6-ზე 18.30 რაგბი 20.30 ანატომია 21.00 ახალი 9-ზე 22.00 დოკ/ფ 22.30 სტერეოტიპი 23.00 დიდი დრო 23.30 მხ/ფ

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 10.00 მალვიძარა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 პრეს - პრესი 14.00 ამბები მოკლედ 14.05 ვინილის რადიო (კოლაჟი) 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ამბები მოკლედ 16.05 „ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ამბები მოკლედ 17.05 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 17.35 უცხოეთის ამბები 17.55 უკომენტაროდ + ამინდი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 დისკუსია - სტუდია „რე" 20.00 ამბები მოკლედ 20.10 ღია კარის დღე 20.45 უცხოეთის ამბები 20.55 უკომენტაროდ + ამინდი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 უცხოეთის ამბები 23.00 ახალი ამბების კოლაჟი 23.25 ღია კარის დღე 0.00 ახალი ამბების კოლაჟი 0.25 უცხოეთის ამბები 1.00 ახალი ამბების კოლაჟი 1.30 დისკუსია - სტუდია „რე" 2.30 უცხოეთის ამბები 03.00 ახალი ამბების კოლაჟი 03.30 უცხოეთის ამბები 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.30 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.30 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.30 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 შემეცნებით-დოკ/ფ „ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 დილის პროგრამა „განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.45 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი, ბულბულის ნისკარტი 12.15 მოკ/ფ „მიხა" 13.00 ძველი აფიშა 13.30 „ჩვენი ტრაპეზი" 13.40 ქართული მულტფილმი 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ერთსულოვნების სალონი 15.40 ეპოქის სახელები 16.05 კონცერტი - აღდგომიდან ამაღლებამდე „სანკტუსი" 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 21.35 თვენი - ღირსი მამა გერასიმე იორდანელი 21.40 „კვირიაკე" 22.55 კალმის წვერი, ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მარხვის კარიბჭესთან 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.05 ისტორიის დღიური 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ/ფ „გლადიატორი" II სერია

PALITRATV 10.05 მკურნალი 11.00 დემოკრატია, ჯიბე და მაცივარი 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 შუადღე 13.00 საინფორმაციო გამოშვება 13.10 შუადღე 13.45 მუსიკა 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.10 შუადღე 15.00 კავკასიური პალიტრა 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.10 ვიდეოპორტალი 17.00 მთავარი რეგიონიდან

## კვირიკატურა



— მამი, მეც მიყიდე რა, მერსედესი...
— დაიცა, შე შობელძაღლო, მოვიდეს კიდევ სეტყვა და შენც გიყიდი...

## ცხოვრებისეული კურიოზი

### საზრიანი „გაიშნიკი“

გასული კვირა დატვირთული იყო ქალთა დღესასწაულებით. 8 მარტს განსაკუთრებით აღნიშნავენ ჩვენი ქალები. ეს კურიოზიც სწორედ 8 მარტს მოხდა.

კომუნისტების დროს ჩემს ქალაქში (ქუთაისში) ავტოინსპექტორად მუშაობდა ჩემი მეზობელი არსენა. იგი მთელ ქალაქში ცნობილი იყო დაუნდობლობით — საკუთარი ძმაც კი დაუჯარიმებია ბევრჯერ. ზოგი ამბობდა, უსისხლო კაციაო, ზოგიც — სამსახურზე შეყვარებულიო... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ყველა ერიდებოდა მის „ზონაში“ გავლას. ერთხელ არსენამ გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა გააჩერა. საჭესთან მშვენიერი ქალი იჯდა.



— თქვენი საბუთები! — უბრძანა ინსპექტორმა.

ქალმა სწრაფად მიაწოდა. არსენამ საბუთებს დახედა და ჯარიმის გამოწერა დაიწყო. ქალმა კეკლუცად შეაჩერა და უთხრა:

— დღეს 8 მარტია და ასე სცემ ქალს პატივს?

არსენა დაფიქრდა. მიხვდა, რომ მასზე ახალ ამბავს ააგორებდნენ ქალაქში — 8 მარტს მანდილოსანი დააჯარიმაო, ამიტომ შესანიშნავ ხერხს მიაგნო და ჯარიმის გამოწერის თარიღად 7 მარტი ჩაწერა.

*მ. ობოლაძე. ქუთაისი*

## ანეკდოტები



დაქალების საუბარი:
— წარმოგიდგენია, გუშინ მეუღლეს ასი ლარი ვთხოვე სილამაზის სალონისთვის, მან კი, საზიზღარმა, ამხედ-დამხედა და ორასი მომცა...



კაცებს თუ მოუსმენ, ყველაზე საქმიანნი, მამაცნი და ძლიერნი არიან. ქალები კი მეტად ალერსიანნი, საყვარელნი და მშვენიერნი, ოღონდ — თუ არ მოუსმენ.

## ინტერვიუ

# რა დამავიწყებს „პალიტრას“, ხალხო?!

*კომუნისტების დრო რომ იყოს, ამ ინტერვიუს ასეთ სათაურს დავარქმევდი — „დიდი გაზეთიდან დიდ პროკურატურამდე“, მაგრამ ახლა სხვა დროა და ამ ინტერვიუსაც სხვა სათაური აქვს. ვინც ვერ მიხვდა, იმათ გასაგონად: გაზეთის ამ ნომერში ჩვენი „ინტერვიუს“ სტუმარია ყოფილი „კვირისპალიტრელი“ (თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ყოფილი „პალიტრელიც“ არ არსებობს), ულამაზესი ქალბატონი (დაკითხული „ნაციონალები“ დამეთანხმებიან), მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ხათუნა პაიჭაძე.*



**— გამარჯობა, ხათუნა, „კვირის პალიტრიდან“ ვართ, ხომ გახსოვს „პალიტრა“?**

— კი, ბუნდოვნად... რა დამავიწყებს „პალიტრას“, ხალხო?! ამას წინათ დამესიზმრეთ, თითქოს თათბირზე ვიყავი და რედაქტორი რაღაც დავალებას მაძლევდა...

**— ამ დროს გაგეღვიძა და კბილაშვილთან იყავი თათბირზე, არა?**

— კბილაშვილის თათბირზე რა დამაძინებს, იქ ისეთი ამბები ტრიალებს...

**— აბა, მოგვიყევი, რა ამბებია...**

— მაგარი ჟურნალისტი მეგონა ჩემი თავი. მეგონა ყველა ინფორმაცია მქონდა და რაც პროკურატურაში მივედი, მივხვდი, რომ არაფერი მცოდნია.

**— იმიტომაც ხარ „კურიერში“ დიანა ჯოჯუაზე ხშირად?**

— რა ვქნა, აბა? იმდენი განცხადებაა შემოსული...

**— ყველა განცხადება უნდა წაიკითხოთ?**

— რა თქმა უნდა...

**— საწყალი პროკურორები... ძირითადად რა საკითხებს ეხება საჩივრები?**

— ბიზნესს. მე ვფიქრობ, ეს მასალები უნდა შევაგროვოთ და გამოვიყენოთ...

**— როგორ უნდა გამოვიყენოთ?**

— ტურისტები მოვიზიდოთ მთელი მსოფლიოდან და ვაჩვენოთ, როგორ კეთდებოდა ბიზნესი სააკაშვილის დროს. მერწმუნეთ, ისეთი უნიკალური შემთხვევებია, ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოვა. აბა, წარმოიდგინეთ, მიგყავს ტურისტი ახალციხეში, აჩვენებ ნახევრად დანგრეული კულტურის სახლის შენობას და ეუბნები, რომ ამაში ქართველმა ბიზნესმენმა 5 მილიონი დოლარი გადაიხადა...

**— მშვენიერი იდეაა, მაგრამ არ გირჩევთ, მერე გამოვა მიშა და იტყვის, მე რომ არ ამეხია ის მილიონები ბიზნესმენებისთვის, ტურისტები აღარ ჩამოვიდოდნენო.**

— ეგეც მართალია. ისე კი, ამ კონკრეტულ საქმეში ყველაზე სასაცილო იცით, რა იყო? აუქციონი გაიმართა და გამოცხადდა: იყიდება კულტურის სახლის შენობა, საწყისი ფასი 11 ათასი ლარი! 11 ათასი ერთი... 5 მილიონი ორი! — დაიძახეს და გაიყიდა.

**— და ეგ ბიზნესმენები მანამდე რატომ არ იღებდნენ ხმას?**

— ვინც ამოიღო ხმა, იმათ ცოტა ხნის წინ ამნისტია შეეხო.

**— ახალი ანეკდოტი იცი? „ნაციონალს“ ურეკავს ცოლი, რამდენ ხანში მოხვალ სახლშიო. ბაზარში შევალ, პროდუქტს ვიყიდი, მერე სააპარიკმახეროში — თმას შევიჭრი, მერე პროკურატურაში დაკითხვაზეც შევირბენ და მოვალო.**

— ეგ არა, მაგრამ ლუდით სათქმელი სადღეგრძელო ვიცი: ისეთ „ნაციონალს“ გაუმარჯოს, დაკითხვაზე რომ არაა ნამყოფიო. სერიოზულად კი გეტყვით, რომ ჩვენ ვისაც ვიბარებთ, მათთან ყველაფერი კანონის მიხედვით ხდება. მერე კუბლაშვილი რომ უშვებს, ჩვენი ბრალი არ არის.

**— ისე, რომ მოხვიოთ ხელი ამ „ნაციონალებს“ და ყველა დაიჭიროთ, თქვენც დაისვენებთ, ჩვენც და ისინიც.**

— ეგრე ძველი ხელისუფლება იქცეოდა. თუ პირის დანაშაული არ დადასტურდა, თუ საკმარისი მტკიცებულება არ გექნება, მისი დაკავება არ შეიძლება.

**— ჰოდა, იყავით ასე... აგერ, უგულავაც ვერ დაიჭირეთ...**

— რა ვერ დავიჭირეთ! იმდენი ფაქტი მოგროვდა მის წინააღმდეგ, მაგრამ... მართლა კურიოზია, რაც სასამართლომ გააკეთა. კაცს 700-ზე მეტი ფიქტიურად დასაქმებული ჰყავდა.

**— ეს 700 კაცი მართლა დასუფთავების სამსახურში ჰყავდა გაფორმებული?**

— მართლა! თითო სანაგვე ურნაზე თითო კაცი მოდიოდა.

**— მაგ სიაში მომღერლებიც მოხვდნენ, არა?**

— ძალიან ვაფასებ იმ ბიჭებს, მაგრამ ფაქტია, რომ იყვნენ, თანაც ალპინისტ-დამსუფთავებლები.

**— ეგ რაღაა?**

— მაღალსართულიან შენობებზე ფანჯრებს რომ წმენდენ.

**— მომღერლებს უნდა გაეკეთებინათ ეგ?**

— კანონით კი... ისე, მგონი, გიგი თბილისელებისთვის ახალი სერვისის შეთავაზებას აპირებდა, წარმოიდგინეთ, დილაა, გძინავს მე-15 სართულზე და ამ დროს გესმის ფანჯარაში: „ლერწამისა და ტანი შენიიი...“ გაიხედავ და შესანიშნავი ჰანგების თანხლებით გიწმენდენ ფანჯრებს.

**— ეგ მართლა კარგია... დასასრულ, ასეთი შეკითხვა გვაქვს: როგორ მიდის ამ მთავრობის საქმე, ოთხ წელიწადში დაუბრუნდები ჟურნალისტიკას?**

— მე სულით ახლაც ჟურნალისტი ვარ, ბატონებო!

## ფოტოკომიქსი




მოგვწერეთ ცხოვრებისეული კურიოზები. აგრეთვე თქვენი ქალაქის, რაიონის, სოფლის პრობლემებზე, ადგილობრივ ჩინოვნიკთა გულგრილობაზე. ჩვენთან დაკავშირება შეგიძლიათ ,,კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით;
ელ/ფოსტით: **kvirispalitra@posta.ge;** ტელეფონით: 596 104 401

*რუბრიკა მოამზადეს სულხან ნამჩევაძემ და გელა კორძაძემ*

# ნანა კაკაბაძე: „საქართველოში წელიწადში 700 პატიმარი იღუპებოდა“

**„თუ ეს მონაცემები რეალურია, შესაძლოა მსოფლიო სკანდალად იქცეს“**

რის საფუძველზე ვარაუდობენ ქართველი უფლებადამცველები, რომ საქართველოში წელიწადში საშუალოდ 700 პატიმარი იღუპებოდა? „კვირის პალიტრას“ ამ თემაზე უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძე** ესაუბრა.

— საქართველო პატიმართა სიკვდილიანობით მსოფლიოში მოწინავე ადგილზე იყო. მაგრამ ის სურათი, რომელიც ციხიდან გათავისუფლებული პატიმრების მონათხრობის მიხედვით დაიხატა, ნამდვილად შემზარავია. გამოდის, საქართველოში საშუალოდ წელიწადში 700 პატიმარი კვდებოდა. ყოველი ყოფილი პატიმრის მონათხრობი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს. მათი გადმოცემით, ციხიდან ყოველდღე 2 ან მეტი პატიმრის გვამი გაჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ საშუალოდ 700 პატიმარი გვეღუპებოდა. ჩვენ მხოლოდ ყოფილი პატიმრების მონათხრობს ვეყრდნობით.



**„წელიწადში 700 პატიმარი მხოლოდ სისასტიკით ცნობილ გულაგებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში კვდებოდა“**

ამის დამტკიცება კი ძალიან ძნელია, ძნელია გარდაცვლილი პატიმრების ოჯახების მოძებნა. ჩვენმა ორგანიზაციამ — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ მოუწოდა პატიმრების ოჯახებს მოგვაწოდონ ინფორმაცია. როგორც ჩანს, ამის შესახებ არ იციან, ან ჩვენთან მოსვლისთვის საკმარისი მოტივაცია არ გააჩნიათ.

**„უკვე შაშკინიც ჩამოვიდა საქართველოში, რადგან სასამართლოსგან გარანტიები მიიღო“**

**— მეტი რაღა მოტივაციაა საჭირო? სიმართლის დადგენა არ უნდათ?**

— საქმეც ის არის, რომ გარდაცვლილი პატიმრების ახლობლებს ვერ ვეუბნებით, რომ მკვლელი აუცილებლად დაისჯება. ხედავენ, რომ დღემდე ციხეში მომუშავე დამნაშავეები არათუ დასჯილი არიან, შესაძლოა, ჩვენმა უვარგისმა სასამართლომ თვით ბაჩო ახალაიაც გაათავისუფლოს. უკვე შაშკინიც ჩამოვიდა საქართველოში, რადგან სასამართლოსგან გარანტიები მიიღო. იცით, ერთ-ერთი რა იყო?

მან დაინახა, რომ გიგი უგულავას, რომელსაც მილიონების მითვისებას ედავებიან, სასამართლომ ასლარიანი გირაოც კი არ შეუფარდა და ეს შაშკინისთვის დაუსჯელობის გარანტიაა.

ამ ყველაფრის შემდეგ, როგორ ვუთხრა პატიმართა ოჯახებს, სამართალი აღდგება და თქვენი შვილის, ძმის, მამის მკვლელები აუცილებლად დაისჯებიან-მეთქი?

**— ბაჩო ახალაიაც თუ გაათავისუფლეს, რა ღონისძიებას მიმართავთ?**

— ვფიქრობ, ისევ საზოგადოებამ უნდა გამოხატოს პროტესტი.

წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს 700 პატიმრის გარდაცვალება წელიწადში მაშინ, როცა ოფიციალურად მხოლოდ 140-145 პატიმრის გარდაცვალება აღირიცხებოდა და ესეც საგანგაშო მონაცემად ითვლებოდა. ჩვენ პატიმართა სიკვდილიანობით (ოფიციალური მონაცემებით) მსოფლიოში მეორე-მესამე ადგილზე ვიყავით. მხოლოდ ამერიკა და რუსეთი გვისწრებდნენ, ბოლოს კი უკვე რუსეთსაც გავუსწარით.

## ვინ მალავდა გვამებს?

*სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი პატიმართა სიკვდილიანობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემებით არასდროს აღშფოთებულა. ის დაჟინებით აცხადებდა, რომ მისი მინისტრობის პერიოდში ციხეებში სიკვდილიანობამ იკლო.*

*„სტატისტიკას მე ვერ შევცვლი, გვამს ვერ დავმალავ! ამ წუთამდე გარდაცვლილია 46 პირი. შარშან, სულ 94 კაცი გარდაიცვალა“, — აცხადებდა შაშკინი „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში (2009 წ. 20-26 ივლისი, №29). შეგახსენებთ, რომ 2009 წლის 6 თებერვლიდან 7 დეკემბრამდე დიმიტრი შაშკინი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი იყო. ასე რომ, 9 წლის განმავლობაში გარდაცვლილ პატიმართა ზუსტი აღრიცხვა ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს და არაერთი ყოფილი მაღალჩინოსნის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს.*



**— თუკი წელიწადში 700 პატიმარი კვდებოდა, მაშინ რა მდგომარეობა გვქონია სხვა ქვეყნებთან შედარებით?**

— კატასტროფული. პატიმართა სიკვდილიანობა ასე განისაზღვრება: ითვლიან ყოველი ათი ათასი მსჯავრდადებულიდან რამდენი კვდება. ჩვენ 20-25 ათასი პატიმარი გვყავდა, ე. ი. 10-12 ათას პატიმარში 350 კვდებოდა. არათუ ცივილიზებულ ქვეყანაში, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ იყო ასეთი სიკვდილიანობა. პატიმართა რაოდენობის გათვალისწინებით 2-3%-იანი სიკვდილიანობაც შემაშფოთებელ სტატისტიკად ითვლება. წელიწადში 700 პატიმარი მხოლოდ სისასტიკით ცნობილ გულაგებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში კვდებოდა. ამის დადასტურება რეალური მონაცემებით მსოფლიოში კიდევ ერთი სკანდალის საფუძველი გახდება.

*ეკა ახათიანი*

# რა თანამდებობას სთავაზობენ სალომე ზურაბიშვილს?!

*„სალომე ზურაბიშვილს საინტერესო წარსული აქვს. ის ძალიან პრინციპული ქალია, რაც ჩვენს სახელმწიფოს სჭირდება... სალომე ზურაბიშვილი ჩვენი გუნდის ღირსეული წევრი იქნება“, — ბიძინა ივანიშვილის ამ შეფასებებისა და მასთან კონსულტაციის მიუხედავად, სალომე ზურაბიშვილი საქართველოდან ისე გაემგზავრა, რომ ივანიშვილის თანაგუნდელობაზე არაფერი უთქვამს.*

*ბოლო დროს მთავრობის კანცელარიის კულუარებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ პრემიერი სალომე ზურაბიშვილის ადგილს კვლავ საქართველოს მთავრობაში ხედავს. ჩვენმა წყარ-*



**სალომე ზურაბიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს სთავაზობენ?**

*ომ გვაცნობა, რომ „საქართველოს გზის“ დამფუძნებელს კვლავ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე განიხილავენ. როდესაც შევიტყვეთ, რომ სალომე ზურაბიშვილი კვირას, დილით საქართველოში დაბრუნდა, ჩვენს ინფორმაციას დამაჯერებლობა შეემატა და რეალობის გასარკვევად საგარეო საქმეთა ექსმინისტრის თანაგუნდელს* ***ნათელა მაჭავარიანს*** *დავუკავშირდით:*

— მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი ქალბატონ სალომეს თავის გუნდში მოიაზრებდა, არაფერი გაგვიგია იმაზე, თუ რა შესთავაზა მან ზურაბიშვილს. ჯერ არ არის დასრულებული ის ხელშეკრულება, რომელიც სალომეს აქვს გაეროში, სადაც ის ირანის საკითხებში მთავარი ექსპერტია. როდესაც ამ ხელშეკრულების ვადა დასრულდება, სალომე გადაწყვეტს, რას იზამს. როგორც ვიცი, ამ ხელშეკრულების ვადა ახლო მომავალში ამოიწურება.

**— შევიტყვე, რომ ბიძინა ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს ქალბატონ სალომეს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შესთავაზოს.**

— რამდენიმე დღის წინ სალომესაც ეს კითხვა დაუსვეს და უპასუხა, ეს ჩემთვის არ შემოუთავაზებიათ და სიმართლე გითხრათ, არც მე მაქვს საგარეო საქმეთა მინისტრობის სურვილიო.

**— როგორც ითქვა, ქალბატონი სალომე გასულ კვირას თბილისში ჩამოვიდა ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად.**

— ალბათ, შეხვედრა მომავალში გაიმართება. ამჯერად კი სალომე ორი დღით ჩამოვიდა, რადგან მისი მეუღლის, ჯანრი კაშიას გარდაცვალების წლისთავი იყო.

*მარი ზანდუკელი*

www.kvirispalitra.ge

**თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**
**გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში**




## გასწავლი

ავტომანქანის ტარებას ა/მ „ზაიდით". ტელ: 597 61-09-06

შეგასწავლი რუსულ დაჩქარებული მეთოდით, აგრეთვე ვიდეო გაკვეთილების გამოყენებით, ყველა პროფესიის გათვალისწინებით. საუბარს იწყებთ მეორე გაკვეთილიდან. ასევე მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს საატესტატო გამოცდებისთვის, ბიოლოგია-ქიმიაში. ტელ: 232-03-58; 571 05-06-01; 2-30-91-51

სერტიფიცირებული პედაგოგებით დაკომპლექტებული სასწავლო ცენტრი მოამზადებს აბიტურიენტებს: უნარებში, ქართულში ფიზიკა-მათემატიკაში, უცხო ენაში, ქიმია-ბიოლოგიაში, ისტორია-გეოგრაფიაში, უცხო ენაში, აგრეთვე მოსწავლეებს საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად ან დავეხმარებით მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში, მაღალი ქულების გარანტიით. ტელ: 239-08-42; 599 48-39-13; 570 50-28-13

## მომსახურება

შპს „Beauty way" სასწავლო ცენტრი აცხადებს მიღებას კურსებზე: 1. კოსმეტოლოგია-ვიზაჟისტი (კანის დაავადებები, ეპილაცია, სახის გაწმენდა ულტრაბგერით, იონოფორეზით, ლიფტინგი, ფიზიოთერაპია, გაკეთება გაწმენდა კომბაინზე, ლაზერული ეპილაცია, კრემები, ლოსიონები, მასაჟი, პილინგი, მაკიაჟი, წარბების დაგრძელება და სხვა); 2. მასაჟისტი (სამკურნალო, კოსმეტიკური, სპორტული, ბავშვთა მასაჟი); 3. პარიკმახერის კურსები (ქალთა და მამაკაცთა თმის შეჭრა, მორთვა, ქიმიური დახვევა, ნაწნავები) 4. მანიკიური, პედიკიური, ფრჩხილების დაგრძელება. 5. პერმანენტული მაკიაჟი. სწავლის და პრაქტიკის დამთავრების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი, ჩაწერა მასამართი მის. დავით აღმაშენებლის 124-ის ეზოში. „ბიუთი ვეი". ტელ: 294-53-15; 296-22-89; 593 54-33-15

აუდიტი, აუდიტორული შემოწმება საგადასახადო დონეზე, ქონების შეფასება, ბიზნეს-გეგმა, ბიზნესის ორგანიზაცია და გაფართოება, ნებისმიერი სახის ხელშეკრულების შედგენა, საზღვარგარეთ შესყიდვის ორგანიზაცია, მათ შორის ელექტრონული, ფინანსურ დავებში თანამონაწილეობა, დაწესებულებათა რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. საბუღალტრო დოკუმენტაციის ექსპერტიზა, უფასო კონსულტაციები. ტელ: 577 73-06-47; 322 39-29-27; ტელ: 322 39-29-27; 577 73-06-47.

ძვირფასო ქალბატონებო! თუ გსურთ გამოიყურებოდეთ მუდამ მომხიბლველად და ახალგაზრდულად, გვეცით თანამედროვე ტანსაცმელი (პალტო, მანტო, კოსტუმი ყოველდღიური და გამოსასვლელი, ყოველდღიური და სარაძო კაბები). გთავაზობთ ტანსაცმლის კერვას თანამედროვე დიზაინით. ასევე შეგიძლიათ მოიტანოთ ძველი კაბები და მათი ფასონი გადაკეთდება. გაგზორმებთ თანამედროვე აქსესუარებით. მის. აღმაშენებლის გამზ. №115 (ეზოში). ტელ: 593 32-07-68 ნაზი; 595 42-13-00 ნინო

## გთავაზობთ სამუშაოს

ყურადღება! მაღალანაზღაურებადი სამუშაო ოფისში მსხვილ საერთაშორისო კორპორაციაში. ასაკი 25-55 წელი. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555 62-39-05 ირინა

## მკურნალობა

მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, მოსკოვის ნევროლოგიის ინსტიტუტის 23-ე საავადმყოფოს მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული, თბილ-ის ფსიქოლოგიის კათედრის ყოფილი ასპირანტი, ფსიქოლოგი, კლინიცისტი ექიმ-ლოგოპედი ქ-ნი ინა კომახიძე ყველა ქვეყნის საუკეთესო მეთოდის გამოყენებით, ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილებით — საბავშვო ბაღში, სკოლაში, პოლიკლინიკაში, საავადმყოფოს ნევროლოგიურ განყოფილებაში კარგი შედეგებით, სამედიცინო აპარატებით, ყველა სახის ტრენაჟორებით, ჩინური ნემსებით ანატომ-კლინიკური ატლასის რეფლექსოთერაპიის დაყრდნობით, ერთ თვეში ყველა ასაკში გამოგაჯანმრთელებთ, გაგიქრობთ შიშებს, ფსიქოლოგიურ დარღვევებს, შთამომავლობით ენაბლუობას, ლოგონევროზს, ენაჩლუნგობას, გულ-ხელ-ფეხის პრობლემებს, „ტიკებს", მასაჟორებით ქონებს; გარდა ფსიქიატრიის პაციენტებისა, უშედეგო შემთხვევა არ ჰქონია ნორმალურ პაციენტებზე. მის: თავისუფლების მოედანი. ტელ: 599 55-05-75; 790 88-05-75

ბიოლოგი ც. მჭედლიძე და ია ბეგაშვილი მკურნალობენ: თმის ცვენას, ქერტლს, ქავილს, გამონაყარს, ბუდობრივ ცვენას (ამოდის თმა), ტილებს, ფსორიაზს, ეგზემას, სოკოს ყველა სახეობას (ფრჩხილი), სახსრებს, პლექსიტს, ნაწოლებს, ნახეთქებს, ჰაიმორიტს, დემოდეკოზს, კოსმეტიკური საშუალებები. მის: ვაჟა-ფშაველას №47. ტელ: 214-47-80; 593 91-89-17; 555 20-03-41; 235-32-62

ცნობილი ექიმი, მანუალური თერაპევტი სოსო ფირცხალაიშვილი, ანტიტორსიული მანიპულაციებით მკურნალობს ხერხემლის გამრუდებას (სქოლიოზი, კიფოზი, ტორსია, გულ-მკერდის დეფორმაციები), ეფექტი იგრძნობა პირველივე სეანსიდან; დისკოზურ რადიკულიტებს (ფესობრივ სინდრომებს) მომენტალური გაუმჯობესებით და კურსის შემდგომი სრული განკურნებით ოპერაციის გარეშე; ხერხემლის სხვა პათოლოგიებს (ოსტეოქონდროზი, თავის ტკივილები, ბაზალური ნაკლოვანებები და სხვა) უსწრაფესი შედეგებით; სიმაღლეში ზრდას; მკურნალობის მაღალეფექტურობის გარანტიის საფუძველია უკვე არსებული (დაფიქსირებული) შედეგები. მის. კრწანისის ქ. 7/ა. ტელ: 275-06-14, 8790 75-06-14, 599 26-51-08, 568 71-71-90

ლომთათიძე პოლიკლინიკის დირექტორი კვალიფიციურ ექიმებთან ერთად მკურნალობს იაპონური აპარატით წურბელებით: ბუნებრივი საშუალებებით, მუმიოსაგან დამზადებული მალამოებით, ოსტეოქონდროზს, იშიაზს, რადიკულიტს, მარილების დაგროვებას, სამწვერა ნერვის ანთებას, მუხლის-ქვეშა თიაქარს, ხერხემლის თიაქარს უოპერაციოდ, სახსრების დაავადებებს, უნებლიე შარდვას დიდებში და პატარებში, პროსტატიტს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, სებორეას, ტროფიკულ წყლულს, ნაწოლებს., ბუასილი იკურნება უოპერაციოდ. აგრეთვე გთავაზობთ თმის ცვენის საპონს და ხსნარს, რომლებიც მცენარეებზეა დამზადებული, ამაგრებს თმის ძირებს და გაცვენილ ადგილზე ამოყავს თმა. ვკურნავ ფეხის ოფლიანობას, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს. საგვარეულო რეცეპტით ვმკურნალობ A, B, C-ჰეპატიტებს, ცხიმგროვებს თვალების ირგვლივ, ჰაიმორიტს, ფრონტიტს. მუცლის ღრუს ორგანოების გამოკვლევა ექოსკოპიით — 30 ლარი. მის. აღმაშენებლის 93. მ. „მარჯანიშვილთან". ტელ: 296-38-27, 593 39-04-87 ირინა

მკერდის გაზრდა, გამკვრივება, ფორმირება ქირურგიული ჩარევის გარეშე. სიგარეტის გადაგდება, აგრეთვე ვმკურნალობ თავის ტკივილებს, ნერვოზებს, ოსტეოქონდროზს, ფრონტიტს, რადიკულიტს, კუჭ-ნაწლავის და ქალურ დაავადებებს, სმენის და მხედველობის გაუმჯობესებას. აქვე ფუნქციონირებს ბიოენერგოკორექციის შემსწავლელი კურსები. მის. უზნაძის 78. კაბინეტი 310. ტელ: 272-99-34. 577 45-87-55 ლაურა

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ორგანიზმის საერთო გაწმენდით უჯრედულ დონეზე, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, უძილობა, შიშები, აგრესია, აკვიატებები, ღვიძლის და თირკმლის ფუნქციების აღდგენა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოწესრიგება, მკურნალობა ხდება მცენარეული საშუალებებით, 100% შედეგით, უკუჩვენებების გარეშე, ანონიმურობა დაცულია. მის. მ. დიღუბე, „სამთო ქიმია", I სართ. ოთახი №6 ტელ: 34-02-38; 858 96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი

> განცხადება. ალკოჰოლიზმი, პარკინსონი, ქრ. თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, დეპრესია, გონებრივი ჩამორჩენა, აუტიზმი, უნებლიე შარდვა, უძილობა, ალერგია, ბრონქიალური ასთმა, ქრ. ბრონქიტი, ტუბერკულოზი, (რეზისტ. ფორმა). ქრ. ტონზილიტი, ქრ.სუნი პირის ღრუდან, ქრ. გამონადენი ცხვირის ღრუდან. პროსტატიტი, ცისტიტი, კლიმაქსი, უშვილობა, სქესობრივი დარღვევები, ფსორიაზი, ნეიროდერმიტი, ვიტილიგო, ეგზემა... სოკო... მკურნალობა მცენარეული საშუალებებით. ტელ: 599 48-93-98 ნათია ექიმი

მამაკაცებისთვის პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა და ტკივილი შარდვისას, მამაკაცის რეპროდუქტიული ფუნქციის სწრაფი აღდგენა-შენარჩუნება. ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100% შედეგით (ანონიმურობა დაცულია). მის. მ. დიდუბე, „სამთო ქიმია", I სართ. ოთახი №6 ტელ: 234-02-38; 558 96-89-15 ექიმი მეგი

მამაკაცური პრობლემების: სქესობრივი სისუსტის, იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ქავილის, ტკივილის, ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების, უშვილობის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება, უკუჩვენების გარეშე, შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. მის. სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტელ: 790 25-44-14, 234-02-38, 599 25-44-14 ექიმი სპეციალისტი ქ-ნი მზია

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის მკურნალობა ჯანმრთელობის უვნებლად, დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ორგანიზმის გაწმენდით ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე, ნერვული სისტემის მოწესრიგება — უძილობა, ნევროზი, დეპრესია, შიშები, აკვიატება, აგრესია. იმუნიტეტის გაძლიერება, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, შედეგი გარანტირებულია 100%-ით. ანონიმურობა დაცულია. მის. მ. დიდუბე „სამთო ქიმიის" ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6 ტელ: 234-02-38; 599 25-44-14, 790 25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია

ძვლის პრობლემების: ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ართრიტების, კოქსართრიტების, ართროზის, კოქსართროზის და ა.შ. მკურნალობა, დაზიანებული ხრტილის და ძვლის შეცვლილი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, ძვლის აქტიური კვება-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, საუკეთესო შედეგებით. მის. მ. დიდუბე „სამთო ქიმიის" ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6 ტელ: 599 96-44-94; 234-02-38 (ოფისი კვირის გარდა) ექიმი ქ-ნი სალომე

სიმაღლეში სწრაფად და ეფექტურად ზრდა, თვეში 3-5სმ-ის მომატებით 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა ბავშვებშიც და მოზრდილებშიც, ასევე გახდომა თვეში 7-20კგ-მდე უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ცხიმების აქტიური წვა, მადის რეგულირება, მკურნალობა მცენარეული საშუალებით უკუჩვენების გარეშე 100%-ის გარანტიით. მის. მ. დიდუბე, „სამთო ქიმია", I სართ. ოთ. №6 ტ: 599 96-44-94, 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე

ალექსიშვილის კლინიკა გთავაზობთ ხერხემლისა და სახსრების დაავადებების, საოპერაციო დისკოზების, ნევრალგიების, რადიკულიტების, პლექსიტების, საორტოპედიო ტრავმების მკურნალობას უსწრაფესი შედეგებით! მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდანვე. პაციენტთა მიღება წინასწარი ჩაწერით. მის: ცოტნე დადიანის 87. ტელ: 599 100-636; 599 57-16-99

კანის, თმის, ფრჩხილის დაავადებათა დიაგნოსტიკა-მკურნალობა ბავშვებსა და მოზრდილებში: ანთებადი, სოკოვანი, ალერგიული, სებორეა (ქერტლი, თმის ცვენა, გამელოტება), ფერისმჭამელი (აკნე, როზაცეა), მეჭეჭი, ხორცმეტი, ქსანტელაზმა (ცხიმგროვა ქუთუთოზე), ქავილი, წყლული, ლაქა, ეგზემა, ფსორიაზი, ვიტილიგო, ჩაზრდილი, სოკოთი დაზიანებული ფრჩხილი, ჭარბოფლიანობა, ნაწიბური, კოსმეტოლოგია (კანის კვება-დატენიანება, გაახალგაზრდავება, ლაქების, ნაოჭების მოშორება) და სხვ. მის: №6 სამკურნალო ცენტრი: გამრეკელის (კუტუზოვის) №19, 11-18სთ, კვირის გარდა, შაბათს 11-14 სთ. ტელ: 322 38-60-28; 599 78-06-72 დერმატოლოგი-კოსმეტოლოგი

მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში, რკ/სადგურთან საუკეთესო შემოთავაზება ი/მპლანტა ე რამიშვილისგან უკრაინის სამედიცინო ცენტრში შესწავლილი უნიკალური საგვარეულო მცენარეული სიროფი PLANTA ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც), არეგულირებს T3-ს, T4-ს, FT4-ს ანტისხეულებს. PLANTA-GLFNDA ჩირქოვანი გლანდები ქრ. ტონზილიტი, ადენოიდები-ხვრინვა, ლიმფოდენიტი (ლიმფური კვანძების გადიდება). PLANTA+მასტოპატია, ფიბროადენომატოზური კვანძები, ფიბრომა, კისტა, ჰორმონალური დარღვევები — მომატებული პროლაქტინი და სხვა. უნაყოფობა. ტელ: 322 59-59-82; 558 59-59-82; 5000797 000 12006

> **„ერაძის სავარძელი"**
>
> 
>
> ხერხემლის სნეულებათა სრული რეაბილიტაცია მსოფლიოში პირველად და მხოლოდ საქართველოში, უწამლოდ და უოპერაციოდ, უსაფრთხოდ და საბოლოოდ - კისრის, გულ-მკერდისა და გავა-წელის ოსტეოქონდროზი, პროთრუზია, თიაქარი, სქოლიოზები, კიფოზები, ნერვრალგიები. ინჟინერული კლინიკა GEOIN. კოსტავას 71; 577-42-07-18

შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, ცნობილი მკურნალი ნანა ქიბროწაშვილი მკურნალობს ფუტკრის პროდუქტებით: სქესობრივ სისუსტეს, პროსტატიტს, პენისის ანთებას, სპერმის უნებლიე და ნაადრევ გამოყოფას, კონტაქტის შიშს, კუჭ-ნაწლავის წყლულებს და ეროზიებს, დისბაქტერიოზს, ბრონქიტს, შებერილობას, ქოლეცისტიტს, პირიდან სუნს, ენურეზს, ჰაიმორიტს, წვრილ ჭიებს, ბუასილს. მის. წერეთლის 57. II სად. II სართ, ოფისი 7. მიღება 12-15სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა. ტელ: 899 49-84-23

სხვადასხვა მეთოდებით, პაციენტის გარეშეც ვმკურნალობ: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს. მის. წერეთლის 57. II სად. II სართ, ოფისი 7. 12-15სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა. ტელ: 899 49-84-23 შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი

ვმკურნალობ პოტენციის დაქვეითებას და ნაადრევ ეაკულაციას. სრული ანონიმურობით, დიაგნოსტიკით, ლაბორატორიული კვლევით. მის. ლუბლიანას 5/ა (ყოფ. რკინიგზის საავადმყოფო დილომში). ექიმი სექსოპათოლოგი არკადი. ტელ: 577 43-25-13, 579 13-13-13, 295-77-44 (მიმ-ლები)

## იყიდება

იყიდება პიკაპი ფორდი-150, 2000 წლიანი, ძრავა 4,6 ბენზინი, უყენდება ნებისმიერი თაობის გაზის აპარატურა, დიდი ტევადობის და ტვირთამწეობის (2,5 ტონა), სალონში არის 3 ადგილი, მანქანა ტექნიკურად სრულად გამართულია, გარეგნულად აქვს რამდენიმე ვიზუალური დეფექტი. მანქანა ძალიან კარგია სოფელში მოსახმარად. ფასი 4500$. ტ. 597-12-77-85

ახალი ციფრული მოძრავ-უძრავი სატელიტური ანტენა. იღებს ქართულ, რუსულ, ევროპულ, აზიურ, აფრიკულ, არაბულ არხებს და ამავე ქვეყნების FM რადიოს. ასევე შეიძლება და ჩამოტანილი აპარატურის ჩართვა-მონტაჟით. არხების რაოდენობა 1-დან 3000-მდე. ტელ: 593 91-48-22

იყ. სმენის აპარატები შელავათიანი ფასად, ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ტელევიზორის მოსასმენი სპეციალური მოწყობილობა ყველასათვის მოსახერხებელი, განსაკუთრებით სმენადაქვეითებულებისთვის. აქვე წარმოების სმენის, წნევის აპარატებისა და ინგალატორების (ნებულაიზერების) შეკეთება. ტელ: 294-67-96, 599 27-38-99, 8790 95-96-22 (11-15სთ)

იყ. ყველა სახეობის, საუკეთესო ჯიშების ხეხილის ნამყენი ნერგები. უწამლი ვაზები, ნამყენი და ხეივნის ვარდები. კაკალი, ნუში, თხილი, უნაბი, ვაშლატამა, კიპარისი, ტუია და სხვა. მის: თბილისის ზღვა, სანერგე მეურნეობა. ტელ: 555 60-65-84; 599 46-90-55

## შევისყიდი

ყველა სახის წიგნს გამოცემულს 1917 წლამდე (რევოლუციამდელს). ქართულს, რუსულს, სომხურს, ასევე უცხოურსაც ბინაზე მისვლით — არჩევით. ანგარიშსწორება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ტელ: 555 29-40-39

## სხვადასხვა

**საქართველოს ნოტარიუსის შორენა ხარაიშვილის საჯარო განცხადება მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამემკვიდრეო საქმისწარმოების გახსნის შესახებ (განმეორებითი)**

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 87-ე მუხლის შესაბამისად ვაქვეყნებ შემდეგი შინაარსის ინფორმაციას საჯარო პუბლიკაციის გზით:

1. ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №116, გახსნილია სამემკვიდრეო საქმისწარმოება 1997 წლის 28 მაისს გარდაცვლილი გიორგი მიხეილის ძე ბეგალიშვილის სამკვიდრო ქონების მიმართ მისი კანონით მემკვიდრეების მარინა და ლალი ბეგალიშვილების განცხადების საფუძველზე.

2. სამკვდროს მიღებაზე უფლებამოსილმა ყველა პირმა (მათ შორის 1989 წლის 26 ივლისის ანდერძით გათვალისწინებულმა არჩილ კარლოს ძე ფასუაშვილმა) განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ უნდა წარადგინოს ჩემს სანოტარო ბიუროში აღნიშნული განცხადების პირველი გამოქვეყნებიდან ოცდაათი კალენდარული დღის ვადაში.

მოსკოვში, ნოვო-პერედელკინოში, სასტუმროების დაფუძნების პროექტი. მისამართი: ნოვო-პერედელკინო, ჩობოტოვის მე-3 ხეივანი, სახლი 3, შენობა 1,2,3 (2700 კვ.მ).

სამივე სახლი კერძო საკუთრებას წარმოადგენს. მოსკოვში აშკარად იგრძნობა შედარებით იაფი (3-ვარსკვლავიანი) სასტუმროების უკმარისობა. გამუდმებული საცობების გამო, მოსკოვის ცენტრში განთავსებული სასტუმროები პოპულარობას კარგავენ. ამასთან, მოსკოვში მიწა ძალზე ძვირია, ხოლო ახალი ობიექტის მშენებლობის ნებართვის აღება, საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირად ღირებული პროცესია!

ჩვენი პროექტი ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ სამ საცხოვრებელ, კერძო მესაკუთრეების სახლებში, უმოკლეს ვადაში სასტუმროების მოწყობა. ჩვენს საკუთრებაში არსებული ზემოთ ნახსენები კარ-მიდამო განთავსებულია პერედელკინო — ნოვო-პერედელკინოს ელიტურ, საგარაკე რაიონში. სახლები განლაგებულია თვალწარმტაც ადგილას, რუსეთის პატრიარქის რეზიდენციასა და მე-14-15 საუკუნეების ეკლესიის მახლობლად. სადგურ პერედელკინოდან ელმავალით მოსკოვის ცენტრში 20 წუთში მოხვდებით. ასევე 15 წუთის სავალია ავტოტრანსპორტით, სამხრეთ-დასავლეთის მეტრომდე. ქალაქის ცენტრისკენ სამი ავტოსტრადა მიდის: მოჟაისკის შოსე, რომელიც კუტუზოვის პროსპექტში გადადის, ბოროვსკოეს შოსე (მიჩურინის პროსპექტი) და კიევის შოსე (ლენინის პროსპექტი). პერდელკინო ცნობილია იმ სახელგანთქმული მწერლებით, ვინც იქ ცხოვრობდა და შემოქმედებითად მუშაობდა: კ. ჩუკოვსკი, ა. ფადეევი, ა. ტვორდოვსკი, ბ. პასტერნაკი, ა. სოლჟენიცინი, ბ. ოკუჯავა და ბევრი სხვა ცნობილი ხელოვანი.

მთელი ეს ტერიტორია გარშემორტყმულია ტყითა და საუკუნოვანი ფიჭვნარით. პერედელკინოსთან ახლოსაა განთავსებული აეროპორტი ვნუკოვო, მაგრამ მაცხოვრებლებს თვითმფრინავების გუგუნი არ აწუხებთ, ვინაიდან ისინი აეროდრომზე საპირისპირო მხრიდან ეშვებიან. ჩვენ შევუთანხმდით აეროპორტის მუშაკებსა და ტაქსის მძღოლებს, რომ ისინი მოსკოვში ჩამოსულ სტუმრებს ჩვენს სასტუმროებზე ინფორმაციას მიაწვდიან.

კარ-მიდამო შედგება: სახლი 1–333კვ.მ, 3 სართული, 10 ოთახი, სასადილო-სამზარეულო, 2 ტუალეტი, 2 სააბაზანო.სახლი 2–540კვ.მ, 3 სართული, 14 ოთახი, 4 ტუალეტი და 4 სააბაზანო.სახლი 3–65კვ.მ, ძელებით აშენებული 2 წლის შენობა. განკუთვნილია ეგზოტიკური ბარისა და აბანო-საუნისთვის. 1 და მე-2 სახლი ერთმანეთთან გადასასვლელითაა დაკავშირებული, სადაც შესაძლებელია კაფე-რესტორნის ან საცურაო აუზის განთავსება.სახლები მდებარებს შესანიშნავ ლანდშაფტში, სადაც მრავლადაა ნაძვი, ფიჭვი, ვაშლის დიდი ხეები და ა.შ.

ამჟამინდელი კრიზისის გათვალისწინებით, სახლებისა და მიწის 50%-იანი წილის ღირებულება 1,5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ამ თანხის გადახდის შემთხვევაში, მე, პირადად, შენობების რეორგანიზაციისა და თანამედროვე სასტუმროებად გადაკეთების საქმეში, საერთო ფინანსურ ფონდში თანაბარ პარტნიორულ წილს — 50%-ს ჩავდებ. აქედან გამომდინარე, პარტნიორის მიერ დაბანდებული თანხა, ჩვენი საერთო ფულით წარმოებული რემონტის დამთავრების შემდეგ, მინიმუმ 30-35%-ით გაიზრდება. ზემოაღნიშნული პროექტით დაინტერესების შემთხვევაში, ლიცენზიებს და სხვა საჭირო საქმიანობას სტრუქტურის მუშაობის სამხრე დაგვიკავშირდით (ბა), დაინტერესებულ პირს პირადად შევხვდები და გავაცნობ. 8-98-59-69-90-30, გიორგი. 8-92-63-61-06-32, ნატალია ოლეგის ასული.




### „ჩემი გვერდის" პასუხები

**სკანვორდი:**

1. მარწყვი; 2. კარტი; 3. ასლი; 4. ყველი.

**მხიარული არითმეტიკა:** 3 + 8 = 11; 13 - 5 > 7; 2 X 3 = 6

**რებუსები:** ჯიხვი; კატამარანი; ბალიში.

**იპოვე საერთო დასაწყისი:**

ალალი; ალამი; ალაზანი; ალავერდი; ალანი.

**იპოვე საერთო დასასრული:**

ხმალი; სანდალი; შანდალი; ბალი; ჩანგალი.



## თორნიკე გაგნიძის ხსოვნას

თოკო, უშენოდ მოვიდა მე-20 გაზაფხული... ბუნება იღვიძებს, ყვავილებით გადაიპენტა მდელოები. უამრავი ლამაზი ფერებია ირგვლივ... შენ რომ გიყვარდა, ისეთი... მაგრამ უშენოდ... იქნება მზე, სითბო და უდიდესი მონატრება შენი... უზომოდ ხალისიანი, ღიმილიანი და ონავარი ბიჭის...

გაუსაძლისია უშენობა, ყველას – ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, ყველას, ვინც კი გიცნობდა, ძალიან ენანება შენი უეცრად შეწყვეტილი ნორჩი სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელიც სავსე იყო ულამაზესი ფერებით, იუმორით, ხალისითა და ცელქობით. წუთიერად არ შეგეძლო მოდუნება, მუდამ სადღაც მიიჩქაროდი. თითქოს ადგილსაც ვერ პოულობდი ამ უსასრულოდ დიდ სამყაროში.

ხატავდი, ძერწავდი, წერდი გამუდმებით. ლაპარაკი დიდად არ გიყვარდა, უფრო ფიქრობდი და ოცნებობდი... მხოლოდ შეკითხვებს იძლეოდი და მოუთმენლად ელოდი პასუხს სამყაროს დასაწყისსა თუ იმქვეყნიურ მარადიულობაზე... შენს დაბადების დღეს, – 15 მარტსა და წლევანდელ გაზაფხულს შენი ნამუშევრების გამოფენის გახსნით ვხვდებით დიდი სიყვარულით, მოლოდინითა და ასევე დიდი განცდით, უშენობის, არყოფნის განცდით ვხვდებით, რაც ძალზე გაუსაძლისია.

რამდენი რამ დაგრჩა, ჩვენო ნიჭიერო ბიჭუნავ უთქმელი. რამდენი ოცნება დაგრჩა აუხდენელი. ეს ნამუშევრები შენი შემოქმედების მხოლოდ დასაწყისი იყო, მთავარი სათქმელი ვერ მოასწარი, ვერ გამოაქანდაკე... უამრავი შენი ნაოცნებარი, შემოქმედების უტყუარი ნიმუში გახდებოდა.

თოკო, ძვირფასო, ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრებავ, შევიკრიბებით შენი ნიჭის და შემოქმედების თაყვანისმცემლები შენს გამოფენაზე, იქნება ყვავილები, ცრემლები, მონატრება, გახსენება შენი ულამაზესი ღიმილისა და იუმორის... მაგრამ უშენოდ...

ნათელში იყავ სამარადისოდ. დედის ლოცვა-ვედრება გინათებდეს გზას ცათა სასუფეველში. გვაკლიხარ, გვიყვარხარ და გვენატრები ყველას!..

*ულრმესი პატივისცემით ოჯახი და უახლოესი ნათესავები*

## გიორგი (გოგია) კონიაშვილის გახსენება



დრო მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ იმ ტკივილს, რომელსაც შენი სახელი თან ახლავს, დრო ვერ კურნავს. 16 მარტს ექვსი წელი სრულდება უშენოდ. ექვსი წლის შემდეგაც დიდი ტკივილით გიხსენებენ შენი ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლობლები. შენი კარგი კაცობა უკვდავია.

*შენი ოჯახი*

## ეთერ ლაზაშვილი-ბეჟანიშვილის მონატრება



დედის დღესა და რვა მარტს – ქალთა დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო ეთერ. მე კი ვერ ვგრძნობ გაზაფხულის მოსვლას. შენ მაძლევდი ძალას, გამბედაობას და ყველა იმ სიძნელის გადალახვის უნარს, რომელიც 50 წლის განმავლობაში შენთან ერთად გაგვიტარებია. ახლა კი რა, მოვალთ შენი შვილები, შვილიშვილები და ყველა შენიანი ყვავილებით, შევამკობთ შენს საფლავს, დაგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ. ღმერთს ვევედრებით და უფალსა ვთხოვთ, სამარადისოდ ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*

## ედო პაპას (ელდარ) ალექსანაშვილის მონატრება



გვენატრები... უსაშველოდ გვენატრები, ჩვენო უსაყვარლესო და ულამაზესო პაპი. ცრემლით, დარდი და ტკივილით გავიდა ერთი წელი, რაც არ გვინახიხარ პაპი, რაც არ ჩაგვხუტებივართ გულში და არ მოგვფერებიხარ, ჩვენთან ერთად არ გითამაშია, რაც შენ ასე გახასიათებდა და... შენთვის აღარ დაგვიძახია: „პაპი!“

როგორ გვინდა ახლა შენს გვერდზე ვისხდეთ. ვუსმენდეთ შენს თბილ, აუჩქარებელ საუბარს, გელაპარაკებოდეთ ჩვენს წარმატებებზე, სიხარულზე და გულისტკივილზე... ახლა იმ ეზოში შესულები ფანჯრისკენ ვიხედებით, რომ ისევ დაგვანახა შენი ლამაზი და თბილი სახე. გაგიცინებდით და დაგიძახებდით: „პაპი, მოვედით!“ შენც გიხაროდა ჩვენი დანახვა და გაბრწყინებული სახით ხელს გვიქნევდი და გვეძახდი. ახლა... ახლა კი შენი სახის მაგივრად ფანჯარაში მხოლოდ გაურკვეველ სიბნელეს ვხედავთ...

*შვილიშვილები: ნინო, მარიამი და ერეკლე წითელაურები, ზაქარია, თათია, ელენე ობგაიძეები*

## ვაჟა კოპალეიშვილის ცრემლიანი მონატრება



მეშვიდე წელია რაც შენ არა ხარ. ძნელია ჩემთვის იმ 23 მაისის გახსენება. იმ დღეს შენი კეთილი სული სამუდამო სასუფეველში გადავიდა. შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ყველას გული გვატკინა. წახვედი და დაგვიტოვე ცრემლიანი მონატრება და გულისტკივილი. შენ ყოველთვის თავაზიანი და ყველას ხელის შემწყობი იყავი. უშენოდ ლხინი არ იმართებოდა ჩვენს უბანში. ჭირში გვერდით უდექი ყველას. ძალიან განიცდიან უშენობას შენი მეუღლე ლაურა, შვილები – მაკა და კახა, სიძე კობა, რძალი ინგა, შვილიშვილი პატარა ანა, დები – ნელი და თარი. განსაკუთრებით განიცდის ნელი, რომელსაც დღისით და ღამით თვალწინ უდგახარ, ჩემო ერთადერთი, საფიცარო, შვილივით გაზრდილო ძმაო, ვაჟა. ვტირი შენთან ერთად ჩემს საყვარელ დედიკოს, რომელიც 21 წელია წავიდა ამ ქვეყნიდან და ახლა შენს გვერდით იმყოფება. ტრაგიკულმა შემთხვევამ წაგვართვა შენი დისშვილი მამუკა, უკრაინის ველზე ავტოავარიით დაიღუპა. აღარ არიან ირაკლი და პეტული. ხიტულა დიდ სამამულო ომში დაიღუპა. ალიკო, წყალტუბოს მთავარი ექიმი, ამჟამად პირველი მაისის ეკლესიაში, აკლდამაში განისვენებს.

მის გვერდით გიორგი ბიძია, დეიდები – თამარა და ფატულია, ბიძია პაჭულა.

*დები ნელი და თარი*

## ეთერ ხუციშვილი



ჩემი წუთის სოფელი
მციოდა ბევრჯერ, მშიოდა კიდეც,
მე უოჯახოდ ვიყავ ეული,
როდის გავიდა ოთხმოცი წელი
ჟამი დამიდგა ეს დაწყეული.
მე ჩემი თავი ბავშვი მეგონა,
მშობლებთან ყოფნას ვიყავ ჩვეული,
აღარცად დედა, აღარცად მამა
მარტოდ დავმრჩალვარ მძიმედ სნეული.
წავალ ამქვეყნით, დავიკარგები,
ცრემლი შერჩება თვალებს გუგებში,
სიკვდილი მოდის, მეალერსება,
ეს არის მხოლოდ ჩემი ნუგეში.
სუყველამ იცის სოფელ კუდოში
მე ჩემი შრომით დავიმარხები,
არ ჩამაწვენენ მუქთა კუბოში.

ორი წელი იყავი ლოგინს მიჯაჭვული, ალბათ შენი წმინდად გატარებული ცხოვრების გამო, უფალმა წყალკურთხევა დღეს, დღის მეორე ნახევარში მიიბარა შენი ტანჯული სული. ღვთისაგან კურთხეული დღეც, ალბათ რჩეულთ ეკუთვნის. სიკვდილის წინ დაწერილი ეს შენი ლექსი სათაურით „ჩემი წუთის სოფელი“, – ნამდვილად ასახავს შენს განვლილ ცხოვრებას. შენი შთამომავალი თუ ვერ მოგიგონებს, შენი პესიმისტური ლექსებით მოგიგონებენ შენი ახლობლები.

*და, ლამარა, ძმისშვილები, დისშვილები, ახლობლები*

## ვანიკო სულიაშვილის გახსენება



შვილმკვდარ დედას განსაკუთრებული დღე რად უნდა მის გასახსენებლად? დედის სიცოცხლე, ყოველი დღე ხომ შვილის ხსოვნას ეძღვნება!

მოლოდინი

ჩემი შიმშილი და ჩემი წყურვილი ხარ,
შავი ძაძები და ცრემლთა მოვანება,
სამყაროს ყველა კუნჭულს ჩოქვით შემოვივლი,
თუკი შენი ლანდი სადმე მელოდება!..
ზღვისფერია ცა, ცისფერია ზღვაც,
ისინი შენს თვალებს ჰგავს!
ვიღაცა აგროვებს ოქროს,
ვიღაც – ბრილიანტის ქვას,
მეკი საფიცრად შენი სურათი მაქვს!
შენს შვილს ვეფერები ყოველ დღე,
დაუდეგარსა და ანცს,
მას ხომ შენი სურნელი აქვს!
ჩემში იცხოვრებ მარადჟამ,
თაფლის სანთელივით იკიაფებ გულში,
შენი არყოფნა ტანჯვად მეღვრება სულში!
კახეთში შემოდგომას ელიან,
შრომაში იკლავენ დარდს,
მე კი შენთან შეხვედრის წამს!

*დედა თამილა სულიაშვილი*

## გოგი ფალაშვილის მონატრება



17 მარტს ხუთი ტკივილიანი წელი ხდება შენი გარდაცვალებიდან. დაგვიტოვე უზომო ტკივილი, მონატრება. შენი ნანიკო ვერ შეეგუა შენს სიკვდილს. ვერ გიხსენით მუხანათი სიკვდილისაგან. მეგონა მართლა მაგარი იყავი, თურმე რა სუსტი გული გქონია. მე როგორ გაჯობე, გოგი! დაესიზმრე შენს ნანიკოს, ანუგეშე, წამალი ასწავლე დიდი ტკივილის მოსაშუშებლად. შენი მერცხალა ბიჭები ჩუმად გვეპარებიან შენს საფლავზე. გეფერებიან, ყვავილებს რგავენ. შენი ანგელოზი ნინიკოსთვის საფიცარი პაპა ხარ. არ შეგარცხვენენ, კარგად სწავლობენ! ილოცე შენი ნანიკოსთვის, ყველა იმათთვის, ვინც შენს შვილს გვერდში უდგას და უყვარს, შენი გაჭირვებული საყვარელი ძმისთვის. გვაპატიე, თუ ისე ვერ ვაკეთებთ რამეს, როგორც უნდა გავაკეთოთ. ძალიან, ძალიან გვენატრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*შენი მეუღლე ქეთინო არჯევნიშვილი*

## ლენგერ ქურციკიძის გახსენება



გავიდა უშენოდ ორმოცი მძიმე, ცრემლიანი დღემ ჩვენო დიდო ტკივილო და სიყვარულო. 27 იანვარს დაგვტოვე სამუდამოდ, უხმოდ, ვაიც კი არ გითქვამს. როგორი მეხი იყო ყოველი ჩვენთაგანისათვის შენი სიკვდილი. რა მძიმეა უშენობა. როგორ ერთ წამში დამთავრდა ყველაფერი ჩვენო საყვარელო მამიკო, ბაბუ, როგორ გვიყვარდი ყველას. ვინც კი გიცნობდა, დაგტირის და გვიცხადებენ თანაგრძნობას. რამდენი ლექსი მოგიძღვნა შოთა ტოგონიძემ. აი ნაწყვეტი მისი ერთ-ერთი ლექსის ბწკარებიდან:

მომაგონდები რომ აღარა ხარ,
და ჩრდილი გულზე...
ჩრდილი გადივლის
ღიმილნარევ შენს სახეს.
ვუმზერ!.. თითქოს ჩვენი გულისთქმაა.

ვილოცებთ შენი წმინდა სულისთვის. დაე ჩვენმა ლოცვამ, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სასუფეველში.

*მეუღლე ნანული ნეფარიძე, შვილები – ლია და ნინო ქურციკიძეები – ოჯახებით*

## ალექსანდრე (სანდრო) ქანთარიას ხსოვნას!



წელი გავიდა! ერთი წელია, აღარ გჭირდება შველა და მეც აღარ მოვქრივარ შენსკენ წამლებით სავსე ჩანთით...

წლევანდელი ზამთარი უჩვეულოდ თბილია, მაგრამ შენ ვერ სარგებლობ ამ სითბოთი, რადგან შარშანდელი მკაცრი და დაუსრულებელი ზამთარი ბოლო აღმოჩნდა შენთვის.

ჩემო საყვარელო მამიკო, მენატრები! ყველას გვენატრები!

შენი იმედიანი სიტყვები და ნუგეში მენატრება! ამ წელს ქუჩაში ორჯერ შემხვდა უცნობი, რომელიც შენსავით უხმოდ, ტუჩებით საუბრობდა. მივხვდი – შენნაირი სენით იყო შეპყრობილი და ხმა აღარ ჰქონდა. მივედი, მივეფერე, ვუთხარი, რომ მამა მენატრება, რადგან შორს არის და ვერ ვნახულობ! ყურადღება ესიამოვნა უცნობს, ვერ ვუთხარი, რომ შენ უკვე აღარ ხარ ამ ქვეყნად, რადგან ადამიანი იმედით ცოცხლობს...

სამამულო ომში გამოვლილი კაცისთვის 91 წელი სოლიდური ასაკია, მაგრამ მაინც ძნელია უშენობა. დედაჩვენი – ჩვენი მარიამ-დედიკო, რომელიც ყოველდღე ლოცვით გესაუბრება, ცდილობს, რომ არ შეგვაწუხოს. ყოველდღე ლოცავს ყველას.

ისევ შორს და თან ახლოს მეგულები, ისევ გვამხნევებ და თან გვაფრთხილებ, ისევ მკაცრი და თან უჩვეულოდ მგრძნობიარე ხარ, ისევ და მარად ერთად ვდგავართ სიძნელეების დასაძლევად, რადგან სული მარადიულია!

იქნებ, ღმერთმა ინებოს და შენი სახელი და გვარი გაგრძელდეს შენს ოჯახში – შენი შვილიშვილების შთამომავლობაში! ამინ!

*შენი შვილი დალი და შენი ოჯახი*

## ლამარა შენგელიას



უკვე გაზაფხული დადგა, დედა! მარტის თვე შენი დაბადების თვეა. უშენობა აუტანელია, სულში სიცარიელეა და დაუსრულებელი ფიქრი იმაზე, იქნებ მეტი შემეძლო და ვერ გაგიკეთე, იქნებ ჩემგან მეტს ითხოვდი და ვერ შეგისრულე, იქნებ უჩემობის შეგეშინდა, იქნებ ჩემს გამოჩენას ელოდი. იქნებ... ცუდად ვარ, აღარ შემიძლია. ბოლო დროს შენ ხომ ყველაფერს ჩემი სახელით აღიქვამდი.

დედა, ტკივილამდე მენატრები. ვგრძნობ, რომ სადღაც აქ ხარ, ჩემს ახლოს. ნეტავი ახლა როგორ ხარ? მჯერა, ნათელში ხარ, – რატომ? იმიტომ, რომ შენ ყველაფერი გააკეთე შენი შვილებისათვის, იმიტომ, რომ მამას აგრძნობინე, თუ როგორ აღმერთებდი, თუ როგორ გჭირდებოდათ ერთმანეთი.

დედა, ძალიან მენატრები, უშენობას ვერ შევეგუე, ტირილი მოთხოვნილებად მექცა. ნეტავი, თუ გრძნობ, როგორ მიყვარხარ. მომავალში უშენოდ, ნეტავი როგორ ვიქნები?!

*ქეთინო წახნაკია*

## უსაყვარლესი მეგობრის ნანა ბუჯიაშვილის ტკივილიანი მონატრება



რამდენი უღიმღამო დღე გათენდა და დაღამდა უშენოდ, ჩემო ნანა. 15 მარტს ერთი წელი გისრულდება, როცა დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ვიცი, არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება, შორს წახვედი ჩემგან, მაგრამ მუდამ ჩემთან ხარ – დღისითაც და სიზმრადაც, ჩვენს სიყვარულს ვერანაირი დრო ვერ წაშლის.

შენ უნიჭიერესი შვილი გაზარდე და დაგვიტოვე ექიმი გოგა ჯავახაძის სახით, ვისი დარდიც გაგყვა იმ ქვეყანაში. მჯერა უფალი არ გაგვწირავს და შევხვდებით. შენ ჩემთან იქნები მუდამ, როგორც უკვდავი სული.

ჩემს ფანჯარასთან ბობოქრობს ქარი,
შავ ღრუბლებს ცაში შეჰყრის,
ქარო, დამშვიდდი, არ გინდა გლოვა,
ვისაც მე ვგლოვობ, ის აღარ მოვა.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ციცო*

## ჯემალ ბერძულის გახსენება



საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის 2013 წლის 7 თებერვალი. ელვის სისწრაფით მოედო თერჯოლის რაიონს და შენს მშობლიურ ძევრს (უბან სეფარეთს) შენი გარდაცვალების ამბავი, შენს ოჯახს და ნაცნობ-მეგობრებს ვერ წარმოედგინათ რომ სულით, ხორცითა და გონებით ძლიერ ადამიანს, ასე უეცრად დაგამარცხებდა სიკვდილი. ყოველი გაზაფხულის მოსვლას ბავშვივით შეჰხაროდი, ბუნების წიაღში აღზრდილს, საოცრად გიყვარდა ბუნების გამოღვიძება, სპეციალობაც ასეთი გქონდა – „აგრონომი“.

არასდროს შეგიწყვეტია ოჯახზე და ხალხზე ზრუნვა. შენს მოვალეობას ყოველთვის პირნათლად ასრულებდი. იყავი შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. შენი ხსოვნა მარად დარჩება შენი ოჯახისა და ნაცნობ-მეგობრების გულში.

*მეუღლე მადონა ფოფხაძე, შვილები ქეთევან, მაია და ერეკლე ბერძულები*

## ოთარ ჭანკვეტაძისა და მემედ როგავას გახსენება




მარტის პირველ რიცხვებში ორივეს საიუბილეო, დაბადების მრგვალი თარიღებია. ყოველი მარტის დასაწყისი საზეიმო იყო ყველასთვის, ვისაც თქვენთან სიახლოვე ათბობდა და ახალისებდა. თქვენი მჭექარე ხმა და გულიანი სიცილი მთელ ინსტიტუტში ისმოდა და განწყობილებას გვიმაღლებდა.

ჩვენო „ო.ჭ.“ და ჩვენო „ღიმილა“, რამდენი საუცხოო რამ გვახსენდება თქვენთან დაკავშირებით. თქვენს მონაწილეობას ნებისმიერ სემინარსა თუ სხვა შეკრებაზე, მუდამ საზეიმო ელფერი დაჰკრავდა. თქვენს სამუშაო ოთახზე გაკრულ წარწერას „ოთახი არამწეველთათვის“ ვიღაცამ ხომ ასე მიაწერა „და ქართული სუფრის დამფასებელთათვის“. ორივე ყველას გაჭირვების ტალკვესი იყავით, ჭირისა და ლხინის გამზიარებელნი. ორივეს საოცარი იუმორის გრძნობა გქონდათ.

ოთარ, შენ ხომ განთქმული თამადა იყავი. გვახსენდება შენი ორიგინალური სადღეგრძელოები, საოცრად შესრულებული სიმღერები და საოპერო არიები. შენ დიდი ბიბლიოფილიც იყავი. გქონდა უნიკალური პირადი ბიბლიოთეკა თბილისშიც და ზესტაფონშიც. ერთხელ მოსკოვში მივლინებით მყოფმა ტანსაცმლის საყიდლად წაღებული ფული მთლიანად ცნობილი მხატვრების ალბომების შესაძენად დახარჯე.

მემედ, შენი ხალისიანობა ხომ გადამდები იყო ყველასათვის. სიცოცხლის ბოლო თვეებში, უკურნებელი სენით შეპყრობილი, ხშირად გვმასპინძლობდი და, მიუხედავად აუტანელი ტკივილებისა, აქეთ გვამხნევებდი და გვეხუმრებოდი. შენი ნაადრევი გარდაცვლება მძიმედ განიცადეს შენმა პეტერბურგელმა კოლეგებმაც. რამდენიმე მათგანი ჩამოვიდა კიდეც შენს ბოლო გზაზე გასაცილებლად. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ამ დღეებში უთქვენოდ მოგვიხდება თქვენი – ორი დიდებული მეცნიერისა და პიროვნების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები.

*თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები*

## მარგალიტა მუმლაძე



ჩემო შრომაში გადაღლილო და ძალიან, ძალიან მონატრებულო დედა, უკვე ერთი წელი შეგისრულდება ამ დათარსულ 13 მარტს, რაც ჩვენგან წახვედი. წახვედი და დაგვიტოვე სამუდამო ტკივილი, ტანჯვა და ცრემლი, ცრემლი, რომელიც არასდროს შეაშრება ჩემს თვალებს.

დედა, როგორ გიხაროდა გაზაფხულის დადგომა, მაგრამ ამაოდ... არ გაიხარონ ახალციხის არაფრისმცოდნე იმ ექიმებმა, დედა, რომლებმაც უყურადღებობა გამოიჩინეს. ყურადღებისა და მორჩენის ნაცვლად სიცოცხლე რომ ძალით მოგისწრაფეს. რას არ მივცემდი დედა, შენი უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, მაგრამ ეს მხოლოდ ნატვრაა და მეტი არაფერი. მამასაც მოუფრთხილდი დედა, აქაც შენ უვლიდი და მანდაც ვიცი, ყურადღებას რომ არ მოაკლებ. მე როგორ უნდა ვიყო დედა, როცა რვა თვეში ყველაზე ძვირფასი და ყველაზე საყვარელი ადამიანები მომაკლდით. ჯერ მამამ გაგვამწარა, დედა, მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ, შენ მომიკალი გული, დედა. 2 თვის შემდეგ კი მეუღლეც დამეღუპა დედა. თვალებზე ცრემლი არ მიშრება და ძალიან მენატრებით და მაკლიხართ ყველანი, დედა.

თქვენი წმინდა სულები გაანათლოს ღმერთმა და ბუზბულივით მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური სოფლის, აწყურის მიწა.

*ეთერი, ზაზა, ნანა*

## ირაკლი (იკა) ოჩიგავას მონატრება



გაზაფხულის მოსვლას და დაბადების დღეს ერთად გილოცავთ, შვილო! 9 მარტი ხომ შენი დაბადების დღეა! მეხუთედ ვხვდებით უშენოდ, – გარეწარის წყალობით. რა დასანანია, რომ ასე ულმობლად შეწყდა შენი სიცოცხლე 28 წლის ასაკში. მარადიულ ნატვრად, ტკივილად, ცრემლად დარჩი ჩვენთან. ყველა შენი ახლობელი, მეგობარი ყვავილებითა და სანთლებით მოვალთ შენს სამუდამო განსასვენებელთან და მოგილოცავთ დაბადების 33-ე წლისთავს!

ძალიან გვიყვარხარ და ტკივილამდე გვენატრები!

*შენი ოჯახი*

## ირაკლი ჩიტორელიძის მოგონება



დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ანგელოზად ქცეულო 35 წლის ვაჟკაცო. უსაყვარლესო, ულამაზესო, ოცნებებისა და სიყვარულისთვის თავგანწირულო, ჩემო საფიცარო. 19 მარტი ხომ შენი დაბადების დღეა, იცოდე რომ სულ ჩემთანა ხარ, ჩვენს სულში, ჩვენს გულში, ჩვენ ოცნებებში შენ გვაძლევ ძალას იმისთვის, რომ რაც შენთვის ვერ გავაკეთეთ, გავუკეთოთ შენს ძმას და იმის შვილს, რომელსაც შენი სახელი და გვარი აქვს, პატარა ირაკლი ჩიტორელიძეს, რომელიც იზრდება შენი ხსენებით, სითბოთი და კეთილი მოგონებებით, გვიკვირს როგორ გავძელით უშენოდ მთელი ეს წლები, იცოდე რომ შენს საფლავს არასოდეს მოაკლდება სითბო და ყვავილები. ეხლაც მოვალთ, მოგეფერებით, მოგილოცავთ დაბადების დღეს, დავანთებთ სანთლებს, უფალს შევთხოვთ, ზეციურ სასუფეველში დაამკვიდროს შენი ლამაზი და უმანკო სული, „სადაც მართალნი განისვენებენ“.

*შენი დედა, მამა და ძმა*

## ირაკლი ჩიტორელიძის გახსენება

ჩემო ლამაზო და ჩემო სიცოცხლიდან გულნატკენო ირაკლი, გილოცავ დაბადების დღეს, 19 მარტს. ღმერთმა სანთელი და საკმეველი არ მოგაკლოს ჩემო ძმაო, მუდამ იყავი და იქნები ჩვენთვის უძვირფასესი ადამიანი. არავის შეუძლია შენი ადგილის დაკავება, შენმა სულმა სიცოცხლე მაჩუქა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდოდა შენი ნახვა, მიყვარხარ უზომოდ და ვერასდროს დაგივიწყებთ.

*თეონა ვოგავა*

## მზიური (მზია) მესხია-იზორიას გახსენება



6 მარტს შესრულდა შენი გატანჯული წუთისოფლის დასასრულიდან ორი წელი. იმედს ვიტოვებთ, რომ იმქვეყნად მაინც გექნება შვება. ნათქვამია – მზისქვეშეთში ვინც ვერ გაიხარა, დიდსოფელში სასუფეველი ელისო. შენი გულკეთილობითა და სიყვარულის უნარით სავსებით იმსახურებ ამას. გპირდები, შენი ხსოვნა დღეგრძელი იქნება. ორსანტოს ეზო-კარი შენი სადარდებელი და საზრუნავი, არ დაიქცევა, სანამ იცოცხლებს შენი ძმა. ნათელში გამყოფოს მაღალმა ღმერთმა.

*ოჯახით – მამა აბელ მესხია, მაზლი ფელიქს იზორია, ბიძაშვილები: ლუიზა, ცისანა და ანზორ მესხიები; მამიდაშვილები, დეიდები, დეიდაშვილები, მეგობრები.*

## ნანული ქიტესაშვილ-კვეზერელს ხსოვნას



მარტი, ქალთა თვე, განსაკუთრებულად უყვარდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, სოფლად თუ ქალაქად, სკოლაში თუ სახლში, გამორჩეულად აღნიშნავდა. აკი მისი ლამაზი სიცოცხლეც 72-ე გაზაფხულის დასაწყისში დასრულდა.

უამრავიდან ერთი, ფირზე ჩაწერილი შეხვედრა მახსენდება. არაშენდის სკოლაში ნანული მასწავლებელმა დაუვიწყარი დაბადების დღე გადაუხადა ობოლ მოწაფეს, მთელი კლასი და სკოლა ჩართო და ბიჭუნას გამზრდელი ბებიაც მოიპატიჟა. დედის დღე საზეიმოდ აღინიშნა. ამით, ათასი ბავშვის მშობელმა, დედობრივი სითბო და სიყვარული აჩუქა. თავადაც უმამოდ გაიზარდა, სამმა დამ ერთად აცხო ობლის კვერი, შემდეგ კი ძმა მიემატათ. გაჭირვებაც ნახა და გამდიდრებაც... გონებრივმა და ფიზიკურმა შრომამ ისე გამოაწრთო, რომ მებრძოლი და ცეცხლოვანი ქალი გახდა, თანაც ისე, რომ ქალური სრულყოფილება არ დაუკარგია.

მაინც რა ხიბლი ჰქონდა ამ დალოცვილს! ქართულ ენასა და ლიტერატურას ისეთი რუდუნებით ასწავლიდა და რელიგიის გაკვეთილებზე სულიერად ისე მოძღვრავდა ყმაწვილებს, რომ მისი დავიწყება შეუძლებელია. საოცრად მორწმუნე, ღვთისნიერი და გულთამხილავი იყო ნანული, მშვიდი და თავმდაბალი. სიკეთეს ისე სთესდა, რომ სამაგიეროს არ ელოდა. სითბოს იმიტომ გასცემდა, რომ სიცივეშეპარული გულები გაეთბო, სიყვარულს ხომ უშურველად და უსაზღვროდ უნაწილებდა ყველას.

სიყვარული სიყვარულის წილ დაუხვდა მაშინ, როცა არაშენდამ და ქოდალომ 60 წლის იუბილე გადაუხადეს. მეუღლე შოთა კვეზერელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დინჯი, ჭკვიანი, კეთილგონიერი კაცი თბილისში მოღვაწეობდა. ამ დროს ნანული წიგნის პალატაში მუშაობდა.

სოფელ ქოდალოში კარგი საცხოვრებელი ბინა ააშენეს, ეზო-კარმიდამო საუცხოოდ მოაწყვეს, მეურნეობაც გადაახალისეს. შრომა და გარჯა არცერთს არ ეზარებოდა და ცხოვრებაც დიდებულად ააწყვეს.

დაუღალავი ენერგია გაიღო ამაგდარმა მასწავლებელმა თანასოფლელებისთვისაც. იესოს ჭეშმარიტებით სულდგმულობდა: რაც კი გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ. ვის ექიმი ჩამოუყვანა, თავიანთი მანქანით, თბილისიდან; წამლებიც უყიდა და სიკვდილსაც გადაარჩინა. ვის მეზობელ სოფელში, კილომეტრზე, ხელით წაუღო საჭირო პროდუქტები, ვის ჩანთაში ჩუმად ჩაუდო ფული, უხერხულობა რომ არ ეგრძნოთ, ვის დიდი ფუთა ტანსაცმელ-ფეხსაცმელი აჩუქა. ბოლო დროს გაიგო, რომ ერთ ოჯახიშვილს ბანკმა სახლ-კარი გაუყიდა და უბინაოდ დარჩა. ნანულიმ თავისი სახლი შესთავაზა, შევიდეს და იცხოვროსო. ნანული მასწავლებელი გაჭირვების ტალკვესი, ცოდო-მადლიანი ქალი იყო. საუკეთესო მეოჯახეს, იშვიათ კულინარსა და დიზაინერს, ხშირად სტუმრობდნენ. ნანული ჩამოვიდაო და მთელი სოფელი ფეხზე დგებოდა. „ყოველი კარგი ხე ნაყოფსაც კარგი იძლევაო.“ ორი სამაგალითო და სანაქებო ქალიშვილი – ლალი და ლელა გაზარდა ნანულიმ. ორივე არაჩვეულებრივი ექიმია.

ნანული უნაკლო ქალიაო, ამბობდნენ. ერთმა ხუმრობით წამოიძახა: – მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს, ბიჭი ვერ გააჩინაო.

ამ ოჯახს, ვაჟიშვილი სიძის, ვალერი ხრუსტალის შემოსვლამ შესძინა. სიძე ბატონი მართლაც მთის ბროლივით წმინდა, კრიალა სულის პატრონი, სიმართლის მძებნელი და მპოვნელი აღმოჩნდა. ორი შვილიშვილი – თენგიზი და მარიამი გაუჩინეს. ოჯახში სიხარულმა და სიყვარულმა დაისადგურა. თენგიზის სტუდენტობამ უზომოდ გაახარა ნანული ბებია და შოთა პაპა. მამა-ვალერი ლექციებს კითხულობს, შვილი იწერს და სწავლობს. ნანული ქოდალოს ღვთისმშობლის ეკლესიის მრევლი იყო. იგი ლოცვაში რწმენით ითხოვდა თავისი ოჯახის, მთელი ქვეყნის გადარჩენასა და გამთლიანებას. ვალერიმ ოქროსფერ ყდაში ჩასმული „ბიბლია“ აჩუქა ღვთისმშობლის. სწორედ ამ ეკლესიაში ჩამოასვენეს თბილისიდან ნანული მასწავლებელი და ცამდე ამაღლებული გააცილეს მარადიულ სასუფეველში. ამყო თანაგრძნობით ვიტყვი, რომ სოფელ ჩუმლაყს, ნანული ქიტესაშვილისნაირი ღირსეული შვილი და ქოდალოს, ნანული კვეზერელისნაირი რჩეული რძალი ჯერ არა ჰყოლია!

*მედეა მოსულიშვილი*

BBC · EURASIANET.org · The National · FP · theguardian · THE WALL STREET JOURNAL · Forbes · The New York Times · Berliner Zeitung · The Washington Post · Telegraph.co.uk · REUTERS · The Economist

რას წერენ ჩვენზე

# ბიძინა ივანიშვილი — პოპულარული მხოლოდ შინ

The Economist

*„ეკონომისტი", დიდი ბრიტანეთი*



**ბრიტანული გამოცემა The Economist-ი აქვეყნებს სტატიას საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილზე, სათაურით „ბიძინა ივანიშვილი — პოპულარული მხოლოდ შინ".**

**აქვს თუ არა ბიძინა ივანიშვილს საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემა? — კითხულობს სტატიის ავტორი.**

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ამომრჩეველთა შორის მაღალი რეიტინგი და პარლამენტში მოპოვებული უმრავლესობა მიუთითებს, რომ მის პოზიციებს სამშობლოში არაფერი ემუქრება. თუმცა, საერთაშორისო პრესა ისწრაფვის, ივანიშვილი წარმოაჩინოს, როგორც მილიარდერი აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც არ ესმის დემოკრატია და საკუთარი მტრების განადგურება სურს. „ქართულ ოცნებასა" და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" შორის პოლიტიკური კოჰაბიტაცია ვერ შედგა, ამიტომ ქვეყნის იმიჯი მის საზღვრებს გარეთ ილახება.

„ქართული ოცნების" ზოგიერთი წევრი, — წერს სტატიის ავტორი, — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა" და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს, რომ ისინი ახალ მთავრობას უცხოელებთან აკრიტიკებენ. იანვარში სააკაშვილმა ახალი მთავრობა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე დაგმო, გასულ კვირას კი, განაცხადა, — რუსეთი იმავე ტაქტიკის გატარებას აპირებს აზერბაიჯანის არჩევნებში, როგორიც საქართველოში გაატარა: ოლიგარქები, რუსული კაპიტალი, შანტაჟი და პროვოკაცია. 4 მარტს ბატონმა ივანიშვილმა გაავრცელა საჯარო მიმართვა, სადაც ბოდიშს უხდის საქართველოს მოკავშირეებს პრეზიდენტის საქციელისთვის.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, მიხეილ სააკაშვილის თეატრალურ წარმოდგენებს ივანიშვილი წყობიდან ვერ გამოჰყავს. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, — წერს სტატიის ავტორი, — როგორც საქართველოს წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, ივანიშვილის მთავრობამ რამდენიმე არასწორი ნაბიჯი გადადგა. ერთობ ნაჩქარევი იყო პარლამენტში პოლიტპატიმრების იდენტიფიცირების პროცესის გატარება, თითოეული საქმის სისტემური განხილვის გარეშე. ივანიშვილმა ვერ შეძლო ასევე ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის" ერთგული ადგილობრივი მთავრობის მოხელეების დაშინების პოლიტიკის აღკვეთა. ეს უმოქმედობა, ყოფილი მაღალჩინოსნების სამართლებრივ დევნასთან ერთად, შერჩევით სამართალთან დაკავშირებით შეშფოთებას იწვევს.

„ეკონომისტის" სტატიაში ნათქვამია, რომ საქართველოში კანონის დარღვევა პოლიტიკური მიზნებისთვის არახალია. საარჩევნო კამპანიის დროს ბატონი ივანიშვილი თავად იყო ამის მსხვერპლი, როცა მისი „ქართული ოცნება" თითქმის 100 მლნ დოლარით დაჯარიმდა. ცოტა ხნის წინ გამართლებულ თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილზე (ის ნამდვილად არ არის ანგელოზი, 2006 წელს ხელისუფლება დატოვა ოპოზიციური პარტიის შექმნის მიზნით) გამოძიების მუხლით აღძრეს საქმე გადადგომიდან ორ კვირაში. ყოველივე ეს, — ნათქვამია სტატიაში, — ნათლად ასახავს არსებულ ვითარებას. მეტიც, გამოსაძიებელია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი ჩინოსნებისთვის წაყენებული ბრალდებები კორუფციასა და ადამიანის უფლებების დარღვევაში.

**„აქვს თუ არა ბიძინა ივანიშვილს საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემა?"**

ივანიშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიღწევების გაუფასურებისაკენ მიისწრაფვის. საქართველომ ბოლო ათწლეულში უდიდესი ნაბიჯები გადადგა წინ, კერძოდ, „ვარდების რევოლუციის" შემდგომ წლებში. გაიზარდა ეკონომიკა, ხდებოდა გადასახადების გადახდა-ამოღება, აღდგა ძირითადი სერვისები, — ნათქვამია სტატიაში, — მაგრამ ძველი პრობლემების გადაჭრისას, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ახალი პრობლემები შექმნა. საქართველოს ახალი ხელისუფლება ცდილობს, „ვარდების რევოლუციის" შავ ნაწილთან ბრძოლას. თუმცა, ამას ვერ მოახერხებს „ნაციონალური მოძრაობისგან" მემკვიდრეობით მიღებული ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების გარეშე.

სტატიაში აღნიშნულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების განმარტებით, წარსულთან შედარებით, სამთავრობო ინსტიტუტები უფრო მეტად გახსნილნი არიან. განიხილება უფრო ძლიერი კანონმდებლობის ჩამოყალიბება, რომელიც შეეწინააღმდეგება მონოპოლიებსა და ბაზარზე ბატონობას, რაც მთავარი პრობლემაა ეკონომიკის სექტორში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი რეფორმები ზღუდავს ეკონომიკის სფეროში არსებულ გადაჭარბებულ ძალაუფლებას. დაწყებულია რუსეთთან დიალოგი და საკმაოდ დიდია შანსი, რომ ქართული პროდუქტი რუსულ ბაზარზე დაბრუნდება. სამთავრობო კოალიციაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები პოლიტიკური პლურალიზმის იმაზე დიდ ხარისხზე მიუთითებს, ვიდრე ეს „ნაციონალური მოძრაობის" მთავრობის დროს იყო დაშვებული.

გაუგებარია, რა არის ამ ცვლილებების ძირითადი მიზეზი, — აღნიშნავს სტატიის ავტორი, — საგულისხმოა, რომ კარნეგის მშვიდობის ცენტრის ახალი კვლევის შედეგად ქართველების 45% დადებითადაა განწყობილი სტალინის მიმართ, მიუხედავად მისი დანაშაულებისა. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მხარს უჭერენ ავტოკრატიულ რეჟიმს. ეს უფრო იმას მიანიშნებს, რომ მათ მომავლის ბუნდოვანება აბნევთ და აშინებთ.

კოალიციის მმართველობის მოუქნელი სტილი, რომელსაც სააკაშვილის სიძულვილი ასაზრდოებს, ქვეყნის მომავალს კიდევ უფრო აბუნდოვანებს. დამაჯერებელი ხედვა, რომელიც დაგვანახებდა, თუ როგორ გეგმავს ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის შენებას „ნაციონალური მოძრაობის" მემკვიდრეობის გამოყენებით, მისასალმებელი იქნებოდა როგორც შინ, ისე ქვეყნის გარეთ, — ნათქვამია სტატიაში.

## საზღვარგარეთის ქვეყნები

### მოკლედ

**ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეასთან თავდაუსხმელობისა და კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციის თაობაზე დადებული ყველა შეთანხმება გაწყვიტა.** ეს გადაწყვეტილება ფხენიანში გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მის მიმართ გამკაცრებული სანქციების შემდეგ მიიღეს. გაერომ ჩრდილოეთ კორეას სანქციები თებერვალში ჩატარებული ბირთვული ცდებისთვის დაუწესა.

ჩრდილოეთ კორეის საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, ქვეყნის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა სამხედრო ნაწილები მოინახულა და „მტრის გასანადგურებლად" მზადყოფნისკენ მოუწოდა.

**საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი პოლიტიკაში „იძულებით„ დაბრუნებას არ გამორიცხავს.** ექსპრეზიდენტმა ამის თაობაზე ერთ-ერთ მემარჯვენე ჟურნალთან ინტერვიუში განაცხადა.



სარკოზის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის მაისში პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ, პოლიტიკიდან სრულად წასვლის სურვილი გამოთქვა, საფრანგეთში შექმნილი მოვლენები უკან დაბრუნებას „აიძულებს".

„მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში აღარ ვარ, ბედნიერი ვარ. სკოლაში დამყავს ჩემი ქალიშვილი, მსოფლიოს სხვადასხვა კონფერენციებში ვმონაწილეობ. თუმცა, მოვალეობა მაიძულებს პოლიტიკაში დაბრუნებას, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ეს საფრანგეთს სჭირდება", — განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე 2012 წლის მაისში სოციალისტმა ფრანსუა ოლანდმა შეცვალა.

**„ალ-ქაიდამ" თავის მომხრეებს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტებისა და მაღალჩინოსნების, ასევე სხვა დასავლელი ლიდერების მკვლელობისკენ მოუწოდა.** ინგლისურენოვან ონლაინჟურნალ Inspire-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „ალ-ქაიდა" თავის მომხრეებს მოუწოდებს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტების — ჯორჯ ბუში-უმცროსის, ბილ კლინტონის, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნების — კოლინ პაუელის, კონდოლიზა რაისის, ასევე საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზისა და ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის ლიკვიდაციისკენ.

„თუ ფიქრობთ, რომ ვერ მოახერხებთ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის მოკვლას, მაშინ იოლი სამიზნეებიც არსებობენ. მაგალითად, ყოფილი პრეზიდენტები და მაღალჩინოსნები", — ნათქვამია ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალაში, სადაც მკითხველს მოწინააღმდეგის განადგურების პრაქტიკულ რჩევებსაც აძლევენ.

კერძოდ, ნათქვამია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი პოლიტიკოსის განადგურება ადვილია ცერემონიებისა და საზეიმო მიღებების დროს.

**ჩეხეთში ახალარჩეული პრეზიდენტის, მილოშ ზემანის ინაუგურაცია გაიმართა.** მილოშ ზემანი ქვეყნის სათავეში უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში დარჩება.

68 წლის მილოშ ზემანმა პრეზიდენტის პოსტზე ვაცლავ კლაუსი შეცვალა, რომელიც ორი საპრეზიდენტო ვადით მართავდა ქვეყანას.

ზემანი ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელიც სახალხო არჩევნების გზით აირჩა. მანამდე ქვეყნის პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევდა.

***ვრცლად იხილეთ საიტზე***
***www.kvirispaltra.ge***

# უგო – „ხალხის მამა" თუ დიქტატორი?!

*„5 მარტს, 4 საათზე, საშინელ სენთან ორწლიანი ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა კომანდირ-პრეზიდენტი უგო ჩავეს ფრიასი. ვივა ჩავესს!" — მთრთოლარე ხმით აცნობა მსოფლიოს ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ, რომელმაც ჩავესის სიკვდილში ქვეყნის მტრები დაადანაშაულა.*

### ჩავესი კვლავ ცოცხლობს?

„კომანდანტე ჩავესი ხალხს ეკუთვნის. მისი ცხედარი დაბალზამდება, როგორც სხეული ჰო ში მინისა, ლენინისა და მაო ძე დუნისა, რათა ყველას შეეძლოს მისი ნახვა", — ეს განცხადებაც მადუროს ეკუთვნის. გამჭვირვალე კუბო კარაკასის სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში დაიდგმება, რომელიც პრეზიდენტის მავზოლეუმად გადაკეთდება.

ათიათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩებში ქვეყნის მამად მიჩნეულ პრეზიდენტთან გამოსათხოვებლად, მისი ყოფილი მოწინააღმდეგეებიც კი. სამგლოვიარო ცერემონიალს ესწრებოდნენ მისი უახლოესი მოკავშირეებიც, მათ შორის ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო და ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი. ვენესუელის მთავარ საგარეო პარტნიორს, რუსეთს კი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი წარადგენდა.

მაინც ვინ იყო ჩავესი? კაცი, რომელმაც ქვეყანაში სტრუქტურალიზმი დაამკვიდრა, სოციალური პრობლემები აღმოფხვრა, ერის ეთნიკური იდენტიფიცირება მოახდინა, თუ მანიაკური იდეებით შეპყრობილი ავტოკრატი დიქტატორი, რომელმაც ქვეყნის მომავალი საკუთარ ამბიციებს გადააყოლა?

### ჩავესის მემკვიდრეობა

საკამათოა, თუ რა დაუტოვა ქვეყანას „ჩავესის ხანამ". ერთი მხრივ, ქვეყნის უზარმაზარმა ნავთობრესურსებმა შესაძლებელი გახადა მასშტაბური სოციალური რეფორმის გატარება, აღმოიფხვრა გაუნათლებლობა, შემცირდა კორუფცია და სიღატაკე. ჩავესი ყოველთვის ამაყად აცხადებდა, რომ იგი ინდიელიც იყო და მორწმუნე კათოლიკეც — მისმა ამ პოზიციამ, უდავოა, ხელი შეუწყო ერის ეთნიკურ იდენტიფიკაციას. მაგრამ მეორე მხრივ დარჩა დეზორგანიზებული ეკონომიკა, მასშტაბური ინფლაცია, სუსტი ინფრასტრუქტურა, დიპლომატიური იზოლაცია. გარკვეულწილად, ყველაზე მეტად ვენესუელა სწორედ ჩავესის მთავარმა საგარეო კოზირმა, ანტიამერიკანიზმმა დააზარალა — „იანკების" მოძულე ინდიელმა რუსეთს ისეთი მონოპოლისტური პრივილეგიები მისცა, რაზეც ამერიკა ვერც იოცნებებდა.



***ლუკაშენკო და აჰმადინეჟადი ჩავესის სამგლოვიარო ცერემონიალზე***

### საქართველოდან დანახული უგო ჩავესი

„რუსეთი მართალია. იგი საკუთარ ინტერესებს იცავდა. ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსეთს და ვემხრობით მის გადაწყვეტილებას", — განაცხადა უგო ჩავესმა 2009 წელს მოსკოვში ვიზიტისას, როდესაც საზეიმოდ აღიარა საქართველოს კუთვნილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ჩავესს საქართველოში მტრად აღიქვამენ. ისე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩავესმა იცოდა, სად მდებარეობდა ან ერთი, ან მეორე...

სამაგიეროდ, ოსებს არ ავიწყდებათ უგოს „ამაგი". ოსმა ალპინისტებმა გადაწყვიტეს, კავკასიის ერთ-ერთი, 3 400 მ სიმაღლის მწვერვალი დალაშქრონ და მას ჩავესის სახელი დაარქვან, — ვაფასებთ უგო ჩავესს და მადლობელი ვართ იმისთვის, რაც მან გაგვიკეთაო...

***მოამზადა ვაჟა თავბერიძემ***

# №11(858) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**თემა №11(858) — კეთილგანწყობილი ქვეყანა**

**თქვენი აზრით, რომელია საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი ქვეყანა** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-ის ჩათვლით.

| № | თემა №11(858) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | თურქეთი | |
| 2 | აშშ | |
| 3 | სომხეთი | |
| 4 | საფრანგეთი | |
| 5 | რუსეთი | |
| 6 | აზერბაიჯანი | |
| 7 | უკრაინა | |
| 8 | ბალტიისპირეთის ქვეყნები | |
| 9 | გერმანია | |

*დამატებითი კითხვა*

თქვენი აზრით, უნდა წასულიყო თუ არა „ერისიონი" მოსკოვში?

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე... გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

## 200 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად. პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს. საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი. იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

**ყურადღება! საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში SMS-ის საშუალებითაც შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება. შევსების წესი მარტივია: ტელეფონის SMS ფუნქციაში ლათინურად უნდა აკრიფოთ სიტყვა REITINGI გამოტოვოთ ცარიელი ადგილი და შემდეგ ქულების ისეთივე კომბინაცია, როგორც რეიტინგის ქვითარს შეავსებდით. მაგალითისთვის: REITINGI 734561829, ამ შემთხვევაში 7 — „თურქეთისთვის" მიკუთვნებული ქულაა, 3 — „აშშ-ისთვის", 4 — „სომხეთისთვის" და ა.შ. შემდეგ დააფიქსირეთ დამატებითი კითხვის პასუხი, თქვენი სახელი და გვარი, ასაკი, ქალაქი (რაიონი) და გამოგზავნეთ ნომერზე 2141.**

ერთი ტელეფონიდან მხოლოდ ერთი SMS-ის გამოგზავნა შეგიძლიათ. ერთი SMS-ის ღირებულებაა 50 თეთრი. **SMS-ის** გამოგზავნის ბოლო ვადაა **ხუთშაბათის, 14 მარტის 20[00] სთ.**

**№11(858)** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 13 მარტის 10[00] საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 მარტის 13[00] საათამდე.**

©თბილისი

# №10(857) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემას — **„გავლენიანი ქალი"** — 492 რესპონდენტი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 207 ქალისა და 282 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი (SMS) მონაწილეობდა. კითხვა ასეთი იყო: **„თქვენი აზრით, ვინ არის დღეს ყველაზე გავლენიანი ქალი საქართველოში?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, დღეს საქართველოში ყველაზე გავლენიანი ქალი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანია. რესპონდენტთა 77%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. **8.53** საშუალო ქულით თეა წულუკიანი პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზეა ეკა ბესელია, საშუალო ქულაა 6.68. გავლენიანი ქალბატონების სამეულს მაია ფანჯიკიძე ასრულებს 6.61 საშუალო ქულით.

ჩიორა თაქთაქიშვილსა და ირმა ნადირაშვილს რეიტინგში ის აქვთ საერთო, რომ ორივე ქალბატონს რესპონდენტთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ (0.2%) მიაკუთვნა მინიმალური — 1 ქულა და შესაბამისად, ბოლო ადგილებიც გადაინაწილეს.

საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული თბილისელი 59 წლის **ირაკლი მღვდლიაშვილია**.

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 200 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 13 მარტს, 17 საათზე.




## ყურადღება!

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას **აუცილებელია, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგში" („დამატებით კითხვაში").**
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგში" („დამატებით კითხვაში") მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.
- „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით ©**

## (11) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№11 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ **14 მარტის** (ხუთშაბათი) 13[00] სთ-მდე.

## დამატებითი კითხვის შედეგები

**თქვენი აზრით, უნდა მოხდეს თუ არა საჯარო მოხელეთა ამნისტია?**




*დამატებით კითხვას 404-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ცნობილთა აზრით:



**გია ბუღაძე:** — ჩემი აზრით, ამნისტია მხოლოდ საშუალო და ქვედა რგოლს უნდა შეეხოს. ზოგადად ცნობილია, რომ თევზი თავიდან ყროლდება.



**გია ბაღაშვილი:** — ვფიქრობ, პასუხისმგებლობისგან მხოლოდ საშუალო და ქვედა რგოლი უნდა გათავისუფლდეს. წინა მთავრობის დროსაც გვესმოდა და ახლა ნამდვილად დავრწმუნდით, რომ რეალურად გადაწყვეტილებებს მხოლოდ მაღალჩინოსნები იღებდნენ, დანარჩენები კი მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ. ასეთი ადამიანების რაოდენობა ალბათ ათასობითაა და ცოტა ცუდი სანახავი და მოსასმენი იქნება ამდენი ადამიანის დაპატიმრება თუ პასუხისგებაში მიცემა.

მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") ყუთების საშუალებით.

# ნინო ზაუტაშვილი: „სიმართლისთვის ბრძოლას ვიწყებთ!“

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და თანამშრომელთა დაპირისპირება, სავარაუდოდ, ახალ ფაზაში შევა. პირველი არხის თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ბორდის გადადგომისა და გენერალური დირექტორის გადაყენების საკითხის სამართლებრივად შესწავლის მოთხოვნით სასამართლოში იჩივლოს.

საზოგადოებრივ მაუწყებელში მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც სამეურვეო საბჭომ გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა, მიზეზად კი არხზე გიორგი ბარათაშვილის მიერ კრიზისული ვითარების შექმნა დაასახელა. *„სამეურვეო საბჭომ განიხილა მაუწყებელში შექმნილი ვითარება, რომელსაც წინ უძღოდა მაუწყებლის გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილის მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსის, ხათუნა ბერძენიშვილის თანამდებობიდან გადაყენება და ამ უკანასკნელის მიერ გენერალური დირექტორის დადანაშაულება სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის, პოლიტიკური ზეწოლისა და ფინანსური გარიგების შეთავაზებაში. ასეთი კრიზისული ვითარების შექმნა იმ პირობებში, როდესაც მაუწყებელზე ხორციელდება მრავალმხრივი ზეწოლა, მიგვაჩნია უპასუხისმგებლობად და საზოგადოებრივი ინტერესების საფრთხის შემცველად“,* — ნათქვამია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სპეციალურ განცხადებაში.



**„არხის თანამშრომლები სასამართლოში ჩივიან“**

არხის თანამშრომელთა ნაწილის აზრით, ბარათაშვილი უკანონოდ გაათავისუფლეს და როგორც სააკაშვილის ხელისუფლების დროს, ბორდი პოლიტიკური ძალის („ნაციონალური მოძრაობის“) ინტერესების დაცვას ცდილობს.

ბორდის გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასაც, ამიტომაც არხზე შექმნილი საინიციატივო ჯგუფის განცხადებით, საქმის გარჩევა სასამართლოში გაგრძელდება.

**ნინო ზაუტაშვილი,** *„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წამყვანი:* — ჩვენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან გავგზავნეთ თანამშრომლების ხელმოწერილი თხოვნა ბორდის გადაყენების თაობაზე. ამასთან, ამ დღეებში სასამართლოში შევა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული სარჩელი, რომლის თანახმად, თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლეს გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი. ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო სრული შემადგენლობის (15 კაცი) ორი მესამედი, გადაწყვეტილება კი 9 პირმა მიიღო. ეს კანონდარღვევაა და ჩვენ პოზიციის დათმობას არ ვაპირებთ. სიმართლისთვის ბრძოლას ვიწყებთ. მომზადდა საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებული კანონის ცვლილებების პროექტი, რომელიც პარლამენტში მოსასმენად მიიღეს. ბორდი უნდა გადადგეს, რადგან ის არაკომპეტენტურია — არ იცნობს კანონებს, არ გააჩნია საფუძვლიანი არგუმენტები, რის საფუძველზეც გადაწყვეტილებებს იღებენ, ვერ გეტყვიან, რა პასუხისმგებლობა აკისრიათ. ტელევიზიის განვითარების სტრატეგიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ბორდი არ არის დაკომპლექტებული იმ პირებით, ვისაც ტელევიზიის განვითარება სურს.

> **ჩემმა წყარომ მითხრა, თითქოს პარლამენტის თავმჯდომარეს საინიციატივო ჯგუფისთვის უთხოვია, რაც შეიძლება ბევრი ხელმოწერის შეგროვება ბორდის გადასაყენებლად...**



სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძის აზრით კი, ბორდს მართლსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია და კანონდარღვევაში პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს ადანაშაულებს.

**ლევან გახელაძე:** — ე. წ. საინიციატივო ჯგუფს ხომ შეაქვს სასამართლოში სარჩელი? ჰოდა, დაველოდოთ მართლმსაჯულებას! ჯგუფს, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელში ჩამოყალიბდა და ჩვენ გვებრძვის, პარლამენტის თავმჯდომარე მოქმედი კანონმდებლობის აშკარა და უხეში დარღვევით ხვდება. ვგულისხმობ „საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ“ კანონის მე-15 თავს, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს ეკრძალებათ საზოგადოებრივი მაუწყებლის კერძო საქმეებში ჩარევა. არადა, სხვაგვარად როგორ უნდა აღვიქვათ ის, რაც რამდენიმე დღის წინ ვიხილეთ: სახელმწიფოს მეორე პირმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, ერთდროულად მიიღო კანონპროექტის ავტორები და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების ის ნაწილი, რომელიც უკმაყოფილოა სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით. გარდა ამისა, როგორც ჩემმა წყარომ მითხრა (თუმცა ვერ დავადასტურებ), თითქოს პარლამენტის თავმჯდომარეს საინიციატივო ჯგუფისთვის უთხოვია, რაც შეიძლება ბევრი ხელმოწერის შეგროვება ბორდის გადასაყენებლად. ასეთ მოთხოვნას იურიდიული ძალმოსილება არა აქვს. კანონმდებლობა არ ცნობს სამეურვეო საბჭოს, როგორც მოქმედ კოლექტიურ ორგანოს, გადაყენების ფორმას, ინდივიდუალური იმპიჩმენტის საფუძვლად კი „საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ“ კანონში მითითებულია მხოლოდ ორი ფაქტორი: რეგულარული გაცდენა, ანუ საბჭოს წევრების სამსახურებრივი მოვალეობისთვის თავის არიდება ან სისხლისსამართლებრივ საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. ასე რომ, ეს ხელმოწერები და აჟიოტაჟი კარგად აჩვენებს, საიდანაც იმართება პროცესი. რით გავამართლოთ ის, რომ იურისტი პარლამენტის თავმჯდომარე ცდილობს, დახურულ კარს მიღმა მოისმინოს მოსაზრებები, გამოთქვას თავისი აზრიც და გასცეს მითითებები. ეს ძალიან შემაშფოთებელია. ამასთან, განათლებისა და კულტურის კომიტეტში საკანონმდებლო ცვლილების განხილვა უჩვენოდ მიმდინარეობს. განხილვაში მონაწილეობისთვის თუ არა, მოსასმენად მაინც ხომ უნდა მივეწვიეთ? საბჭოს ერთ-ერთ წევრს ელზა გოგუაძეს შეპარვა მოუხდა განხილვაზე... დასკვნა თავად გამოიტანეთ.

**— ქეე იგი, ხელისუფლება გებრძვით?!**

— ვერ ვიტყვი, რომ მთელი ხელისუფლება ამას ცდილობს, რადგან კოალიცია „ქართული ოცნება“ არ არის ერთგვაროვანი, ის სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტისგან შედგება. მე ყურადღებით მოვუსმინე მათ კომენტარებს საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ. მინდა გამოვყო ზვიად ძიძიგურისა და ეკა ბესელიას ძალზე კორექტული კომენტარები. ეკა ბესელიამ „ნაცმოძრაობასაც“ და „ქართულ ოცნებასაც“ მოუწოდა, არ ჩაერიონ, ანუ არ გაბედონ პროცესის პოლიტიზება. ეს ძალიან კარგია, სამაგიეროდ, აშკარაა კოალიციაში შემავალი რესპუბლიკელების ზედმეტად დაინტერესება ამ საქმით.

*ეკა ლომიძე*






# პასპორტი



სახელი, გვარი
**ლევან კობიაშვილი**
დაბადების თარიღი
**10.07.1977**
პროფესია
**ფეხბურთელი**

— **ბავშვობის აუხდენელი ოცნება...**

— ძალიან მინდოდა, მუსიკოსი ვყოფილიყავი... სამწუხაროდ, ამისთვის საჭირო ნიჭი არ აღმომაჩნდა. :)

— **და მუსიკის ნაცვლად, ფეხბურთი აირჩიე?**

— სხვათა შორის, ფეხბურთში ვარჯიში მშობლების ინიციატივით დავიწყე. დედა და მამა დღემდე დავობენ, რომლის იდეა იყო საფეხბურთო სექციაში ჩემი მიყვანა. :)

— **შენი ოჯახი გაგვაცანი:**

— მყავს მეუღლე — თამარ წულეისკირი და ორი შვილი: ნიკა და სალომე.

— **ფეხბურთელი რომ არა, ვინ იქნებოდი?**

— უნიჭო მუსიკოსი. :):)

— **რის გარეშე ვერ წარმოგიდგენია სიცოცხლე?**

— ჩემი ოჯახის.

— **ნივთი, რომლის გარეშეც სახლიდან არ გადიხარ...**

— მობილური ტელეფონი.

— **ლევან კობიაშვილი და ჰოროსკოპი...**

— სიმართლე გითხრათ, ჰოროსკოპით არასდროს დავინტერესებულვარ. თუმცა, იმდენი კი ვიცი, რომ ჰოროსკოპით კირჩხიბი ვარ. :)

— **ფრაზა ან სიტყვა, რომელსაც ყველაზე ხშირად ამბობ.**

— ყველაზე ხშირად? ალბათ, ცოლის სახელს. :):)

— **რაიმე უცნაური თვისება თუ გაქვს?**

— უცნაური არაფერი მაგონდება... ისე, ალბათ, მაგ კითხვაზე ჩემი მეუღლე უკეთესად გიპასუხებთ. :)

— **სპორტსმენი, რომელიც სამაგალითოა შენთვის...**

— რაიან გიგზი... მართლაც სამაგალითო ფეხბურთელია. მიუხედავად იმისა, რომ 39 წლის არის, ცოტა ხნის წინ კონტრაქტი გაახანგრძლივა „მანჩესტერ იუნაიტედთან“, რომლის რიგებშიც უკვე მეათასე მატჩი ჩაატარა...

— **ქვეყანა, სადაც იცხოვრებდი...**

— ჩემთვის პირველ ადგილზე ყოველთვის სამშობლო დგას. მეამაყება, რომ ქართველი ვარ!

— **წიგნი, რომლის კითხვაც არ გბეზრდება...**

— არ მახსენდება, რომელიმე წიგნი რამდენჯერმე წამეკითხოს... ამჟამად ჰომეროსის „ოდისეას“ ვკითხულობ, მაგრამ არა მგონია, მეორედ კიდევ მივუბრუნდე. :)

— **ფეხბურთის გარდა, რა გიყვარს?**

— კალათბურთი, ჩოგბურთი, მოგზაურობა, კინო...

— **რა გაღიზიანებს?**

— მლიქვნელობა, ტყუილი, არაპროფესიონალიზმი...

— **რომელია შენი საყვარელი გუნდი?**

— ესპანეთის ნაკრები.

— **მატჩი, რომლითაც ყველაზე მეტად ამაყობ...**

— საქართველო-ხორვატია 1:0 *(ერთადერთი გოლი სწორედ ლევან კობიაშვილმა გაიტანა. — ავტ.)*

— **შენი მეტსახელი:**

— კობი.

— **დაახასიათე შენი თავი ერთი სიტყვით.**

— გაწონასწორებული.

— **დასასრულ, როგორ ჟღერს გერმანული ანეკდოტი?**

— რას აკეთებს ინგლისელი პენსიონერი? — დგება დილის 9 საათზე, სვამს ჭიქა სკოჩს და მიდის გოლფის სათამაშოდ; რას აკეთებს ფრანგი პენსიონერი? — დგება დილის 10 საათზე, სვამს ჭიქა ბორდოს და მიდის საყვარელთან; გერმანელი პენსიონერი რაღას აკეთებს? — დგება დილის 7 საათზე, სვამს გულის წვეთებს და მიდის... სამუშაოდ! :)

*მოგვწერეთ, კიდევ რომელი ცნობილი სპორტსმენის „პასპორტში“ ჩახედვა გსურთ. წინადადებები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) ყუთების მეშვეობით. ან ჩვენს ელექტრონულ მისამართზე:*
**contact@kvirispalitra.ge**

# კაპიტანი ლომების დერეფანში

## საქართველო 61:18 ესპანეთი

„ემოციები მახრჩობს, ისე მინდა რევანშის აღება...“ — ეს სიტყვები საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ესპანელებთან მატჩისწინა პრესკონფერენციაზე თქვა. ესპანელმა „ლეონესმა“ („ლომები“) შარშან მადრიდში მოგვიგო 25:18, ახალზელანდიელი მწვრთნელისთვის ის პირველი მატჩი იყო საქართველოს ნაკრების მესაჭის რანგში და რა გასაკვირია, უპირატესობის შედეგია. ამჯერად კი თითქმის ყველა ლელო სოლო რეიდს ან სწრაფ გარღვევას მოჰყვა! რაც მთავარია, რაგბის ქართველმა ქომაგმა წელს პირველად ნახა დამაჯერებელი გამარჯვება და ლელოების წვიმა! იდეალურ თამაშამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია, მაგრამ როგორც იქნა, ბიჭებმა თამაშითაც გვიჩვენეს, რას ითხოვს მათგან მილტონ ჰეიგი...

და აბუ? ნაკრებში ირაკლი აბუსერიძის



წაგება ძალლის ნაკბენივით რომ ახსოვს. უფრო სწორად, 9 მარტის შუადღემდე ახსოვდა, თორემ მერე...

**საქართველოს ნაკრები არც აბუს წასვლის შემდეგ გაუდაბურდება!**

რევანშის წყურვილი მორაგბეებსაც არანაკლებ კლავდათ და ეს მატჩის პირველივე წუთებიდან გამოჩნდა. არადა, რუსეთთან შეხვედრის მსგავსად, პირველი ქულები ამჯერადაც მეტოქემ მიითვალა — მე-12 წუთისთვის, სიმპსონის ორი საჯარიმოს წყალობით, „ლომები“ 6:3 იგებდნენ. ეგ იყო და ეგ — მომდევნო 50 წუთის განმავლობაში მოედანზე მხოლოდ საქართველოს ნაკრები ჩანდა. მასპინძლებმა პირველივე ტაიმში სტუმრებს ერთიმეორეზე ლამაზი ლელოები მიართვეს და კაპიტანი — ირაკლი აბუსერიძე ნაკრებიდან ლამაზი გამარჯვებით გააცილეს...

ტრადიციულად, უხერხული მეტოქის დიდი ანგარიშით დამარცხებისა და პრემიალური ქულის მოპოვების გარდა, მატჩის მთავარი ლაიტმოტივიც ეს იყო: ბოლო მატჩებია, ბორჯღალოსანთა გატანილი ლელოების უმეტესობა შერკინებაში მოპოვებული

ბოლო მატჩი სწორედ ისეთი გამოდგა, მისი 13-წლიანი სანაკრებო კარიერა რომ იმსახურებდა! აბუმ ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი — 85 მატჩი ჩაატარა და გუნდს 39-ჯერ უკაპიტნა, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია. უთამაშია სამ მსოფლიო თასზე და ევროპის „ერთა თასის“ 12 გათამაშებაში...

2013 წლის 9 მარტს ირაკლი აბუსერიძემ მატჩისშემდგომ დერეფანში ნაკრების მაისურით უკანასკნელად გაიარა. ეჭვგარეშეა, ეს ყველაზე ემოციური დერეფანი იყო მის კარიერაში. ისიც ნიშანდობლივია, რომ კაპიტანმა ბოლოს სწორედ ლომების დერეფანში გაიარა!

გმადლობთ, კაპიტანო! გმადლობთ, აბუ! ცხოვრება გრძელდება, მთავარი კი ისაა, რომ ჩინებული თაობა მოდის და საქართველოს ნაკრები არც აბუს წასვლის შემდეგ გაუდაბურდება!

**P.S.** 16 მარტს წლევანდელი „ერთა თასის“ ბოლო მატჩია: რუმინეთი-საქართველო.






# გორგოძის მეორე „ოსკარი“

საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ ლიდერ მამუკა გორგოძეს 26 მარტს სპეციალური პრიზით —„ოსკარით“ დააჯილდოებენ. ავტორიტეტული სარაგბო ჟურნალის „მიდი ოლიმპიკის“ დაწესებული ეს პრესტიჟული ჯილდო „გორგოძილამ“ საფრანგეთის Top-14-სა და „ჰაინეკენის თასზე“ ნაჩვენები შესანიშნავი თამაშით დაიმსახურა. დაჯილდოების ცერემონიალი „სტად ივეს დუ მანუარზე“ გაიმართება და ათასამდე სტუმარი დაესწრება. მათ შორის, „მონპელიეს“ სპონსორები, მედიაპარტნიორები და ფრანგული რაგბის „ნაღები საზოგადოება“. იგეგმება გორგოძის შესახებ გადაღებული ფილმის პრეზენტაციაც. შეგახსენებთ, რომ ქართველმა გოლიათმა „ოსკარი“ შარშანაც დაიმსახურა.

# ჯორდანს ცოლი მოჰყავსო...

ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებული მაიკლ ჯორდანი ქორწილისთვის ემზადება. ამერიკელი ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ გასული კვირის ბოლოს ლეგენდარულმა მოთამაშემ პალმ-ბიჩის მთავარ საოლქო სასამართლოს საქორწინო განაცხადით მიმართა. 1989 წელს, მაიკლი ხუანიტა ვანოიზე დაქორწინდა, რომელმაც ჯორდანს ორი ვაჟი



— ჯეფრი მაიკლი და მარკუს ჯეიმსი, ასევე ქალიშვილი ჟასმინი გაუჩინა, თუმცა, წყვილი 2006 წელს დაშორდა. ამჯერად 50 წლის ჯორდანის რჩეული კუბური წარმოშობის მოდელი ივეტ პრიეტო გახდა, რომელსაც ლეგენდარული სპორტსმენი უკვე რამდენიმე წელიწადია ხვდება. აღსანიშნავია, რომ „ზედ ქორწილის წინ“, ჯორდანს თავსატეხი გაუჩნდა — ვინმე პამელა სმიტი ირწმუნება, რომ მისი 16 წლის ვაჟის მამა სწორედ ლეგენდარული კალათბურთელია და მაიკლს დნმ-ის ანალიზის გაკეთებას სთხოვს.

# ღვინიაშვილმა ევროპა აალაპარაკა

დიუსელდორფის „დიდი პრიზის“ მოგების შემდეგ, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდური ჩემპიონობა ვარშავის ტურნირზეც მოიპოვა. თუმცა, პოლონეთის დედაქალაქში შეკრებილი საზოგადოება ჩვენებს მხოლოდ შედეგიანი ჭიდაობით არ მოუხიბლავთ. ამ მხრივ განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ბექა ღვინიაშვილმა. ტურნირის მეორე წრის მატჩში ღვინიაშვილის მეტოქემ, კრისტიან ტოტმა, ფეხი იტკინა და ასპარეზობის გაგრძელება ვეღარ შეძლო. თანამემამულეებზე სწრაფად მოწინააღმდეგესთან ახალგაზრდა ქართველი გაჩნდა, უნგრელს წამოდგომაშიც მიეშველა და ტატამიდან გასვლაშიც, რასაც მაყურებელთა ოვაცია მოჰყვა... ოღონდ ეს ისტორია მხოლოდ ამით არ დასრულებულა: ევროპის ძიუდოს კავშირმა ბექა ღვინიაშვილი „ფეარ-პლეის სპეციალური სერტიფიკატით“ დააჯილდოვა! „ევროპული ძიუდოს დევიზია: „ძიუდო მეტია, ვიდრე სპორტი!“ — ბექა ღვინიაშვილის საქციელმა კი ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა“ — ნათქვამია ევროპის ძიუდოს კავშირის განცხადებაში.

**P.S.** მართლაც, სწორედაც „მეტია“, რაკილა ვარშავაში უმედლოდ დარჩენილ ახალგაზრდა ქართველ ძიუდოისტს ამ საქციელმა გაცილებით მეტი აღიარება მოუტანა, ვიდრე პოლონური ტურნირის ოქროს მედალოსნებს...

*რუბრიკა მოამზადა*
*რატი შელეგიამ*